



ლიტერატურა და ხელოვნება

N11
11/2006

1522/2
2006

შოთა

ვაჟა
ოთარაშვილი
მამუკა
ნიკლაური

შალვა

ზაბირა
არსენიშვილი
ზურაბ თორია

თაბუკაძე

რუსუდან
ბაქაშვილი

წერეთელი

ჭაბუა
ამირეჯიბი - 85

თეატალი

გიორგი
ტოვსტონოგოვი

გურამ
ოდიშარია

მსაფურთხა

ფელიქს
ვარლამიშვილი

მუსიკა

მერი
დავითაშვილი





ფელიქს ვარლამიშვილი

შეშის მჭრელები



ფელიქს ვარლამიშვილი

დანყვილებული

ლიტერატურა და სეროენება

N11

11/2006

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორები

დავით შემოქმედელი
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი

მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა

ფელიქს ვარლამიშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42

ტელ.: (+995 32) 93 18 69;

(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@posta.ge

Web: www.litandart.com.ge

გამომცემის სპონსორია

ს ა რ ჩ ე ვ ი

სიმონა სიმონა

- 3 ზახია ახენიშვილი - ელდერი მთვარის მუხე
- 22 ვაჟა ოთარაშვილი - ლექსები
- 26 ზუბაბ თოხია - ჯდასიუჯი გაჯვეთილი
- 31 მიტომპოლიტი თადეოზი - ლექსები
- 34 მამუკა ნიკაიუჯი - ლექსები
- 36 ვეჯიუკო ზამთარაძე - ლექსები

თარგმანი

- 39 ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი - მაქმად ბასომპიუჯის
თავგადასავალი
/თარგმანი ნანა ნოზაძე-ჯელაშვილიმ/
- 45 მაქი ლიუბე ჯაშნიცი - მე მიყვარს ბაცონი X
/თარგმანი ჰუსედანი ბეჯაშვილიმ/

ჟურნალის

- 49 გუჯი ოტომბია - „დათა თუთაშხია“ - ქაქთუჯი
ჰომანის მწვეჯადი
- 58 გუჯამ ოდიშაქია - მოწაკიფება ოაზისში
- 61 მანანა მაჩაბელი - მაქიჯ ვიუჯის
„ინტეჯუჯეტაცია“...

აუქციონი


- 67 ნათუდა უჯუშაძე - სსოვნის საქუქში
(გიოქგი კოვსტონოჯოვი)

პუქიქა

- 73 ნანა ქავთარაძე - ლიქიუჯი სუჯი
(მუქი დაჯითაშვილი)
- 79 ჰუსედანი ქავთარაძე - ვეჯცხლისებქი კემბქი
(ფქანცისქა ჰუნი)

მხატვრობა

- 81 ქავთარანი კინუქაშვილი - ვაქიდა: ფელიქს ვაქიდაშვილი
- 84 ფოქოაქიქიჯიდან




მ ა გ თ ი ა ო მ ი

საქონურდავსჯით სწავლა:

ქაბუა ამირჯიანი, ზახანა ზრუვაძე, ნანი ზრუვაძე,
მირან ზრუვაძე, მანუა ზრუვაძე, მარჯანა ზრუვაძე,
ნათელა ურუშაძე, თემურ ჩხეიძე, თამარ ჩხეიძე, ვაჟა ჩხეიძე.



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება





ჭართის
 არქონიშვილი

ხოცაფი მთვახის
 შუქვა

ხომანი*

/გაგრძელება/

„რა და, ხომ იცით, ჩემი გადანყვეტილები შესახებ... მინდა კეთილი სიტყვა შემანიოთ, თქვენს სიტყვას თიკოსთვის შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს...“ ამბობდა ოთარი და შალვას შეციცინებით შესცქეროდა, „დედაჩემია და, თქვენ ბედნიერებას ველირსო და, ცივ ნიავს არ მივაკარებ თიკოსო. რად მინდა ჯანი და ღონე, თქვენ თუ არ მოგახმარებთო, დამეშურეთ, სანამ შემიძლია, შვილები გაგიზარდოთო...“ „მერე, მერე, რა თქვა... ქალმა?!“ ხელი აღმარ-

თა და პათეტურად წარმოთქვა შალვამ, და მაშინვე გაიფიქრა „უჰ, რა მთვრალი ვარო.“

„არ იცით ქალების ამბავი?!“ და ოთარი სანამ სათქმელს გააგრძელებდა, შალვამ შეანყვეტინა: „არ ვიცი, ქალების ამბავი მე არ ვიცი!“

„კარგით რაა, ბატონო შალვა,“ უტეხად განაგრძო ოთარმა, „უარზე არიან, უარზე არიან, ინაზებიან და მერე შეხმატკბილებით ცხოვრობენ ერთად, რამდენსაც გინდათ დაგისახელებთ, ერთხელ უთქვამთ უარი, ორჯერ, სამჯერ და, მერე მშვენივრადაც დათანხმებულან.“

„მერე შენ... რამდენჯერ სცადე?“ კინალამ გაეცინა შალვას.

„მეო ჯერ გათხოვებას არ ვაპირებო, ასე მითხრა, სანამ აქ წამოვიდოდით, რატომ არ უნდა აპირებდეს, უწლოვანია თუ რაა, ოცდაექვსი წლის ქალი, არც შეგვფერის ეხლა ჩვენ გოგო-ბიჭობა და ხეების ქვეშ დგომა, ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს არაა?! თქვენ კი, ასე მგონია, შეგიძლიათ დაარწმუნოთ, რომ დრო არ იცდის!“ „გოგო-ბიჭობა... გოგო-ბიჭობა... ო, რა კარგია გოგო-ბიჭობა...“ წამლერებით თქვა შალვამ. „ოთარ, ჩემო ოთარ, რას გირჩევ, იცი? ნანს მანონი ექნება, გამოართვი და ცხვირზე დაიდე, ძალიან გაქვს დამწვარი.“ შებრუნდა და ქონში შევიდა, ლამის ბარბაცით. „უჰ, რა ტიპიაო,“ ბრაზიანად გაიფიქრა ოთარმა, „ვერაფერზე ვერ დაითანხმებო... თუმცა კი ძალიან იყო მთვრალი.“

ჩაძვრა თუ არა საძილეში, მაშინვე მკვდარივით დაეძინა შალვას. გათენებისას კი უცნაური სიზმარი ნახა, ვითომ ეკლესიაში შევიდა, მაგრამ არ იცოდა ეს მათი აქაური ძეგლი იყო, თუ თელავის ღვთაება, მაღლა აიხედა, ვითომ წარწერა უნდა წაეკითხა და ღვთისმშობელი კი დაინახა წარწერის მაგივრად, ზოლიან, ჭრელ მუთაქაზე იჯდა ფეხმორთხმული, ჯინსები ეცვა და კვასკვასა, წითელი მაისური. შალვა შეკრთა, ღმერთო ჩემო, ეს ხომ თიკოაო, ყრმას კიდევ ჩხრიალა ეჭირა ხელში და იმას აჩხრიალებდა. „რა მოხდა მერე, ჩემო შალვა,“ მოესმა შალვას ზურგს უკანიდან, მიიხედა და მეუფე დავითი, თეთრებით შემოსილი, სადღესასწაულოდ, სწორედ ისე, როგორიც კუბოში იწვა, ხელებგაშლილი შალვასკენ მოაბიჯებდა, „ძველებურად ჩაცმულ ღვთისმშობლებს ძველი მხატვრები ხატავდნენ, ჩვენი ღვთისმშობელი კი ბიჭიას დახატულია.“ „კი მაგრამ, მეუფე, თქვენ ხომ გარდაიცვალეთ?“ გაოცებით ამბობს შალვა. „მართალია, ჩე-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №4, 5, 6, 7, 8, 9, 10.

საქართველოს
 პარლამენტის
 მკვლევარი
 ბიბლიოთეკა

მო შალვა, გარდავიცვალე,“ ამბობს მეუფე და მქრქალი ღიმილით უღიმის შალვას, „გამახსენდა, რომ შენს უზიარებლად ნავედი და ამიტომ დავბრუნდი, აღსარებაც უნდა ჩამაბარო და გაზიარებ კიდევ“. და მეუფე მხარზე ადებს ხელს შალვას. „ვაიმე, ვაიმე, ვაიმე, ვაიმე,“ იტანჯება სიზმარში შალვა, „როგორ, როგორ ჩავაბარო აღსარება, როგორ ვუთხრა, რომ ღვთისმშობელი მიყვარს ყოველად მიწიერი სიყვარულით... ვერა, ვერა, ვერა, ვერა“ შეშინებულს ეღვიძება და უხარია რომ სიზმარი იყო.

ნიკოს მისვლისა და თავისი მტკიცე გადაწყვეტილების შემდეგ ყოველდღე თიკოს ხედავდა სიზმარში... სწორედ იმ დღეებში იყო ლელიკომ რომელიღაც ჟურნალში ამოიკითხა, რომ იუგოსლავიაში იყო კაცი, რომელსაც თურმე ოცი წელი არ სძინებოდა, ომიანობის დროს შიშზე მოსვლოდა ეს, თუ რაღაც დიდ ნერვიულ ტრამვაზე, ვეღარ და ვეღარ დაიძინა. ღმერთო, რა უბედურებააო, ნუთუ არავითარი საძილე არ შევლისო, თქვა შალვამ. „უბედურება კი არა, ჩემო შალვა“, უპასუხა ლელიკომ, „მე რომ მკითხო, ეს დიდი ბედნიერებააო, რა თქმა უნდა, უბედურება იქნებოდა, უძილობა რომ აწუხებდეს და ჯანმრთელობაზე მოქმედებდეს, მაგრამ როცა ეს სულ არ განუხებს და ლამის ნახევარი სიცოცხლე გემატება, აბა, დაფიქრდი, ეს რა ჯილდოა, რამდენი სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლება...“ „ოჰ,“ შეეწინაღმდეგა შალვა, „რა უთვისტომოდ და გარიყულად უნდა იგრძნოს თავი მაგ საცოდავმა კაცმა, რომ ბიოლოგიური ციკლი ძილისა და ღვიძილისა დარღვეული აქვს და ჭოტივით თვალები დაუჭყეტია. პირიქით, როგორ აიღონ და ამოგთიშონ არსებობიდან.“ „სწორედ რომ პირიქით,“ არ ცხრებოდა ლელიკო, „ამოგთიშონ კი არა, სულ ფხიზლად ხარ, არც ერთი წუთით არ ითიშები არსებობიდან, თან ჯანსაღი და საღსალამათი ხარ, წარმოგიდგენია, რამდენი წიგნი შეიძლება წაიკითხო, რამდენი დაუკრა, თუ გენდომება, ახალი ენაც შეიძლება ისწავლო.“ „ოჰ, ღმერთო ჩემო,“ ამოიხვრით თქვა შალვამ, „და სიზმრებს რომ ვეღარასოდეს ნახავ? ეს ხომ საშინელებაა...“ და ემანდ ლელიკო არ მიხვდეს ჩემს სიზმრებსო, მაშინვე დაუმატა: „ვერც დედას, ვერც მამას, ვერც რაღაც უცნაურ ჩვენებებს... ვერც ვერაფერს...“ და აქ კი ლელიკო დაეთანხმა, „სწორედ სიზმარში შავლეგო ვნახე, ახალი, ძალიან ლამაზი ტიბიტეიკა ეხურა და მეუბნებოდა, ეს ალჟირულიაო და თუ მოგწონს, შენც

ჩამოგიტანო.“ შალვამ გაიცინა, ხომ დაგარწმუნეო, გუნებაში კი მწუხარედ გაიფიქრა: ლელიკო რომ ხვდებოდეს, მე რა სიზმრებს ვნახულობო... ახლაც სიზმრისეული ღვთისმშობლის წითელი, უსახელებო მაისური და შიშველი მკლავები დაუდგა თვალწინ, ღრმად ამოიოხრა, მხარი იცვალა და როგორც იყო, ჩაეძინა.

ღილით, ნაბახუსევზე ჭამა არავის არ უნდოდა. თადარიგიან ოთარს სწორედ ასეთი შემთხვევებისათვის ჰქონდა თელავიდან წამოღებული რამდენიმე ბოთლი ბორჯომი, ის დალიეს და ძეგლისკენ გაუდგნენ გზას, ქალების გარეშე... ერთი რომ, ლიზიკო იყო იმ დღეს მორიგე, და მეორეც, თიკოსაც და ლიზიკოსაც, ყიპიტაურზე უჩვევებს, გუდასავით ეძინათ. შალვა ქოხიდან რომ გამოვიდა, ჰასი ცეცხლზე ხაჭო-ერბოს აშიშხინებდა და იქვე მწვანეზე ფეხმორთხმულ ბავშვებს თეფშებზე უნანილებდა, ერთი სიტყვით, აპურებდა. „ამათაც ხომ არ წაიყვანდით თან, ბატონო შალვა?“ იკითხა ჰასიმ. „რატომაც არა, მხოლოდ თუ ბოლომდე იქნებიან, მარტოებს იქიდან ვერ გამოვუშვებ.“ თქვა შალვამ. „ვიქნებით, ვიქნებით,“ შესძახეს ბავშვებმა და საუზმის შემდეგ ძეგლისკენ წელი ნაბიჯით წასულ კაცებს უკან გამოეკიდნენ. აიუფა კი განაპირას ბალახზე იჯდა, თავის კარაბინს სწმენდავდა ზუმბით და ჯერ კიდევ წუხელ დაიწყო იმაზე ფიქრი და ახლაც იმას ფიქრობდა, როგორ ესიამოვნებინა თიკო... მაყვალე უკვე კარგად იყო მოწეული, მაგრამ მარტო მაყვლის კრეფა აბა, რა იყო? თუნდაც სოკოც შეხვედროდათ... ეს გზადაგზა შეიძლება აიუფას დანით მოეჭრა და ნაკვერჩხალზე შეენვა... მთავარი იყო აქაური სანიმუშო სანახები ერვენებინა თიკოსთვის, აი, რა... პაჩო მოეყვანა საბალახოდან, შეეკაზმა, თიკო შეესვა, თვითონ აღვირი დაეჭირა და წასძლოდა... შეუძლებელია თიკო მშიშარა იყოს... არა, არა, არა, არ შეეშინდება გზანვრილზე, უფსკრულების პირას... ნამდვილად მამაცი იქნება, ეჭვი არ ეპარება აიუფას... თან რა ინტერესიანია?! განა შეიძლება ადამიანი ინტერესიანი იყოს და თან ქვეშაფსია? თუ ინტერესმა არ გადასძალა, რალა ინტერესი გამოდის?! ფიქრობდა აიუფა, თოფს სწმენდავდა და დროდადრო თიკოს კარვისკენ გაიხედავდა ხოლმე. უჰ, რამდენ რამეს აჩვენებს. სანამ ისინი ძეგლიდან მოვლენ, ესენიც დაბრუნდებიან, მთავარია თიკომ დროზე გაიღვიძოს... და როცა თიკომ გაიღვიძა და აიუფას შემოთავაზების შესახებ გაიგო, მის

აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, წარმოგედგინათ, ცხენზე არასოდეს მჯდარა, ახლა კი, უბრალოდ კი არ შეჯდება, არამედ მთის ბილიკებზე ივლის, მთების გულსა და წიაღს უფრო ძალუმად შეიგრძნობს, აიუფას გვერდით ჩაუღრმავდება ბოლო დღეების თავის აკვიატებულ სურვილს... რაც შეიძლება ჩქარა უნდა შეკაზმოს აიუფამ პაჩო და წავიდნენ... და როცა აიუფამ პაჩო შეკაზმა, თიკო შესვა, თვითონ წინ გაუძღვა და წავიდნენ, ძეგლის საწინააღმდეგო მხარეს, სადგომების მარჯვნივ, უთხოვრის ტყის თავზე, როცა ვინრო, საცალფეხო ბილიკი თანდათან ამალღდა, ამალღდა და ცხენზე შემომჯდარმა თიკომ ცაში გამოკიდებულად იგრძნო თავი, შიგნით ყველაფერი გაეთანგა, გული აუძგერდა, შიშმა შეიპყრო... ეჩვენებოდა, თითქოს აიუფა მაინცდამაინც ფრიალოებთან აჩერებდა ცხენს და იმ მიდამოებში მომხდარ ამბებზე იწყებდა მოყოლას, ვთქვათ სწორედ ამ ადგილას კაცს რომ ცხენი დაუგორდა და ბოლომდე გორიგორით წავიდა... მაყვალზე წამოსული თერთმეტი წლის გოგონა ტოლებს რომ ჩამორჩა და დაიკარგა, და თურმე დათვის დაეტორა, ეთრია, ეთრია... და მხოლოდ გაზაფხულზე, ზვავმა დნობა რომ დაიწყო, დაზეპილი თოვლიდან ამოყოფილი პატარა ხელი შენიშნეს, გაროკილი, მოკუმშული მტევნით... ზოგჯერ კი უბრალოდ შეაჩერებდა პაჩოს, ახედავდა თიკოს და ღიმილით შეეკითხებოდა „ხომ არ გეშინიაო.“ რომ მოვკვდე მაინც არ გამოვამჟღავნებ როგორ მიკანკალებს მუხლებიო და ომახიანად შესძახებდა: „ნეტავი რისა უნდა მესინოდესო! ჯერ ისედაც, და მით უმეტეს, შენს გვერდითო?!“

აიუფა გაკვირვებისა და მოწონების ნიშნად თავს გააქნევდა, გულში კი იტყოდა: „ჩვენებური ქალიც არ მინახავს ასეთი მამაციო.“ ერთ ადგილას კი, სადაც კლდოვანი იწყებოდა, აიუფამ უთხრა: „იცოდე, ესეღა მართლა საშიში გზა იწყება და ალბათ, სჯობს ცხენიდან ჩამოხვიდეო, მერე რომ მოინდომო კიდეც, ბილიკი ისეთი უფსკრულის პირს მისდევს, ველარც ჩამოხვალო.“ მაგრამ თიკო თავის თავის გამოცდისა და თავმოწონების ჟინმა აიტანა: „არავითარ შემთხვევაშიო, ვინმე გაივლიდაო? მაგალითად, შენ გაივლიდიო?“ „როგორ არ გავივლიდიო.“ „ჰოდა, მეც გავივლიო.“

ისეთი ღრმა იყო უფსკრული, წყლის ხმა არ ამოდებოდა, აქამდე არ აღწევდა. თიკოს მარცხენა მუხლი კი ლამის კლდეს ეხახუნებოდა. მხოლოდ ერთ ადგილას დახუჭა

თვალეები, სადაც ბილიკი წყდებოდა და მართალია ქვესკნელზე გადასახტომი მტკაველნახევარი თუ იქნებოდა, პაჩომ მსუბუქად რომ ისკუპა, აი, მაშინ აიტანა ძრწოლამ და თვალეები დახუჭა... მაგრამ ეს წუთიერად მოხდა და მყისვე მოეგო გონს, ისევ შეღერდა და აუფამ თავი რომ მოატრიალა და შემკრთალმა ახედა, თიკომ თვალი გაუუსწორა, მარჯვენა ხელი აღმართა და ცნობილი ფილმის კაპიტანივით აღმოხდა: „Мы победили океан!“

ოჰ, როგორ გაუხარდა აიუფას ამ სიტყვების გაგონება, სწორედ შარშან, ჯარში ყოფნის დროს ნახა ის ფილმი და გულში ჩაეჭრა მამაცი კაპიტანის ეს დაუვიწყარი ფრაზა, ამბოხებულ ხომალდთან და ოკეანის გავეშებულ ტალღებთან ნაბრძოლი, ნანვალები და ნატანჯი, ტანსაცმელშელახული და პირახავსებული, საბოლოოდ რომ ამბობს, უფრო კი ძლივს ამოთქვამს, ყოველგვარი შემართებისა და პათეტიკის გარეშე, რადგან ეს სიტყვები მისი ბუნების ღრმა წიაღიდან მოდიან, დიდი გზა აქვთ გამოვლილი და მათ მხოლოდ მირაჟივით სდევს გამარჯვების ანარეკლი, რადგან ვინც იმარჯვებს, მან იცის, თავისი სისხლით და კუნთებით, და ყოველი ნაკვთით, გამარჯვება რა ფერდების ჩანყვეტასა და რა მძიმე საფასურს მოითხოვს. ჰოდა, უხაროდა აიუფას, ასე ეგონა, ეს სიტყვები მით უფრო აახლოებდა, რადგან დარწმუნებული იყო, ორივე სიმამაცის დროშის ქვეშ იყო დარაზმული, მას კი არ მიაჩნდა, რომ სიმამაცე უპირველესი რამ იყო ამქვეყნად. უთხრა კიდეც თიკოს: „რომ იცოდე, მთელ კავკასიაში ყველაზე მამაცები ქისტები არიანო, ვაჟა და ყაზბეგიც ასე სთვლიდნენო, შემთხვევით კი არ არის ჯოყოლა ქისტო, და თუშს რაც უთქვამს, ეს ხომ მთაში ყველამ იცისო.“ „რა უთქვამსო?“ დაინტერესდა თიკო. „რაო და, თქვენ არ გინახავთ ტოლიკიანი ქისტი ქვიშას რომ გაეკვრებაო, თუ ბიჭი ხარ, მიდი და დაუდექი წინაო. საწყალ თუშებს ყოველი ჩირგვი ქისტი და ლეკი ეგონათო...“ „იცოდე მიფრთხილდი, აიუფ,“ გაიცინა თიკომ, „მეც რალაცა ვიცი, ქისტების ბელადი მურთაზი რო მოადგა ფარსმის ციხეს, თუშები ციხეში გამაგრდნენ, ფშავ-ხევსურების დახმარებით მურთაზს ზარბაზანი წაართვეს, რომელიც სახსოვრად ინახებოდა სოფელ ჭეჩოში, არაბული წარწერით: ქისტი აღდამიც კარგად უკუაქცია შეთე გულუხაიძემ, ხომ ასეა? ხომ ასე?!“

„ეგ არის და ეგა, დანარჩენი ბრძოლებისა რომ ვთქვათ, დანარჩენისა?!“ იცინო-

და აიუფა. „ქისტები თავდასხმასა და ყაჩაღობაში იყვნენ გამოჯეკილები, ამას არავინ უარყოფს...“ თიკოს ხმაში გამოწვევა გაისმა. აიუფა წამოენთო: „ყაჩაღობაში კი არა, ვაჟკაცობაში, თითქმის ოცდაათი წელი ებრძოდნენ შამილთან ერთად რუსებს, და ტოლს არ უდებდნენ, ესეც ხომ ყველამ იცის... დარღოს ალების დროს, რუსებმარო აიღეს, მთელ ტყეში მაგათი დაჭრილების კვნესა ისმოდა რამდენი ხანი და მშველელიც აღარავინ ჰყავდათო... ვორონცოვიც ხო ძლივს გადაურჩა ტყვეობას... მე მაინტერესებს ჩემი ხალხის ისტორია, მაინტერესებს...“ შეუპოვრად ამბობდა აიუფა. „მაინც რა სხვანაირი ხალხია ეს რუსები,“ დანანებით თქვა თიკომ, „არც თავისიანები ენანებოდათ და სხვები მით უმეტეს, მთელი კავკასიის ფერდობები მაგათი სისხლითაც არის მორწყული... ვორონცოვმა კი, იცი, ალბათ, სწორედ დარღოს ალებაში მიიღო „ბრწყინვალე თავადის“ წოდება. მაგრამ თიკოს აღარც უნდოდა ამ თემზე ლაპარაკი, აიუფას ისე ჰქონდა თავი აწვდილი და წარბებიც გოროზად შეყრილი, შეეშინდა, ნამდვილად გაგებული ექნება ქართველების ბრძოლის შესახებაც და ემანდ არ წამომადახოს გრიგოლ ორბელიანის საგმირო ამბებიო, მთიელებს მთის ჭიანჭველებს რომ ეძახდა, მთიელ ტყვეებს თავებს ჭრიდა და თან ამის შესახებ თავმომწონედაც სწერდაო... და ათას ხუთასი ცხვარიც უსირცხვილოდ გაირეკა პოეტმა კაცმაო... მერე მეც ვერ მოვიტმენ, იქნებ გავწინმატდე ლეკიანობის გამო და ამ რთულ თემებზე არ მსურს ახლა ამ ჩემ კარგ მასპინძელთან შებმაო... ისინი მაღალ ბექზე ისხდნენ. ისვენებდნენ, პაჩოც იქვე შორიახლოს ბალახობდა. თიკო სწრაფად წამოდგა, ცოტას გავივლიო. შეუჩვეველზე მართლა დაღალა ცხენზე ჯდომამ... განზე გადგა, გაივარჯიშა, ხელ-ფეხი გაიქნია, მერე იქვე მოირთხა ფეხი და მიდამოს გახედა, უნდოდა აღედგინა ის ნეტარი განწყობა ამ საუბრამდე რომ ჰქონდა, ხშირად ბუნების წიაღში ყოფნა რომ იწვევს, თანაც ასეთ მიუვალ და ხელთუქმნელ წიაღში. წელან კლდოვანიდან გამოვიდნენ თუ არა და ცოტა გამოიარეს, აიუფამ უცებ შესძახა: „მიყვარხართ ღვივლიანებო, ზამთარ და ზაფხულ მწვანეო!“ და თიკოს მოუწოდა, აიხედე ზევითო. წყალი მოდიდო ნაკადულის ოდენა, გამოდიოდა მთის წვერიდან, მოსჩქეფდა თხემზე, ხასხასა, მწვანედ აფეთქებულ ჩირგვნარს შორის, და თურმე ეს უბრალოდ წყალი კი არა, მდინარის სათავე იყო, ილტოს სათა-

ვე! და ღვივლიანები კი მარადმწვანე, ფაქიზი ჩირგვნარი... თიკო მონუსხულივით შესცქეროდა მდინარის დაბადებას... ჩემ სიცოცხლეში არ დამავინწყდება ეს ღვივლიანებიო, აიუფას უთხრა. და სულ მალე კიდევ ელოდა ახალი აღტაცება, აიუფას თქმით, „ხორხებით“ გამოწვეული, „ღმერთო ჩემო, ეს რა უღამაზესი ადგილიაო!“ შესძახა თიკომ თხელი, თხელი, უნახესი, სიფრიფანა ბალახით დაფარული თეთრქვიანი ადგილის დანახვაზე... ლეჩაქივით ბალახიდან თვალწარმტაცად გამოსჭვიოდა მომცრო, თეთრი ქვების ნაირნაირი მოხაზულობა. თურმე ეს იყო „ხორხები“.

„აიუფ, მართლა მიკვირს, რომ აქამდეც არ შეგეკითხე, როგორ არის ქისტურად „მადლობთ“ და ნანსაც და ჰასისაც სულ ქართულად ვეუბნები მადლობთ, მადლობთ - მეთქი.“

„ბარქალ.“ „ჰოდა, ბარქალ, აიუფ, გულით გეუბნები, ღვივლიანებისთვისაც, ხორხებისთვისაც, კლდოვანი ბილიკებისთვისაც, ილტოსთვისაც... ყველაფრისათვის ბარქალ!“

„ჯერ ადრეა, მგონი, ჯერ გზა არ დამთავრებულა...“ იცინოდა აიუფა, „ჯერ პირმზითები უნდა გაჩვენო, გუშინდელი ლექსისთვის...“ „ის ლექსი ნამდვილად არ ღირდა ასეთ მოგზაურობად და ამდენ სილამაზედ, რისთვისაც კიდევ ბარქალ!“

„ეხლა ცოტა შევისვენოთ, დაილღებოდი ცხენზე ჯდომით და ისე წავიდეთ პირმზითებისკენ, კარგი?!“ კარგიო, აიმ ბექზე შევისვენოთო...

ირგვლივ სიჩუმე იდგა, ნელანდელი ლაპარაკის შემდეგ ორივენი ჩუმად ისხდნენ და თავის ფიქრს მისცემოდნენ. აიუფა, ეტყობა, ისევ კავკასიის ომებს უტრიალებდა, მდუმარება დაარღვია მალევე: „იცი, თიკო, მე რომ წერა შემეძლოს შენსავით, სულ-სულ კავკასიის ომებზე დავწერდი.“ თიკომ უარის ნიშნად თავი გაიქნია: „არა, აიუფ, მე მართლა მწერალი კი არა ვარ, უბრალოდ ძალიან მინდა ღმერთმა გადმომხედოს და რაღაც ღირებული დავწერო...“ არა, არაფრით არ უნდოდა კავკასიის ომების შესახებ ლაპარაკი, რადგან, ლეკიანობის მიუხედავად, მყარი აზრი არ გააჩნდა, უნდა ებრძოლათ თუ არა ქართველებს რუსების მხარდამხარ და სამწუხაროდ ომი ომია, დაუჯერებელი სისასტიკე უნდა გამოეჩინათ თავისუფლებისმოყვარე მთიელების მიმართ?! თუმცა ამ მთიელებისაგან ათეული წლობით აკლებული და განყალბებული იყო კახეთიც და ქართლიც და შორს რომ არ წავიდეთ, იქნებ დავით გურამიშვილის ტანჯვის გზებზე

ძრწოლა იკმარებოდა აიუფას მიერ ჩამოსული ქალაქის გასაქრელად. და თიკომ აიუფას სულ სხვა რამ უთხრა: „აი, ეხლა მე რალაცას ვფიქრობდი და მინდა შენ რჩევა გკითხო, კარგი?“ თიკო კი გუშინდელს შემდეგ თავის აკვიატებულ სურვილზე ფიქრობდა, აქ დარჩენის და ქვევით სკოლაში მასწავლებლად მუშაობის სურვილზე. თანდათან აიტაცა ამ აზრმა, რა გადასარევი იქნებაო, რა კარგად ვასწავლი ქისტის ბავშვებს ქართულსაც, რუსულსაც, ისტორიასაც, ნამდვილად შემოძლია გეოგრაფია და გერმანულიც ვასწავლოვო, განა ამაზე კეთილშობილური საქმე კიდევ რაიმე შეიძლება იყოსო? თანაც, რაც მთავარია, დანერს, დაამთავრებს თავის თხზულებას, ისე უნდა მარტოობა, თავის სიცოცხლეში მარტო არ ყოფილა, კარგ ოთახს დაიქირავეს, ბუხრიანს, გააგუზგუზებს ზამთარში ბუხარს, ხშირად ვაჟას ხატი უდგას თვალწინ, როგორ იჯდა ბუხართან, მთელი დღის მაშვრალი და როგორ წერდა თავის გენიალურ თხზულებებს, ვაჟა არწივია და არწივივით ყეფს, მაგრამ იმ უსაყვარლესი ჩეხოვისა არ იყოს, მოლაღურსაც ხომ აქვს უფლება თავის „ბიჭო-გოგია! თქვას, ჰოდა თიკოც იტყვის, იმ გაგუზგუზებული ბუხრის პირას, ფრთას შეასხამს თავის ფიქრებს... არა, არა, არავითარი მოსკოვი არ უნდა, აბა, რა უნდა მოსკოვში, და მუზეუმშიც ცოცხალი თავით არ დაბრუნდება, რომ ისევ ისე იტანჯოს და ინვალოს ამ რალაც განუხორცილებელი სიყვარულით, არავითარ შემთხვევაში, ამას უნდა ჯვარი დაესვას, თუ მით უმეტეს მამა დაეჭვდა და თვალთვალი და რკვევა დაიწყო... მამას ის უნდა, წესიერი გზით, ანუ ქმრისაგან, თიკოს შვილები ჰყავდეს, გინდ ოთარი იყოს, გინდ პეტრე და პავლე, ამას მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თიკო კი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს ვინმესთან დანოლას სიყვარულის გარეშე, თუ მართლა არ გაღელვებს მისი სული, აი, სწორედ სული, სხეულიც ხომ სხვა არა არის რა თუ არ სადგომი ამ სულისა და ანარეკლი მისი მშვენიერებისა... რამეთუ ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან... თიკო მოხიბლული ადამიანია და ასე ფიქრობს, ასე სჯერა... ოთარმა კი ამ ბოლო დროს კაფეში რომ დაპატიჟა, გულისამრევი რამ უთხრა, თიკოსთვის ყოვლად მიუღებელი თავისი ვულგარული უგემოვნობით: „მე მინდა ჩემს ბალიშზე შენს ხუჭუჭა თავს ვხედავდე მთელი ჩემი სიცოცხლეო...“ არადა ისეთი მიდექა და ჯიდაოა, გულს გამოუჭამს აი, ასეთი ფრაზებით, რადგან ეჭვი არ ეპარე-

ბა დიალექტიკის კანონის შეუმცდარობაში, რომ რაოდენობა ხარისხში გადადის... ჰოდა, აქ უნდა დარჩეს, აქა, რა კარგი იქნება მარტოდმარტო ამ მთებში, მხოლოდ ბავშვების გარემოცვაში, როგორ ეცდება კარგად ამეცადინოს, დააინტერესოს, ნიჭიერ ბავშვებს ხელი შეუწყოს... თავის ისტორიის წრესაც არ უღალატებს, რაა, ვერ ჩავა ორ კვირაში ერთხელ თელავში? დედაც ამოვა, უჰ, როგორ მოენატრა ეხლა დედა, სადა აღარ ყოფილა და ვაი, სირცხვილო, კახეთის მთებში კი არ ყოფილა, ჰოდა, ერთად ივლიან... რა უღამაზესი იქნება ველობთან ტყე შემოდგომაზე, ქისტებთან ერთად, ჯეინაისთან ერთად წავა ხოლმე ნაბლზე, წინიბოზე, ზღმარტლზე... რაც მთავარია... კინალამ დაავიწყდა, ქისტურს ისწავლის ყოველ მიზეზ გარეშე, აუცილებლად... და ზამთრის ტყე? დათოვლილი... თვალისთვის წარმტაცი და ცხოველ-ფრინველისთვის კი ძნელი, იმათთვის, ვინც ზამთრის ძილს არ ეძლევა და თბილ ქვეყნებში არ მიფრინავს... ჰოდა, გაჰყვება ხანდახან აიუფას ზამთრის ტყეში, საკვები მიაწოდონ იმ საწყლებს, მშვირები და სიცვიისაგან დაბუხულები, ალბათ, ხეებიდან რომ ცვივიან... ფიჩხსაც მოაგროვებენ ბუხრისთვის, ნაყარ-ნუყარ ხმელ ტოტებს... კუნძებს კი სახლის პატრონს გამოართმევს, და ცხელ კერძსაც ისინი მიანვდიან, ბევრი ჭირდება თუ რაა, ვერ იტანს მუცელმერთობას, ახალი შედღვებილი კარაქი, ხაჭო და ყველი, სასიამოვნო ცივი დო, მეტი რა უნდა?! რაც მთავარია, სანეტარო მარტოობა ქალაქთანა და ფანქართან, და სჯერა, სჯერა, რომ გადმოხედავს ღმერთი და მოუვლენს წყურვილს წერისას... და ამასობაში სიყვარულსაც მოიშუშებს, ამ თავის დაუშვებელ სიყვარულს... ახლა ჯერ ისევ გაბმულია ძაფები და ჩართულია დენი, კიდევ კარგი, სხვებისთვის შეუმჩნეველი, და სიტყვა იქნება, გამოხედვა, თუ შემთხვევით უნებლიე შეხება, ყველაფერი ფარული სიყვარულით ფეთქავს...

აიუფას კი თვალი გაუშტერდა... თმებზე უყურებდა თავდახრილ თიკოს... მზეზე უბრწყინავდა ხუჭუჭა თმები... ნაბლისფერი... ოქროსფერი რომ გადაჰკრავდა... ო, როგორ უნდოდა ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ხელი გადესვა ამ თმებისთვის... რა კარგი ქალიაო, ეს თიკოვო, ფიქრობდა, სადა მე და სადა ეს და, რა თანატოლივით მელაპარაკება და მექცევაო... რჩევა მინდა გკითხოვო, რჩევა? „რა რჩევა გინდა მკითხო, თიკო? მე არაფერზე დაგზარდები, თუკი რამ შემოძლია...“ „ვერაფრით ვერ იფიქრებ, აიუფ, და

ვერც წარმოიდგენ, რა მინდა გითხრა...”

„მაინც, მაინც, რა არის ასეთი?“

„მე მინდა აქ დავრჩე.“ თქვა თიკომ და აიუფას შეხედა, აბა, რა შთაბეჭდილებას დატოვებს ჩემი სიტყვებიო. მაგრამ აიუფამ მხოლოდ გაკვირვების ნიშნად ოდნავ ასწია წარბები. სხვა გრძნობა კი არ გამოუმჟღავნებია, თუმცა ძალიან გაუხარდა... და გაახარა თიკოს სურვილმა, თორემ არც ერთი წუთით არ დაუჯერებია, რომ თიკოს აქ ვინმე დატოვებდა. „და აქ გინდა დარჩე, აქაა?“ გაუმეორა კითხვა. თიკომ კი ცოტა არ იყოს, განბილებულად იგრძნო თავი: „აი, სწორედ აქა, ესე იგი, ქვევით სოფელში... და სკოლაში ვასწავლო, ისე მიტაცებს ამაზე ფიქრი და შენ კიდევ ცივი წყალი გადამასხი...“ „არა, არა,“ აღელდა აიუფა, „მე არ მჯერა, რომ შენები გაგიშვებენ... ახალგაზრდა ქალს... რო სახლში არ იყო, მამაშენი მთელ რაიონში ცნობილი კაცია და იმას იზამს, სოფელში დარჩე და ქისტებს ასწავლო, არც როდის არ დავიჯერებ...“ „რას ქვია, არ დაუშვებს და არ დაიჯერებ. მე იცი, რა თავისნათქვამა ვარ, რატომ არ უნდა დამთანხმდეს რომ, ვთქვათ, ერთი ორი წლით დავრჩე და ბავშვებს ვასწავლო. ეს ხომ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დისერტაციის დაცვა, რას შევმატებ მე ისეთს მეცნიერებას, როგორც ისრაფილისთან ბავშვებს და მაგალითად შენც, უმაღლესი სათვის ხელი რომ შეგაშველო და გეტყობა ინტერესიანი ხარ, მართლა გზაზე დადგომასი მოგეხმარო... მე ახლა ისე მახალისებს ამაზე ფიქრი, ვერ წარმოიდგენ.“

„ახლა ასე გგონია და ზამთარი რო ჩამოწვება, ვერ გასძლებ, ვერა, მოგწყინდება, შემსვი პაჩოზეო, მეტყვი და საიდანაც მოვსულვარ, იქით წამიყვანეო,“ გაიცინა აიუფამ. „ჰოდა, ძალიან სცდები, მე მოწყენა საერთოდ არ ვიცი, მე არასოდეს არ მწყინდება, შეიძლება ვიყო ცუდად, შეიძლება ვწუხდე, ვიტანჯებოდე, მაგრამ მოწყენა? ბავშვობაში სახადებით ვიყავი ხოლმე ავად, ყველაფერი მოხდელი მაქვს, ნითელაც და ჩუტყვავილაც და, ქუნთრუშაც და, ყივანახველაც და, ყბაყურაც და კიდევ რა ვიცი, რა აღარ, როგორია ბავშვისთვის ლოგინში ნოლა?! და დამიჯერე, არასოდეს არ მომწყენია, მე ათასი რამ შემიძლია გამოვიგონო...“

„მჯერა, მჯერა, როგორც გუშინ საწყალი საბა გამოიგონე?“

„საბა ნამდვილად იყო და მე მიყვარს საბა.“

„მაგრამ მინც ხომ გამოიგონე... ვინ იცის ერთხელ მეც გამომიგონო, ჯეინაიც გამო-

იგონო, ძალიან-ძალიან დამაინტერესებს, ვიცნობ თუ ვერა...“

„ნანილობრივ მაინც იცნობ, ბოლოს-ბოლოს ჩვენ ნანილობრივ ვიცნობთ ადამიანებსაც და საკუთარ თავსაც... და საერთოდ ბოლომდე არავის და არაფრის შეცნობა არც შეიძლება და არც საჭიროა, მთავარია ძლიერი შთაბეჭდილება და ძლიერი განცდა, რაც არ ექვემდებარება ჩვეულებრივი დროის საზომს და არის მარადისობის ხატი ჩვენში...“

„მე ეხლა ისე მინდა, ისე, ისე, რაც მე კარგად ვიცი, ის შენც გასწავლო, სხვანაირი ხარ და რა იცი, იქნებ გამოგადგეს წერაში.“ და აიუფამ ჯიბიდან ნაგანი ამოიღო. „სიამოვნებითაც ვისწავლი, თუ ცოცხალს არაფერს მოვკლავ, აი, თოფიც ხო აქვე გაქვს.“ „თოფი მძიმეა, არ გინდა, ნაგანით დავიწყოთ, შეხედე, რა ლამაზი იარაღია, ხო გითხარი კიდევ, უმტყუნოა.“ ტყავის ბუდე შემოაცალა და თიკოს გადასცა. თიკომ ნაგანიანი ხელი გაიშვირა, ვითომ რალაცას უმიზნებდა.

„არა, არა, მასე არაფერი გამოგივა, დამიზნების დროს ხელი არ უნდა იყოს მთლიანად გაშლილი და დაჭიმული, აბა, წამოედგეთ და უფრო კარგად გასწავლი...“

„აი, ასე?“ „ოდნავ შემოტრიალდი მარცხნივ, მარცხენა ფეხიც წინ წამოიღე, მარჯვენა უკან, თუ გინდა უკეთ დაუმიზნო, მკერდთან მარცხენა ხელი მოხარე და მარჯვენა, იარაღიანი დააბჯინე, ეხლა აის ბუჩქის წვერი იყოს ობიექტი, დასვი მუშკაზე, დამავიწყდა, მარცხენა თვალი მოხუჭე, ბუჩქის წვერმა უნდა ჭრილი ამოავსოს...“

აი, ეხლა სასხლეტს ნელ-ნელა გამოუშალე ფეხი... ყოჩაღ, ყოჩაღ, პირველივე დამიზნებით ზუსტად მოარტყი.“ თიკო იცინოდა გახარებული, აბა, ერთსაც ვისვრიო...

მერე კიდევ ისროდა... და იარაღი აიუფას გადასცა: „იცი, ვგრძნობ, შეიძლება სროლამ გაიტაცოს ადამიანი...“ და სანამ დაამთავრებდა სათქმელს, აიუფას ისეთი სიცილი აუტყდა, ვეღარ ჩერდებოდა... „რა იყო აიუფ, რა ვთქვი სასაცილო?“

„მთელი მსოფლიოა... მთელი... მთელი... გატაცებული სროლით...“

„ჰოდა, მე ის მინდოდა მეთქვა, საშიშ გატაცებებზე პირადად მე პრინციპულად ვამბობ უარს, ბუჩქსაც აღარ ვესვრი, ბუჩქიც ცოცხალია, და თუ ძალიან მომინდება სროლა, წავალ ნადიკვარზე და ტირში ვისვრი ნიშანში... ალბათ, მსოფლიო სულ სხვანაირი იქნებოდა, ადამიანს ასე გააჩყებთ რომ არ შეჰყვარებოდა სროლა და კვლა...“

„სულ-სულ დაკარგავდა სიცოცხლე ინტერესსა და აზრს.“ აიუფამ ნაგანი ჯიბეში ჩაიდო, თოფი გადაიკიდა და წავიდეთო, თქვა, მერე დაამატა: „აქ რომ მქონდეს, გაჩვენებდი ქისტურ ხანჯალს, მე ცალღარინი მაქვს, ისეთია, თვალს ვერ მოაშორებ, კავკასიაში ყველაზე კარგი იარაღი ხანჯალი იყო, შავხალი.“

„ოჰ, შე მეომარო, შენა...“ თვინიერი, თითქოს აღერსიანი კილოთიც კი თქვა თიკომ.

„თუ მართლა დარჩები, აბა, სანადიროდ არ გამომყვები? ხომ დაგპირდი, დათვი უნდა მოგიკლა.“ თიკომ გაიცინა, აღარაფერი უპასუხა, ხელზე დაეყრდნო, პაჩოს ყოჩაღად გადაეწყო და გასწიეს, როგორც აიუფამ ადრევე უთხრა „პირმზითებისკენ“. ბილიკი ქვევით ეშვებოდა, მერე კი მარცხნივ უხვევდა, სწორდებოდა და პირდაპირ მიდიოდა...

„მომეცი ეხლა აღვირი, აიუფ, მე მგონი დროა ვცადო დამოუკიდებლად წასვლა...“

აიუფამ აღვირი მიაწოდა, „აბა, შენ იცი, პაჩო,“ ჩაულაპარაკა ცხენს და გავაზე ხელი დაჰკრა, პაჩომ ნაბიჯი ააჩქარა, მერე ჩორთზეც გადავიდა, აიუფაც მათ ძუნძულით გამოეკიდა... ბევრი კი არ ურბენიათ, რადგან სულ მალე მზით გაჩახჩახებულო, ყვავილებით ატეხილი ზეგანი გამოჩნდა... ცოტაც და ყვავილებს შეერივნენ, რადგან ბილიკი ყვავილებს შორის იყო ჩამალული... თიკომ ცხენი გააჩერა, ყვავილები ლამის უნაგირამდე უწევდა, თიკო მოჯადოებულისვით ავლებდა თვალს ნაირფრად აზიმზიმებულ „პირიმზითებს...“ მერე, როცა განაპირას ჩაიმუხლეს, აიუფას ეუბნებოდა: „ასეთი ნეტარება არასოდეს, არასოდეს არ განმიცდიაო“, და ახლა ასე ეგონა, რომ მობეზრდებოდა არც ამ ყვავილების ჭვრეტა და არც ცხენით ნავარდი...

„იცი, ასე რომ ვიაროთ, ვიაროთ, ვიაროთ... მზის ჩასვლისას საყვავის გორზე მივიდოდით.“ თქვა აიუფამ, „იქ დიდი სადგომია, თუშებიც არიან, ქისტებიც, და ერთი მოხუცი კაცია, ძალიან კარგი მთქმელი, სულ-სულ იცის ამ მთა-ბარის ამბები... შენ, დაგაინტერესდა...“ „მე ისედაც არაჩვეულებრივად მინდა აქეთ კიდეც წამოვსულიყავით!“ „იქ თუ წავალთ, ორი დღე დაგვჭირდება, ღამე დგომით მოგვიხდება წასვლა, საშიში არაფერია, სტუმარი ხარ, უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს ცივ ნიავს არ მოგაკარებთ, სულ ჩვენები არიან...“

თიკო ლამის აღაგზნო ასეთი მოგზაურობის შესაძლებლობამ, თან მოხუცი მთქმელი, რომელიც დღეს არის და ხვალ შეიძლება აღარც იყოს... „მოდით, ნუ გადავდებთ,

კარგი? დღეს რომ მხარი მოვტეხე ლიზიკოს, ხვალ თავს მოვიქაჩლებ, მე ვიქნები მორიგე, ყველაფერს კარგად მივხედავ და ხვალზევით წავიდეთ, კარგი?“ თიკომ აიუფას გადახედა, მანაც მაშინვე შემოაგება მოცინარი მზერა და თავი დაუქნია: „შენ როგორც იტყვი... საყვავის გორიდან დილის შვიდ საათზე რომ გახვიდე, თორმეტზე უკვე გროზნოში იქნები...“ „სიმართლე გითხრა, არ მეგონა თუ ასე ახლოა, როდისმე ჰასისთანაც შეიძლება წასვლა, არა? უჰ, რა გადასარევი იქნება?! დედაჩემია, იცი, წელიწადს არ გააცდენს, სადმე არ წავიდეს, ახლაც ბაიკალზეა წასული... მეც ვგიჟდები მოგზაურობისთვის, დედასთან ერთად ვოლგაზეც ვყოფილვარ, ბალტიისპირეთშიც, მაგრამ ცხენით და მთებში, არასოდეს, არასოდეს! და თურმე ეს ყოფილა, რაც ყოფილა...“ „მეც ამიტომ მინდოდა წამომეყვანე... ვიცოდი ძალიან მოგეწონებოდა ეს ტაფიანი... ცოტა დაბლა როა და სწორია ტაფიანიც ჰქვია ამ წალკოტს და გინდა გითხრა რომელი რა ყვავილია? აგეერ ნაღველა, უღერი ნაღველა, მეღნისფერი... აგეერ ქედუნა, შენს ხელთან, რა სიდიდეა, აგეერ მის გვერდით ქარცხვი, ლურჯი, ლურჯი... აგეერ კაკბის ბალახი... აი, ეს კიდეც წითელი გვირილა, აგეერ ოქროცოცხა...“ აიუფა უცებ გაჩუმდა. თიკოს წამიერად გაჰკრა მზერა და პირზე ხელი მიიღო. ჩაჩუმებულები ისხდნენ, აიუფა ხელით ანიშნებდა თიკოს ხმა არ ამოიღოვო... და უცებ თიკომ თვალი შეასწრო აიუფას უსწრაფეს ნახტომს, კამარასავით ვიწრო, ჩასხეპილ წელსა და მოკლესახელოებიანი მაისურიდან წინ განვდილ, თითქოს გატყორცნილ ხელებს და მოესმა კიდეც ჭყივილი... ხელში კურდღელი ეჭირა, რომელიც სხმარტალებდა და მთელი ხმით ჭყიოდა... ბიჭოს ეს რა ჭყივილი სცოდნია კურდღელსო და მაშინვე დაუძახა აიუფას: გაუშვი ეხლავე, გაუშვიო... იცოდე, ნუ ჩამამხამებ ამ მშვენიერ დღესო, გაუშვი ჩქარაო... აიუფამ კურდღელი მოისრიალა, სინანულით კი აქნევდა თავს, კაცი რომ ხელით კურდღელს დაიჭერს მერე იმისი გაშვება როგორ იქნებაო... თიკო კი გაოცებული შეჰყურებდა აიუფას... „აბა, აიხედე ზევით, ხედავ, რა დიდი ძერაა, ეგ უთვალთვალებდა ზევიდან კურდღელს, ის კიდეც ტაფიანს შემოეყარა... რა გინდოდა, შამფურს გამოვთლიდი, გავატყავებდი, ავაგებდი შამფურზე და შეეწვავდი, იყავი ეხლა მშვიერი...“ მოიღუმა აიუფა.

„სულაც არა ვარ მშვიერი, და რომ ვიყო კიდეც, რაა მერე... მე სულ სხვა რამეს

ვფიქრობ, აიუფ, იცი? ეს არაჩვეულებრივი რამ იყო, შენი ნახტომი და კურდღლის დაჭერა ხელით...“ „რით იყო მაინც არაჩვეულებრივი, მე სულ-სულ არ მგონია ასე...“ თიკომ დაფიქრებით შეხედა: „ნუ მიბრაზდები, იცოდე, გიხაროდეს, რომ ერთ ცოცხალ არსებას სიცოცხლე აჩუქე, რით იყო და გეტყვი რითაც... უდიდესი ფრანგი მწერალი მარსელ პრუსტი, ამ ორმოცდასამი წლის წინ გარდაიცვალა, მე რომ მკითხონ, როდის ყოფილხარ ბედნიერიო, ერთ-ერთ ბედნიერებად პრუსტის კითხვას დავასახელებდი, ის არის ნამდვილი დიდოსტატი შთაბეჭდილებების გაჩითვის და გახსნის, და ამ შენი ნახტომისა და კურდღლის დაჭერის შთაბეჭდილებით ის მთელ ამბავს ააგებდა, როგორ არის შენი სხეული, ნეკნები, კუნთები, ხერხემალი საუკუნეების განმავლობაში ნაწრთობი მთის ბილიკებზე შურდულივით სირბილით, კლდე-ღრეებში გლიჯინით, უფსკრულებზე გადაფრენ-გადმოფრენით, მუდმივი თავდასხმებით, ცხვარ-ძროხის დატაცებით, და ხანჯლების ტრიალით, ჩასაფრებითა და თვალთვალთ და ბოლოს ამ თვალისმომჭრელი დაუვიწყარი ნახტომითა და კურდღლის დაჭერით... ერთი სიტყვით, მთელი შენი მოდგმის ისტორიას წარმოგვიდგენდა... ახლა კი მითხარი, ძერას ქისტურად რა ჰქვია?“

„ქაურ... ისე მინდა ხოლმე სულ-სულ გისმინო, მართლა რო რჩებოდე აქა... რამდენ რამეს გავიგებდი შენგან...“ როგორღაც გულდანყვევით ამბობდა აიუფა.

„რომ იცოდე, მე სულ ამაზე ვფიქრობ!“ თქვა თიკომ და ჯიუტად გაიქნია თავი.

გზად ტყეში გამოიარეს, მაცვალის მოკრიფეს, სურნელოვანი, მსხვილი, ძუძუ-მაცვალის, აიუფამ სოკოც ნახა, ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ და ფეხად მიუსწრეს შალვასა და ბიჭებს... თიკოს გულიც დაწყდა, ერთი დავენახე შალვას ცხენზე როგორ ვიჯექიო... ძალიან კი იყო დაღლილი, ადრევე წავიდა თავის კარავში, და სანამ დაეძინებოდა, — დაღლილზე დიდხანს ვერ დაიძინა, — როგორც ეუბნებოდა აიუფას, აქ დარჩენაზე ფიქრსა და ოცნებას მისცა თავი, და როცა ჩაეძინა, სიზმარშიც დიდფანჯრებიანი ოთახი ნახა, ნაირნაირი ყვავილებით მორთულ-მოკაზმული. მაგრამ ამბობენ, მთა მოულოდნელი ხიფათებით არის სავსეო, როგორც საერთოდ ჩვენი ცხოვრებაც, და მეორე დღესვე ამბავი სულ სხვანაირად დატრიალდა... და მეტად სამწუხაროდაც. დილა კი კარგი გათენდა, მოკრიალებული იყო ცა და მზე ჩახჩახებდა...

თიკომაც მშვენიერი გუნებით გაიღვიძა,

დასვენებული, გამოძინებული, გუშინდელი მძაფრი და მრავალფეროვანი შთაბეჭდილებებით მოცული, ხვალისდელი, ორდღიანი მოგზაურობის მომლოდინე და რაც მთავარია, ახალი ცხოვრების წყურვილით სავსე. ჩემს გადაწყვეტილებას მამაზეციერიც ვერ შემაცვლევინებსო, ფიქრობდა, და უკვე ეს ფიქრი ისეთ თავისუფლებას აგრძნობინებდა, ისეთ სილაღესა და სიხალვათეს, ასე ეგონა, სულ, სულ, სულ განთავისუფლდა მტანჯველი სიყვარულის კირთებისაგანო... არ უნდა, არა, ლაჩრების სიყვარული, ზნეობის მომიზეზებით, ვნების მორევი რომ აკრთობთ და აშინებთ... არც ეს წყვილ-წყვილად მოჩერებული თვალი უნდა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მამის, დედის, დეიდის, ბებიების გარშემო მყოფების თანამგრძნობი, დაინტერესებული, შემფოთებული, გახარებული, შეწუხებული, ცნობისმოყვარე და კიდევ ვინ იცის, როგორი ზრუნვითა და ურვით სავსე მსხვერპლი, ჰოდა, ისეთი სიხარულით არის სავსე, ისეთ ატივეტივეტულ განწყობაზეა, დედამინას ფეხს არ აკარებს... სულ ჩხარაჩხურით ჩაიტანა დილანდელი ჭურჭელი ხევი გასარეცხად. „კუპალნიკიც“ გაიყოლა და მერე ცივ წყალში იბანავა და ილივილია, მერე კი ლოდზე შემოჯდა და მზეს მიეფიცხა. არც ბავშვები იყვნენ, ადრიანადვე ლიზიკოს გაჰყოლოდნენ ძეგლზე, და არც აიუფა, ჰასიმ უთხრა ლამიანადვე სოფელში წავიდა საქმეზე და შუადღისას ამოვაო; ამოვიდა ხევიდან და სადილის გაკეთებას შეუდგა, გუშინდელი დაკრეფილი სოკო უნდა მოეხრაკა და „ტუშონკის“ კონსერვებით რაგუ გაეკეთებინა. ჯერ კი ჰასის უყურებდა, სიამოვნებით და შეფრფინვით, როგორ აკეთებდა ის ხაჭოერბოს, ქობის განაპირას, ცეცხლზე შემოდგმულ სპილენძის ღრმა ტაფაში... როგორ გამოიტანა თიხის ქოთნით ერბო, ხის კოვზი ამოურია, ქარვასავით ერბო კოვზიანად ტაფაზე დადო, მერე როგორ ჩაზილა ხაჭო, ცოტაოდენი ყველიც ჩაფხვნა, მერე როგორ დაამტვრია კვერცხები... და ისე შეჰყურებდა, თითქოს ამაზე საინტერესო და წარმტაცი არაფერი ყოფილიყოს ქვეყანაზე...

აიუფა რომ დაბრუნდა, მაშინვე ის ჰკითხა, ხვალ ხომ აუცილებლად წავალთო, შენ როგორც იტყვიო, შალვასაც უთხარი თუ არაო, ჩვენი გადაწყვეტილების შესახებო, დაინტერესდა აიუფა, საღამოს ვეტყვიო, დაუდევრად უპასუხა, გუნებაში კი გაიფიქრა: დაე იცოდესო, მე დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და სადაც მინდა, წავალ და რასაც მინდა, იმას გავაკეთებო, და მის გუნებასა და განწყობილებას ჩემთვის აღარა-

ვითარი, აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვსო. ოჰ, როგორ შეჭარბოდა თავის ამ რიხსა და შემართებას. ამ გაჩახჩახებული დღესავით უღრუბლო და უხინჯო განწყობილებას... ოთარი რომ ოთარია, იმაზედაც კი არც ერთხელ არ გაღიზიანებულა, და ბიჭია ხომ უყვარდა და უყვარდა, ისე მოენონა ბიჭიას ჩანახატები, ძეგლიდან დაბრუნებულმა ქოხის წინ რომ გამოფინა, თუ ეკლესიის სხვადასხვა რაკურსით, თუ შალვასი, ოთარისა და ლიბიკოს პორტრეტული მონახაზები, შემდგომი დამუშავებისათვის გამიზნული... რა სამნუხაროა, ამბობდა ბიჭია, რომ ფოტოებსაც ვერ გამოფინო, აი, ძია შალვა, თუ გამიშვებთ ერთი დღით თელავში, გავამუღავნებინებდი და დავაბეჭდინებდი კიდევ ბაკაკას ფირს და ვგიჟდები, ისე მინდა ნენემაც ნახოს აქაურობა და ნენესაც წამოვიყვანდიო.

თიკომ წიფლებთან დაახვედრათ სუფრა და სადილმა დიდ მხიარულებაში ჩაიარა. ქისტებს ადრევე ესადილათ, მათ აიუფაც არ შემოერთებია, ჰასის ბიჭი კი ლიბიკოს ბიჭებთან ერთად დასვეს სადილად და თიკო ყველას მიმართ და განსაკუთრებით ბავშვებისა, ყურადღებად იყო ქცეული... ოთარმა მყისვე იგრძნო თიკოს კეთილგანწყობა და ფრთები გაშლა: „ბტონო შალვა, თქვენ, როგორც ყიურის თავმჯდომარე, ჩვენ კი როგორც ყიურის წევრები, ხომ ვხედავთ, რომ ჩვენმა თიკომ უმაღლეს დონეზე ჩაატარა სამთო კონკურსი, როგორც მზარეულმა, როგორც წარწერის წამკითხველმა და მელექსემ, და ნუთუ მას ჩვენგან ჯილო არ ეკუთვნისო?“ „ეკუთვნის, ეკუთვნისო!“ ყველამ ერთხმად შესძახა, „მაგრამ რით დავაჯილდოვოთო?“ „ნება მომეცით, ეგეც მე მოგახსენოთ,“ ოთარმა ღიმილით გადახედა სუფრის წევრებს, „ამასწინათ ბეზიარემისა და პაპაჩემის ახალგაზრდობის დროინდელ სურათებს ვუყურებდიო, და სიხარულით აღმოვაჩინე, რომ თიკო სულ ბეზიარემს ჰგავსო, რომ იცოდეთ, ისეთი მწყაზარი ყოფილა ბეზიარემი, მეტი რომ არ შეიძლებაო, ჩიხტიკოპი რომ დაიდგას თიკომ, სულ მთლად ბეზიარემი იქნებაო... მე კიდევ ბავშვობიდან პაპაჩემს მამსგავსებდნენო, ჰოდა, თუ ბატონი შალვა მღვდლობას გასწევს და ლიბიკო კი დიაკვნობას, ბიჭია მეჯვარე იქნება და სანყალი საბას ეკლესიაში ჯვარს დაგვწერენ, ბორბალი გადაბრუნდება, ცხოვრება განახლდება და ჩვენი ჯილდოც ეს იქნებაო...“ თიკო არათუ გააღიზიანა ოთარის ხუმრობამ, სიცილით კვდებოდა, მზად ვარ ისიც კი გაპატიო, ექიმი ბიანშონი რომ არ იცოდი ვინ იყო-

ვო, ამბობდა, ლიბიკოც გულიანად იცინოდა, მეც მზად ვარ ვიყო დიაკვანიო... და სწორედ ამ დროს ვერტმფრენის შორეული გუგუნე მოისმა, რომელიც ნუთი-ნუთზე ახლოვდებოდა... ჯერ ეგონათ ბორბალოსკენ ხომ არ მიდისო, მაგრამ აქეთ წამოვიდა, მოახლოვდა, სვლა დაადაბლა, ტყეს გადმოუარა, ლამის წიფლის წვეროებს შეეხო, გამაყრუებელმა გუგუნმა გაავსო აქაურობა, ვერტმფრენის პატარა სარმკმლებში კაცების სახეები გამოჩნდა: „ძია კოტე, ძია კოტე!“ დაიძახეს ლიბიკოს ბიჭებმა და ხელების ქნევას მოჰყვნენ. ვერტმფრენი მათი ძეგლის ქვევით მოსწორებულ ადგილას დაეშვა... ბავშვები გაცვივდნენ შესახვედრად და სულ რაღაც თხუთმეტიოდე ნუთში ორ კაცთან ერთად სადგომისკენ მოდიოდნენ... „დედაა, დედაა!“ ყვიროდნენ შორიდანვე ბიჭები, და მოზრდილ პარკებს მოიქნევდნენ, „მამა ჩამოსულა... მამა ჩამოსულააა!!!“

ლიბიკომ გულხელი დაიკრიფა, ჭკაკტი გამოიკრა, კუმტად გამოჰყურებდა თავის შვილებს, სახეზე ნაკვთი არ ასტოკებია.

მოსულები კი მათთვის ყველასთვის კარგად ნაცნობი თელაველი კაცები იყვნენ, აქეთკენ როგორც გამოირკვა, სულ სხვა რამისთვის მოდიოდნენ და ლექსოს ჩამოსვლა, რომელიც თურმე ამ სამი-ოთხი დღის წინ დაბრუნდა კემეროვოდან, უბრალოდ დაემთხვა მათ ამბავს და მათ მთაში წამოსვლას. პარკები კი ნაირ-ნაირი კანფეტებით იყო სავსე და გარდა ამისა ამ „ძია კოტემ“ შალვას კონვერტით ლექსოს წერილიც გადასცა.

მოსულები კოლმეურნეობის თავმჯდომარეები იყვნენ, აწყურისა და ხოდაშნისა, გვერდიგვერდ სოფლებისა, ამ რამდენიმე წლის წინ ხრუშჩოვმა რომ გადაწყვიტა სოფლის მეურნეობს წამონევისა და ნაყოფიერების გაზრდის მიზნით თავმჯდომარეებად კარგი სპეციალისტები გაეგზავნათ, იმათაგანნი იყვნენ... ეს კოტე, გვირაბისუბნელი და ლიბიკოს კარის მეზობელი, საშუალო ტანის ჩასხმული კაცი, თავმჯდომარეობამდე თელავის რაიონის ენტიმოლოგი იყო, მეორე კი, მაღალი, ლაზათიანად მოყვანილი, რასაც კიდევ უფრო წარმოაჩენდა ჩექმებში ჩატანებული ვინრო შარვალი და მხრებზე კარგად მომდგარი ყავისფერი ვილვეტის ხალათი, ხრუშჩოვის გადაწყვეტილებამდე მევენახეობის დიდ მეურნეობებში მთავარ სპეციალისტად მუშაობდა და შრომის გმირიც იყო, თან ამავე დროს შალვას კარგი ნაცნობი და მახლობელი, ერთსკოლელი.

შალვამ წერილი ჯიბეში ჩაიღო და მაღალ კაცს, რომელიც კოტეს კვალში მოს-

დედა, ხელი გაუნოდა: „საიდან, როგორ, რა მოხდა, როსტომ?!“

„რაა, შალვა, და ცხვარი მოგვპარეს და კვალი აქეთ მოდის, გვითხრეს კიდეც, ადით ზევით, იქ ეყოლებათო.“ და როსტომმა აიუფას გახედა, რომელიც ეს არის ქოხიდან გამოვიდა და აქეთ წამოვიდა.

„ჩვენ აქ არავითარი ცხვარი არ გვინახავს.“ თქვა შალვამ. „ნეტავ სად უნდა დაგკარგვოდა, რაც ჩვენ აქა ვართ, ცხვრის ჭაჭანება არ ყოფილა, ამათ ძროხები ჰყავთ და სამი თხა, ეს არის და ესა!“ გადაბრუნით დაადასტურა ლიზიკომ, რომელსაც უნდოდა ხაზი გაესვა, რომ ლექსოს წასვლა-მოსვლა სულ არ ხვდება გულზე და ცხვრების მოპარვამა და ამ კაცების ეჭვებმა კი პირიქით, ვითომ ისიც საგონებელში ჩააგდო.

„არადა, კვალი აქეთ მოდის, ჩვენმა ბიჭებმაც ასე გვითხრეს!“ მღელვარედ შესძახა კოტემ და აიუფას ჯიქურ შეხედა, „წამუხი აღარ არის რაა, შარშან იყო, მოგვპარეს...“ აიუფა თითქოს თვალსაც არ ახამხამებდო, ისეთი გარინდებული მზერით მისჩერებოდა კაცებს, მერე კი დინჯად და აუჩქარებლად იკითხა: „კვალის ცნობა თუ იციან თქვანმა ბიჭებმა...“ „არა, არ იციან! იქნებ შენ ასწავლო როგორმე კვალის ცნობა!“ ისევ ისე გაგულისებით წამოიძახა კოტემ, „ცხვარში კუჭი აქვთ მოჭრილი და არ იციან!“ „თქვენ დამცინით და მე შემოძლია ვასწავლო, კვალის ცნობა არც ისე ადვილია...“ „იცოდე, არავის შევარჩინთ ჩვენი ცხვრების მოპარვას! თუ აქ სადმე გყავთ, გირჩევთ გამოგვიჩინოთ! „თვალეები დაქაჩა კოტემ, „გირჩევთ, თქვენთვისაც უკეთესი იქნება!“ „რატომ მიბრიალებთ თვალეებს?“ თქვა ისევ წყნარად აიუფამ და მხრები აიწურა. „სახლში არავინ გყავთ თვალეების დასაბრიალებელი? ჩემს თვალეებში თქვენს ცხვრებს ხომ არ ხედავთ? იქნებ იქით არიან თქვენი ცხვრები?“ და ხელი ტბათანისკენ გაიშვირა. ბიჭიასა და ოთარს ერთი სული ჰქონდათ ლექსოს ჩამოსვლის ამბავი გაეგოთ, ჯერ მოუთმენლად შეჰყურებდნენ თავმჯდომარეებს, თიკო კი, ჩვენი მგზნებარე თიკო, აღტაცებული იყო აიუფას თავის დაჭერით, ღმერთო ჩემო, რა ღირსებით სავსე ბიჭიაო.

„იქით? იქით? ტბათანისკენ?!“ აღშფოთდა ახლა როსტომი, „იქით თუშების სადგომია, და თუშები ცხვარს არ იპარავენ! თვითონ მეცხვარეები არიან, და შენც ძალიან კარგად იცი ეს, მეცხვარეები ცხვარს არ იპარავენ!“

ბიჭებიც ჩაერთნენ ცხვრის მოპარვის ამ-

ბებში, ეკითხებოდნენ, სად ჰყავდათ, როდის მოიპარეს, რამდენი მოიპარეს და სხვა იმისთანებს.. შალვა კი ამასობაში ლექსოს წერილს კითხულობდა: „ბატონო შალვა, ვბედავ და თხოვნით მოგმართავთ, რა ვქნა, თქვენ მეიმედებით, ლიზიკო თუ ვინმეს პატივსა სცემს, ეს თქვენა ხართ, და იქნებ ეს-ლაც თქვენმა სიტყვამ გასჭრას... დამნაშავე ვაარ, თავით ფეხამდე, მაგრამ კაცურადა გთხოვთ, ჩათვალეთ, ვითომ ჭკუას გადავცდი... დამემართა ეს სიგიჟე, თორემ ვინ მე და ცოლ-შვილის ღალატი, და იქნება მაპატიოს, შემინდოს, შვილები დამაბრუნებინოს... რო გავიგე კოტე უნდა წამოსულიყო, ვერ გავბედე გამოვყოლოდი, თავს დაგტეხოდით, გამოვჭენებულყავი ხალხის წინ, ისევ წერილი ვარჩიე. ვიცი თქვენი ბუნების ამბავი, ვარჩიე თქვენთვის მომემართა... მინდა გითხრათ და გთხოვთ ლიზიკოსაც გადაეცით, იქ მე გულხელდაკრეფილი კი არა ვყოფილვარ, მანქანაზეც ვიჯექი, აქაურებს ღვინის წარმოება ჰქონდათ, იმათთანაც ვმუშაობდი, მშენებლობის პრარაბადაც ვიყავი, დღე და ღამეს ვასწორებდი, რომ ხელცარიელი არ დავბრუნებულყავი, რაღაცა თანხა დავაგროვე, მაქანა უნდა ვუყიდო ჩემ ბიჭებს, მინდა ავუნაზღაურო უჩემობა. აგრე მგონია, ჩემი ბედი თქვენ ხელშია ბატონო შალვა, ოღონდ ესხლა გამომინოდეთ დახმარების ხელი მეცა და ჩემს ბიჭებსაც, თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნები, არცროდეს არ დაგივიწყებთ სიკეთეს. თქვენი პირშავი ლექსო.“ შალვამ წერილი ლიზიკოს გადასცა: „აი, ხომ გეუბნებოდით, რა სწრაფად ახდა ჩემი სიტყვაო“, ლიზიკომ კი ძლივს, უნდომლად ჩამოართვა, „თქვენი ხათრით, ბატონო შალვა, თორემ იმ ფუქსავატის დაწერილს ხელშიც არ დაგიჭერდიო... და წერილი გაშალა. „მაპატიე, როსტომ ისეთი ამბავი დაემთხვა ამ თქვენს უსიამოვნებას, თქვენ რას იზამთ ახლა?“ მიუბრუნდა შალვა როსტომს, „ჩვენი ობიექტი აი, აქეთ სამას მეტრშია, ყოველდღე დილა, შუადღე, საღამო დავდივართ და სიმართლე გითხრა, ცხვარი არ შეგვინიშნავს.“ „თქვენ კი არ დაგანახვებენ, ჩვენ ახლა ვერტმფრენით სულ გავჩითავთ აქაურობას, ბიჭო,“ მიუბრუნდა აიუფას, „ტყის მცველი სად არის?“

„ახმეტაში წავიდა ცხენის დასანალად, ურიკაც უნდა იყიდოს. თუ გინდათ მე გამოგყვებით და შემოგატარებთ აქაურობას...“ ისევ ისე დინჯად და აუღელვებლად უთხრა აიუფამ. „არა, როსტომ, ხომ ხედავ, ესენი არაფერ შუაში არ არიან, ალბათ, მეორე მხარეს უნდა ეძებოთ...“ ხელები გა-

შალა შალვამ. „ოჰ, შალვა, შალვა, აქაურების ამბავი შენ არ იცი, ისეთი გარინდება იციან, ისეთი სიღინჯე მოიცავთ, წარბს არ შეხრიან, და სწორედ ამ დროს გამალებით ფიქრობენ, ისაზრებენ და გეგმას აწყობენ, როგორ დაუძვრნენ საჩოთირო მდგომარეობას, რა ქნან და რა მოიმოქმედონ... მე დიდი ხანია ეს ვიცი და მაინც შეიძლება შევცდე...“ ეუბნებოდა შალვას როსტომი...

ცოტა დრო ჰქონდათ, თელავის აეროდრომზე ვერტმფრენის უკანასკნელ რეისს ომალოს ხალხი უცდიდა, მაგრამ შეეძლოთ თხუთმეტი წუთის განმავლობაში მაინც ეფრინათ ამ მიდამოებში და ეძებნათ ცხვარი. ბიჭიამ შალვას ყელისწევით სთხოვა, გავყვები ამათ თელავში, სურათებსაც დავბეჭდავ, ნენესაც წამოვიყვან და ხვალზევით დილითვე აქ გავჩნდებითო. კოტე კი ლიზიკოს მიუბრუნდა, აბა, რა გადანყვიტე, წაგიყვანოთ თუ არა შენა და ბავშვებით, რა პასუხი ჩაუფტანოთ ლექსოსო.

ლიზიკო კუნძზე იჯდა კოპებგამოკრული და განზე იყურებოდა, თავი არც მოუტრიალებია, მკვახედ უთხრა კოტეს: „მე არსადაც არ მოვდივარ, აქ საქმეზე ვარ წამოსული, თუ ბავშვებს უნდათ მამის ნახვა, მე რა დამჭერი ვარო...“

ბავშვები კი ცოდვის კვერით შეჰყურებდნენ ხან დედას, ხან ძია კოტეს და ცმუკავდნენ, ეტყობოდათ, ძალიან უნდოდათ ვერტმფრენში ჩაჯდომა, იქამდე სულ ეკითხებოდნენ ჰასის ბიჭს, უსუფას, როგორია ფრენა, კარგიაო? ჩვენ ჯერ არ ვმჯდარვარ...“

„რა არის, ლიზიკო, ვერე პირის გამეხება, მოუვა ცოცხალ კაცს შეცდომა, შემცდარი მკვდარია... კაცი თავზე ნაცარს იყრის, მოელაპარაკა უკვე თავის ბიჭებს, „ალაზანმშენში“ იწყებს მუშაობას და პატიებაც ხო არსებობს არაა?“ დასძახოდა ლიზიკოს კოტე. „პატიება-პატიება!“ შესძახა ლიზიკომ აღშფოთებით, „მე მაპატიებდით, რო მეკრა თავი, ვილაცა ოხერ-მუდრეგს გამოვიკიდებოდი და ჩემი შვილები მიმეტოვებინა, მაპატიებდით? თუ ქვა და გუნდას მომყრიდით, თქვით, თქვით!“ და თვალებით გმირავდა იქ მყოფებს. ლიზიკო ასეთი ლამაზი არასდროს არ ყოფილაო, როგორ უხდება გაცეცხლებაო, გაიფიქრა თიკომ, მივიდა ლიზიკოს მოეხვია, დაწყნარებას ეცადა...

„ერთიაა, ადამიანო, ქალი და კაცი, ერთიაა?! უთხარი, შალვა, შენი ჭირიმე, უთხარი, რამდენი ხანია თუმრე აუცრუებია გული იმ კახპაზედა, მუშაობდა თურმე,

დღე და ღამეს ასწორებდა, ხელცარიელი არ ჩავიდო, შეგეცოდებათ რო დაინახოთ, თოკზე გადასაკიდლა ჰგავს...“ მაგრამ ლიზიკოს ვერც შალვამა და ვერც ვერავინ გული ვერ მოუღებეს, გეგონებოდათ კიდეც უფრო ბრაზობს ლექსოს ჩამოსვლის გამოვო. ბავშვები კი სიხარულით გაჰყვინენ კოტესა და ბიჭიას, სულ კუნტრუშით მიხტოდნენ ვერტმფრენისკენ. და მერე ლამის მეოთხედი საათი დაგუგუნებდა მათ თავზე აქეთ-იქით ვერტმფრენი. ბოლოს გუგუნე რომ მიწყდა, წარმოუდგენელმა სიჩუმემ დაისადგურა...

არავინ ხმას არ იღებდა, ლიზიკო და თიკო სუფრას ალაგებდნენ და ლიზიკომ უთხრა: ისე ვარ აფორიაქებული, თუ რაღაც არ გავაკეთე, ვერ დავწყნარდებო, მე ჩავალ ხევში, ჭურჭელს ჩავიტან, ქვაბსა და ტაფასაც, ბიჭების გასარეცხებიც დამიგროვდა და ბარემ ყველაფერს გავრეცხავო. ოთარმაც მოინდომა ხევში ჩასვლა, ლიზიკოსაც ვუშველი ჩატან-ამოტანას და მეც გავირეცხავ ჩემს რამეებსო. თიკოს შალვასთან უნდოდა მოლაპარაკება ხვალინდელი წასვლისა და საერთოდ აქ დარჩენის შესახებ და გაუხარდა კიდეც მარტონი რომ იქნებოდნენ. ჰასი და ნან ნელან თავისი სადგომის შესავალში იდგნენ და ისე გამოჰყურებდნენ მოსულებს, მერე კი აღარც გამოუხედავთ, ეტყობა, ქოხში რაღაცას საქმობდნენ, დამარტოვებული პატარა უსუფა თავის ბიძას მოჯდომოდა გვერდით, რომელიც უთხოვრის მოზრდილი ნაფოტიდან დანას უჩორკნიდა. ისინი მომორებით ისხდნენ, წიფლებს იქით, ბექზე. დაადი კი ჯერ არ დაბრუნებულეყო თავისი ძროხებითა და თხებით. თიკო მცირე ხნით ჰამაკში ჩაჯდა, ქანაობა დაიწყო, დაინახა როგორ გამოიტანა შალვამ თავისი „ოთახიდან“ საქალაღე, ქოხის წინ კუნძზე დაჯდა და საქალაღე გახსნა. „შალვა, მე რომ თქვენთან საქმე მაქვს?“ და თიკო ჰამაკიდან წამოდგა, „ძალიან ხომ არ შეგიშლით ხელს?“ შალვამ გაუღიმა, თავი დაუქნია. თიკო მივიდა და შალვას წინ, ბალახზე ფეხი მოირთხა. „ხომ არ შეგცივდება ბალახზე?“ „ოჰ, რას ამბობთ, სულ ბალახზე არ ვზივართ?“ გაჩუმდა და შალვას შეხედა. „რაო, თიკო... რომ იცოდე, რა კმაყოფილი ვარ ჩვენი ექსპედიციით...“ „მეც... ძალიან, ვერც წარმომიდგენია ახლა აქ არ ვიყო... და საერთოდ... თიკო გაჩერდა, აღარაფერი თქვა, შალვამ დაეჭვებით შეხედა „შენ თითქოს რაღაც გინდოდა ჩემთვის გეთქვა...“ „იციო, შალვა, აიუფა დამპირდა რომ ხვალ საყვავის მთაზე წამიყვანს ორი დღით... შორი არის... დილით

რომ წავალთ, მზის ჩასვლისას ვიქნებით იქ. რაც მთავარია, ძალიან კარგი მთქმელი ყოფილა, მოხუცი კაცი. ხვალ საღამოს და მეორე დილით ჩავინერ იმ მთქმელს, მერე წამოვალთ და ზეგ საღამოს უკვე აქ ვიქნებით... ისე ამბობდა, თითქოს ამაზე ბუნებრივი და ჩვეულებრივი არაფერი შეიძლება ყოლილიყო.

შალვა ერთხანს სიტყვის უთქმელად მისჩერებოდა თიკოს, „ჩვენ ხომ გუშინაც ვიყავით, რალაც არაჩვეულებრივი იყო, ხომ იცით, ცხენითაც რამდენი ვიარე...“ „ვიცი, ვიცი, ჰასისაც კი უკვირდა, ისეთი საშიში ბილიკებია, ისეთი უფსკრულები, თვალს ვერ ჩაუნვდენო, შენ არ იცი, როგორ უსაყვედურა აიუფას, რას ფიქრობდი, რომ მიგყავდაო.“ „რაა მერე, გადასარევი იყო, ჩემ სიცოცხლეში არ დამავინწყდება...“

„ჰოდა, ძალიან კარგი, გახსოვდეს...“ გაჩერდა, ალერსიანად გაუღიმა, „და ამით დაკმაყოფილდი.“ „როგორ დავმკაცოფილდე! თქვენ ფიქრობთ, რომ არ უნდა წავიდეთ?“ ისე თქვა, აფეთქებას ცოტალა აკლდა. „რა თქმა უნდა, არ უნდა წახვიდე, განა ეს საკითხავია?!“ ამოდენა გზაზე, საშიშ გზაზე კოკა ყოველთვის წყალს კი არ მოიტანს, ჩაიჩეხოთ სადმე, ხომ თავი მექნება მოსაკლავი!“ „რატომ უნდა ჩავიჩეხოთ, რატომ!“ ხმას აუწნია თიკომ. „მე არაფრისაც არ მეშინია, ზოგერთივით მშიშარა კი არა ვარ, აიუფა მეუბნებოდა შენისთანა მამაცი ქალი არ მინახავსო!“ ჯიუტად ამბობდა, გამოწვევად. „ჰო, ჰო, შენ მამაცი ხარ და მე მშიშარა, და სწორედ ამიტომ ვერ გაგიშვებ, ვერა, მე ვარ პასუხისმგებელი, და ფრჩხილიც რომ წამოგტკივდეს, მამაშენი გადამასახლებს!“ „რას ქვია მამაჩემი! ვითომ ვასიკო ვიყო, ხელით სატარებელი. მე ზრდასრული ადამიანი ვარ, თავისუფალი და დამოუკიდებელი, სადაც მინდა, უნდა წავიდე და სადაც მინდა, წამოვიდე, და თუ ჩავიჩეხები, სწორედაც ჩემი ნებით უნდა ჩავიჩეხო, და არა თქვენი აკრძალვებით! არ შემიძლია თქვენი აკრძალვების ატანა, არა, არა, არა!“ ისე უელავდა თვალეები და ხმაც ისეთი განწირულებით ჰქონდა სავსე, შალვას შიგნით ყველაფერი გადაუტრიალდა, ძლივს გადაყლაპა ნერწყვი: „არა... არა... არა... არ წახვალ... არა... როცა დავბრუნდებით, შენ წამოდი უკან და ამ შენს აიუფასთან ერთად რამდენიც გინდა იმდენი იარე!...“

წამოდგა და წიფლებისკენ წავიდა. „ვნახოთ როგორ არ წავალ!“ დაადევნა თიკომ, წამოხტა და თავისი კარვისკენ გაქანდა... სიკერპესთანა და სიბრაზესთან ერთად გრძნობდა, სადღაც ღრმად, გულის კუნ-

ჭულში სიხარულიც უჭიატებდა, ხომ გაბრაზდაო... ხომ იეჭვიანა აიუფაზეო... ჰოდა ძალიან კარგიო... შალვამ კი აიუფასკენ გასწვია. აიუფა მაშინვე წამოდგა, ნაბიჯი გადმოდგა და მორჩილად წინ დაუდგა. ხელში გამოთლილი დანა ეჭირა და ტყავის ნაჭრით აპრიალებდა, შალვამ დახედა, რა კობტად გამოგითლიაო, „უსუფას გამოვუთალე. აი, ღარიც გაუფუკეთე, ვითომ სისხლის ჩასანან-წკარებლად, შევლს რომ გაუყრის, სისხლი აქედან ჩავა, არა, უსუფ?“ „აიუფ, ყური მიგდეთ, ეხლა თიკოს ველაპარაკე, სრულიად წარმოუდგენელია თქვენი იქ წასვლა, აიუფ!“ „თიკომ გადაიფიქრა?“ „თიკომ კი არ გადაიფიქრა, თქვენ უნდა გადაიფიქროთ და ასეთი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აიღოთ.“ შალვას ხმაში საყვედური ისმოდა. „რატომ ბატონო შალვა“, შენუხდა აიუფა, „რას ხედავთ ჩვენს წასვლაში საშიშს... თქვენ რომ მითხრათ აიმ კლდიდან ჩახტო, ჩავხტები, სტუმრად ხართ მოსული და ყველაფერსაც გავაკეთებ... მაგრამ...“ აიუფამ განზე გაიხედა და გაიღიმა: „ვაჟი ქალს უარს ვერ ეტყვის, ბატონო შალვა.“ შალვა გააღიზიანა აიუფასგან ვაჟისა და ქალის ხსენებამამ, ესლა აკლია. ეს ბიჭი... ეს ბიჭი... „გამიგეთ, აიუფ, აბა, ყური მიგდეთ, თიკო მე მყავს ჩაბარებული, მე ვარ პასუხისმგებელი“. აიუფას ისევ გაეცინა, დამცინავად და უზრდელად კი არა, როგორღაც მორჩილად, მორიდებით, თითქოს წინასწარ მოდიშს იხდისო, რომ არ ესმის და ვერც ვერასოდეს გაიგებს ასეთ ლაპარაკს: „მაპატიეთ, ბატონო შალვა, ჩაბარებული ცხვარი ხომ არ არის... მე... მე... ის კი არა ვარ ბატონო შალვა, თიკოს სურვილის გარეშე, — აიუფა დაიხარა, კენჭი აიღო და გადააგდო, „აი, ასე კენჭს არ გადავაგდებ, ეს მინდა იცოდეთ, ბატონო შალვა... და თუ...“ აიუფამ მოიხედა, ჭროლა თვალეები შემოანათა შალვას და მზერა არ მოუცილებია, ისე უთხრა: „თუ თქვენ ... მაპატიეთ და... სხვა რამ გალაპარაკებთ... რა ვიცი... რა არ ხდება ქვეყანაზე, მითხარით და კაცურად გაგიგებთ, ბატონო შალვა, ვაჟკაცობას გეფიცებით, გაგიგებთ და მაშინ დათვმა უნდა დამგლიჯოს, თქვენს უნებურად რომ რამე გავაკეთო, ბატონო შალვა.“

„რას ამბობთ, აიუფ, რას!!“ მობრუნდა და წამოვიდა ქოხისკენ. განბილებულად გრძნობდა თავს, თანაც ვისგან! გუნება აემღვრა, შევიდა ქოხში, ტახტზე წამოწვა და ეს აღშფოთებით ნათქვამი თავის გულში, მყისიერად აღმომხდარი „თანაც ვისგან!“ ესე იგი, სად მე და სად შენო! მარწუხივით მოედო და შეაშფოთა. როცა ასე პირისპირ



დგანან ადამიანები, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, შენ საუკეთესო შევროს ძვირფასი ფეხსაცმელები გაცვია და ძეგლების ქომაგი ხარ, თუ უბრალო ქისტის ბიჭი. და ასე ეგონა, ასე გრძნობდა, შერკინებისას გაშიშვლებულები იდგნენ ადამიანები ერთმანეთის პირისპირ, და არა მარტო სხეულით, არამედ, უპირველესად, სულით და ეს ამბავი გულს უკლავდა იმის გამო, რომ ჩრდილს აყენებდა იმას, რაც მისთვის, მიუხედავად დაშორებისა, ასეთი სათუთი და ძვირფასი იყო, მის სიყვარულს... მაგრამ იყო რაღაც, მის ამღვრეულ გუნებაში პანია ოქროს ლიფსიტასავით რომ გაიელვებდა, „თუ თქვენ სხვა რამ გამოძრავებთო... კაცნი ვართო... ეს ბურთი და ეს მოედანიო...“ ესე იგი, ჩათვალეს მოქმედ მეტოქედ, და ვაი სირცხვილო, სწორედ ეს სიამოვნებდა...

აღარც გამოსულა ქოხიდან. ოთარი და ლიზიკო დაბრუნდნენ ხევიდან, ლიზიკომ შემოიხედა, ცუდად ხომ არ ხართ, ხომ არაფერი გნებავთო, არაო, უთხრა, უბრალოდ დავიღალე და მსიამოვნებს წამოწოლაო... მერე ესმოდა ძროხების ზმუილი და რძის ჩხრიალი... კოცონი დაანთეს და შემოუსხდნენ, ესმოდა მათი მხიარული ხმები...

„შეხედეთ, შეხედეთ, რა უზარმაზარი მთვარე ამოვიდაო...“ ეს თიკოს ხმა იყო. „აი, უსუფამ იცის მთვარის ამბავი,“ თქვა ჰასიმ, „აბა, უამბე, გენაცვალე, ამათაც.“ „რაა და...“ გაისმა უსუფას მოჭიკჭიკე ხმა, „მზეჭაბუკი და ეშმაკი ეცილებიან ერთმანეთს მთვარესა... მზეჭაბუკს მწყემსი ბიჭი უჭერს მხარსა, ეშმაკს კიდეც ტარტაროზი ასლამაზა, მთებში რო ცხოვრობს და თოვლის საბანი ახურია...“

„მერე მერე? იამბე, ბიჭო, კარგად.“ მოუნოდებს ჰასი თავის ბიჭს. „რა მერე? ხან ისინი იმარჯვებენ და ხან ესენი.“ „შენ ატყობ მთვარეს, როდის ვინ არის გამარჯვებული?“ კითხულობს თიკო. „მამ არ ვატყობ? აი, ეხლა შავი ღრუბლის ნაგლეჯი ადგას თავს, ხო ხედავთ, ეგა ეშმაკის ხელია რო იცოდეთ... ეხლა სწორედ იბრძვიან, თუ გადიდდა შავი ღრუბელი, ეშმაკი იმარჯვებს, აირევა ამინდი და წამოუშენს წვიმას... თუ ვერ გადიდდა და მზეჭაბუკმა გაიმარჯვა, სუ-სუ მოკრიალდება ცა და ეშმაკიც გადაიკარგება...“ მერე უკვე რული ეკიდებოდა, მხოლოდ გაურკვეველი ხმებილა ესმოდა... და დაეძინა კიდეც. შუალამისას სურვილმა გააღვიძა. ცოცხლად იგრძნო, როგორ შემოვიდა თიკო, დაიხარა და ტუჩებში აკოცა. თვალი გაახილა, ქოხში არავინ იყო, და ისევ დაესიზმრა... სიზმარი იყო თუ მოლანდება, ხალხი, ხალხი, ხალხი და თვითონ

რაღაცას ამბოდა, რაღაცას კი არა რაღაც ნაწყვეტს... ლექსის ტაეპებს... ჰო, ჰო, ვითომ კონცერტი იყო და სცენაზე იდგა... მარტო... ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი და ღმერთო ჩემო, ეს სწორედ ის ლექსი იყო, იმის შემდეგ აღარც გახსენებია, თვითონ რომ თარგმნიდა... როგორ ამოუტივტივდა... „და მოგიზგიზე შენი მზერა ილტვოდა ზევით მწვერვალებისკენ... და კიდეც ზევით... დაუსაბამო ვარსკვლავებისკენ... და შენი მზერის ლხენით სავსე ელვარებაში... მარადისობა იყო საცნაურ...“ შალვა, გეხვენები, ისიც თქვი, ისიც, ეუბნება თიკო და ტუჩებში ჰკოცნის, ო, როგორ მიყვარს, როგორ მიყვარს ის სიტყვები: „იბადებოდი ზღვიდან და ვით შუქურა ზღვებს ანათებდი... და ეძლეოდი ყველას, ვით დედამინა, უხვი, უღვივი... დაე დამათროს, მეც დამათროს შენი სხეულის მძაფრმა სურნელმა.“ და მართლა ესმოდა მძაფრი სურნელი... დამათრობელი... ძილბურანში გაიფიქრა, ეს ნამდვილად თიკოს სურნელიაო... სხვა არაფერი უნდოდა, არა, არა, თიკო სწყუროდა... მასთან შერწყმა და შენივთება სწყუროდა... რა არის ეს, რა არისო! ასე ეგონა, ყოველი ნაკვთი, ყოველი უჯრედი დატენილი ჰქონდა სურვილით... და არაფერს ამქვეყნად არ გააჩნდა ასეთი ძალა, ცხოველმყოფელობა, როგორც ამ სურვილს... აკანკალებდა, პირი უშრებოდა, საფეთქლებში ჩაქუჩებს ურტყამდნენ... ღმერთო, ნუთუ სისულელე იყო, უარს რომ ამბობდა, აგერ რა უთხრა გუშინ გამოჭყლეტილმა ბიჭმა, ვაჟი ქალს უარს ვერ ეტყვისო... არა, ვერ აიტანს ამ მოზღვავებულ ნდომას, ვერა... ყველაფერი უხურს, უნდა ჩავიდეს ხეში, წყლით გაგრილდეს, იქნებ უშველოს ცივმა წყალმა... თორემ არ შეუძლია არა, ასე ჰგონია, ასეთი რამ არასოდეს არ დამართნია, ახალგაზრდობაშიც კი არა... ღმერთო, როგორ იტანჯებოდა თიკო, ტირილს რომ დაიწყებდა ხოლმე, რა იყო ეს, რა შეუბრალებლობა იყო, რა სისასტიკე, ახლა ასე ჰგონია აწამებდა, ჯვარს აცვამდა... ახალგაზრდა მწერლები რომ მოვიდნენ მუზეუმში, ახსოვს ერთი ლამაზი, სერიოზული ბიჭი, ვილაცამ ჰკითხა, რა თემაზე მუშაობთ, რა გაინტერესებთო, მეო ერთი რამ მაინტერესებსო, და ერთი თემა მაქვსო, ქალის და კაცისო. ვილაცამ უთხრა ეგ უკვე ორი გამოდისო, არაო, ქალი და კაცი ერთიაო და ამას სიცოცხლე ჰქვიაო... ჰო, სიცოცხლე, სიცოცხლე... აი, სწორედ სიცოცხლე სწყურია. სიცოცხლე თიკოსთან ერთად... ერთ საძილეში... არა, არა, არაფერი უშველის ხეში ჩასვლის მე-

ტი. უნდა ადგეს და ჩავიდეს... და მერე იქ იჯდეს, იჯდეს, სანამ არ გაუვლის ეს რაღაც უდიდესი მოზღვავება... ეს გაუსაძლისი აფეთქება... საძილეს ელევა, შესაკრავი ჩასნია, ფანარი აანთო და საათს დახედა, ორის ნახევარი იყო... კედლები ჩაიცვა, ქოხიდან ფეხაკრეფით გამოვიდა... აი, რა სურნელი სწვდებოდა, მძაფრი, გამაბრუებელი სურნელი, ამ ყვითელი ბუჩქების, მთვარის შეუქზე მომწვანო და მოლურჯო რომ გადაჰკრავთ... რა მაღალია ცა... და მთვარე, უზარმაზარი, როგორ დანათის აქაურობას... ფრთხილად გაუარა ბუჩქებს, ხევის ჩასასვლელთან თიკოს კარავს, ნაბიჯი შეანელა, რომ შეიძლებოდა გამოვიდეს ეხლა და როგორც წელან სიზმარში და როგორც არაერთხელ ცხადშიც... მოეხვიოს, ხელები აღარ გაუშვას და ჯანდაბას ნიკოსთვის მიცემული სიტყვაო, სისულელეა და მეტი არაფერიო... და დაეშვა ხევისკენ... ესამოვნა ცივი წყალი... შეისხა და შეისხა სახეზე, თავ-კისერი ჩაყო წყალში, ხალათი ჩაიხსნა და ტანზეც მიისვ-მოისვა, ველარ იოკებდა თავს, უნდოდა სულ ესხა და ესხა, პიჟამოს ტოტები აიკაპინა, კედლები გაიხადა და ხევში ცოტა ქვევით ფეხებიც გაიგრია... მართლა შვება იგრძნო... და თუმცა სურვილი სულ არ გაჰქრობია, ეს უკვე ჩვეულებრივი ამბავი იყო და აღმართს შეუდგა... შუამდე რომ მივიდა, რაღაც ფაჩუნის, თუ თქრიალის ხმა გაიგონა, აქეთ-იქით დაიწყო ყურება... და დაინახა: ხევგალმა, მეორე ბილიკზე, რომელიც ხევში ნიფლების იქიდან ჩადიოდა, ცხვარი მოთქრიალებდა... შიგადაშიგ წელი დასტვენაც ისმოდა... და აგერ ორნი... მკაფიო სილუეტი ჩანდა მთვარის შუქზე, ერთი ზევიდან მოსდევდა, მეორე კი, უფრო დაბალი ბილიკზე ჩამორბოდა... შალვამ თვალები მოწკურა, ქურდბაცაცები, ეტყობა იციან აქ და იმათაც ეჭვი არ ეპარებოდათ, როსტომსა და კოტეს დიდის ამბით რომ არწმუნებდნენ არა, არა, არ გვინახავსო... ცხადია, დამალული ჰყავდათ აქ ახლო-მახლო... სად, სად... და უცებ იგრძნო რომ გაუხარდა... ნამდვილად გაუხარდა... აი, თურმე ვინ ყოფილა... ეხლავე, ეხლავე და მერე, ვინ იცის რა მოხდება... ვინ იცის... ისევ იგრძნო როგორ წამოყო თავი სურვილმა... ნაბიჯი ააჩქარა... და უცებ რატომღაც შეეშინდა, როგრო ვარ ასვეტილიო და ჩაიკუზა, ასე წავიდა, აგერ თიკოს კარავიც... თოფმა იგრიალა... ფერდი შეუნგრია... გაფიქრებაც ვერ მოსწრო, ვკვდებიო, წინ წავარდა და კარვის კალთასთან სული აღმოხდა.

იმ დილით ნიკო ჯავრით იყო მოცული... ღამე წვეთი არ სძინებია, გათენებისასლა ჩაეძინა და ისიც უგემურად, ძილ-ღვიძილით.

მთავარი ის იყო, რამაც გაუკრთო ძილი, რამაც დააყენა ამ საშინელ გუნებაზე. თითქოს განგებო, ერთმანეთზე აიკინდა უამური ამბები. გუშინ შუადღისას ქვემო სოფლიდან ქალი ამოიყვანეს ორმოცი წლისა, მარჯვენა ფერდთან გაუსაძლისი ტკივილებით: სოფლის ექიმს ეთქვა, — ნიკო იცნობდა ამ ექიმს, კარგი დაკვირვებულ კაცი იყო, — ნალვლის ბუშტი გადაჭედილი აქვს კენჭებით და სასწრაფო ოპერაციაა საჭიროვო. ნიკოს კი ეჭვი შეეპარა სიმსივნე არ იყოსო და ქმარს ურჩია, თბილისში წაიყვანეთ, საფუძვლიანი ანალიზები გაუკეთეთ და ონკოლოგსაც აჩვენეთო. გადაირია ქმარი, მოსული, ზორბა, წარბეშეყრილი კაცი, სწორედაც ოპერაცია უნდა გაუკეთოთო, ჩვენმა ექიმმა მითხრა, ბატონი ნიკო თქვენ ცოლს ხელდახელ დააყენებს ფეხზეო, მაგრამ ნიკოს ჯერ ხელიც არ ეხლო, რომ ანესტეზიის შემდეგ ქალი მაშინვე გარდაიცვალა. ქმარი გადაირია, თქვენ მომიკალით ცოლიო, გაუგებელი, უტიფარი კაცი იყო, — ჩემს ცოლს სასიკვდილო არაფერი სჭირდაო, ფინაჩი ანესტეზიოლოგი გყოლიათ და თქვენ ხართ პასუხისმგებელიო, თან დიდ ტორს ცხვირწინ უფარჩხავდა ნიკოს, ანესტეზიოლოგს კი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა, ტყუილია, პასუხს გაგებინებთო, ტყუილია, გიჩივლებთო. ნიკო ჯერ ეცადა მშვიდობიანად გაეგებინებინა კაცისთვის, აი, ცოტა ხანში გავკვეთავთ და თქვენ თვითონ ნახავთ რამ მოულო ბოლო თქვენს ცოლსო. მერე კი მკაცრად უთხრა: სადაც დიდი სასამართლო იყოს, იქ გვიჩივლებთო. გაკვეთეს და მთელ ნაწლავებზე მოდებული ჰქონდა სიმსივნე, ნალვლის ბუშტიც, ღვიძლიც ყველაფერი გადაგვარებული ჰქონდა. შეიძლება ცოტა ხანი კიდევ ეცოცხლა და საშინელი წამებით გარდაიცვლებოდაო, უთხრა საბოლოოდ ნიკომ დამდურულ ქმარს. მაგრამ გუნება კი გაუფუჭდა. მიუხედავად თავისი ხანგრძლივი პრაქტიკისა, ავადმყოფის დალუპვა, მით უმეტეს ახალგაზრდა, ოჯახისა და შვილების პატრონის უდროო სიკვდილი, ყოველთვის აუგემურებდა და ცუდ გუნებაზე აყენებდა.

ბედად მარიკოც ხომ წასული იყო, და ნიკოს თავისი პირადი ამბების დროს არაფერი ისე არ ამშვიდებდა, როგორც თავის გონიერსა და ღამაზ ცოლთან ურთიერთობა, რადგან განსაკუთრებით ასეთ დროს იცოდა მარიკომ მხრის აბმა და ნიკოს გვერდში

დგომა... თვითონაც ყოველთვის ნიკოს ყაი-
დაზე მოიმართებოდა ხოლმე, მერე კი ისე
მოეფერებოდა, ისე მიიყრდნობდა მკერდზე
მის თავს და რბილი, ფუნჩულა ხელებით
დაუნყებდა ალერსს, სულ სხვა გუნებაზე
დააყენებდა, სიყვარულის გუნებაზე. სექსი
კი საუკეთესო რამ იყო, ჯერ თავისთავად,
და ასეთ დროს კი ვერავითარი ფსიქოთერა-
პიის სეანსი ვერ შეედრებოდა.. მაგრამ მა-
რიკო ბუნების მშვენიერებას, როგორც თვითონ
უნოდებდა, ბაიკალის ტბას უვლიდა გარშე-
მო ლელიკოსთან ერთად, ნიკო კი, ამღვრე-
ული გუნებით, ავადმყოფების მიღებადმე,
თავის კაბინეტში ბოლთას სცემდა... და
ფიქრობდა, რომ სიმტიციე უნდა გამოეჩინა
და არავითარ შემთხვევაში ოპერაციაზე არ
დათანხმებულყო, წაეყვანათ თბილისში და
რაც უნდოდათ, იქ გაეკეთებინათ. ნიკოცა
და ანესტეზიოლოგი ანდრო ასცდებოდნენ
ამ ლანძღვა-გინებასა და თვალების ბრი-
ალს, და მათ განყოფილებაში სიკვდილის
შემთხვევას.

დღე-დღეზე დიმას ჩამოსვლას ელოდა
მოსკოვიდან და ვინ იცს, ხვალაც ჩამოვიდე-
სო, სიამოვნებით გაიფიქრა, სწორედ რომ
მისწრება იქნებოდა ახლა, როცა არც თიკო
იყო, არც მარიკო, არც შალვა და ლელი-
კო... ჯერ ისედაც როგორ უყვარდა დიმას
ჩამოსვლა, თვითონაც, მარიკოს ჩიჩინის მი-
უხედავად არასდროს დასასვენებლად არ
მიდიოდა, ერჩია ისევ მოსკოვში წასულიყო
ზამთრის პირზე ერთი კვირით მაინც, დი-
მასთან.

გადანყვიტა ავადმყოფების მიღების შემ-
დეგ წასულიყო ფოსტაში და მოსკოვში და-
ერეკა, და თუ მართლა ხვალ-ზეგ ჩამოდი-
ოდა, მისი სახლი გაეღო და როგორც სხვა
დროსაც არაერთხელ გაუკეთებია, გაენია-
ვებინა და დამლაგებლისთვის დაელაგები-
ნებინა იქაურობა. მართლაც ასე მოიქცა,
ავადმყოფების შემდეგ წავიდა ფოსტაში და
თუმცა კარგა ხანს მოუნდა ცდა, ბოლოს,
როგორც იყო, შეაერთეს მოსკოვთან. დი-
მას შენუხებული ხმა ჰქონდა, ჩავარდნილი.
რა მოგივიდა, რა ხმა გაქვსო, შეიცხადა ნი-
კომ, როდის ჩამოდიხარო, ტომა და კოკაც
ხომ არ ჩამოვლენო, დააყარა მერე კითხვე-
ბი, და ამ ყველაფერზე დიმა უთხრა: წადი
ეხლა სახლში და რადიო მოისმინეო. ნიკო
მაშინვე მიხვდა, დიმა რა რადიოსაც გულის-
ხმობდა და ალელდა, ავად ხომ არ ხარო, ან
შენ, ან შენებო, და დიმა ისევ გაუმეორა:
ძალიან კარგი კონცერტი უნდა იყოს, მო-
ისმინე, ჩვენი ჩამოსვლაც ამ კონცერტზეა
დამოკიდებულიო. ალელვებული ნიკო ჩქა-
რი ნაბიჯით გამოეშურა სახლისკენ, ერთი

წუთით დედასთან შევიდა, დახედა, არაფე-
რი უთქვამს, ყოველთვის ერიდებოდა დე-
დის ალელვებას... მერე კი თავის კაბინეტში
გავიდა და ტრანზისტორი ჩართო. საჭირო
იყო რადიო „თავისუფლების“ დაჭერა, არა-
და ბოლო დროს განსაკუთრებით გაძნელ-
და მოსმენა, უდიერად ახშობდნენ. მათი
მონაფეობისდროინდელი ამხანაგი, რაჟიკო
უთმელიძე, შესანიშნავი რადიო-ინჟინერი
ამ რამდენიმე წლის წინ შინსახკომის უწყე-
ბაში რომ გადაიყვანეს, მართალია ძალისძა-
ლით, ისეთ სისულელეს ეუბნებოდა შალვა-
სა და ნიკოს, მე არაფერი მეხება რადიოს
მეტიო. კაცო, როგორ არ გეხება, როცა
ახშობ „თავისუფლებასო“, ერთხმად შესძა-
ხეს შალვამა და ნიკომ. ჰოდა ახლა, როცა
ცდილობდა ნიკო როგორმე დაეჭირა „თავი-
სუფლება“ და ხრიალი და შრიალი და გაურ-
კვეველი ხმები ესმოდა, სწორედ რაჟიკოს
ხედავდა რალაც დანადგარებიან ოთახში,
თავის თანამშრომლებთან ერთად, რომელ-
ნიც მთელი ძალისხმევით ჩართული იყვნენ
ამ უსინდისო საქმიანობაში, რომ არავის
არაფერი გაეგონა, არავის არაფერი სცოდ-
ნოდა, რომ ყოველი სიტყვა ხრიალად და
ურიალად ექციათ, წუილად და შიშინად...
„სირცხვილი შენ, რაჟიკო, სირცხვილი შენ!“
დროდადრო შესძახებდა ხოლმე ნიკო, ტრან-
ზისტორს ხან სად გადადგამდა, ხან სად,
ანტენას ასწევდა, დასწევდა, და ისეთი ბრა-
ზი და აღშფოთება იპყრობდა, რალაც უნდა
დაჯდომოდა, როგორც უნდა ეწვალა, უნდა
მოესმინა, უნდა გეგო, და გაგების მწვავე
სურვილთან ერთად ჯიბრისა და ქიშპობის
წადილი ეუფლებოდა, ეჯობნა რაჟიკოსთვი-
სა და მისი რაზმისთვის, როგორმე აუცილებ-
ლად ეჯობნა! გადანყვიტა გარეთ, უკანა
აივანზე გასულიყო... გრძელი და ფართე
აივანი იყო და დედა რომ არ გაელვიძები-
ნა, მისი ოთახი სწორედ აქეთ გამოდიოდა,
ბოლოში წავიდა, იქ ტახტზე ჩამოჯდა და
კიდევ უფრო გამძაფრებული მონდომებით
დაუნყო ტრანზისტორს ჩხიკინი... და რო-
დის-როდის ერთმა სიტყვამ როგორღაც გა-
მოაღწია, ხრიალის ზღვიდან ამოყვინთა და
მართალია, ძლივს გასაგონად, ნიკოს ყურს
მაინც მისწვდა სიტყვა „ტანკები“, და ამ
სიტყვამ ნიკო ისე აალელვა, რადგან ეჭვი
არ ეპარებოდა, რომ ლაპარაკი იქნებოდა
საბჭოთა ტანკებზე და რალაც დამსჯელ ლო-
ნისძიებაზე... ისევ შეუტია ტრანზისტორს,
უნდა გაეგო ვის სჯიდნენ, ვისა... ახლა უკ-
ვე ეზოში ჩავიდა და გულუბრყვილოდ იფიქ-
რა „კაკალქვემ დავჯდები, იქნებ კაკალმა
ანტენობა გასწიოსო.“ მაგრამ კაკალი იყო,
თუ რა იყო, ნიკომ მეორე სიტყვაც როგორ-



ლაც გაიგონა, და ეს იყო „პრალა“, ოჰ, ოჰ, საბჭოთა ტანკები პრალაში შევიდა! აი, რას ნიშნავდა ეს ორი სიტყვა! კიდეც და კიდეც ეცადა ნიკო, ახლა უკვე იცოდა რაც ხდებოდა და ორიოდ სიტყვა უფრო იოლად გაიგო... და წარმოუდგა საშინელი სურათი, ცოცხლად, ხატოვნად, ოოო, ბოროტი ხელისუფლება, საშინელი ხელისუფლება, განადიდი ხანია რაც დუბჩეკი იყო მოსკოვში და როგორი პრაპტი-პრუპტით გაისტუმრა ბრეჟნევი... ეზიზღებოდა ბრეჟნევი, განსაკუთრებით ამ კოცნა-ლოშნის დროს, გულში კი რა მზაკვრობა ედო, მცირეოდენი პაუზის შემდეგ აუცილებლად გამოჩნდებოდა, აუცილებლად... როგორც ესლა გამოჩნდა! ღმერთო, ჩეხების მდგომარეობა... ხალხი გამომლილია ქუჩებში. ალბათ, ქვებს ესვრიან საბჭოთა ტანკებს... რა დღეში აგდებენ თავის ჯარისკაცებს, რა დღეში, რომ ყველას სძულდეს, ყველა წყევლა-კრულვით ავსებდეს! უღმობელი მთავრობა! მზაკვარი და უღმობელი!!! ალბათ, ბევრი საზღვარსაც ეცა, რომ დატოვოს თავისი ქვეყანა...

გადაიხვენოს... საბჭოთა სისტემასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს... აპაპაპა არავითარი! სისხლიანი სისტემა! არსად არასდროს ამდენი სისხლი რომ არ დაღვრილა! აგერ დღეს საავადმყოფოში კიბოიანი ქალი მოუყვდათ და ნიკო იმას განიცდის, და ვერ გაუგია ეს რა ხალხია, დედის რძით არიან გაზრდილი თუ ბალახი უძოვიათ?! ველურები! და გულისწყრომით მოცულ ნიკოს, აღშფოთებულსა და განერვიულებულს, და თან საშინლად დაღლილს, ერთბაშად თავი ჩამოუვარდა და ჩათვლიმა... და ტრანზისტორის ხრიალი გუგუნად იქცა... ტანკების გუგუნად... ხალხი, ხალხი, ხალხი... თიკოც თითქოს აქ იყო... ხალხს შეერია, თვალს მიეფარა თიკო, თიკო, თიკო, ნიკო ხიდის პარაპეტზე ახტება: დაიშაღეთ ხალხო, დაიშაღეთ, გეხვენებით, გარწმუნებთ, დაიშაღეთ, ვის სწირავთ თავს, ვისა, ყვირის ნიკო, ცოცხალმა მოგვთხარა, მკვდარმა აგვაოხრაო, დაგავინყდათ? დაგავინყდათ? აგვაოხრებს ხალხო, აგვაოხრებს, ტანკები მოდიან... გუგუნით ახლოვდებიან... აგერ, გოგონა გამოეყო ხალხს, გადაუდგა ტანკებს, ქალაღიას უფრიალებს... თიკო, თიკო, თიკო... უნდა გაარღვიოს ხალხი ნიკომ და დამბლადდაცემულივით ადგილიდან ვერ იძვრის, გოგონა კი ყვირის, წადით, წადით, წადით, რა გინდათ ჩვენგან, რა გინდათ, წადით, წადით... ტანკები კი პირდაპირ გონაზე მოდიან... და აგერ, გოგონა ასფალტზე გდია გასისხლიანებული, გაგიჟებული ნიკო მირბის, თიკო, თიკო, თიკო... მივარდე-

ბა ასფალტზე პირქვე დამხოხილ გოგონას, გადმოაბრუნებს და... ღმერთო ჩემო... ეს ხომ... ეს ხომ... ნაზო ბენიძეა, ამბობს უკვე გამოფხიზლებული ნიკო, ნაზო ბენიძე, თელაველი ახალგაზრდა ქალი, შეიძლება ითქვას, გოგო 9 მარტს ორმოცდათექვსმეტში რომ მოკლეს... მაშინ როგორ იმოქმედა... ყველაფერმა... რაც მოხდა, რა უბედურებაც დატრიალდა... საკვირველია სიზმარი, ხუთი წუთიც არ სძინებია და ისე მკაფიოდ, ისე ცხადად ხედავს ნაზო ბენიძის ქერა თმას, ასფალტზე გაშლილს და აბრეშუმის ჭრელ ქალაღიას... როგორც ჩანს, ჩემთვის იქცა სწორედ ნაზო ბენიძე იმ საშინელი დღეების სიმბლოდო, მწუხარედ გაიფიქრა ნიკომ, ტრანზისტორი გამოთიშა და სახლში ავიდა. მაგრამ სულ აღარ ეძინებოდა, აფორიაქებამ დარია ხელი... განა არა, დიმა ხომ უამბობდა რა მდგომარეობაა მოსკოვში, რომ ეგრეთ ნოდებული „დათობა“ ისტორიას ჩაბარდა, აღარავითარი გაფხაკუნება, თავისუფალ სიტყვას ხელი მოუჭირეს და სოცბანაკს კიდეც შეუტყის... პრალაში შესვლის შემდეგ, გამკაცრდება თვალთვალი, ხომ შეიძლება ვინმე უთანაგრძნობდეს ჩეხებს, ხომ შეიძლება ვინმეს გული სტკიოდეს და ძალიანაც სტკიოდეს, და პირამდე სავსე იყოს კრიტიკული პათოსით, სავსე იყოს წყრომითა და რისხვით ამ სისტემისა და მთავრობის მიმართ! ვინმე? როგორ გადაუვარდა გონებიდან, დიმა რომ უთხრა ჩვენი ჩამოსვლა ამ კონცერტზეა დამოკიდებულიო... რატომ უთხრა, რატომ... ნუთუ აპირებენ პროტესტის გამოხატვას, ეს ხომ წარმოუდგენელია... მაშ, რატომ უთხრა, რატომ... არა, არა, თავისი აღშფოთების მიუხედავად, ნიკოს ვერ წარმოუდგენია პროტესტი, ვერა, ამ უზარმაზარ მახინას, მიდი და შეები, ვინც შინსახკომის კაბინეტში ყოფილა დაკითხვებზე, — არადა ნიკო ხომ ბევრჯერ ყოფილა, და მით უმეტეს ჯურღმულებში, ის ადვილად ვერ გაბედავს პროტესტის გამოხატვას, ეს წარმოუდგენელია, პროტესტი შეიძლება მარიკოსთან გამოხატო, შალვასთან და ლელიკოსთან ითუხთუხო, ეს არის და ეს! და სიზმარში იქნით ხელები, როგორც წელან ხიდის მოაჯირზე შემდგარი გადასახხოდა ხალხს დაიშაღეთო... დიმა კი, ბოლოს რომ იყო ნიკო მოსკოვში, გვიან შემოდგამაზე, რა გულის მოსაფხანნი წერილები წააკითხა, — დიმა მათ ავტორებს „დისიდენტებს“ უწოდებდა, — რემინგტონზე ნაბეჭდი სტატიები და წერილები, ძალას იკრებს დისიდენტური მოძრაობაო, ეუბნებოდა დიმა, და ნახე, სისტემას როგორ გამოეთხრება ძირი სიტყვით,



სიტყვით გამოეთხრებაო. აი, როგორ გამოეთხარა, პრალაში ტანკებით შევიდნენ! და თუ ვინმე პროტესტს გამოხატავს, ნახავენ რა დღესაც დააყრიან!

არა, არა, არავითარ შემთხვევაში თიკოს გაგზავნა ხანგრძლივი მივლინებით მოსკოვში არ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში! თავისუფლებისმოყვარე დედის მუცლიდან... და ძალმომრეობის მოძულეც დედის მუცლიდან! სტკუცოს თავი ამ მოძრაობაში, ხიფათს რასმე გადაეყაროს, ხომ გაგიჟდა ნიკო, და გაგიჟდება იმიტომ, რომ ვერ დაიცავს თავის შვილს, ვერა, ვერა, ვერასგზით, თავიც რომ შეაკლას, მაინც ვერ დაიცავს! რომელმა მშობელმა დაიცვა თავისი შვილი, ამათ ხელში არ არსებობს დაცვა! თავით ნიორიც რომ დანაყო! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, დიმა ხომ ეუბნებოდა, რომ მათთან მივიდნენ, როცა არავინ სახლში არ იყო და დიმა საწერი მაგიდა გაჩხრიკეს, კიდეც კარგი, გადაბეჭდილი მასალა უკვე გადაცემული მქონდაო, ვერაფერი ვერ ნახესო, მაგრამ, ეს ხომ ერთი სისტემაა, რა აქ, რა მოსკოვში და რა კამჩატკაზე, ერთი, ერთი, დიდი რკინის ბადითაა შებოჭილი მთელი ქვეყანა... ჰოდა, ხომ შეიძლება აქაც მოვიდნენ, მაშინ ხომ მოვიდნენ და წაიღეს ნიკოს ველოსიპედი, ახლა კიდეც თიკო, თავისი ნაწერებით, აკი წაიკითხა ნიკომ, თიკოს ნასვლის შემდეგ, 1804 წლის აჯანყების შესახებ და ისე შემზარავად იყვნენ დახატული რუსი კაპიტან-ისპრავნიკები, მეტი რომ არ შეიძლება... ნიკო დარბაზში სცემდა ბოლთას და გამალებული ფიქრობდა, თითქოს რაღაც უნდა მოეფიქრა და მოემოქმედა. აღელვებული და აფორიაქებული, ისე ვერ დანვებოდა, ვერ დაიძინებდა... მით უმეტეს, სრულიად გაუკრთა ძილი, გეგონებთ, იმ ჩათვლემამ გაუბარა გამოძინებაო... ჰო, ჰო, განსაკუთრებით ის ერთი, ნითელცხვირა და ლოთბაია კაპიტან-ისპრავნიკი „ლუკიჩი“, თავის თავს არა მხოლოდ რუს ჯართან, არამედ მთელ რუსეთთან რომ აიგივეს, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს და „წკეპლაში ატარებს“ საწყალ გლეხებს, იცოდეთ, თქვე ძაღლის შვილებო, ჩემი ლანძღვა დიდი რუსეთის ლანძღვააო, თან დასძახის. შეიძლება მართალია მარიკო, აი, ახლა, ფიქრობს ნიკო აღელვებულ გულზე, შეიძლება მართალია, რომ ეუბნება, აიღებ თუ არა ხელში თიკოს ნაწერს, მაშინვე ცენზორად იქცევით, და ამის გამო, შენი ნაკითხობის მიუხედავად, ობიექტური შეფასებაც აღარ შეგიძლიათ, ნიკომ დაიკვნესა... იმიტომ, რომ ცხარე მამაა, იმიტომ, რომ სულ შიშშია თიკოს დაუდგრომელი

და თავისუფლებისმოყვარე ხასიათის გამო. მაშინ რაღას იტყვის ნეტავ მარიკო, რო მოვიდნენ, ამოქექონ ეს ნაწერები, თიკოს თავზე კაკალი ამტვირონ და განდევნონ ქვეყნიდან... და ველარასოდეს, ველარასოდეს ველარ ნახონ თავისი ერთადერთი შვილი! უნდა ადგეს მაშინ ნიკო და თვითონაც გულხელი დაიკრიფოს! თანაც რა დროს?! როცა შალვამაც და ლიზიკომაც ნასვლისას ლამის შემოჰფიცეს, რომ მთაში, ბუნების წიაღში, ყოველ ღონეს იხმარდნენ, თიკოს ოთართან დაოჯახებაზე ეფიქრა. „ახლა, ბატონო ნიკო,“ ეუბნებოდა გულმხურვალედ ლიზიკო, „თიკოს ვისთვის გავიმეტებდი არც კი ვიცი, მაგრამ ოთარი სულ არ არის ხელსაკრავი, ბოლოს-ბოლოს ვერ შეენყოფა თიკო და გათვისდებიან, შვილი ეყოლება და მთავარი კიდეც შვილია, მე მაგალითად, ბატონო ნიკო, სულ აღარა მაქვს იმ იდიოტი ლექსოს დარდი, კისერიც უმტვრევია, შვილები მყავს და მიზანი მაქვს ცხოვრებაში, თიკოს კი ისე უნდა ვეჩიინოთ, ხომ იცით შეძახებას და შებლაღვლებას რა მნიშვნელობა აქვს, აგერ, ჩვენი ამხანაგი, პედიატრიულის ექიმი, თინიკო მანველიშვილი, იცით თქვენ, ჩვენ რომ არ მივსეოდით, არასოდეს არ გაჰყვებოდა სპარტაკს, წყალთა მეურნეობის ინჟინერს, თავს იკლავდა, ეგ მეორედ არ მითხრათო, უმალ ლეკებში წავალ და მაგაზე კი ჩემს სიცოცხლეში არ ვიფიქრებო. ვერ ცხოვრობენ გუგულებივით? რომ წარმომედგინა სპარტაკი ასეთი იქნებოდა, ამდენს როგორ გალაპარაკებდითო, ახლა სულ ამას გვეუბნება.“ მართლაც, მართლაც, თინიკო მანველიშვილი, რა კოხტა ქალი, კარგი ექიმიც, არაფრით თიკოზე ნაკლები არაა, არაფრით! და მღელვარებისგან გონებაარეულმა ნიკომ ჰა და ჰა, წარმოდგინა, რომ ბედნიერების გზაზე შემდგარ თიკოს ახლა, ამ მოგუგუნე ტანკების, ამ დისიდენტების, თავისუფალი სიტყვის ამ დევნის დროს სწორედ თავისმა ნაწერებმა შეიძლება თავში ჩასცხოს და ყველაფერი უკან დაატოვებინოს. უნდა გადამალოს, ეს ნაწერები სადმე სანდო ადგილას, უნდა გადამალოს, რომ ვერ მიაგნონ, ვერ იპოვნონ... ყველაზე კარგი იქნებოდა სხვენში... რა თქმა უნდა, იმ ხარახურაში... მაგრამ ვინ ავა ახლა იქ, ეს შეუძლებელია... თავის კაბინეტში? წიგნების უკან? არა, არა, პირველ რიგში წიგნებს დაუნყებენ ქექვას... ნიკო იდგა შუა დარბაზში და აქეთ-იქით იყურებოდა... სად... სად... გარდერობში? თუ სადა? კედლის ღუმელში, აგერ კუთხეში, მერე რა ღრმაა, ხელს ვერ შეუწვდენ... ვითომ დასანჯავი ქალაღდებია, ღრმად,

ღრმად უნდა შეიჩურთოს და ზედ დაჭმუჭ-
ნული გაზეთები მიეყაროს... ოჰ, ღმერთო,
თუნდაც ის სალდაფონი, წამოაგონდა ნი-
კოს გენერალი ლაზარევი, ქართველთმოდუ-
ლე! დიდი რამეც, თუ ბოლოს თიკოს სენ-
ტიმენტალობამ სძლია და ისე მოკლა, ისე
არადამაჯვრებლად! ვინ კვდება ასე, ვინა?
ან ეს იდიოტი ბატონიშვილები... ერეკლე
ჯერ არ მომკვდარა, ისინი აქ ბჭობენ?! ან
როგორ უნდა ებჭოთ, როცა ერეკლეს სიკ-
ვდილის დროს თელავში არც ყოფილან, ყო-
ველ შემთხვევაში, გიორგი ბატონიშვილი,
და ეს ჩხუბები მერე იყო, მერე... ჰოდა,
სულ ტყუილები, ტყუილები... და ამ ტყუ-
ილებისთვის კრიტიკოსებმა და ცენზურამ
მათრახები უნდა უჭირონ... თიკოს ოთახში
გავიდა, სინათლე ჩართო, მარჯვნივ კედელ-
ზე წითელ ნატურმორტს შეხედა და ახლა
ეს მშვენიერი ნატურმორტი, წითელი ფე-
რის ეს გამა თითქოს ავისმომასწავლებლად
ეჩვენა, პრადა, ალბათ, წითელი დროშებით
არის მოფენილი, იფიქრა, დანოკებული
ხალხი და თან წითელი დროშების ფრიალი,
რა კარგია, არაა?! საწერ მაგიდასთან მივი-
და, შუა ღიობში ხელი შეყო, უჯრის ვინრო
შვერილიდან გასაღები გამოიღო და დიდი
უჯრა გახსნა, სადაც თიკო თავის ნაწერებს
ინახავდა. ქალაღების დასტა, თიკოს წერი-
ლი ხელით ჩანიკნიკებული, და დიდი დავ-
თარი ამოიღო, და უცებ, მოულოდნელად,
ამ პანია, კობცა ასოების დანახვაზე ლამის
გული აუჩუყდა, იგრძნო, როგორ მოენატრა
თავისი შვილი... ნაწერები მაგიდაზე დადო,
მაშინვე უჯრას მიუბრუნდა, ხომ არაფერი
დამრჩაო და სიღრმეში რაღაც ფურცელი
შენიშნა... და რომ გამოიღო და დახედა,
გულმა რეჩხი იუყო და ეჭვმა მოიცვა, მთე-
ლი ფურცელი მოფენილი იყო ასო „შ“-თი,
შუაში კი მსხვილად ეწერა „შ“-ს, და ნაპი-
რას წვრილად ნაწერი პანია სტრიქონები
იყო ჩამორიგებული... ნიკომ გულის ჯიბი-
დან სათვალე ამოიღო, მაგრამ ვერ გაარ-
ჩია... თავისი ოთახიდან ლუპა გამოიტანა
და აი, რა ნაიკითხა:

„და მსურს მჯეროდეს, (და მაინც მჯერა)
რომ გიყვარვარ,
როგორც უნინა,
დაუსაბამო განშორებით
დატყვევებული.
ო, გვედრები,
კვლავ მანდე
შენი გულისთქმა,
რომ შრიალებდეს
ჩემი სული,
ან დაყურსული.“

ქვეშ თარიღი ჰქონდა მიწერილი, 15 ივ-

ლისი, 68 წელი, ლამის 2 საათი. და აგრეთ-
ვე, სულ მთლად ქვევით კიდეზე, გაფან-
ტული ასოებით: „ო, სიყვარულო, რატომ
მტანჯავ ასე უწყალოდ.“ ფურცლით ხელში
ნიკო სავარძელში ჩაჯდა და ისე დააცქერ-
და ამ ტაეპსა და ამ უთვალავ ასო „შ“-ს,
ლამის თვალები აუჭრელდა...

ვინ არის ეს „შ“, ვინა... შ, შ, შ... დაშო-
რებია და იტანჯება... უყვარს... შ... შ... რა
სახელი იწყება შ-თი, შოთა? შოთა... შოთა...
ვინ არის, ვინ უნდა იყოს... არავინ არა,
შოთა არ არის... შარმაზანი? ან შერმადი-
ნი? ერთი შარმაზანი იყო თელავში, ეხლა
ცოლ-შვილით გაგრაშია ექიმად, თიკო იმას
არც იცნობს! არავითარი შარმაზანი! შერ-
მადინი კიდევ, არავინ არ ჭაჭანებს ამ სა-
ხელისა... და შიო... შიო ხომ აღარავის არ
ჰქვია, რა შიო, რის შიო! შურა? ჰო, შურა
არის ძალიან სიმპატიური, საგზაოს ინჟინე-
რი, შურა საგინაშვილი, მაგრამ თიკოს არა-
ვითარი ურთიერთობა იმასთან არა აქვს,
მგონი ხეირიანად არც კი იცნობს! მაშ ვინ?
ვინ უნდა იყოს... ვისთანაც თიკოს საერ-
თო აქვს? ვინა! თავს იმტვრევდა ნიკო...
და უცებ, ისე შეკრთა და შეიშმუშნა, გეგო-
ნებათ თავში კეტი მოარტყეს და გამოაფ-
ხიზლესო! შალვა? შალვა? შალვა? ნუთუ...
ნუთუ... მაშ ვინ, სხვა არავინ არის „შ“. ნუ-
თუ ეს შესაძლებელია?! როგორ, რანაირად,
მის ხელში დაბადებული და გაზრდილი...
ძმასავით შერდილი ნიკოსთან... შალვა?!
მუზეუმში სულ ერთად არიან... სხვას არც
არავის ხვდება... არავის... თიკო აცდუნებ-
და... თიკო... იცის ნიკომ... ეჭვი არ ეპარე-
ბა... აღარ... უსინდისო! ღმერთო, ღმერთო,
თუ იქ ვინმე შენიშნა... თუ ვინმე მიხვდა...
თუნდაც ერთი ვინმე... ოოო, რა თავის მოჭ-
რაა... ის ლექსიც, ისიც, პურს და წყალს
რომ სთხოვს... მაშისხელა კაცს, მამის უახ-
ლოეს მეგობარს, ძმას, ძმას! ესე იგი, შალ-
ვა მაინც პატიოსანია, რომ სიახლოვეზე არ
წავიდა... თუმცა რაღა პატიოსანი, თუ პასუ-
ხობდა, განა არა, ამას წინათ რომ მოვიდა,
აკი უცნაურად მოეჩვენა... აშკარად... თან
კონიაკს კონიკზე სცლიდა, საერთოდ რომ
არ ეტანება სასამელს... ერიდება კიდევ...
უსინდისოები! ერთად მუშაობენ, მთელი
დღეები ერთად არიან, ჯერ კიდევ არავინ
იცის, რა იქნება და როგორ! თიკო არ მო-
უსვენებს, არა, არ დაუშვებს, რომ არ უყ-
ვარდეთ! ვის ჰგავს, ვისა, ასეთ უმნიკვლო
ოჯახში გაზრდილი?! ასეთი... თავზე ხელა-
ლებული! ოჰ, ოჰ, ლელიკო რომ მიხვდეს,
ხომ თავი ექნებათ მოსაჭრელი... არც შინა-
ური... არც გარეული... ვინ არის ეს, ვინა!
არადა, სიყვარულზე ადვილი მისახვედრი

რა არის! ღმერთო ჩემო, მაშინ სხვები მიხვდნენ, სხვები, ნიკოს რომ თურმე მარიკო უყვარდა! ჯერ თვითონ მთლად გააზრებული არც კი ჰქონდა, არადა მიხვდნენ! არა... არა... არავითარ ოთარზე არ იფიქრებს! იდიოტი, ვერა, ვერ მოაწონა თიკოს თავი! ჯანდაბამდეც უვლია! მაგრამ ოთარს რას ემართლება, როცა ასეთი საშინელება გაიგო! გაიგო კი არა, მიხვდა! რა უნდა ქნას ნიკომ, როგორ მოიქცეს, როგორ დასაჯოს, როგორ! უსინდისო! ვაი სირცხვილო და თავის მოჭრავ! და ნიკომ ჯერ ეს ფურცელი ნაკუნებად აქცია, მერე წამოავლო ხელი დავთარსა და თაბახების დასტას, გაშმაგებით გამოიარა დარბაზი, თავის კაბინეტში გამოსხნა კედლის ღუმელის რკინის კარი, შეყარა ყველაფერი, რაც ხელში ეჭირა, სწრაფად, სწრაფად, სწრაფად გავიდა სამზარეულოში ასანთის მოსატანად, გაჰკრა ასანთს და ცეცხლი ააბრიალა...

ქოხში, ტახტთან, დაბალ სამფეხაზე მოკუნტულიყო მუშტად ქცეული თიკო. რაც შალვა ამ ტახტზე დაასვენეს და ზევიდან ფარდაგი გადააფარეს, თიკომ სამფეხა მიიდგა, დაჯდა, თითქოს დაყუნცდა და აღარც ამდგარა. ასე ეგონა, სიცოცხლეს აღარ უნდოდა... ფარდაგი მოკლე იყო, ცხედარს მთლიანად ვერ ფარავდა, ტახტის ბოლოს მირინოსის კაშნეთი გაკრული კედებიანი ფეხები მოჩანდა, სასთუმალთან კი კეფაზე გამოკრული ხილაბანდის კიდეებიდან გამოშლილი, ჭრელ მუთაქაზე გაბნეული ხშირი, ჭალარა თმა. თმა ისევე თავისუფლად, თავის ნებაზე ჩამოშლოდა, გეგონებოდათ ეს თმა სიკვდილს გამოწვივებოდა და თავისი სიცოცხლით ცოცხლობდა... თიკო ზოგჯერ გადაიხრებოდა, აკანკალებულ ხელს გაიწვდიდა, თმებს დაუსვამდა, მერე ისევ მუხლებში ჩარგავდა თავს და გაშეშებოდა. არავის დანახვა არ უნდოდა, მარტო თვითონ უნდა ყოფილიყო შალვასთან, მარტოდმარტო... მაგრამ ვინ გაუშვებდა მარტოს, შეძრული და თავზარდაცემული იყო ყველა. და, მგონი, ყველაზე მეტად აიუფა, რომელიც არც ჩნდებოდა, გარე-გარე უვლიდა აქაურობას და მხოლოდ დაადის საშუალებით ოთარი გაიხმო და დაელაპარაკა. ლიზიკო თავს იკლავდა ტირილითა და მოთქმით, თან იმასაც ჩაურთავდა ხოლმე, კიდევ კარგი ბავშვები არ არიან აქ და არ შეესწრნენ ამ საშინელებასო... აი, ვინ არ

იყო შენუხებული და ოთარი, პირიქით, ძალიანაც უღბინდა, თუმცა ცდილობდა შუბლიც შეეჭმუნა და თავიც ექნია, ფრაზა, რომელსაც გუნებაში აკვიტებულად იმეორებდა „ზოგი ეხლა შეგვიშალოს რამეში ხელიო“, გამოყოფნადა ხოლმე სახეზე მქრქალ ღიმინდა... საგონებელში იყო ჩავარდნილი და თავს იმტვრევდა როგორ დალაპარაკებოდა თიკოს და ბოლოს გადანყვიტა და ქოხში შევიდა, ტახტის კიდეზე, ცხედრის ფეხებთან ჩამოჯდა და თიკოსკენ გადმოიხარა: „ყური მიგდე, თიკო, რა უნდა გითხრა... გესმის? გთხოვ, აიღე თავი.“ „არაფრის გავგონება არ მინდა...“ ცივი, შეცვლილი ხმით თქვა თიკომ, „სადაც არის ირიყრაყებს...“ შენ უნდა ნახვიდე მამასთან, სასწრაფოდ...“ „რა თქმა უნდა,“ სწრაფად თქვა ოთარმა, „მაგრამ მე სხვა რამე უნდა გითხრა, თიკო, და გთხოვ ჩაუფიქრდე, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ შალვას თვითონ გაუყვარდა თოფი...“ „არავითარ შემთხვევაში! არა არა არა არა!“ და ისეთი მრისხანებით ჰქონდა თვალები სავსე, ძალა რომ ჰქონოდათ ამ თვალებს, ოთარს ადგილზე გააქრობდნენ. მაგრამ ოთარი არ შედრკა: „გამიგონე ერთი წუთით, რა გამოდის, რა, რომ ეს პატიოსანი კაცი შენს კარავთან დათვივით მოკლეს?! ეს გინდა გაიგონ, ესა? აი, ამას ამბობს აიუფა, წყლის დასალევად ჩავედი და დავინახე თიკოს კარავთან ნამდვილი დათვიო, მე მეგონა გადააქცევს კარავს და თიკოს დატორავსო, თავს იკლავს, ისე წუხს, მაგრამ გიჟია თავი დაილუპოს და არა თქვას როგორც იყო?“ „ჰოდა, თქვას, თქვას რომ მოკლა!“ დაიძახა თიკომ, „არ დავუშვებ, რომ შალვას მკვლელი არ დაისაჯოს არა არა არა არა არავითარ შემთხვევაში!“ „როგორ!“ ხმას აუნია ოთარმა, „არ უნდა ვიფიქროთ რეპუტაციაზე არაა? არაა? რომ როგორი შეუბღალავი სახელი ჰქონდა, ისეთივედ დარჩეს!“

„არა, არა! რეპუტაცია არაფერ შუაშია! შეუბღალავი თოთო ბავშვიც არ არის! უნდა დაისაჯოს! ყოველ მიზეზ გარეშე! უნდა დაისაჯოს!“ ყვიროდა თიკო.

„და მე მინდა?! აბა, მე მკითხე მინდაა, რომ ჩემი მომავალი მეუღლის რეპუტაციაც შეიბღალოს!“ „წადი ეხლა აქედან, გეუბნები, წადი!“ კინალამ თვალეები ბუდიდან გადმოსცვივდა, „უნდა ჩაუსწრო პირველ ავტობუსს რვა საათზე, გესმის, გესმის!“ და ოთარი რომ წავიდა, დადო თავი შალვას თმასთან მუთაქაზე და მწარედ ატირდა.

/გავრძელება იქნება/



ლექსოს
 (უმცროს შვილს)

შენ დიდი პაპის სახელი გქვია,
 გიყვარს ღვინო და გიყვარს ლექსები...
 ვერც გოგონების თვალების ბრიალს,
 ადვილად ველარ ჩამოეხსნები...
 სახეზე ღიმილს ატარებ ისე,
 ვით ღვთისმოსავი უფლის ხატებას...
 ერთანმინდაში პაატას კისერს
 თუ დასჭირდება მიემატები...
 დიდი პაპების სახელი გქვია,
 შენს ჯაჭვის პერანგს ლექსებით მე ვქსოვ...
 დედის ცრემლებზე ამოსულ იას,
 შენც გაუფრთხილდი პატარა ლექსო!

მწუხარე ბედნიერება

მე მიგატოვებ ალბათ, ოდესმე,
 როდესაც სული ზეცას წამივა...
 და შეიძლება სიზმრად მოგესმას:
 ბედნიერება მხოლოდ წამია...
 თავდავინწყება — გულდანყვეტილი,
 ჩამოღვენილი სანთლის ღერებად...
 ჩემი სიცოცხლის მრავალწერტილი —
 იყო მწუხარე ბედნიერება...

დედა მინას

აჰა, ვისწავლე, როგორც გინდოდა:
 როგორც გინდოდა, მხოლოდ ხუთები...
 და სასაფლაოს მყუდრო მინდორთან
 ბორცვს, ვით მშობლის მკერდს ვესათუთები...
 და დედაჩემის გარდაცვალებამ
 მინა მიქცია დედა მშობელად...
 მზე გახდა, თითქოს დედის თვალებად...
 მე კი... უფლისკენ ხელაპყრობილი
 ვჩურჩიულე: (იქნებ ხილვადა ვხედავ)
 „მინა იყავ და მინად იქეცი!“
 „დედა იყავ და მინად იქეცი!“
 „მინა იყავ და გამიხდი დედა!“...

მეხი ეცემა მხოლოდ მუხას და
 ველზე ბალახებს არაფერს ავნებს...
 სიკვდილსაც კაი ყმა თუ უყვარდა,
 როცა გესტუმრა შავრობა შავლეგ...
 გადაანთლა ვეფხმა ქვიშანი,
 (კაი ყმა სიკვდილს ეძახდა ბერავს...)
 ო, მწუხარებავე, შენ შეგიცანი,
 დედაჩემის რომ კუნავდი ლეჩაქს...

ვაჟა
 თორნიშვილი

მინდა მარიამს

განასხეულე ვინაც უფალი,
 განასხეულე თვითონ ქრისტე და
 რარიგ ენამე, როცა მუქარით
 ბრმა ბრბო
 მაცხოვარს ლანძღვით მისდევდა...
 მესაიდუმლევ მესიის შობის
 დედათა შორის ხარ კურთხეული...
 გახსენდებოდა ქრისტეს ბავშვობა,
 როცა გარდმოსხნეს წმინდა სხეული...
 და იოანე მიიღე შვილად,
 რადგან ჯვარცმულმა იესომ გთხოვა...
 გოლგოთას მთაზე ფარად გაშლილა,
 ადამის ძეთა ხორხორცა ხროვა...
 განასხეულე ვინაც უფალი,
 განასხეულე ვინაც ქრისტე და
 ჰოი, იესოს გადაეფარე —
 ბრმა ბრბო
 როდესაც ქვებით მისდევდა...

ქართული ოჯახი
 დღეს ციხე-კოშკია...
 ჩემი ხახულია
 და ჩემი ოშკია...
 სად გაქრა სიბრძნე
 და სად გაქრა სიქველე...
 ენას გვიგინებენ
 და მამულს გვიქვლენ...
 საიდან მოვიდა
 ამდენი ურჯულო...
 ო, ენავ დუმილის
 და არა მუნჯურო...
 აქ ყველა ოჯახი
 დღეს ციხე-კოშკია...
 ჩემი ხახულია
 და ჩემი ოშკია...

როდესაც ლექსებს არ დავნერ შენზე,
 ჩათვალე, აღარ მიყვარხარ უკვე...
 ო, მახსოვს ერთხელ, ყელის ტბის ყელზე
 ხეები ნისლის ყლაპავდნენ ლუკმებს...
 როდესაც შენზე აღარ ვიდარდებ,
 ჩათვალე: მორჩა ტრფობა ყოველი...
 მცხეთას ბნელშიაც აქვს სხვა სინათლე —
 მტკვარშიც ანთია სვეტიცხოველი...
 როდესაც შენთვის ველარ მოვკვდები,
 იცოდე, ჩემი სულიც დალენეს!
 ერთად განვლილი ჟამი მოკრიბე
 და მოაპნიე ჩვენს ცივ სარეცელს...

აღარ დაადგათ საშველი ღრუბლებს,
 ქარი წენავს და უბნევს ცხოვრებას...
 როგორ ადარდებთ ნეტა ალუბლებს
 აშარი ქარის ჩამოქროლება?
 შენ შეჩერდები და თვალით ზომავ,
 იმ ღრუბლებამდე ასაფრენ სივრცეს...
 და გავიწყდება ღრუბლები — მონა,
 წვიმებს თავისი სისხლი რომ მისცეს...
 ძუძუდაცლილი და დაშრეტილი
 წვიმების შემდეგ ღრუბლების ფთილა,
 მთების მკლავებზე თუ მთაგრეხილზე
 ურცხვ მეძავივით იძინებს ტკბილად...
 აღარ დაადგათ საშველი ღრუბლებს,
 ქარი წენავს და უბნევს ოცნებას...
 უფალო ჩემო, შენ დამაუფლე
 ბუნების ფერთა გასხვიოსნებას...

ვერ გაპატიებ ვერასდროს ღალატს
 და ტკივილებით დაფლეთილ ლოდინს...
 ეგ ცოდვა, როგორც მონღოლის ღალა,
 მოურიდებლად სიზმრებშიც მოდის...
 ვერ გაპატიებ, როგორ გამწირე,
 (თოვლს სხვა ფერი აქვს ქუჩაში ნაფენს...)
 გულში დაჭრილი ვდგავარ არწივი
 და ყვავ-ყორნისფერს გავყურებ კაფეს...

დარდის საღამოს მასპინძლობს ქარი,
 მოულოდნელი და აწყვეტილი...
 მხვდებოდა მუდამ მკვრივი და წყნარი,
 შენი გულ-მკერდის ნაზი ხეხილი...
 ხსოვნაში დარჩა ძალიან ცოტა,
 სულ ერთი წვეთი ცრემლის სამყოფი...
 კვირტებს იმიშვლებს ლაშქარი რტოთა,
 ქართან ომია ყოფნა — არყოფნის...
 გარდასულს თუმცა ვერას ვუშველით,
 ის სიყვარულიც შერჩათ სისხამებს...
 გაზაფხულია... თრთიან ნუშები
 თუ მეორდება ისევ ის ღამე?..

როცა მოვკვდები, მე, ობელისკად
 ქართლის ღრუბლები გულზე დამადგით...
 როგორ მინდოდა, რომ გამერისკა,
 ფრენა ვიცოდი, მაგრამ ვმაღავდი...
 ქარების უღელს ქედზე დავიდგამ,
 რომ მოვეფერო კლდეთა ქარაფებს...
 როგორ ჩანს სული სიტყვების მიღმა,
 როდესაც სივრცე ნიშნავს არაფერს?!

მარტოსული ქალის აღსარება

ვერ გავამართლე ვიცოდი,
 ცხოვრებავ, ჩემი ილბალი...
 სიმორცხვით ისე ვინვოდი,
 როცა მომარგე ნიღაბი.
 საყვარლის ანდა მეძავის,
 (თუ დარდიანი დედისა...)
 კვლავ ტკივილები მძერწავენ,
 სიმშვიდე აღარ მეღირსა.
 ოჯახისა თუ სამარის...
 ცხოვრებავ, ჩემი ილბალი!
 ცალად დარჩენილ ირემის
 დარდით სიყვარულს მივბლავი...

მიქელ გაბრიელი
მიქელ ანჯელოსთან,
თითქოს დარცხვინით და
ჩურჩულით მივიდა...
ნახატს ანათებდა
ცრემლი ანგელოზთა —
გაცისკროვნებული ციური სხივითა...
ცა ცისარტყელების ფერებმა განბანეს,
ღვთიური სიმშვიდე ტილოზე დავანდა...
მოესხა გენიოსს ნისლების საბანი,
ცხოვრების მკაცრ სურათს
ცრემლებით ნამავდა...

— მე თქვენ მიყვარხარხართ!
ხმა სიმტკიცით ჰგავს ლითონს...
და მარტოობა იქნებ აფრენას ნიშნავს...
— ისევ გიყვარვარ?
კვლავ დავიჯერო, ვითომ?
— არაფერია, დღეს უკვე არამიშავს...
მტერთან გიყვარდა მუდამ პირისპირ დგომა,
თუმცა ერთგულების ფასი არ იცი ალბათ...
მოგიახლოვდა ღვინისფრად შემოდგომა,
ცრის... ყორეებზე სიპი ქვებიც კი დალბა...
ჩაგეცინება... მწარე სიზმარი ახდა
და მირაყული ტრფობა ნისლივით ქრება...
ო, ტკივილებო, მკერდს შევაგებებ ლახვარს,
რომ დამიტვირონ ცრემლების მინანქრებმა...

ფიროსმანის ქუჩა,
შენი სამოსახლო...
დარდს ბოლო არ უჩანს,
გული შენზე ნაღვლობს...
და სიზმარში გზატავ
გაზაფხულთან ერთად,
იდუმალს და სადას,
მონატრებულ ფერთა...
განშორება შენთან,
შეთრთოლება სიმთა,
ცრემლმა ამოხეთქა,
განა მართლა წვიმდა...
ფიროსმანის ქუჩა,
შენი სამოსახლო...
დარდმა დამამუნჯა,
განა სიკვდილს ვნაღვლობ...
მიგამსგავსე ერთხელ
სალოცავში ხატებს...
ფიროსმანთან ერთად
ვლოთობდი და გხატე...

ცხელი სხივები ნისლებს სჩეხავენ
და ეძენძებათ ქედებს ზურგები...
მოდის, შემომხვდის, სადმე ეხლავე,
ჩემთვის ნანატრი, სხვისთვის ურგები...
და ორღობეში გაჩრილ ალიონს,
შემოქცობიან ხეთა ტოტები...
ო, არ გადადო შენ სახვალიოდ
შეხვედრა, თორემ სხივად მოვკვდები...

ამ განშორების ტკივილის ლავა,
გვანადგურებდა ორივეს მწარედ
და მზე, რომელიც მწვერვალზე ჩავა
უერთმანეთოდ დაგვითვლის წამებს...
გამოსავლელი იყო შენამდე
ჩვენს გულთა შორის გაბმული ხიდი...
მენატრებოდი განშორებამდე
და დაბრუნების სიხარულს ვცლიდი...

სიზმარ — ცხადი

თითქოს ახლიდან იწყებ სიცოცხლეს,
თითქოს ახლიდან იწყებ გაჩენას...
ო, უცნაურად რად დაიმორცხვე,
რად ვერ აკეთებ ბოლო არჩევანს?
და ისევ ნინო დედას სხეული
და ისევ ნინო დედას სიტბო და...
და... ტკივილებით გადამსხვრეული
ტანი, ღვთისმშობლის
ფერხთით მითრთოდა...

ერთმანეთს დროში
დროებით ავცდი...
მე არ მინახავს
როგორ ცეკვავდი
წვიმაში... ზღვაზე...
შენს გვერდით კაცი,
მუსიკის რიტმზე
როგორ გეკვროდა...
მე არ მინახავს...
და მაინც გდარდობ...
შენ არ გეგონოს
გული გაცივდა...
ჩვენ შეიძლება
დავშორდეთ კარგო,
მაგრამ ერთმანეთს
ვერ დავცილდებით!

და მე არ ვიცი,
 ხვალ სად ვიქნები,
 სად წამიღებენ
 ლურჯი ქარები...
 და... მოვალ შენთან
 ჩემი ფიქრებით,
 ჩემი დარდებით,
 და აღსარებით...
 თვითგვემით ვცხოვრობ
 და ვრითმავ ბნკარებს,
 ხან მკლავენ, მაგრამ
 არ ვიცი მარცხი...
 შენ არ გეგონოს,
 მე სადმე წაველ...
 უბრალოდ, დროში
 დროებით ავცდით...

ვცხოვრობ ასე უსიზმრებო სუსხით,
 მონატრების მაფარია ფარჩა..
 საათი კი ჩემთვის დროს არ ნუსხავს,
 მხოლოდ წარსულს —
 შენს გულში რომ დამრჩა...

ქეთევანს

ალუბლისფერი ნაბადი
 ნეტავი მათელინაო,
 შენ ვნებით თვალებს ნაბავდე,
 დამე გეგონოს დილაო...
 ცეცხლი გეკიდოს ნეტარი,
 კვნესდე: „სად იყავ აქამდინ...“
 გამათელინა ნეტავი
 ალუბლისფერი ნაბადი...

სიმარტოვით მარტვილობს
 ჟამი მარტოსულეთის,
 ვისთვის არა მარტივი,
 პოეტისთვის სულერთი...
 სიზმარეთი საზარი
 აზანზარებს ზმანებას,
 თითქოს ცრემლში ნაზავი
 ზრინი გვამცნეს ზარებმა...
 და რიჟრაჟმა ხევები
 ნისლით გაალიცლიცა...
 მიყვარს შენი ხელებით
 შეთრთოლება ცისკრისა...

უპენობა

ცარიელი ქალაქი,
 ცარიელი ქუჩა...
 სიყვარულის არაკი,
 ბოლო რომ არ უჩანს...
 ტანშიშველი ხეები,
 გაზაფხული თუმცა,
 შეყრყოლება ხელების
 ღანვზე წმენდავს კურცხალს...
 მოლოდინის ლოდინი
 ეომება წამებს,
 სიმარტოვის მოტივი,
 ქარში მიწანწალებს...
 ქალაქი ცარიელი,
 ავსებულები ხალხით...
 შენ ხარ დასალიერში,
 მე — დარდების თალხში...

ჩემო სევდიანო სიყვარულო,
 ჩემო ბრაზიანო ქალბატონო,
 ჩემი სიზმარეთის სიხარულო,
 ჩემი სიჭაბუკის თანატოლო...

ნეტა, იდუმალი დუმილიდან,
 როგორ გამოვძერწო შენი სახე...
 ათას ჭორიდან თუ ტყუილიდან
 ნრფელი ოცნებები შემინახე...

სიზმარით ნავიდა
 უკვე ჩვენი ცხოვრება...
 გაფრენილი წამიდან
 აღარ მემახსოვრება
 სიხარული, ცრემლები
 ანდა დარდის მატება...
 მაინც შემოვევლები
 თავზე მე შენს ხატებას...

მთებს იქით ნატვრა მოჩანს შორეთად,
 ნისლის გვირგვინს რომ იდგამს აფრებად...
 ეს გაუმარჯოს ამ განშორებას,
 და სიყვარულის კვლავ გამძაფრებას...



გიორგი
 შალვაშვილი

ხანსიხუი ბახვეთილი

საშუალო ასაკს გადაცილებულმა ტან-თხელმა, შავგრემანმა ქალმა სკოლის დირექტორის მისაღებში რომ შეაბიჯა, მაგიდაზე თავდახრილი ქერათმიანი, ტანკენარი მდივანი გოგონა ცხრილს თუ სასკოლო განრიგს დასჩერებოდა, მარჯვენა ხელით ფილის მარაო მოემარჯვებინა და დუნე მოძრაობით სახეს ინიავებდა. ფეხის ჩქამზე, თავი წამოსწია, შემოსულის გულისპირზე თეთრი ბაბთებით განყობილ თაღს კაბას თვალი ააყოლა, წამით გამოცოცხლება დაეცყო, მაგრამ მას მიჩერებულ გამჭოლ მზე-რას წაანყდა თუ არა, ისევ მაგიდას დააჩერდა.

— დირექტორი თავისთანაა? — იკითხა ახალმოსულმა და გოგონას არცთუ უზადო სახის ნაკეთებს, ზედ განფენილ სომნაბუ-ლურ გამომეტყველებას, „ბრეტელებზე“ ჩამოკონწიანალებულ იასამნისფერ კოფთას, მაგიდაზე ნებიერად დანყობილ სავსე მკლავებს და წარწარად მოლივლივე მარაოს თვა-ლი ამრეზით შეავლო.

— ნაბრძენი მაქვს ნუ შემანუხებთო, მაგ-რამ თქვენ... — მთვლემარესავით წამოიწყო მდივანმა, არ დაასრულა და ქალს ელამივით გამოხედა.

ახალმოსულმა მას ზურგი შეაქცია, შავ დერმატინგადაკრულ კარს მიადგა, დააკა-კუნა, პასუხის დაულოდინებლად შეაღო და მოპირდაპირე მხარეს, ერთმანეთზე მიტყ-უპებული მაგიდების ბოლოს, ქალაღებში ჩაფლულ, ღია ფერის პიჯაკსა და თეთრ პე-რანგში გამოწყობილ კაცს მიაჩერდა.

— რას უდგებარ, შემოდი! — სასიამოვნო ბარიტონით გამოსძახა მაგიდასთან მჯდომ-მა, სხარტად წამოიმართა და ქალის შესახ-ვედრად გამოეშურა.

მაღალი, სახელაჟდაჟა დირექტორი ახალ-გაზრდულად გამოიყურებოდა, თუმცა ამ ეფექტს გვერდიდან ნასესხები და შუბლზე საგულდაგულოდ დანყობილი, ქალარაშერ-თული თმის ვარცხნილობა ოდნავ აქარ-წყლებდა.

იგი შემოსულს მხნე ნაბიჯით მიეახლა, ხე-ლი ჩამოართვა და მის დახვენილ, ჯერ კიდევ ეშხიან სახეს ყურადღებით დააცქერდა.

— რაღაცით შეშფოთებული ჩანხარ. მო-დი, დავსხდეთ და ყველაფერი მომიყევი. ჩვენ ხომ ასე იშვიათად გვინვეს...

— რომ აღარ მცალია?.. ახლავე კლასში უნ-და გამომყვე! — სიტყვა გაანწყვეტინა ქალმა.

— დაუყოვნებლივ?! — ნახევრადრონიუ-ლად ჩაეკითხა დირექტორი.

— სხვა დროს უკვე აზრი არ ექნება...

— რა ისეთი ცეცხლისკიდებაა, რომ...

— სასწავლო წელი სადაცაა მიიწურება, პა-პავას კი ნიშანს ვერა და ვერ ვუნერ! — მხრე-ბი ანურა ქალმა.

— ისევ პაპავა!.. გამაგებინე, რა ხდება!

— თვითონ უნდა ნახო, მერე თუ გინდა, გა-მამტყუნე.

— კი, ბატონო, ვნახავ და იმ ბლარტს საკუ-თარ ტყავში ერთხელ დასამუდამოდ ჩავაბრუ-ნებ! — გაცეცხლდა დირექტორი და მაგიდას გახედა, — მინისტრთან მოხსენება მაქვს წარ-სადგენი, მაგრამ რა გაენყობა! — გულდანყ-ვეტით დაამატა და ქალს გასასვლელისკენ ფეხაჩქარებით წაუძღვა.

— იმ დღეს უნივერსიტეტის ეზოში დაგი-ნახე, ვარსკვლავივით გოგონა გახლდა. მის ასაკში შენც არანაკლებ მომხიბვლელი იყავი, — წამოიწყო დირექტორმა, როცა დერეფანს დაადგნენ.

— ძმისწული იყო. პირველ კურსზე სწავ-ლობს, — მიუგო ქალმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ბოლო ფრაზისთვის ყური არც მო-ეკრა.

— დახე, რამდენი დრო გასულა!.. შენი გამ-

კვირვებია... ჯერ ძმას თან ჰყვებოდი, ახლა კი, როგორც ჩანს, მის შვილს. გეგონებოდა, ფაიფურის ნივთი გჭეროდა და, არიქა, ხელიდან არ გამივარდეს და არ დამემსხვრესო, ისე ესათუთებოდი... არ გერჩივნა, საკუთარი გყოლოდა. მაგის ნახევარი შრომა შენს შვილზე რო გაგენია...

— ისე ამბობ, თითქოს კალთებს მაგლეჯდით... უკაცოდ შვილის გაჩენა კი რანაირად ხდება, არ მესმის! — მოუჭრა ქალმა და ამ თემაზე საუბარი ამით ამოწურა.

კაცი მის გვერდით უგერგილოდ მიაბიჯებდა. ერთი პირობა ბოდიშის მოხდაც დააპირა, მაგრამ თავი მეტად შეურაცხყოფილად არ იგრძნოსო და, პაპავას ამბავს მიუბრუნდა.

— მაინც რა უნდა იმ ბიჭს, არ იტყვი?

— აგერ, მივალთ, ყველაფერს თვითონ ნახავ და მოისმენ, — შეეპასუხა ქალი.

ღირექტორი მისმა სიტყვებმა საგონებელში ჩააგდო. ამ ისედაც გართულებულ, თვითმმართველობითა და ახალ-ახალი მოთხოვნებით გადატვირთულ ვითარებას პაპავას ხუმტურებიდა აკლდა, საქმე იმგვარად ვითარდება, მალე პედაგოგებს მოსწავლეთა ნება-სურვილს დაუმორჩილებენ და იმის გარჩევაც გაჭირდება, ვინ ვინ არისო, ფიქრობდა.

კარი რომ შეაღეს, მოსწავლეები ფეხზე წამოიჭრნენ და ომბახიანად მიესალმნენ. ტანაშოლტილები, გარეგნობით ერთიმეორეზე საუკეთესონი („აი, აქსელერაციის ბუმის შედეგია!“ — გაიფიქრა თავისთვის ღირექტორმა), მოზარდების პირობაზე გემოვნებით ჩაცმულ-დახურულნი, ახალგაზრდული სითამამით მიაჩრდნენ ასაკუპეპარულ მასწავლებელსა და ღირექტორს. ამჯერად უფრო უკანასკნელს, რადგან მასწავლებლის გარეგნობას დანვრილებით იცნობდნენ, აი, ღირექტორი კი იშვიათად სტუმრობდათ და, შენობის განაპირას, უზარმაზარ კაბინეტში განმარტოებული, საიდუმლოებით მოცული სამყაროდან მოვლენილის შთაბეჭდილებას ახდენდა, თუმცა თვალმიშტერებული ცქერისაც მოერიდათ და, როცა დუმილი, ანუ თვით ღირექტორის მხრიდან ცალკეული მათგანის სახის დამახსოვრება საკმაო ხანს გაგრძელდა, და ორივე მხარემ ერთმანეთის ღირსებები საფუძვლიანად შეაფასა, ღირექტორმა ხელის მკვეთრი მოძრაობით დასხდომა ანიშნათ, რაზეც მოსწავლეებს მხიარული, წყვეტილი ბგერები აღმოხდათ, დასხდნენ და გაისუსნენ.

ღირექტორი ფანჯრების მხარეს ჩარიგებული მერხებისკენ გაემართა და მესამე რიგში, განმარტოებით მჯდომი ყმანვილის გვერდით დაეშვა. მას შავი, ურჩი თმა თავზე აბურდული ზვინივით ადგა, ასევე ურჩი,

ურუმი თვალეები შეანათა, შემწყნარებლურად გაუღიმა, რალაც გრაგნილს დასწვდა და წამოიმართა.

— ნუ წუხდებით, იჯექით, — შენიშნა ღირექტორმა.

— ეგაა პაპავა, თუ შეიძლება გამოატარეთ! — გაისმა ფეხზე მყოფი მასწავლებლის ხმა.

ღირექტორმა გაკვირვებით გახედა მასწავლებელს. მას ხელში თავწამახული ჯოხი ეჭირა და უცნაურად ილიმებოდა. ღირექტორი მიტრიალდა, ყმანვილის მაღალ ტანს თვალი ააყოლა და სახეზე დააკვირდა. ძლივს იცნო. წინა სემესტრში პარალელური კლასის დამრიგებელს რალაც ბალღური ცულღუტობის გამო ჰყავდა მასთან მიყვანილი. გაახსენდა, დატუქსა კიდეც, თუმცა მაშინ გაცილებით ტანდაბალი და გამხდარი, თითქმის ბავშვი იყო. ტანი აეშვა, ჩაფსკვნილი და ნაადრევად შეღერებული ეჩვენა.

— მართლა?! — იკითხა დაბნეულმა, ნამოდგა და ყმანვილს გზა მისცა.

იგი ენერგიული ნაბიჯით დაფისკენ გაემართა, რომელზეც ევრაზიის კონტინენტის რუკა ეკიდა. შედგა, გრაგნილი გაშალა, ქინძისთავებით ზედ ამ რუკაზე დაამაგრა, კლასისკენ მოტრიალდა, ჯერ ღირექტორს გამოხედა, მერე კი კლასელებს განდობილის გამომეტყველებით თვალი მოავლო.

— საჩვენებელ ჯოხს არ ინებებ? — ნიშნის მოგებით ჰკითხა მასწავლებელმა.

ყმანვილი შეცბა, მაგრამ წონასწორობა უმაღვე აღიდგინა. მასწავლებლისკენ გაემართა, ჯოხი გამოართვა, დაფას მიუბრუნდა, ოდნავ ჩახველებით ხმა დაიბოხა, რუკა შემოხაზა და დაიწყო: „თქვენს წინაშეა აფხაზეთის ფიზიკური გეოგრაფიის რუკა...“

დინჯად მიმოიხილა აფხაზეთის ბუნებრივი საზღვრები და პირობები, მოსახლეობის რაოდენობა ომამდე და მის შემდგომ, ყოველი მტკაველი ენგურიდან ვიდრე ფსოუმდე, რესურსები... მოიყვანა მაგალითები ანტიკური ხანის მოგზაურთა ჩანაწერებიდან დაწყებული, თანამედროვე მეცნიერთა თვალსაზრისით დამთავრებული; ბოლოს კი ეს თავისი უჩვეულო ექსკურსი გალაკტიონის ლექსით: „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“ დაასრულა და ბრიალა, ცეცხლისმფრქვეველი თვალებით ღირექტორს მიაჩერდა, რომელიც ამ უჩვეულო გაკვეთილის, მოხსენების თუ რა დაერქვა თვითონაც არ იცოდა, გამო, მეტყველებანართმეული იჯდა და თავს იმაზელა იმტვრევდა, გეოგრაფიის მასწავლებელს ყმანვილის ამ მეტად საინტერესო პასუხიდან რა არ აკმაყოფილებდა. ფიქრი გაკვეთილის დასრულების მაუნყებელმა ზარმა გააწყვეტინა. შეიმშუმ-

ნა. მისკენ მიჰყვებილი ათეულობით მზერა რომ შენიშნა, წამოდგა და ყმანვილისკენ გაემართა. ის იყო, მიუახლოვდა და ქების შესხმა დააპირა, რომ კითხვის ნიშნად გარინდული მასწავლებლის სახე შემოეფეთა.

— მაინც არ მესმის, რა გაქვთ პაპავას საწინააღმდეგო! — აღმოხდა დირექტორს.

— თითქოსდა არც არაფერი, გაკვეთილი ევრაზიის კონტინენტს რომ არ ეხებოდეს... უნდა შეგახსენოთ, ჩვენ ახლა საზღვარგარეთის გეოგრაფიის გაკვეთილზე ვიმყოფებით და არა საქართველოს გეოგრაფიისა, — დააკონკრეტა მასწავლებელმა.

— რას ამბობთ! — ხმამაღლა წამოსცდა დირექტორს.

მიტრიალდა და დაფას დააკვირდა. ევრაზიის უშველებელ რუკაზე ყმანვილის ხელით დამაგრებული აფხაზეთის ერთი მტკაველი რუკა სხვადასხვა ქვეყნებისა და მსოფლიო ოკეანეთა უკიდევანო სივრცეში უგზო-უკვლოდ დაკარგული ბარათივით ჩანდა.

— ევრაზიაზე სიტყვა რომ არ დაუძრავს? — ისევ გაიოცა დირექტორმა.

— სწორედ მაგაშია საქმე! — მრავალმნიშვნელოვნად დაასკვნა მასწავლებელმა და დაფასთან ნირშეუცვლელად მდგომ ყმანვილს მიაჩერდა.

მოსწავლეები თავიანთი მხრიდან გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს დირექტორს, რომელმაც განიზრახა ყმანვილის მოქმედება მთელი კლასის მსჯელობის საგნად ექცია, მაგრამ ადვილი შესაძლებელი იყო ისეთი რამ თქმულიყო, მოსწავლეთა წინაშე ჩრდილი მისდგომოდა მასწავლებელს, თვითონ მას, ან თუნდაც ყმანვილს და წამისუმალ გადანყვიტა ეს საკითხი მათთან განმარტოებულს განეხილა.

— ორივენი ჩემთან! — ანიშნა მასწავლებელს და მოსწავლეს, კლასს დაემშვიდობა და გასასვლელისკენ აფორიაქებული დაიძრა.

...

— ბოლოსდაბოლოს, იტყვი თუ არა, რაშია საქმე?! — აღშფოთებით ჰკითხა თავის ოთახში, მაგიდასთან მჯდომ, დამნაშავესავით თავჩახრილ მასწავლებელს დირექტორმა, — ეს რა სიურპრიზი მომიწყვეთ!

მასწავლებელმა თავი ასწია და დირექტორს თვალი გაუსწორა.

— წესით, ეგ თვითონ უნდა გკითხო: როცა პაპავას საბუთებს იღებდი, დაინტერესდი თუ არა, ჩვენამდე სამი სხვადასხვა სკოლიდან დათხოვილი რომ ყოფილა?

— როგორ არა, მაგრამ ჩემთვის მისი აკადემიური მოსწრება იყო მთავარი და არა ის ბავშვური ცელქობები, რაზეც პირად საქმეში აღნიშნავდნენ...

— რა სახის იყო ეს ცელქობები, თუ იცი?

— ხომ გითხარი, ჩემთვის მთავარი ნიჭიერებაა. ყველა ნიჭიერი ადამიანი კი თავისებურია...

— კი, მაგრამ, მე რა დავაშავე!.. ხუთი თვეა კვირაში სამჯერ სხვადასხვა ვარიანტით აფხაზეთის გეოგრაფიისა და ისტორიის ვისმენ... ამაში ცუდი არაფერია... მაგრამ გაუგებარია, რაღა საზღვარგარეთის გეოგრაფიის ხარჯზე... იმის მაგივრად, რომ ინდოეთზე, ავსტრალიაზე, ან ნებისმიერ ქვეყანაზე ყვებოდეს, ჯიუტად აფხაზეთზე იწყებს საუბარს. კლასი ისე სულგანაბული უსმენს, ბუზის გაფრენას გაიგებ. მის მერე, ერთი, იშვიათ შემთხვევაში, ორი ბავშვის გამოძახებასა და ახალი მასალის ახსნას ძლივს ვასწრებ...

— მაინც რატომ იქცევა ასე, არ იცი?

— ამის შესახებ დუმს. ყოველი გამოძახებისას ვაფრთხილებ: თუ მიმდინარე გაკვეთილს არ ჩამაბარებ, დადებით შეფასებას ველარ ელირსები-მეთქი. ყურადღებით მომისმენს, დადგება დაფასთან და, როცა ველოდები, რომ გაკვეთილს მოყვება, ამ თავის გრაგნილს დაადრობს, დაფაზე მიამაგრებს და აფხაზეთზე ჩამოარაკრაკებს. მე კიდევ იარაღაყრილივით ვდგავარ და ყურს ვუგდებ...

— რატომ არ შეანყვეტინებ?!

— საინტერესოდ კი ყვება! — წამოსცდა მასწავლებელს და თავი ჩალუნა.

— ესე იგი, ასე რომ იქცევა, შენი ბრალიცაა, ანუ თავს გასვლია და ეგაა!

— ერთი-ორჯერ ვცაადე შემენყვეტინებინა, მაგრამ მთელი კლასი ამიბუნტდა... თქვენ თუ არ გაინტერესებთ, ნუ უსმენთო... წარმოიდგინე, მათ ხელში ლამისაა სათამაშოდ ვიქცე... — გამოტყდა მასწავლებელი, ისევ წამონითლდა და თავი დახარა, — ეტყობა, მის თავნებობას ვერ უძლებდნენ იმ სკოლებში, სხვა პარალელურებშიც და ამიტომ თავიდან იცილებდნენ, მაგრამ მთავარ მიზეზს არ ასახელებდნენ. ან როგორია, აფხაზეთზე ყვება და ამის გამო ვაგდებთ სკოლიდანო, პირად საქმეში რანაირად ჩანერდნენ... მისი დათხოვნის გადანყვეტილებამდე მეც მივედი, მაგრამ უკვე დაგვიანებულია. სასწავლო წელი იწურება, ან იცოცხლო ერთი სკოლა არ მიიღებს... და ადვილი შესაძლებელია, ქუჩის წერა გახდეს.

— თავიდანვე უნდა გეთქვა, მშობლებს დავიბარებდი, რაღაც ზომებს მივიღებდი...

— მშობლები აფხაზეთში არიან. უფროსი ძმა მოიყვანა, უნივერსიტეტის მაგისტრანტი, განათლებული, ზრდილი ახალგაზრდა აღმოჩნდა. ბოდიშები მიხადა, მოველაპარაკებო, შემპირდა, მაგრამ ჩანს, არაფერი გაუვიდა.

— მაინც რა აქვს ამდენი სალაპარაკო, რითი ვერ დაასრულა?..

— მეც ეგ არ მიკვირს?.. თავიდან ვიფიქრე, არა უშავს, ერთ ორ გაკვეთილში თემას ამონურვას, მერე კი საზღვარგარეთის გეოგრაფიაზე გადავა-მეთქი, და ამან შემაცდინა. ყველა კონფლიქტისდროინდელ ამბებს, მერე მოაყოლებს მანამდელ, მშვიდობისდროინდელს, და ასე, გაუთავებლად...

— ნეტა ამგვარად მარტო შენს გაკვეთილებზე რატომ იქცევა, სხვა მასწავლებლებისაგან მსგავსი საჩივარი რომ არ მსმენია?

— ვერაფერს გეტყვი. ჩემი გაკვეთილი ამოიჩემა, თორემ ყველა მასწავლებელი კმაყოფილი ჰყავს.

— მისი ქება ბევრისგან მსმენია, — დაუდასტურა დირექტორმა.

— ამ საზღვარგარეთის გეოგრაფიამ რა დაუშავა, არ ვიცი?.. დარწმუნებული რომ არ ვიყო, განსაკუთრებული უნარის მქონე რომაა, შევეშვებოდი! — თქვა დაღონებულმა მასწავლებელმა და დირექტორს მიაჩერდა.

— იქნება, ეს ყველაფერი უბრალო აკვირებებაა, ან ნერვიული აშლილობის ნიადაგზე...

— სათითაოდ ყველა მასწავლებელს ვკითხე და მსგავსი მიდრეკილებები უნდა გამოირიცხოს...

— დავიჯერო, საზღვარგარეთის გეოგრაფიაში იმდენად სუსტია, რომ თავს განგებ არიდებს?..

— რა ვიფიქრო, არ ვიცი... რას მიჩვენებ?

— ადექი, „ფრიადი“ დაუნერე და ამით მორჩი. იძულებული გახდება, შენც მოგისმინოს და კლასელებსაც, — თითქოს გამოსავალი იპოვა დირექტორმა.

მასწავლებელი შეცბა. დირექტორს თვალი მოარიდა.

— ორი რამის გამო ვერც „ფრიადს“ და ვერც „დამაკმაყოფილებელს“ ვერ დავუნერ, — ხელი გაასავსავა.

— მაინც რა ისეთი მიზეზებია?! — გაიოცა დირექტორმა.

— ეს ამბავი სკოლის კედლებს გასცდა... კლასში ერთი ზუთხია გოგო მიზის, „ფრიად“ შეფასებას კი არა, „საშუალოს“ ძლივს იმსახურებს, ამასწინათ დედამისი გამომეცხადა და „ფრიადს“ თუ არ გამოაყოლებ, იმ ბიჭისთვის, ყოველ გაკვეთილზე საზღვარგარეთის გეოგრაფიის მაგივრად აფხაზეთზე რომ ჭიკჭიკებს, თუნდაც სამიანი დაგინერია, იცოდე, მარტო შენ კი არა, მთელ სკოლას სასამართლოში ვუჩივლებო...

— აუჰ, მაგრად გავუჭედივართ! — წამოიძახა დირექტორმა, მაგიდას მუშტი დაჰკრა და ზედ დახვავებული საგნები ყირაზე დააყენა.

— ჩემი გულის გახეთქას ეგ ბრახუნია აკლდა! — დაიჩივლა შემკრთალმა მასწავლებელმა

ბელმა და ხელი მკერდზე იტაცა.

დირექტორს მისი წუხილი არც კი გაუგონია. ელექტროზარის დილაკს თითს მანამდე აჭერდა, სანამ კარებში მდივანი გოგონას დაფეთებულმა სახემ არ იელვა.

— პაპავა შემოვიდეს! — შეაგება დირექტორმა.

— ბატონო ლევან, აქ პაპავას კლასელებიც არიან და შემოსვლას ითხოვენ, ბულატერს კი ხელფასთან დაკავშირებით...

— რა დროის ხელფასია, თავზე ჭერი გვენგრევა, პაპავა შემოუშვი და კარი მაგრად გაიხურე! — ცეცხლი შეუნთო დირექტორმა მდივან გოგონას, რომელიც ყმანვილს ოთახში სახეგაფითრებული რომ შემოუძღვა, საგანგებოდ შეყოვნდა, დირექტორის კაბინეტის ჭერს თვალი ყურადღებით მოავლო და ნგრევის კვალი რომ ვერ შენიშნა, სიხარულისაგან აცეტებულმა, კარი ისე ძლიერ გაიჯახუნა, დირექტორის უკან უცნაურად მომღიმარი ახალგაზრდა პოლიტიკოსის ოქროსფრადმოვარაყებული, იაფფასიან ჩარჩოში ჩასმული, გადიდებული სურათი კედელს მოსწყდა, იატაკს დაასკდა და ნამსხვრევებად იქცა.

მასწავლებლის ხელმეორედ შეცხადებაც არ გაუგია დირექტორს. მთელი მისი ყურადღება კართან მდგომი ყმანვილისკენ იყო მიპყრობილი, რომელმაც სახენამოჭარხლებულ დირექტორს და მკერდზე ხელმიყრდნობილ, შემკრთალ გეოგრაფიის მასწავლებელს თვალი რომ ჰკიდა, მეხთატეხის მოლოდინში თავი ჩაქინდრა.

ოთახში ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამონვა.

— ცოტა აქეთ მოინიე თუ შეიძლება! — გაისმა დირექტორის მთრთოლვარე ხმა.

ყმანვილმა მათკენ რამდენიმე ნაბიჯი მორჩილად გადადგა.

მისმა უდრტვინველობამ დირექტორს მღელვარება დაუცხრო. დაძაბულობა თითქოს ხელის ერთი მოსმით, უკვალოდ მოეხსნა.

— შენი სახელი შემახსენე, გეთაყვა?! — თვითონაც გაუკვირდა, იმდენად მშვიდად მიმართა ყმანვილს.

— გულბაათ.

— ჰო, დიდებული სახელია. ერთი მიბრძანე, მეგრულად საუბრობ?

ყმანვილს სახეზე გაოცება გამოეხატა. თავს ძალა დაატანა, რომ დადებითად ეპასუხა.

— მაშინ, ისიც მიბრძანე, ამ დიალექტზე რას ნიშნავს — პაპავა?

— სამეგრელოსა და სამურზაყანოში, ადრე საუკუნეებში ბერძნები წირავდნენ. ბერძნულად მღვდელს პაპა რქმევია. ჩემი გვარის

წარმომადგენლები თურმე სამღვდლოებას ეკუთვნოდნენ, წოდება გვარად ებოძათ და პაპავებად, პაპასქუებად, პაპაშვილებად, პაპასკირებადაც იწერებიან, რაც მღვდლიაშვილს ნიშნავს.

— გვარიც დიდებული გქონია. მიპასუხე, ასეთი ქრისტიანული გვარ-სახელის პატრონი, განათლებული ახალგაზრდა კაცი, რას გვერჩი. ვერ ხედავ? აგერ, გეოგრაფიის მასწავლებელი, ვინ იცის, რამდენი თაობის აღმზრდელი, შენი ხუმტურების გამო აღსასრულამდეა მისული... მოდი, მაღლი მოისხი და აგვიხსენი, რა გინდა. თუ თამაშია, ბარემ თამაშის წესებიც გაგვიმხილე და თუ მისაღებია, აგვევბით. არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ სკოლასაც უნდა დაემშვიდობო, რაც ქალბატონ დოდოს არ სურს, და მით უმეტეს, არც მე... გვანტერესებს, რას მივანეროთ ამ საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიის ასე ხელალებით უგულებელყოფა... გაგვეცი პასუხი, შენი თავი გადაირჩინე და ჩვენც გადაგვარჩინე, — დაუყვავა ყმანვილს დირექტორმა.

იგი რამდენიმე ხანს იატაკს იყო დაჩერებული, თავი რომ ასწია, ნაღველჩამდგარი მზერა ჯერ დირექტორს, შემდეგ კი მასწავლებელს მიაპყრო.

— ჩემი საქციელი, ჩანს, გარკვეულ ზღვარს გასცდა... მაგრამ მე ასე მჯეროდა, და ამას ჩემი კუთხის გამო ვაკეთებდი... ახლა მივხვდი, ჩემ გეგმებთან დაკავშირებით წინასწარ უნდა შეგთანხმებოდით, — დამნაშავის კილოზე წარმოთქვა.

დირექტორი და მასწავლებელი თვალ-ყურად ქცეულები მისჩერებოდნენ.

— ლტოლვილი რომ ხარ, არც ესაა ჩემთვის ახალი, თუმცა... — წამოიწყო დირექტორმა მოგვიანებით.

— ლტოლვილი კი არა, ადგილნაცვალი. მაპატიეთ, მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საკუთარ სამშობლოში ლტოლვილს რომ დაგიძახებენ, ამაზე მწარე შეურაცხყოფა არა მგონია არსებობდეს! — უცებ გაჯიუტდა ყმანვილი.

— მე იმისი თქმა მინდოდა... — დაიბნა დირექტორი.

— ხალხს ჩვენს სტატუსზე წარმოდგენა არა აქვს... — წამოიწყო ყმანვილმა, მაგრამ დირექტორმა შეაწყვეტინა.

— მოდი, ამ საკითხზე მსჯელობა სხვა დროისთვის გადავდოთ, ახლა კი მოგვიყვი, რამ გიბიძგა აქეთკენ, მიზეზი ყველაფერს აქვს და რაღა ეს იქნება უსაფუძვლო.

— შარშან ერთ სკოლაში საქართველოს გეოგრაფიას გავდიოდით. მთელ პროგრამაში

აფხაზეთს ორი საათილა ეთმობოდა და უცხო ქვეყნების გეოგრაფიის მიმართ პროტესტის გრძნობა მაშინ გამიჩნდა...

— შენ რა, სკოლაში საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიის სწავლების წინააღმდეგი ხარ?

— ამ ფორმით, კი.

— რას ნიშნავს ფორმა?... ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს სხვა ქვეყნების გეოგრაფიისა და ისტორიის შესწავლას... — წამოიწყო დირექტორმა.

— გეთანხმებით, მაგრამ ჯერ ჩვენი ქვეყნის წარსულსა და მომავალს უნდა მივხედოთ, ისინი უჩვენოდაც თავს მშვენივრად მოუვლიან, მით უმეტეს, აფხაზეთი უცხო ძალების მიერაა მიტაცებული... სწორედ ამიტომ ჩავეჭიდე აფხაზეთის გეოგრაფიასა და ისტორიას...

— ჩვენ მას ასე თუ ისე, ვიცნობთ... — წამოიწყო ისევ დირექტორმა.

— ნუ მინყენთ და, თქვენი ხნის ხალხმა მართლაც ასეთუ ისე... მაგრამ ახალგაზრდებმა?... ჩემს ტოლებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ. კლასელები ასე გულისყურით ამიტომაც მისმენენ... სხვა სკოლაში რომ გადავალ, აფხაზეთზე საუბრებს იქაც გავაგრძელებ...

— ჩვენი სკოლიდან თუ არ გიშვებთ? — ჩაურთო დირექტორმა.

ყმანვილს სახეზე სიხარულის ღიმილმა გადაურბინა.

— მაღლობელი ვარ, მაგრამ მე მაინც გადავალ, რომ აფხაზეთით სხვა სკოლის ბავშვებიც დავაინტერესო...

— ჯერ აქ, საზღვარგარეთის გეოგრაფიაში დადებითი შეფასება მაინც უნდა დაიმსახურო, — თავი შეახსენა მასწავლებელმა.

— მომავალ გაკვეთილზე უსათუოდ ვეცდები... ახლა კი ყველაფრის გამო ბოდიშს გიხდით, და ასევე უდიდეს მაღლობასაც, — თქვა ყმანვილმა, ორივეს თავი მოკრძალებით დაუკრა, მიტრიალდა და გასასვლელისკენ გაემართა.

სკოლის დირექტორი და მასწავლებელი გაუნძრევლად ისხდნენ და კარისკენ მიმავალს დაბნეული სახით გაჰყურებდნენ.

მხოლოდ მაშინ, როცა ყმანვილმა კარი შეაღო და მთელი კლასი ყრიაშულით შეეგება, დირექტორი შეირხა.

„დახე, რა კლასიკური გაკვეთილი ჩავვიტარა!.. იმ ზუთხიას დედას თვითონ მოუვლი... რაღაცა ჩვენც უნდა ვილონოთ, რომ აფხაზეთის გეოგრაფიას სკოლებში მეტი ყურადღება მიექცეს“, — ხმამაღლა გაიფიქრა, წამოდგა და კარისკენ გაემართა, რომ მისაღებში აყრიაშულელებულ ახალგაზრდებს შეხმიანებოდა.



ვინ გვცეს ნუგეში, როცა სულში ავი ბზარია?..
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
 მამულო, შენი გადამრჩენი მხოლოდ ჯვარია...
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან...

მამულო, შენთვის თავდადება ზეცის კარია, —
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
 რწმენავ მომავლის იმედები შენ გაბარია,
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან...

შენი სამკვიდრო ღმერთს შეჰვედრე —
 დედავ მარიამ...
 ნეტარ არიან მორწმუნენი,
 ნეტარ არიან...

**დედა ნინოს —
 ნათელსა საქართველოსასა**

რომელმან ნათლით შემოსა
 მოდგმა კოლხთა და იბერთა,
 ქართველის დედავ და ქალწულო,
 გული კვლავ არ დაგიბერდა,
 ზეგარდმო ცვარი აპკურე,
 იწყე მესხით და ლაზითა
 და ღვანლმან შენმან მამული
 ოქროს ხანამდე აზიდა...
 რომელმან სცვალე საწუთრო
 უხრწნელი სილამაზითა...
 საუკუნეებს აპურებს
 სურწელი შენი ვაზისა.
 მე ვით შეგამკო, როდესაც
 ძალნი გამკობენ ცისანი,
 თავსაც რომ კრძალვით გიხრიან
 ყვავილნი სამოთხისანი,
 საკუთარ მამულს, ვარდობას,
 შემოხველ, როგორც ხიზანი, —
 ცად აგვამალლე და ზეცით
 ლოცვა-კურთხევას გვიგზავნი.
 ქალწულმა ჰბაძე ქალწულსა
 ქართველთა ტკბილო დედაო,
 შენგან, შენ მიერ, შენს მამულს
 სიკეთე დაებედაო,
 ავმალლებულვართ ამ ხანად —
 სადაც სიყვარულს ვხედავო...
 არცა დაღლილხარ, ღირსეულთ
 ცად მიუძღვები მხნედაო.
 დაგვლოცე, მწყემსო კეთილო,
 გამოგვაფხიზლე მძინარნი,
 ან უდარდელნი, ბოლო ჟამს
 ავაჰმე რამდენს ვინანით...
 შემოგვაბრუნე მზისაკენ, -
 ვიდრე სიცოცხლე წინ არი, —
 რომ უფლის მოსვლას საკვირველს
 ჩვენც შევხვდეთ სახე მცინარნი.

მიქნოსი უკრისი
 თაფლობა

(მიხიან იოხამაშვილი)

**ნეტარ არიან მორწმუნენი...
 ნეტარ არიან...**

ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
 რადგან სიკვდილიც ვერ აშინებთ,
 რაც მთავარია,
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან, —
 შვილნი ნათლისა, ცის მამულში,
 ღმერთთან არიან...

ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
 რადგან სიკეთეს ასხივებენ, მზეებ არიან, —
 რადგან სიხარბემ მათი გული ვერ გადარია,
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.

ჰყვავის მათ სულში სიყვარული, მშვიდი დარია,
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
 უღვთოდ რამდენი სიბრმავე და სიმწუხარეა?..
 ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.

ვედრება ყოვლადნიდა
ღვთისმშობლისადმი

ნათლის-მშობელო,
 ივერიის მფარველო დედავ,
 გადიდებთ მზეზე უბრწყინვალესს
 და გვედრებით,
 ყველა ჭირთაგან დაიფარე ჩვენი ქვეყანა.
 იმედი ჩვენი უკვდავების რწმენით სავსეა
 არ მოგვაკლდება სიხარული და სასოება,
 ვიდრე შენ ჰფარავ საქართველოს,
 ყოვლად-წმიდაო.

ალამაღლე გონება ჩვენი
 ზეციური მამულისადმი,
 რათა წარმავალის დამტევებელთა
 ვიფიქროთ წარუვალზე,
 მოგვეცი ძალი შეწვევისა,
 მოთმინებისა და სიყვარულისა
 „ყოველთა შექმნულთა ნათელთა
 უბრწყინვალესო ნათელთა...
 ყოველთა ქმნულთა სამკაულთა
 უმშვენიერესო სამკაულთა“, —
 გამოაფხიზლე გონება ჩვენი,
 განასპეტაკე სული ჩვენი.
 შენ გშვენიის დიდება სამარადისო
 ლოცვის მაღლით უხრწნელად
 აყვავილებულთა.

ასულნი ჩვენნი კვლავ შემოსე
 მაღალი სულით,
 პატიოსნებით, ერთგულებით,
 სინმიდით, რწმენით,
 მამულისათვის თავდადებით,
 მზიურ ხილვებით,
 რათა მოიღონ მათ ტევანნი
 ჯანსაღ ვენახის.

ჭაბუკნი ჩვენნი აზიარე ქრისტეს მცნებათა,
 ჯვარის მტვირთველნი მიჰყვებოდნენ
 უკვდავების გზას,
 წინაპართაგან ანთებული წმიდა ლამპარო
 რომ არ ჩაუქრეთ და არ დარჩნენ
 ბნელში უმწეოდ.

ო, გვედრებით მოკრძალებით და სასოებით,
 ლმობიერებით, წმიდა ცრემლთა უხვად
 მფრქვეველნი,
 ვედრება ჩვენი შეისმინე სახიერებით
 და სიხარულად გარდასცვალე
 ნუხილი ჩვენნი.

უწმიდესა და დიდებულსა...

მეუფევი დიდო, მღვდელმთავარო
 ჯვარისმტვირთველო,
 ვედრება შენი შეწირულ არს მაღლისა მიერ...
 შემოგლალადებს იმედებით მთლად

საქართველო —
 მრავალჟამიერ მეუფეო... მრავალჟამიერ...

სიყვარულისთვის მოვლენილხარ ამ
 ქვეყანაზე...
 ღმერთი დიდია — უბედობას შეცვლის წამიერ...
 გაგვიმარჯვდება... ავმაღლდებით მძიმე
 ხანაზე,
 მრავალჟამიერ მეუფეო... მრავალჟამიერ...

დე, ყოფილიყოს ქართველთ პირი გალიმებული
 და ველარავინ შეგვიცვლიდეს
 ტანჯვით ამ იერს...
 მთლად საქართველო ერთ სულ, ერთგულ,
 გზით დიდებულით...
 მრავალჟამიერ მეუფეო... მრავალჟამიერ...

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
 ლამაზ თვალებს ახელს,
 ზეცის წიგნი სიცოცხლის
 ჩანერს უკვდავ სახელს.
 იგი მარადისია,
 ზეცის წიგნი ტკბილია,
 სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
 უწმიდესო ილია.

უწმიდესო ილია,
 ცით ნაკურთხო მეუფევი!..
 ლოცვა აღვლენილია,
 მამულს მაღლი შეუქე...
 ქართლის შვილად მოსულხარო,
 იმის სინდის-ნამუსად,
 ხატებრ ეალერსებით,
 ენასაც და მამულსაც...
 შუქი ოქროფენილი, —
 მამულის მთებს აანთებს,
 თქვენი სიბრძნით წერილი
 მომავლის გზებს ანათებს.

გადაიარეს ცაზე ღრუბლებმა,
 გადააფინეს ბალებს ჩრდილები...
 სად ხარ, ნანატრო თავისუფლებავ,
 მზესავით რად არ გველიმილები?!
 ვინ არის, ვისაც არ ენატრები,
 ვისი სიცოცხლეც ძონძში ფლასია,
 შენ გულის-გულში აკელაპტრდები
 სიცოცხლეს მხოლოდ შენით ფასი აქვს...
 გადააფრინეს ბალებს ჩრდილები —
 გადაიარეს ცაზე ღრუბლებმა,
 მზესავით რად არ გველიმილები,
 სად ხარ, ნანატრო თავისუფლებავ!...

არ ღირსისათვის წყალობისა
 წყალობა ჰყავ უფალო,
 სულის მკვლელთა ვნებათაგან
 მყავი თავისუფალი, —
 უკვდავთა ხმა მესმოდეს,
 უკვდავთა საუბარი, —
 დედამინა გახდა ოდეს
 უგრძობელთა უბანი...
 არაღირსი წყალობისა, —
 შემინყალე უფალო.

**იაკობის დაბადება, სინარულის
 დაბადება**

*ვუძღვნი 166-ე საშუალო სკოლის
 დირექტორს, ქრისტესმირ ძმასა და
 მეგობარს, ბატონ აკაკი ელიაურს*


მცირე სოფელ ვარიანში
 დიდი კაცი დაიბადა,
 დღეც გადიდდა, გაიზარდა,
 ღამეც მთვარით გაიბადრა.
 კაშკაშებენ ვარსკვლავები
 ბრწყინვითა და ციაგობით...
 მოევილინა საქართველოს
 ბიბლიური იაკობი.
 ბატონიც კი თავის გლეხკაცს
 ხმას ვერ გასცემს უბატონოდ,
 საქართველოს, პატრონი გყავს
 არ დაგაგდებს უპატრონოდ.
 გიხაროდეთ ყვავილებო,
 მოვა თქვენი მფარველიო
 მისგან წყენას არავისზე
 არავისგან არ ველიო.
 ქართულ სიტყვის მაღლს და ალერსს
 ვინც არს მონაშიებო
 სურნელობენ, სრიალებენ
 მათთვის ია-იებო.
 თავს იწონებს „დედა-ენა“
 ვარ ძმისა და ვარი დისაო,
 არეს ატკობს სურნელება
 ყვავილთ მეფის — ვარდისაო.
 ნიავიც კი ჩასჩურჩულებს,
 მეც ხომ მისთვის ვილევო,
 გავუზარდო საქართველოს
 საყვარელი შვილებო.
 აი-ია, აი-ჩანგი,
 აი — „შენ ხარ ვენახიო“,
 აი — მტკვარი და არაგვი,
 აი — ჩვენი ლიახვიო!
 ლიხს იქეთი, ლიხს აქეთი
 იმერი და ამერიო...

რაც წმიდა და ქართულია
 სხვაში როგორ ამერიოს?!
 საინგილო, ერუშეთი,
 შავშეთი და კლარჯეთიო...
 მტერო, შენ და ბედისწერამ
 ყველამ ერთად მტანჯეთ კიო...
 მაინც ჰგალობს იის სული,
 ბევრი, ბევრი ვარ იანი...
 სოფელს მიტომ თუ ეწოდა
 სანატრელი „ვარიანი“.
 მისმა სხივმა გაანათა
 ყველა სახლი, ყველა კერა,
 რაც ღვთის ძალით გულს გვიგზნია,
 ვერ ჩაგვიქრობ მტერო, ვერა.
 ტყე შრიალებს, შაშვი გალობს,
 ბულბულები სტვენენ ტკბილად.
 ღმერთი გვწყალობს, ღმერთი გვწყალობს!
 გათენდება კარგი დილა.

დავით აღმაშენებელს

შენ — ზეციური საქართველოს
 დიდო ნათელო,
 თხემით ტერფამდე სხივმფრქვეველო
 მშვიდო ქართველო,
 შენ ზესთა მბრძოლო,
 მოელვარე მზის მუზარადით, —
 ცის სამკაულო, დედამინის
 გამირო ლომგულო, —
 შენი მახვილი უხილავი დაეც ორგულებს,
 შეზარე კვალად,
 გოლიათებრ ვითარ ზარავდი,
 მამულის მტერი დააჩოქე
 შენს ცათა ქვეშე,
 იავარ ჰყავი გარეწარი და მოთარეშე...
 შენ დაგვიფარე, ვით გვფარავდი,
 ან და მარადის...

დღეს ჩემთან სუფევს მამა-მშობელი
 და ვით ვთქვა ღირსი სამადლობელი,
 რომ შემინყნარა მონა უღირსი
 და განმანათლებს ნათელი მისი?
 მისის შეწევნით განვიწმიდები
 და მას ვადიდებ დიდის დიდებით,
 ვინაც დაბადა ყოველი ესე
 და განანესნა კეთილნი წესნი.
 დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო,
 თვალშეუდგამი ნათლის იერო,
 დაუსაბამო, მარადიულო,
 გამოუთქმელო სიბრძნევ ციერო.



მამუკა
 ჩიქოაური

დასასრული

გაბრწყინებულა სალომე
 მზის უკანასკნელ სხივით,
 გადაუვლია სიყვარულს
 — გულების ყვილ-ხივილს,
 გადაუვლია სიყვარულს
 — დიდი არწივის ყვილს!

...
 სულ ცოტა დარჩა დასასრულამდე,
 ცოტაც, და ჩვენს მზეს სული ამოუვა.
 მდინარეებიც გაჩერდებიან — დავიქანცეთო,—
 დაიჩივლებენ;
 ქარებიც დაიძინებენ
 და სარკეებიც დაბნელდებიან.
 ყველაფერი ჩათავდება,
 ჩანავლდება, ჩაქრება...
 მესხიერებაც — რასაც უამისგან
 განწირულები თავს ვაფარებდით;

მესხიერებაც — სადაც დევნილნი,
 ცივ და წვიმიან ამინდებში ვიყუყუებოდით;
 მესხიერებაც რკინის ფარცხით ჩაიფარცხება.
 არ შეგეშინდეს! მზე ჩაქრება, მთვარეც ჩაქრება,
 მდინარეებიც გაჩერდებიან.
 არ შეგეშინდეს, ტკივილების ხანა იწყება.

...
 გადაუვლია სიყვარულს-დიდი არწივის ყვილს.

სახსნია უშარიძის დაპარგვა

წავიდა. გაქრა. დაიკარგა.
 არ უკივლია თეატრალურად:
 — გააჩერეთ დედამინა, ჩავდივართო;
 არც პატიების წერილები დაუწერია —
 თვითმკვლელები რომ ტოვებენ ხოლმე;
 წავიდა. გაქრა. დაიკარგა.
 არც ყოვლისწამლევ ზვავს წაუღეკავს
 და არც უფსკერო უფსკრულს ჩაუნთქავს —
 წავიდა. გაქრა. დაიკარგა.
 ჭორები ჭორებს გადაებნენ,
 გრძელ ჯაჭვად იქცნენ...
 დანამდვილებით მე და მთავრემ
 ვიციით, რაც მოხდა
 (იმ ღამეს მხოლოდ პოეტი
 და მთვარე ფხიზლობდნენ):
 ის, შუალამე რომ გადავიდა,
 ადგა, აკრიფა ფუნჯები და საღებავები,
 მერე აიღო თავის სევდაც, ასწია მძიმედ,
 გავიდა გარეთ და შეუერთდა
 იმ ყოველივეს, რაც გარეთაა —
 ყაყანის, ჯგლეთის, გრიალის
 და გრიალის გარეთ.
 ის ხომ არ იყო აქაური, სხვაგნელი იყო
 და იქ წავიდა, საიდანაც მოვიდა ერთხელ.
 აქ „გარეთ“ იყო, იქ კი „შინაა“ —
 დუმლის ზღვაში მისი ფრთები დალივლივებენ...
 გული მიტირის! რომ წავიდა და აქ დატოვა —
 იმაზე ვტირი...

ჰერბარიუმი

როგორ გავფლანგეთ ერთმანეთი!
 რა უმოწყალოდ გავანადგურეთ-
 რაც გვაჟრჟოლებდა,
 რაც გვანათებდა, რაც გვაერთებდა...
 ასე მგონია, ჩვენ განვდევნეთ მთვარე მთებიდან
 და გავამეფეთ მის ნაცვლად ღამე,
 ...თუმცა ესეცაა —
 ვის დაუზოგავს გაზაფხული,
 ჩვენ დაგვეზოგა? —

წვეთ-წვეთობით ვის გამოუზოგავს,
 წვეთ-წვეთობით რომ გამოგვეზოგა?
 ... და აი, ისიც — ჩვენი სრული განადგურება:
 არც მთვარესა აქვს მთვარის შუქი —
 თბილი და წმინდა;
 არც იასა აქვს იის სუნი —
 დამათრობელი სურნელისაგან დაცარიელდა;
 აღარც მე ვარ და აღარც შენ ხარ;
 ჰერბარიუმის ერთ ფურცელზე
 დაგვასაფლავეს —
 ჩვენ ახლა მხოლოდ ჰერბარიუმის
 ყვავილები ვართ.

იოსების სიკვდილი

აი, ლამპა ჩაინია, ნავთი ამოიცალა
 გულსაც ეყო, რაც იგრგვინა, იომა და ინვალა,
 ვერ ვიტყვი, რომ იოსები უცებ გარდაიცვალა!
 ...

ჯერ ერთხელ „გააკულაკეს“ იგი —
 გაირეკეს რქამალალი ხარები
 და დოღებში მონავარდე ცხენები;
 ახლა მეორედ „გააკულაკეს“ —
 გაფხიკეს თევზის ხერხემალივით.
 მერე მიუხტნენ და დაიჭირეს:
 — მტრის მხარეზეა,
 სტალინის გზას არ მიჰყვებაო.
 ...ჯოჯოხეთიდან დაბრუნებულს კი
 სხვა ჯოჯოხეთი დაუხვდა სახლში:
 დედ-მამა მის ჯავრს გადაჰყოლია,
 ცოლი კი ცოლად იმ კაცს დაესვა,
 ვინც გაირეკა ხარები და ლურჯა ცხენები.
 ... აილო თოფი და ის ერთი ზუსტი გასროლა
 სასამართლოში შეაფასეს ათწლიან ციხედ.
 ასე ნელ-ნელა კვდებოდა იგი,
 დღეს კი სიკვდილი საბოლოოდ მიეპატრონა.
 ...
 გულსაც ეყო, რაც იგრგვინა, იომა და ინვალა,

იორამი—1994 წელი

გამომძიებლებს დაკითხვაზე უნამებიათ
 და გონებიდან გადასული დაბრუნდა უკან.
 როგორც კი გაზაფხულის წყლები აირევა
 ეგაც წყალივით იმღვრევა და საშიში ხდება.
 წუხელ მამამისს დასდგომია შიშველი ხანჯლით:
 — შესანირავი ცხვარი ხარ და უნდა დაგკლაო.
 და აი, ახლა, თოკით
 შეკრული სამ კაცს მოჰყავდა —
 ორნი აქეთ-იქით ედგნენ, მესამე-ზურგიდან.
 მე რომ დამინახა, გაჯიქდა და გაიტოტა,

შემომაცქერდა და შემომტირა:
 — აი, ხომ ხედავ, საგიჟეთში უნდა შემავდონ!
 ველარ გავუძლებ იქაურ მხეცებს —
 იმათ ყვირილს და რეზინის ჯოხებს,
 მიშველე რამე, —
 გადმომამხო მღვრიე თვალები.
 უცებვე მიხვდა, ვერ ვუშველიდი,
 ვერ ვიხსნიდი და მოჭრილ ხესავით,
 სრულად მოერღვა, ჩაეშალა მთელი სხეული.
 მიანვნენ. დაძრეს. წაიყვანეს.
 ჩემი იმედი გამოეცალა —
 დამსუბუქდა და ფეხი ველარ მოსდო მიწაზე,
 დამორჩილდა და ბუმბულივით წაეღებინა.
 გულმა მიჩრია: მიდი, გადასჭერ თოკები,
 რითაც ეგ საწყალი შეუბოჭავთო,
 მაგრამ გული ხომ ყოველთვის მარცხდება
 დიქტატორ გონებასთან კამათში!

შეპასუხება

ნუ მეუბნები — ნავიდა და აღარ არსებობს.
 ...
 მაშ ეს რა არის, ეს ტკივილის ქვეები რა არის?!
 მაშ ის რა არის, რაც ტკივილის ქვეებით შენდება?!
 ...
 ნუ მეუბნები — რაც ნავიდა, არარ არსებობს.

ენა

ჩვენ შევესწარი — ენა სულს ლევდა
 და ანტიენა ბატონდებოდა.
 ენას წაერთვა ძალა და მადლი —
 სიტყვები ველარ ჭრიდნენ გასაჭრელს
 და უბრძოლველად
 გამორბოდნენ ბრძოლის ველიდან.
 ხალხი ამ ენით ფიცს ველარ დებდა,
 ვერც სალოცავში ილოცებოდა,
 და ველარც თავის წინაპრებთან ლაპარაკობდა;

ჩვენ შევესწარი — ენა კვდებოდა
 და ტყუილების სამსახურში ჩადგნენ სიტყვები;
 კაცჭრიჭინები გამოსულიყვნენ
 და ჭრიჭინებდნენ ანტიენაზე.

... ჩამოიარა პაპაჩემის აჩრდილმა გზაზე,
 შეჩერდა, ყური დაუგდო ჭრიჭინს
 და ეს იკითხა გაოცებულ-გაკვირვებულმა:
 — სად ნავიდნენ სიტყვები?
 — რა ომი იყო ასეთი ომი?
 — რამ მოკლა ენა?!



ვერონიკა
 ზამთარაძე

მოვდივარ შვილო, მანძილი მომაქვს,
 ვერ ვიკლავ სურვილს სიშორის ძღვევით.
 ეს ღამე რჩება კვლავ არასწორად,
 ნაბიჯად ჩემი წარსული წლების.
 და როგორც ტყვია აცდენილ მიზანს,
 დღეები ისე მაშორებს შენთან.
 მარადისობას ვერ გადავიტან
 უშენოდ, ჩემო ნუგეშის ერთავ.
 ახლა კი შენებრ დგას ნებიერი,
 საღამო ხეთა მცირე აჩრდილად.
 მე მონატრების ჟინით მშვიერი,
 გამოქცეული განცდით დავცლილვარ.
 შვილო, სიზმრადაც ნუთუ არ მიხმობ?
 აქ ხომ ლანდები ძილსაც მქურდავენ...
 მოდი, მანძილი ერთად გავიყოთ,
 მარადისობა ნუთის ნუთამდე!
 მოვდივარ შვილო, განცდით ხნიერი!

ნუთუ ეს მთები შენი დარდია?!
 მე კი ძვირფასო ვარ ბედნიერი,
 ცხადიც უშენოდ არ მაბადია.
 აქ მარტოობა სიკვდილს მიმხნევეს
 და შენი სუნთქვით კრთება ჰაერი.
 მკვდრად ნურასოდეს ნუ გამიხსენებ,
 რადგან ვერ მოვეკვდი, მხოლოდ წავედი!

კვლავ მეშინია თავთან დარჩენის,
 და ვეძებ ისევ ნაცნობ გუნებას...
 ბავშვობის გარდა სხვა დანარჩენი,
 დღეს ასე წმინდა არ მეგულება.
 ჩემი ცხოვრება არის ფრაზა და
 ეძებს უსახურ მძიმის დასაბამს,
 და ლექსი კითხვის ნიშნით დამთავრდა,
 შემორჩა ფრაზის მხოლოდ ნასახად.
 ღამე კი ხატავს სიზმრის ფაბულებს
 და ხილვებს ძილი ვერ მოეკიდათ...
 მერე განწყობა ცოდვას მარგუნებს,
 რაც არ მალეღვებს მე ახლა დიდად.
 ნეტა თუ ჰქონდა ნალველს ხმა ანდა,
 თუ არსებობდა მისი ხატება?
 ის ალბათ მხოლოდ ლექსისთვის გაჩნდა,
 როგორც სიზმრები ღამის ნატვრებად.
 ზოგჯერ სიკვდილსაც ჩვენთვის ვიგონებთ,
 რომ ცხოვრებისგან არ დავივალთ,
 მე კი ვბარდები ვნების სტრიქონებს,
 ძველებურად რომ შენთვის ვიქალო.
 ვივსები ღამის ნაცნობ განცდებით,
 ავედევენები შინაურ გუმანს...
 როცა ერთმანეთს სიზმრად ავცდებით,
 გამოღვიძებას დავეძებთ უმალ.

დღეს საკუთარ თავს ისე გავუბრი,
 როგორც განწყობას ნაჩვევი ცრემლი...
 მერე სიყვარულს ლექსი დამირბევს,
 მერე სიკვდილსაც გადავეჩვევი.
 შვილო, ამ განცდას უნდა გავუძლო,
 უნდა გავუძლო რომ უშენოდ ვარ...
 ახლა კი ჩემში დარდი საუბრობს
 და მონატრებით ითხოვს შენდობას.
 ნეტა, ამ დღეებს თუ გამოვალწევ,
 რომ შენი ხმით და სუნთქვით ვიფხიზლო...
 ტყვედ ჩაბარდება ეს განცდაც ნაწერს,
 მასში რომ ახლა ლექსები ხიზნობს.
 ისევ თავიდან ვბრუნდები თავთან
 და ხელმეორედ ტკივილებს დავთვლი...
 გზად კი სიცოცხლე ჩამომიქანდა,
 მაგრამ დამტოვა სიკვდილის ხათრით.

მთებივით ალყა მადგას ოცნების
 და ვარ მთებივით უკაცრიელი!
 ადამიანად ყოფნით მოვცდებით,
 მე და ეს მთები ჟამზე ხნიერი.
 ჩამოიშალა ნისლის ნაბადი,
 სოფელმა ყალბი გრძნობის საფრიდან.
 უნუგემობა მომყვა სახლამდე,
 ოცნებამ წვიმად აქ რომ დაკიდა.
 მარადისობა თითქოს დაემხო,
 შეწყდა წამიც და ჟამმაც ჩასთვლიმა.
 გადაურბინა ჟრჟოლამ სამრეკლოს,
 გამოქცეულმა თავშესაფრიდან.
 წამოიბერტყა დილამ სიზმარი,
 მე კი ცხადიდან მირაჟებს მოვდევი.
 ჰო, უშენობას ალბათ ვისწავლი,
 მერე რომ შენი სიცოცხლით მოვკვდე!

მხოლოდ სიზმრები დგანან ურიგოდ,
 მხოლოდ სიცოცხლეს ვერ გავურბივარ!
 ახლა დღეები შემოვირიგე,
 რომ ჩამოყარა ჟამმა ბუდიდან.
 მხოლოდ განცდაა რალაც სულ ერთი,
 და ყოფნა უჭირს გამბედაობას.
 მე და ლოდინი სიკვდილს ვუსხედით,
 ის კი საკუთარ ბედზე დაობდა.

უჩემოდ მიდის ღამეც მგონი და
 ნაცოლარით მიმზერს ამინდი,
 დატოვებს სცენას დღე ამ ორიდან
 და ამოიღებს ღამე სამიზნით.
 კვლავინდებურად ვრჩები უჩემოდ,
 შენ კი ორ ცას და ორ მზეს აცვდები.
 მე მარტოობას ველარ ვუშველე,
 შენ ისევ ორის მკერდზე მარცხდები.
 ღამე ჩამთავრდა როგორც იქნადა,
 ჩემს სასთუმალთან ჯდება მზის სხივი...
 ცოლის იმედი აქ თავს იკლავდა,
 უნაოჭებდა კენესას სიცილი.
 ო, ველარ ვშველი უკვე თავსაც და
 ეს მოლოდინიც წელში გამიტყდა.
 მე ბედისწერამ შენით დამსაჯა,
 გამომიგლოვა თურმე ამინდმაც.
 მაგრამ ამ ლექსებს ველარ ველევი,
 რადგან უშენო წუთი შევლიე.
 წვიმა ქუჩებზე ცეკვავს ცერებით...
 შენ კი წლებივით შემომერიე.
 და რაც მინდოდა, რალაც ვერ ვამბობ,

ფურცლამდე თურმე დიდ გზას მოვდივარ...
 და არც ეს ლექსი ყოფილა სანდო,
 ისიც შენსავით მიმზერს შორიდან.
 შენ კი იყავი როგორც მესამე,
 მოლოდინსა და სიბერეს შორის.
 მე წარსულივით გამოგესალმე
 და დაგრჩა დაცლილ იმედად ცოლი.
 ღამემ უბეში მთვარე ჩაისვა,
 ველარ მონახა თუმცა ნაპირი.
 ვილაც კი მერე ცოლ-ქმრულ ვალისას,
 დალევს მოვალის მძიმე ხარკივით.

სახლამდე ალბათ ძლივსლა მიაღწევს,
 ეს წვიმები და თბილისის მწუხრი...
 რა უთენარი დღეა დილამდე,
 ჩაუკეცია ქალაქსაც მუხლი.
 მე დღეს თბილისის ჟამი მანუხებს,
 აღარ დასრულდა დღეთა რიგება.
 და საათები წუთად ნაკუნნი,
 დღეს უშენობას შეურიდება.
 ო, როგორ მინდა თბილისს გავექცე,
 გადმოვიკარგო სადმე შენს ახლო.
 მე ამოვზოცავ წუთებს ხვალემდე,
 შვილო, როგორმე ახლა რომ გნახო.
 და თითქოს ჯიბრზე დაგრძელდებიან
 დღეები, ღამეც მანძილს იგრძელებს.
 ქარი რომ დაჰქრის ჩემი თმები
 და წვიმაც მე ვარ, მხრებს რომ გისველებს.
 ახლა ქარიშხლად ავიწენები,
 სისხამზე ცრემლით ფეხებს ჩამოგბან,
 მერე კი ისევ სიზმრად გენვევი,
 რაც ზღაპარიდან ღამით გამოგყვა.
 არ დაუჯერო დღეებს სტყუიან,
 შვილო, არ აჰყვე წუთის მოლოდინს.
 არ თქვა ცხოვრება დღეს რომ ცუდია,
 უშენობაა მხოლოდ ბოროტი.
 იმედი ისევ აჰყვა ოცნებებს,
 და როგორც იქნა ეს დღეც მთავრდება...
 ეს თვეც წუთებად დაიხოცება,
 ახლა დღეებს რომ აწყობს თავნებად.
 სისხამი თვალებს სიზმრებს ჩამოგბანს,
 ღამე კედელთან აიტუზება...
 და წუხელიდან რაც კი გამომყვა,
 ჩამოსხდებიან ლექსში მუხებად.
 ჟამი დღეებით თამაშობს ბანქოს
 და აღარ უჩანს ბოლო რიგებას.
 ო, როგორ მინდა ახლა რომ გნახო,
 დღეს მოლოდინი შენს თავს მპირდება.
 ო, არა ისევ ღამეს ვენვევი,
 რომ სიზმრად სადმე გადაგყვარო.
 და მერე ერთად ხელისცეცებით,
 წამოვალთ შენთან — ჩემო ბექანო.

დღე აღსდგა თითქოს ღამის მკვდრეთიდან
და ეს სურვილი ქალაქს ენვია...
ჩემი ბავშვობა იმერეთია
და ვეგებები ბუდე-მერცხლიანს.
დღე აღსდგა, თითქოს გუშინ ჯვარცმული,
ჩემი სიყრმის და სიბერის მსგავსად...
თვით აღსასრულიც იყო კაცური,
თითქოს იუდამ სიკვდილიც გასცა!
ჩამომთავრა ბუნებამ გლოვა
და დროს მიუგდო ცრემლი ლეგენდად...
სასაფლაოზე მოსულ აღდგომას,
ბინდი ბავშვივით შემოეკედლა.

ვიცი, ნისლი ხარ თუ წლების ფთილა,
წამად რომ ღმერთმა ჩამოგანვეთა...
დღეს თვით სიკვდილმა შენ შემოგჩვილა
და უკვდავებამ გინამა ღმერთად!
ხსოვნას ათოვდა თითქოს რითმები,
ახლა კი ანმყო შემწუნხრისფერდა.
ვიცი, სიცოცხლე დიდხანს ითმენდა,
ცხოვრებამისჯილ სიკვდილის სევდას.
ვიცი, და მაინც გნატრობ დარდისთვის,
როგორც ჟამმა და ლექსმა გინატრა.
მიყვარხარ, მაგრამ მაინც არ ვიცი,
ძვირფასო ჩემო, დღეს თქვენ ვინა ხართ?
თითქოსდა ასე უცნობს გელოდი,
დაგდევი სიზმრად გარიჟრაჟამდე.
თავს იწონებდნენ ღამისმთევლობით,
ეს სტრიქონები როცა გზატავდნენ.
თითქოსდა მიხდა შემოგაჩვიო,
ჩემი სიჩუმე წლების ტკივილად.
დღეს ტამისკართან ღამე არნივობს
და მეც ამ ღამის ერთი შვილი ვარ!
მერე ჟამთასვლა როცა გადამწერს,
შენში, როგორც ერთ ღამის ნახსოვარს,
წარსული დღეებს დათვლის ასამდე,
მომწერს მოლოდინს გამოსათხოვარს.
ახლა კი ვიცი, ვეღარ მოვალწევ,
და უშენობას უნდა გავუძლო.
ვთხზავ მოგონებას კვლავ უხსოვარზე
და ჩემს ნათხოვარ ბედზე ვსაუბრობ.
ახლა სიკვდილმა დამიმარტოვა,
შენს შესახვედრად ღიმილს ვესესხე.
სხეულს წლებით და დარდით ნათოვარს,
ნაჩვევ მოლოდინს ვუცვლი ლექსებზე.
დღეს თითქოს ჟამი ფეხს დაიმძიმებს,
და ცრემლიც იშვა ორსულ ფიქრთაგან...
საათზე წამის ვიგრძნობ სიცივეს...
ლოდინი სიზმრის სხეულს ირთავდა.

ფურცლებზე ირევა სიჩუმის ანბანი,
ასოებს ზენარი მალულად იზიდავს...
დღეს წვიმამ მიაშობ მე შენი ამბავი
და დიდხანს კარს მიღმა ის წვიმა მიცდიდა.
მერე მელნისფერი თითით დავიარე,
მანძილს ვეძალები ანიდან — ჰაემდე...
სიტყვებმა ტკივილებს უხმოდ მაზიარეს,
დაჭრილი სიტყვები ფურცლებზე დაეცნენ.
ბგერები ფანტავენ სხეულის კიდურებს,
სიკვდილს მაზიარეს კვლავ არათანაბრად...
ფურცელზე ირევა ხმოვანთა სიჩუმე
და გრძნობებს ხოცავენ ანბანის თანახმად.
ძილის პროცესია დასრულდა უმაღვე,
ასოებს ჯარად და რიგებად ვამწკრივებ...
სიკვდილს კი ბავშვობა აქ გადავუმაღლე
და ბოლოს გრძნობებმა ბგერებად დამწყვიტეს.
სიშორეს გამოვცვლი ნაცნობი განცდებით,
ფურცელზე ავკრიფავ მოფანტულ ასოებს...
მერე კი ბინდივით შენც გამიბაცდები
და უხმოდ ანბანის ველზევე დაგტოვებ.

ვით ღვინოს დარდი ისე დაგნებდი,
იქნებ დარდივით მწყუროდი მაშინ,
და აკივლება ჩემი ცრემლების
სხეულს აფლითე ნაცნობი დაშნით.
გადაეკარგე ფიქრებს ჩვეულად,
სხეულზე ამბორს ხურდად დამიყრი.
მერე სიჩუმით ანაზღეულად,
დაილოშნება ვნების ნაპირი.
და ქარებივით ამოყრილ ეკლებს,
მხოლოდ სინდისის ღანდი დაფარავს.
შენ უპატარძლოდ დარჩენილ ნეფეს,
კვამლი დაგიბრებვს სხეულს თაკარას.
ჟამს ნაქვრივები ჩამოსწყდა წამი,
თითქოს მომავალს სარეცელს უშლის...
მარტოდდარჩენის შესანდობარი,
დაჰქონდა ღამით სიჩუმეს მუჭით.
აჰა, მიმიღე უკვე გავსრულდი
და ვნება ისევ მკვდრეთით აღსდგება.
დაველოდები, მაგრამ პასუხი
ალბათ იქნება გამოსარჩლება.
წამებმა სულში გაინადირეს,
კვლავ შემორჩები ღანვს ნაპრალებად.
მოდო, მევენე და მომისამძიმრე,
გრძნობა წლებივით ჩამოჟანგდება.
ბოლო წვეთებსაც ლოკავს ასფალტი,
რომ მერე ჟამის ზიდოს ქუსლები.
მეც ამ ლექსივით შენში დავმთავრდი,
მეც ამ ლექსივით მიგისუსტდები.



სუკო ფონ ზოვმანსკაი

მახჷან ბასოზნიჩის თავბადასავანი

ჩემი ცხოვრებიდან მახსენდება ის პერიოდი, როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის გამო, მუდამ ერთსა და იმავე დროს, სისტემატურად, კვირაში რამდენჯერმე, ერთ პატარა ხიდზე მიწევდა ხოლმე გავლა (იმ ადგილას მაშინ ახალი და დიდი ხიდი ჯერ არ იყო აგებული). ადგილობრივი მცხოვრებლები, განსაკუთრებით კი უბრალო ადამიანები და ხელოსნები უკვე მცნობდნენ და დიდი პატივისცემით მესალმებოდნენ. ყველაზე მეტად დუქანში მოვაჭრე მშვენიერი ახალგაზრდა ქალი მიზიდავდა, რომლის დუქანზეც ორი ანგელოზით მოხატული აბრა ეკიდა. იმ მხარეში ხუთი თუ ექვსი თვის განმავლობაში დავდიოდი და ყოველ გავლაზე ქალი თავს ხრიდა, მონინებით მიყურებდა და ვიდრე თვალს არ

მივეფარებოდი, მზერას არ მაშორებდა. შევნიშნე თუ არა მისი ასეთი დამოკიდებულება, მეც კეთილგანწყობა ვაგრძნობინე. გვიანი ზამთრის ერთ დღეს, ცხენზე ამხედრებული, ფონტენებლოდან პარიზს მოვემგზავრებოდი; როგორც კი ის პატარა ხიდი გადავიარე, კვლავ გამოჩნდა ახალგაზრდა მედუქნე, მომიახლოვდა და მითხრა: „ბატონო ჩემო, მოგესალმებით თქვენი მონა-მორჩილი, როგორც გნებავთ, მიმსახურეთო“. რა თქმა უნდა მეც გულითადად მივესალმე, თუმცა კი მალე დავემშვიდობე და გზა განვაგრძე, თან დროდადრო უკან ვიხედებოდი და ვგრძნობდი წინ გადმოხრილი დაუინებით როგორ მაყოლებდა თვალს. იმ დღეს თან მახლდნენ მსახური და კურიერი, რომლებსაც რამოდენიმე ჩემი ნაცნობი ქალბატონისათვის წერილები უნდა წაელოთ ფონტენებლოში. ჩემს ბრძანებაზე მსახური ცხენიდან ჩამოვიდა და მედუქნე ქალისაკენ გაემართა იმის სათქმელად, რომ მას გულისნადებს მივუხვდი და თუკი ისურვებდა, მზად ვიყავი შევხვედროდი და ახლოს გავცნობოდი.

ქალმა მსახურს უპასუხა, რომ ამაზე სასურველ და სასიამოვნო ამბავს იგი ვერაფერს შეატყობინებდა; რა თქმა უნდა, მასაც უნდოდა ჩემთან შეხვედრა და მოვიდოდა იქ, სადაც მე ვეტყოდი.

ამავე დროს დავინტერესდი, ხომ არ იცოდა ჩემმა მსახურმა ისეთი ადგილი, სადაც ჩემი მომავალი მეგობრის ახლოს გაცნობას შეეძლებდი. მან მიჩრია, რომ არის ერთი ხანში შესული ქალი, რომელიც შუამავლობით ცხოვრობს და სწორედ ის შეძლებს ამ საქმის მოგვარებასო.

ჩემს მსახურს ვილჰელმი ერქვა და წარმოშობით კურტრედან იყო; პატიოსანი და კეთილსინდისიერი ვილჰელმი ჩემს მიმართ ყოველთვის დიდ მზრუნველობას იჩენდა ხოლმე. ამჯერად მან გვაუწყა, რომ თურმე, შავმა ჭირმა იჩინა თავი და არა მარტო უბრალო ხალხი და მიუსაფარი ადამიანები, არამედ მკურნალი და მოძღვარიც უმსხვერპლია. ამიტომაც მიჩვევდა, შეხვედრის ადგილას სახლიდან ნაგველო ნაალი და ზენარ-საფარებლები. მე დავეთანხმე, ყველაფრის მოგვარება კი მან ითავა. ბოლოს დავსძინე, რომ დამჭირდებოდა რიგიანი პირსაბანი, ცოტაოდენი სურნელოვანი საპკურებელ-ნელსაცხებელი, ნამცხვარი და ვაშლი. რა თქმა უნდა, იმაზეც უნდა ეზრუნა, რომ ოთახი კარგად გამთბარიყო, რადგან ისეთი სიცივეები იდგა, უზანგში ფეხები მთლად მეყინებოდა. ამინდს კი გამოკეთების პირი არ უჩანდა და ცაზე თავმოყრილი ჩამოქუფრული ღრუბლებიც თოვლის

მოსვლას გვიქადადა.

სალამოს დათქმული ადგილისაკენ გავე-
შურე, ის სახლი მოვძებნე, კარსაც მივაგენი
და შიგ შევედი. ბუხარში ისე ხმაურთანად
გიზგიზებდა ახლად შეკეთებული ჯირკი,
რომ იქ მყოფთ ჩემი შესვლა არც გაუგიათ.
იქაურობას თვალი შევაღვლე და დავინახე,
რომ სანოლზე იჯდა ანგელოზებიან დუქან-
ში მოვაჭრე, თვით ანგელოზივით მშვენიერი,
ოციოდე წლის მომხიბლავი არსება, რომელ-
საც თავიან-ტანიანად შავი შალით საგულდა-
გულოდ შეფუთული, წელში მოხრილი ხნიე-
რი ქალი რაღაცას ჩასჩინებდა, როგორც
ჩანს, ეს ის მამული და ჩვენი მშველელი იყო.
მართალია, ახალგაზრდა ქალი გაფართოებუ-
ლი თვალეებით აუღელვებლად და წყნარად
მისჩერებოდა აალებულ ცეცხლს, მაგრამ
აშკარად ვატყობდი, რომ მოხუცებულს ვერ
იტანდა, თუმცა კი ამას არ იმჩნევდა. უცებ
მან თავი ისე უცნაურად აიქნია, თითქოს უსი-
ამოვნო თანამოსაუბრე შორს ჩამოიტოვა და
მისგან თავი გაითავისუფლაო. თავზე ღამის
პატარა, კოპონია ჩაჩი ეხურა, საიდანაც მუქი
ფერის მშვენიერი ხშირი თმა ჩამოშლოდა
და ბუნებრივობით გამორჩეული მსვილხუჭუ-
ჭა კულულები მხრებზე, გულმკერდსა და
სალამურ ხალათზე დაეფინა. მწვანე შალის
მოკლე ქვედატანთან ერთად საშინაო ფლოს-
ტები ემოსა. ჩანს რაღაც პატარა ხმაურმა
გამცა, რადგან მაშინვე თავი ჩემსკენ მოაბ-
რუნა და მომამტერდა. უჩვეულო დაძაბუ-
ლობისაგან მის სახეს უცნაური და მძაფრი
გამომეტყველება მისცემოდა, სხივნაფენი
თავგანწირვა და თვითაღკვეთა, ფართოდ
გახელილ თვალთაგან გადმოიფრქვა და მო-
კუმული ბაგეებიდან უხილავი ცეცხლივით
ამოენთო. ახალგაზრდა ქალის მიმზიდველო-
ბამ ისე გამიტაცა, ვერც კი შევნიშნე ის მო-
ხუცებული თვალის დახამხამებაში როგორ
გამქრალიყო. როგორც იქნა, მარტო დავრჩი
ჩემს გულისწორთან და როცა მასთან ყოვ-
ლისწამლევავი სიახლოვის შემდეგ თავდავიწყ-
ებამდე მისულს მეტი სილაღე და სითამამე
დამეუფლა, იგი ნებას არ დამყვა, თითქოს
გამერიდა კიდევ, თუმცა მის დახშულ ხმასა
და გამოხედვაში ენით აღუწერელი მაცოცხ-
ლებელი გულწრფელობა და გულითადობა
გამოსჭვიოდა. მართლაც, მეორე წუთში ვიგ-
რძენი მომძლავრებული გრძნობით როგორ
მომეხვია, ცხოველმყოფელ თვალთა უფრო
და უფრო გამძაფრებული სურვილ-წადილი-
ანი მზერით მკლავები შემომამჭდო და ტუჩე-
ბით დამეკონა. შემდეგ კი თითქოს რაღაცის
თქმა დააპირა, თუმცა კოცნისაგან ათრთო-
ლებულ მის ტუჩებს სიტყვის წარმოთქმა არ

შეეძლოთ და მკაფიო ბგერების ნაცვლად
პირიდან მოგუდული ხმა და ხვნეშა-კვნესა
ამოსდიოდა.

მთელი ის დღე, დილიდან სალამომდე გაყი-
ნულ გზებზე ცხენით სიარულს მოვანდომე.
რეზიდენციის ერთ-ერთ მისაღებში საკმაოდ
ხმაურიანი და უსიამოვნო შეხლა-შემოხლაც
გადავიტანე; მძიმე განწყობილების დასათ-
რგუნავად და გულის გადასაყოლებლად სას-
მელიც ზომაზე მეტი გეახელით, ორთაბრძო-
ლაშიც გვარიანად ვიფარაკავე; დღის ბოლოს
კი, როცა ამ სასიყვარულო თავგადასავლის
მორევში გადავეშვი და კისერზე შემოჭდო-
ბილი ქალის ფაფუკი მკლავების ტყვეობაში
მყოფმა და სურნელოვან თმებში ჩაფლულმა
თავი განცხრომას მივეცი, უცებ საოცარმა
დაღლილობამ ისე დამარეტიანა, რომ გონზე
ვერ მოვედი და ველარც აღვიდგინე, ამ სახ-
ლში როგორ მოვხვდი; უფრო მეტიც, მისი ვი-
ნაობაც კი გადამავინწყდა, ვისთან ერთადაც
ახლა ვიმყოფებოდი და ვისი გულიც ჩემს
გულთან ასე ახლოს ძგერდა; იგი ჩემს ადრინ-
დელ სატრფიალო არსებად მივიჩნიე.

როცა გავიღვიძე და თვალი გავახილე, ირგ-
ვლივ უკუნი ღამე იდგა, თუმცა კი მკაფიოდ
შევიგრძენი, რომ ამღამინდელი ჩემი მეგობა-
რი გვერდით აღარ მყავდა. თავი წამოვნიე
თუ არა, მიმქრალ ცეცხლის შუქზე დავინახე,
რომ ქალი ფანჯარასთან იდგა, ერთი დარაბა
ცოტათი გამოელო და ღრიჭოდან გარეთ იყუ-
რებოდა. იგი მაშინვე შემოტრიალდა, ახლად
გამოღვიძებულს შემომხედა და წამოიძახა:
„ჯერ არ გათენებულა, დილა არ დამდგარა,
არა“. (იმავე დროს შევნიშნე, მარცხენა ხე-
ლი ლოყაზე როგორ გადაისვა და წინ ჩამოშ-
ლილი თმა კვლავ მხრებზე გადაიყარა). მხო-
ლოდ ახლა აღვიქვი, რა ტანადი და ღამაზი
იყო. მის მშვენიერ ფეხებს მენამული ცეცხ-
ლის ალი ელაციცებოდა. ისე მოვიხიბლე, ერ-
თი სული მქონდა თავისი მშვიდი და მოზომი-
ლი ნაბიჯებით როდის მომიახლავდებოდა.
თუმცა ჯერ ბუხართან მივიდა, ძირს დაიხა-
რა, სადაც ბოლო ერთი ჯირკი კიდევ დარჩე-
ნილიყო, იგი შიშველ ბროლის მკლავებში მო-
იქცია, ბუხარში სასწრაფოდ შეუკეთა და მა-
შინვე მოტრიალდა, მაგიდიდან ვაშლი აიღო,
სიხარულისა და ნაპერწკლებისაგან ატკრცია-
ლებული სახით ჩემსკენ გამოემართა, მთელი
სხეულით ხასხასა ცეცხლის სურნელი მიმო-
აფრქვია და ჩანავლდა, თუმცა კი უფრო ძლი-
ერმა და მწველმა შინაგანმა ცეცხლის ალმა
მთლად აათრთოლა, ააცახცახა, მყისვე თვა-
ლები, ტუჩები და მთელი სახე შემომამგება,
თავისი მოკბეჩილი ვაშლი მარცხენა ხელით
გამომინოდა და მარჯვენა ხელი შემომხვია.

ის ბოლო ჯირკი წინანდებლებზე უფრო ძალუ-
მად და ხანგრძლივად იწვოდა, ცეცხლის ალს
ნთქავდა, ირგვლივ ნაპერწკლებს ყრიდა და
თან ისე გიზგიზებდა, რომ ცხელ ტალღად გა-
დაგვივლიდა ხოლმე, კედელს წვდებოდა და
ერთ ჩრდილად ქცეული ჩვენი ორი სხეული
ხან ზემოთ იწევდა და მალღდებოდა, ხან კი
ძირს ეშვებოდა და დაბლდებოდა.

ისევ ტკაცუნობდა მაგარი და გამძლე შე-
შა. მისი სიღრმიდან სულ ახალ-ახალი ცეცხ-
ლის ენები იბადებოდა და კონებად ასხმული
მენამული კაშკაშა სხივებით მძიმე წყვილი-
დის დათრგუნვას ლამობდა. ერთბაშად ცეცხ-
ლის ალი მიყუჩდა და ისეთი ცივი ჰაერის სუნ-
თქვა შევიგრძენით, თითქოს ვილაცის უხი-
ლაგმა ხელმა დარაბა გამოალო და ჩვენთვის
საძულველი, ჯერ ისევ მქრქალი აისი თავს
დაგვაყენა.

ორივენი წამოვჯექით და დავრწმუნდით,
რომ თენდებოდა, თუმცა დღის დადგომას
არაფერი მოასწავებდა. ეს არ იყო ბუნების გა-
მოღვიძება; გზა, ქუჩა და თითქოს სამყაროც
აღარ ჰგავდა თავის თავს. ეს იყო რაღაც
უფერული, არსისა და აზრისაგან დაცლილი,
უბადრუკობა, სადაც მხოლოდ უდღეურ ჭია-
ღუას თუ შეეძლო არსებობა. სადაც შორს,
თითქოს მოგონებების სიღრმეში კოშკის
საათმა ჩამოჰკრა, თუმცა აღარაფერი ეკუთ-
ვნოდა ჩვენი დროის განზომილებას. ცივი და
ნესტიანი ჰაერიც კი თანდათან ისეთი ძალით
შემოგვეჭრა და დაგვიპყრო, რომ კანკალმა
ავგიტანა და ერთმანეთს მჭიდროდ მივეკა-
რით. შემდეგ ქალმა უკან გადაინია და სახე-
ზე მომაშტერდა; მხრები მთლად უთრთოდა,
თითქოს ყელშიც რაღაც მოაწვა, ამოხეთქა
და გამოსავალი მის ტუჩებთან ჰპოვა, თუმცა-
ღა არც სიტყვას, არც კოცნას და არც კვნი-
სას ცალ-ცალკე წარმოქმნა არ ენერათ, ეს
ყველაფერი ერთმანეთში იყო გადახლართუ-
ლი. განთიადი და სინათლე კი ყოველ წუთს
მატულობდა. მისი დაძაბული და მთრთოლვა-
რე სახე თანდათან მეტყველი ხდებოდა. მო-
ულოდნელად, ფანჯარასთან ისე ახლოს გაის-
მა ადამიანის ლაპარაკისა და ფეხის ხმა, რომ
ქალი შეცბა, დაიღუნა და სახე კედლისაკენ
მიაბრუნა. ცოტა მოშორებით ორი კაცი მიდი-
ოდა; ამ დროს ოთახში სინათლე შემოიჭრა, ეს
იმ ფარნის შუქი იყო ერთ-ერთ მათგანს რომ
ექირა ხელში, მეორე კი ურიკას ეზიდებოდა.
ურიკის ბორბალი ჭრიალებდა. როგორც კი
ჩაგვიარეს, წამოვდექი, დარაბა მივხურე და
სანთელი ავანთე. ნახევარი ვაშლი კიდევ
დარჩენილიყო, იგი ორივემ ერთად შევჭა-
მეთ. მერე ჩემს გულისწორს შევეკითხე, თუ
შეიძლებოდა კიდევ მასთან შეხვედრა, რად-

გან კვირას იქაურობას ვტოვებდი და მივემ-
გზავრებოდი. იმ დილით კი უკვე პარასკევი
დაგებოდა.

სატრფომ მიპასუხა, რომ ჩემზე არანაკ-
ლებ სურდა კვლავ ვეხილე, მაგრამ მხოლოდ
იმ შემთხვევაში შემხვდებოდა, მთელი კვირა
დღე თუ დავრჩებოდი, რადგან სახლიდან წა-
მოსვლას და ჩემთან ყოფნას მხოლოდ კვირა-
ორშაბათის ღამეს შესძლებდა.

უცებ რაღაცა გამახსენდა და ვუთხარი,
ისეთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, რომე-
ლიც ჩვენს შეხვედრას უთუოდ ხელს შეუშ-
ლის-მეთქი. მან უსიტყვოდ მომისმინა, გულ-
ნატკენმა გაოცებით შემომხედა, თან სახე
მთლად ჩაუმუქდა და თითქოს გაუქვავდა კი-
დეც. ამის შემხედვარემ რა თქმა უნდა მაშინვე
აღვუთქვი, რომ კვირას დავრჩებოდი და ისევ
ამ ადგილას მოვიდოდი. პასუხად მტკიცედ
შემომხედა, თან სულდამძიმებულმა დათ-
რგუნული ხმით მიპასუხა: „მე მშვენივრად
მესმის, რომ შენი გულისათვის სამარცხვინო
სახლში შემოვდგი ფეხი, მაგრამ ეს ხომ ჩემი
ნებით გავაკეთე, ყოველგვარ პირობაზე დავ-
თანხმდი ოღონდ შენთან ვყოფილიყავი; მე
რომ აქ კიდევ ერთხელ მოვიდე, ჩემი თავი ქუ-
ჩის ქალზე უარეს არსებად წარმომიდგება.
შენთვის და შენს გამო გავაკეთე ეს ყველაფე-
რი, რადგან შენ ბასომპიერი და თან ჩემთვის
ის ადამიანი ხარ, ვინც აქ ყოფნით ეს სახლი
საპატიო გახადა“. სთქვა მან და ერთი წუთით
მომეჩვენა რომ სიტყვა „სახლი“ მისთვის ყვე-
ლა სიტყვაზე საზიზღარი და აუტანელი იყო.
შემდეგ კი თვალი მოავლო ოთხივე კედელს,
სანოლს, ჭერს და იატაკზე გადმოცურებულ
საბანს, თან თვალთაგან სინათლის ისეთი
სხივი გამოაშუქა, რომ თითქოს ირგვლივ
ეს უბადრუკი სივრცე მყისიერად გაივრცო,
გაფართოვდა და მისთვის საძულველი, სულ-
მდაბალი საგნებიც შედრკნენ, გზიდან ჩამოე-
ცალნენ და მთლად განერიდნენ.

მერე ერთ აღუნერელი სინაზითა და ამაღ-
ლებული განწყობით დასძინა: „ტანჯვა-წამე-
ბით ამომხდეს სული, თუკი ამქვეყნად ჩემი
ქმრისა და შენს გარდა ვინმე ვისურვო და
ვინდომო“. ამ დროს ჩემი სატრფოს ნახევ-
რად ღია ბაგეებიდან სიცოცხლის სუნთქვა
მომელამუნა. მსუბუქად და ჰაეროვნად წინ
გადმოხრილი, როგორც ჩანს, ჩემგან ფიცსა
და საზეიმო დაპირებას ელოდა და რადგან
ჩემს გამოხედვაში ვერ ამოიკითხა ის, რაც
სურდა, ცნობისმოყვარე და დაძაბული სახე
შეეცვალა, მოიღუშა და მოიქუფრა, ნაწყენსა
და გულნატკენს თვალები აუხამხამდა, უცებ
ფანჯარასთან მივიდა, ჩემგან ზურგმქეცე-
ვით შუბლი დარაბას მიაბჯინა, თან უსიტყ-

ვო, მაგრამ დაუოკებელმა და გულგამგმირავ-
მა ქვითინმა მთელი ტანი ისე აუთრთოლა,
რომ ჩემი სათქმელი პირზე შემეყინა და მას-
თან მიკარება ველარც კი გავბედე. ბოლოს,
როგორც იქნა ხელი შევავლე მის უსიცოცხ-
ლოდ ჩამოყრილ მკლავებს და შევეცადე ის
ყველაზე დამაჯერებელი და დამამშვიდებე-
ლი სიტყვები მეთქვა, რაც იმ წუთში მომაფიქ-
რდა. როგორც ჩანს, ცოტა მოგვიანებით ეს
შევძელი, რადგან ნამტირალევი და ცრემ-
ლით დაცვარული სახე ჩემსკენ მოაბრუნა;
თვალთაგან ნათელი ღიმილის სხივებიც კი გა-
მოუკრთა, ტირილის კვალი მთლად წაუშალა
და სახე კვლავ აუელვარა. მალე ამეტყველდა
კიდევ და საუბარი კეკლუც და მიმზიდველ
თამაშად აქცია, ერთი და იგივე წინადადება
უთვალავჯერ გაიმეორა: „თუ გინდა, რომ კი-
დევ შემხვდე, ბიცოლარემის სახლს გასწავლი
და იქ მნახავო“. პირველი წინადადება ათჯერ
მანც წარმოსთქვა, ხან ნაზი და სასიამოვნო
დაჟინებით, ხან გულუბრყვილო ბავშვის უნ-
დობლობით, მერე კი ტურნებმოკუმული ბეჭე-
ბის რხევით მხარზე მომეხვია, კისერზე ჩა-
მომეკიდა, სახეში შემომციცინა და სათქმელი
უდიდეს საიდუმლოსათვის ჯერ ყურში ჩამ-
ჩურჩულა, შემდეგ ამქვეყნიურ სულსაცხო-
ნებელ აღთქმასავით შეპარვით გაიმეორა.
ბიცოლამისის სახლი კი ისეთი სიზუსტით
აღმიწერა, როგორც პატარა ბავშვს უხსნიან,
ქუჩაზე როგორ გადავიდეს, როცა პირველად
აგზავნიან მეფუნთუშესთან. მალე ნელში გას-
წორდა, დადინჯდა და სხივჩამდგარი მზერა
ისე მომაპყრო, რომ უსიცოცხლო არსებასაც
კი მიიზიდავდა, თან საუბარი გააგრძელა: „სა-
ლამოს ათი საათიდან გვიანობამდე და შუალა-
მემდე, დიდხანს, ძალიან დიდხანს სულ შენს
მოლოდინში ვიქნები. ქვემოთა კარს ღიად
დავტოვებ. იქვე პატარა შესასვლელს დაინა-
ხავ, მაგრამ იქ არ შეჩერდე, რადგან ის ზე-
ვით, ბიცოლარემის ოთახში აგიყვანს. იქვე კი-
ბეს შენიშნავ, იმ კიბით პირველ სართულზე
ჩახვალ და აი, სწორედ იქ ვიქნები მე“. თქვა
ეს და თვალები დახუჭა, თითქოს თავბრუ და-
ესხაო, შემდეგ თავი უკან გადასწია, მხრებ-
ში გაიშალა, ისევ მომეხვია, თუმცა ხელები
მაშინვე მომაშორა ტანსაცმელში ჩაიფუთნა
და დინჯად და თავშეკავებულად, უცხოსა-
ვით გავიდა ოთახიდან. გარეთ კი ამასობაში
მთლად გათენებულიყო.

იმავე დღეს რალაც საქმეები მოვაგვარე
და განკარგულეზაც გავეცი, რომ მთელი
ამალა გასამგზავრებლად მომზადებულიყო,
ბარგი დაეტვირთათ და ზოგიერთი მსლებე-
ლი და მსახური დაწინაურებულიყო კიდევ.
მე კი მომდევნო საღამოს ისეთი დაუოკებე-

ლი მოუთმენლობა დამეუფლა, რომ მწუხრის
ზარების შემდეგ, ჩემი მსახურის, ვილჰელმის
თანხლებით პატარა ხიდისაკენ გავწიე და ფა-
რანიც არ წამოვალებინე, შუქზე არავინ შეგ-
ვნიშნოს-მეთქი. ოჰ, როგორ მიწოდდა იმ დუ-
ქანში ან სადმე ახლოს ჩემი სატრფოსათვის
თვალი მომეკრა, როგორმე ჩემი იქ მისვლა
მეცნობებინა და თუკი ყველაფრის იმედი გა-
დამენურებოდა, დავლაპარაკებოდი, ორიო-
დე სიტყვა მანც მეთქვა. რომ არავის დავენა-
ხე, ხიდზე გაჩერდი და მსახური წინ გავუშვი
ამბის გასაგებად, თუ რა მდგომარეობა იყო
იმ ადგილას.

იგი კარგა ხანს შეყოვნდა და მოქუშულ-
მოლუშული დაბრუნდა უკან. ამ ერთგულ და
კეთილსინდისიერ ადამიანს ასეთი განწყობა
მაშინ ეუფლებოდა, როცა ჩემს დავალებას
სათანადოდ ვერ შეასრულებდა ხოლმე. „დუ-
ქანი დაკეტილია“, — მომახსენა მან — „და
მგონი შიგ არავინაა. ქუჩის მხარეზე რომ
ოთახებია, არც იქ არის ადამიანის ჭაჭანება.
ავი ძაღლის გამო კი გალავანზე გადასვლა
და ეზოში შეღწევა შეუძლებელია. იმ წინა
ოთახებიდან ერთ-ერთი განათებულია და
ლრიჭოდან დუქანში შეხედვა შეიძლება, მაგ-
რამ სამწუხაროდ, იქაც სიცარიელეა“.

მთლად დათრგუნულსა და გულდამძი-
მებულს უკან მიწოდდა გამობრუნება, მაგ-
რამ ნელი ნაბიჯით კიდევ ერთხელ ჩავუარე
სახლს, ხოლო ჩემმა მსახურმა თავისი ჩვეუ-
ლი გულმოდგინებით იმ ღრიჭოში დაიწყო ყუ-
რება, საიდანაც სინათლე გამოკრთოდა. მა-
ლე ჩურჩულით მაუწყა, რომ ერთ-ერთ ოთახ-
ში ქალი კი არა, კაცი იმყოფებო. საოცარმა
ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, მიწოდდა იმ
მედუქნის დანახვა. როგორც მახსოვდა, მის-
თვის არც ერთხელ არ მქონდა თვალი მოკ-
რული და ხან ზედმეტად ტანსრულ, ტლანქ
და მოუხეშავ ადამიანად, ხან კი ჩამომჭქნარ,
გამხდარ და მოტეხილ მოხუცად წარმომედ-
გინა. ფანჯარას მივუახლოვდი და შევიხე-
დე თუ არა, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ
ჰქონდა, მშვენივრად მოპირკეთებულ და
განყობილ ოთახში ბოლთას სცემდა უჩვეუ-
ლოდ ტანადი, სასიამოვნო გარეგნობის მა-
მაკაცი. იგი ჩემზე მთელი თავით იქნებოდა
მალალი. როცა ფანჯრისაკენ შემობრუნდა,
კარგად გავარჩიე მისი მიმზიდველი და დარ-
ბაისლური იერი. ნაბლისფერ წვერში ცოტაო-
დენი ვერცხლისფერი ზოლებიც შეპარვოდა,
მსგავსი გადაშლილი, ფართო და ჭკვიანური
შუბლი იშვიათად თუ მენახა. მიუხედავად იმი-
სა, რომ ოთახში მარტო იყო, მზერა ხშირად
ეცვლებოდა, ტურნებს ამოძრავებდა, აქეთ-
იქით სიარულისას დროდადრო ჩერდებოდა,

ეტყობოდა წარმოსახვაში ვილაცას ესაუბრებოდა; ხელიც კი ისე აამოძრავა, თითქოს მორიდებული და ძალდაუტანებელი დამაჯერებლობით თანამოსაუბრეს პასუხი უნდა გასცესო. მის ყოველ დარბაისლურ, მედიდურ და აუჩქარებელ მოძრაობაში უდიდესი ზიზღი და ამრეზილობა გამოსჭვიოდა. ვიდრე ამ ადამიანს თვალ-ყურს ვადევნებდი, გამახსენდა და თან მთელი სიცხადით თვალწინ წარმომიდგა ერთი კეთილშობილი პატიმარი, რომელსაც მეფის სამსახურში ყოფნის დროს ბლოას ციხე-კოშკის სატუსალოში ვყარაულობდი. ამ ორ ადამიანს შორის მსგავსება ჩემთვის თანდათან უფრო ცხადი გახდა, მას შემდეგ, რაც მამაკაცმა მარჯვენა ხელი ზემოთ ასწია და მოღუნულ თითებს კუმტად და პირქუშად დაუწყო თვალიერება.

კარგად მახსოვს, ის კეთილშობილი პატიმარიც მსგავსი მოძრაობით ხშირად რომ დასცქეროდა ბეჭედს, რომელიც ყოველთვის მარჯვენა ხელზე ეკეთა. შემდეგ კაცი მაგიდასთან მივიდა, წყლის დოქი ცვილის სანთლისაკენ მისწია და ორივე ხელის გაშლილი თითები სინათლის რკალში მოაქცია, ეტყობოდა დიდი გულმოდგინებით ათვალერებდა თავის ფრჩხილებს. ბოლოს სანთელი ჩააქრო და ოთახიდან გავიდა, მე კი დავრჩი ბრაზმორეული და უსაზღვრო ეჭვით შეპყრობილი, რადგან მისი ცოლისადმი ლტოლვამ ჩემში აგიზგიზებული ცეცხლივით იმძლავრა, რომელიც ირგვლივ ყველაფერს სტიქიასავით მოედო და საშველს ველარსად ვპოულობდი. ეს სურვილ-ნადილი არამარტო ამ გამაოგნებელმა შემთხვევამ გამიმძაფრა, არამედ სუსხიანი ქარისაგან აკორიანტელეზულმა თოვლის ფიფქებმაც, წარბ-წამწამზე სათითაოდ რომ მეკონწიალებოდნენ და ზედ მადნებოდნენ.

მთელი მომდევნო დღე ფუჭად და უმიზნოდ გავატარე. გულს ვერაფერს ვუძებდი. ცხენი ვიყიდე, მაგრამ მაინცდამაინც არ მომწონდა სადილის შემდეგ ჰერცოგ ნემურისაკენ გავწიე, მის მოლოდინში გულის გადასაყოლებლად თამაშით ვირთობდი თავს, თუმცა უამრავი მძიმე და აუტანელი საუბრის მოწმე გავხდი. მოდებული შავი ჭირის გარდა, არაფერზე ლაპარაკობდნენ. მისი მსხვერპლი სულ უფრო მეტი ადამიანი ხდებოდა და იქ თავმოყრილი კეთილშობილი საზოგადოებაც ყოველ წუთს ამ მძიმე სენთან დაკავშირებულ მოვლენებს უბრუნდებოდა, საჭირო იყო რაც შეიძლება სწრაფად გვამების მინისტრის მიბარება — დამარხვა, გარდაცვლილთა სახლების ცეცხლით გამოწვა, რათა ეს საშინელი დაავადება უფრო მეტად

არ გავრცელებულიყო. ყველაზე უგუნურად და ახირებულად კი იქცეოდა სისხლსავსე და ჩათქვირებული მოძღვარი შანდიოდან, რომელიც როგორც ყოველთვის, ჯანმრთელად გამოიყურებოდა, მაგრამ თავს ვერ იკავებდა და გამუდმებით ხელის თითებს ითვალერებდა, როგორც ჩანს უნდოდა გაეგო, ფრჩხილები ხომ არ ულურჯდებოდა; ამ მძიმე სენის მაუწყებელ ნიშნად, ფრჩხილების სილურჯე ითვლებოდა.

ყველაფერი შემზიზღდა, არავისა და არაფრის დანახვა აღარ მინდოდა. იქაურობა დავტოვე და სახლისაკენ გავწიე, დავწეკი, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა, წამოვდექი და ტანზე ჩაცმა დავინწყე. როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა გაენია ჩემს ამაღას და რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, გადავწყვიტე აუცილებლად მომენახულებინა ჩემი მიჯნური. ფანჯარასთან მივედი, რომ მხლებლები გამელვციდებინა. ღამის სიცივემ ცოტა გონზე მომიყვანა და ვიგრძენი, რომ ამ გზით საქმეს გავაფუჭებდი, ყველაფერს წყალში ჩავყრიდი. ტანსაცმელი აღარც გამიხდია, ისე მივწეკი. როგორც ჩანს, მალე ჩამეძინა.

ასევე მოუსვენრად და წვალებით გავატარე მთელი კვირა დღე, საღამოს, დროზე ადრე უკვე დათქმულ ადგილას ვიყავი და ვინაიდან საკმაო დრო იყო დარჩენილი, საჭიროდ ჩავთვალე მიმდებარე შესახვევი კარგად დამეთვალერებინა. ბოლოს მოვძებნე ის სახლი და კარიც, რომელზეც ჩემმა ღამის მეგობარმა მიმანიშნა. კარი ღია იყო, შესასვლელსაც მივაგენი და კიბესაც. ზემოთ კი კარი, რომელსაც კიბეზე ასვლისას მივადექი, დაკეტილი დამხვდა, თუმცა კი ღრჭოდან სინათლის მქრქალი ზოლი გამოკრთოდა. რა თქმა უნდა იგი ოთახშია, ვფიქრობდი ჩემთვის, ის ალბათ დაძაბული და სმენადგადაქცეული დგას შიგნით, კარს იქით ისე, როგორც მე კარის აქეთ. გაუბედავად დავაკაკუნე, ოთახის შიგნით ფეხშიშველი ადამიანის ფრთხილი და მსუბუქი ნაბიჯების ხმა გავიგონე, ერთხანს სული ვერ მოვითქვი, კვლავ დავაკაკუნე, მაგრამ ქალის კი არა, კაცის ხმა მომესმა, რომელიც ვინაობას მეკითხებოდა. ხმა ვერ ამოვიღე, სიბნელეში უჩუმრად ავეკარი კედელს. კარი არავის გაუღია, მე კი უხმოდ ჩავბრუნდი კიბეზე. თითო-თითო საფეხურზე ძლივს ვაბიჯებდი, როგორც იქნა ჩავბობლდი და გარეთ გავიძურნე. დანა პირს არ მიხსნიდა, საფეთქლებში სისხლი მანვებოდა და მოუთმენლობა ცეცხლის ალივით მწვავდა. რამდენიმე ქუჩაზე ავიარ-ჩავიარე, ბოლოს კვლავ იმ სახლთან აღმოვჩნდი, მაგრამ შიგ შესვლას ვერ არ ვაპირებდი. ვგრძნობდი და ღრმად ვიყავი

დარწმუნებული, რომ ქალი აუცილებლად შეეცდებოდა ქმრის სადმე გასტუმრებას მისგან თავის გასათავისუფლებლად. აი, მაშინ კი მისკენ გზა ხსნილი მექნებოდა. ამასობაში ვინრო შესახვევს მივადექი. ერთ მხარეს სახლი არ ჩანდა და ქუჩას მხოლოდ მონასტრის ბაღის გალავანი გასდევდა. გალავანზე ავცოცდი და შევეცადე საოცნებო ფანჯარა იქედან მაინც დამენახა. ზემო სართულზე, ერთ-ერთ ღია ფანჯარაში ცეცხლის ალივით რაღაცა აინთო და მალე ჩაქრა. ყველაფერი თვალწინ ისე წარმომიდგა, როგორც იმ დღეს იყო. აი, იმდღევანდელივით, ქალმა ბუხარს უშველებელი ჯირკი შეუკეთა. მაშინდელივით დგას იგი ოთახის შუაგულში, მთელი სხეული ცეცხლის ალისაგან მთლად უბრწყინავს, ანდა შეიძლება სანოლზე ზის და მოლოდინშია სმენადგადაქცეული. ვფიქრობდი, კარებიდანვე დავინახავ მისი ზურგისა და მხრების აჩრდილს, რომელსაც გამჭვირვალე და ჰაეროვანი ტალღა ზემოდან ქვემოთ და ქვემოთ ზემოთ კედელზე ათამაშებს და ამარმაშებს-მეთქი. ამასობაში შესასვლელსაც მივადექი, კიბე ავიარე და კართან აღმოვჩნდი. ოდნავ შეღებული კარიდან კაშკაშა სინათლის სხივი გამოკრთოდა. ის-ის იყო კარის სახელურს უნდა შევხებოდი, რომ ოთახიდან ადამიანების ლაპარაკისა და ფეხის ხმა მომესმა. ყურებს არ ვუფერებდი, ყელში რაღაც მომანვა, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა და ძარღვებში სისხლი დგაფუნობდა. ალბათ ასე აფორიაქებულს რაღაც მომეჩვენა ან ოთახიდან ცეცხლის გუგუნმა იმძლავრა-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. იმ ღამესაც ხომ ასე ძალუმად გიზგიზებდა და გუგუნებდა ცეცხლი. კარის სახელურს შევეხე თუ არა, მაშინვე დავრწმუნდი, რომ ოთახში უამრავი ადამიანი იმყოფებოდა, მაგრამ ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი სატრფო იქ იყო და

კარს გავადებდი თუ არა, მაშინვე დავინახავდი, მივვარდებოდი და ვისთან ერთადაც არ უნდა ყოფილიყო, ხელიდან გამოვვლევდი, ერთი ხელით მას ჩავებლაუჭებოდი, მეორეთი კი ხმლითა და მახვილით სივრცეს გავაპობდი და ხმაურსა და ორომტრიალში შორს გავიტაცებდი. მეტის მოცდა აღარ შემეძლო, ყველაფერზე აუტანელი ახლა ჩემთვის ლოდინი გახდა.

კარი შევალე და დავინახე, ცარიელ ოთახში რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა. ისინი ლოგინებს წვავდნენ. ცეცხლის ალი მთელ ოთახს ანათებდა. კარგად გავარჩიე ისიც რომ კედლები მთლად ჩამოფხეკილ-ჩამოგლეჯილი იყო და ბათქაშის უზარმაზარი გროვა იატაკზე ეყარა. ერთ კედელთან მაგიდა იდგა, რომელზეც ორი შიშველი გვამი გამოტილიყო. ერთ-ერთი უფრო მოზრდილი ადამიანის სხეული თავშებურვილი იყო, მეორე კი უფრო მომცრო გვამი კედლისაკენ ახლოს მიენიათ, მისი სხეულის ჩრდილი კედელზე ხან მალლა იწვედა, ხან კი დაბლა ეშვებოდა.

კიბეზე ბარბაცით ჩავედი, სახლის წინ ორ მესაფლავეს შევეჩრხე, ერთ-ერთმა ფარანი სახეზე შემომანათა და მკითხა, რას ვეძებდი. ამასობაში თავისი ღრჭიალა ურიკა სახლის შესასვლელთან მიაგორა. მაშინვე ხმალი ვიშიშველე, რათა თავიდან მომეშორებინა ისინი. სახლში მისვლისთანავე სამი-ოთხი ჭიქა მაგარი ღვინო გეახელით და ცოტა მოვითქვი სული. მეორე დღეს კი ლოტარინგიაში გავემგზავრე.

როდესაც ლოტარინგიიდან დავბრუნდი, შევეცადე იმ ახალგაზრდა ქალის შესახებ რაიმე შემეტყო, მაგრამ ჩემი ცდა ამაო გამოდგა. იმ ხიდთანაც კი მივედი და დუქანიც მოვინახულე, თუმცა იქ ახალი მეპატრონეები დამხვდნენ, რომლებმაც არც კი იცოდნენ მათ მოსვლამდე ის დუქანი ვის ეკუთვნოდა.

თარგმნა ნანა ნოზაძე-ჯულაშვილმა





მარი ლუიზე
კაშნიცი

მე მიყვარს ბატონი X

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ კაბარეს სცენაზე გამოჩნდა ვინმე ბანოვანი; ახალგაზრდა — შესახედად მშვენიერი, უბრალო, ყოველგვარი ზიზილ-პიპილების გარეშე ჩაცმული; ამ ადგილისთვის უჩვეულო სერიოზულობით მიმართავდა იქაურ თავყრილობას.

— მე მიყვარს ბატონი X, — დაიწყო და შემდეგ შეყოვნდა, ამ დროს აშკარა ქარაფშუტობით გახელებული მსმენელები მას ძალიან გაბედულ რეპლიკებს აყრიდნენ.

მოსაუბრე სავსებით მშვიდად იცდიდა, ვიდრე მთელი ეს შეძახილები მიჩუმდებოდა. იგი პატარა მაგიდის კიდეზე ხელებდაყრდნობით იდგა. მშვენიერი თავი უკან გადააგდო და მსმენელს წარმტაცი და თამამი მზერა მიაპყრო.

— ახლა, რასაკვირველია, არ მომთხოვთ, — თქვა მან, — რომ ჩემი შეყვარებული ბატონის გვარი საქვეყნოდ დავასახელო, ხოლო

რაც შეეხება მის სახელს, უნდა ვაღიარო, რომ არც კი ვიცი. ასევე ნაკლებად შემეძლო თქვენთვის მისი ასაკის გამხელა, წარმომავლობის თუ მსოფლმხედველობისა. მოკლედ, იმ აზრზე დავრჩეთ, რომ მიყვარს ბატონი X.

ამ სიტყვების შემდეგ მოსაუბრემ ცოტა ხნით თხრობა შეწყვიტა და ლიმილით ირგვლივ მიმოიხედა. შემდეგ განაგრძო: — ახლა კი თქვენ ნამდვილად მოუთმენლობა შეგიპყრობთ და ალბათ გასურთ შეიტყოთ, თუ რა მოხდა ან რა ხდება ჩემსა და ამ ბატონს შორის. მანამდე იქნებ იმის ცოდნა გასურთ, თუ ვინ ვარ თავად, რასა ვიქმან კიდევ, მყავს თუ არა ოჯახი. აქ კი იმედი უნდა გაგიცრუოთ. განზრახული როდი მაქვს, ჩემი წარსულის შესახებ გიამბოთ. არც საკუთარი კერა და არც ოჯახი არაა დღეს მტკიცე და ხანგრძლივი; არ შეიძლება ვინმეს ტვირთად დაანვე, იმის გამო, რომ ის საბოლოოდ მარტო დარჩა. გარდა ამისა, ალბათ თქვენ, ყველას საკუთარი საზრუნავი გაქვთ და საკუთარი საფლავები, ან კიდევ ამ საფლავთა სურათები გიყრიათ სადმე.

— არა, არ არის საჭირო ახლა თანაგრძნობით თავის დაქნევა. იმას მაინც ხომ გაიგებთ, რა ადამიანიცა ვარ. სიცოცხლეს სწორედ ისევე მსურს, როგორც თქვენ და ისევე გაუაზრებლად — როგორც თქვენ. გაიგებთ, როგორ ვცდილობ ჩემსას დავუბრუნდე, რადგან ჯერ ოცდაათი წლისა ვარ და არასაკმარისად ვიცხოვრე, ფრიად არასაკმარისად.

— ყოველივეს თანმიმდევრობით მოგახსენებთ. ბოლოს და ბოლოს ცხოვრებაც ხომ თანმიმდევრობითაა მოწყობილი. მზეც როდი ჩადის უცებ ამოსვლისთანავე, და ამოსვლასაც ვერ აიძულებ, ისევე როგორც, საღამოს უკან ველარ დააბრუნებ.

ამ სიტყვების შემდეგ ორატორი კიდევ ერთხელ დადუმდა, ამჯერად წამოძახილები შეწყდა; მსმენელები მას უკვე გარკვეული მოკრძალებით შეჰყურებდნენ, თუ როგორ დაიკავა პატარა მაგიდასთან ადგილი და თავი ხელს ჩამოაყრდნო.

— დღეს დღით, — თქვა მან, — გამაღვიძა ჩემი სახლის წინ რომელიღაც მანქანის ხმაურმა, ეს ბრახუნისა და შიშინის ხმა იყო. ასეთი ხმაურიდან შესაძლოა რაღაც სიტყვებიც კი მოგესმას: „ადექი“ ან კიდევ „რისთვის“. რისთვის. ყოველივეს მოიცავს იგი: ადგომა, სამუშაო, ჭამა, ყველაფერი, რაც კი ამქვეყნად მძიმე და უაზროა. სწორედ ეს სიტყვა გავიგონე მე დღეს, მაგრამ როგორც კი ამ უაზრობას თავი მივანდე ამომიტვიტვივდა ბატონი X. წამოვდექი და იმ ფაქტმა, რომ იგი ამქვეყნად არსებობდა, მსუბუქ, ანკარა ტალღასავით გადამიარა, ბედნიერების განცდით — ავდექი და ჩემი ოთახი დავასუფთავე, მტვერსასრუტის მილი ბზინავ-

და, მისი მოშვებული მუცელი კი, უკან რომ მოათრევდა, მღეროდა გაზაფხულის ქარიშხალივით. ნაგვის ვედრო ეზოში გავიტანე, კიბეები სწრაფად ჩავირობინე, თავსახური პატარა ცხენის ნალივით მხიარულად აკაკუნებდა. როცა ეზოში გამოვედი, ახლად აფეთქებულ რიყრაყზე ბალახი მეტად ნორჩი და ხასხასა იყო; დიდხანს და წარმტაცად ეფინა იგი ჩემს წინ; ქვეყნად რა არ შეიძლება მოხდეს...

რა თქმა უნდა, ზუსტად ვიცოდი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. კიბეები ასე სწრაფად იმიტომ ჩავირობინე, რომ ვშიშობდი ერთი სატელეფონო ზარი არ გამომპარვოდა. უკან დაბრუნებისას ტელეფონმა მართლაც დარეკა. ყურმილს ვეცი და ვუპასუხე, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, ხმა ჩამეხლიჩა.

რასაკვირველია, ეს ის ზარი არ იყო, რომელსაც ველოდი. ან კიდევ რა უნდა ჰქონოდა სათქმელი ჩემთვის ამ ბატონ X-ს, რომელიც ცხოვრებაში ორჯერ ვნახე და რამდენიმე უმნიშვნელო სიტყვა გავცვალეთ ერთმანეთში და მხოლოდ ერთი გამოხედვა, ის ერთი ხანგრძლივი, უცნაურად სევდიანი მზერა...

ზარი იმ პიროვნებისაგან იყო, რომელსაც საკუთარი თარგმანის წაღება სურდა. ეს სამუშაო ჯერ არ მქონდა დამთავრებული; უნდა დავმჯდარიყავი დამენერა და შემდეგ კვლავ გადამენერა, ასე გავიდა დრო შუადღემდე. რა თქმა უნდა, დრო აღარ მქონდა ბატონ X-ზე საფიქრლად, ის მხოლოდ ხანდახან დამიდგებოდა ხოლმე თვალწინ, მისი გრძელი, ძლიერი ხელებით მშვენიერი ბაგეებით. მაისის სიცვიემ დაუბერა. მაშინ შევნიშნე, როგორ სწრაფად გადის ცხოვრება. რალაც უნდა მოიმოქმედო, რალაც უნდა იღონო. და უკვე დავინყე ინტრიგის ხლართვა.

თქვენც ხომ მშვენივრად მოგეხსენებათ, როგორ ხდება ეს, წარმოვიდგინოთ ხოლმე ლეგიონერს ან სახელმწიფო მოღვაწეს, მაშინ, როცა სინამდვილეში მხოლოდ საკუთარი განცდების თხრილში ვიქექებით. თავიდან სულაც არ მიფიქრია, სერიოზულად მელონა რამე. გარეთ უნდა გავსულიყავი საყიდლებზე და ჩემი სამუშაოც თან წამელო; კარგი იქნებოდა ალბათ, ბატონ X-ს ქუჩაში რომ შევხვედროდი. ვთქვათ, იგი წარმოვიდგინე თავისი მანქანით ჩემს ქუჩას მოუყვება, უკნიდან მცნობს, აჩერებს და მეკითხება, მცირეოდენ მანძილზე ხომ არ შეუძლია წამიყვანოს. ან კიდევ მაღაზიაში თითქოს სალათის თვალეიერებისას ერთ მშვენიერ, ლამაზად ჩაცმულ ქალს შევფეთებოდი ის თითქოს მეცნობა და როგორც ეს-ესაა ირკვევა, თურმე მისი მეუღლეა, ე.ი. ფრაუ X.

ალბათ, ჯერ არ მითქვამს, რომ ბატონი X ცოლიანია, მაგრამ ეს კაცმა რომ თქვას, ხომ ისედაც გასაგებია. ყველა კაცი დაქორწინებუ-

ლია მას შემდეგ, რაც ბავშვობა უკან მოიტოვა და ქალებსაც გემო გაუგო; ყველა კაცს ყავს ქალი, ვისთანაც რაიმე აკავშირებს და რალაც უფლება აქვს მასზე, ურყევი, შემზარავი უფლება.

ამ ფრაუ X-ის გამო, დღეს განსაკუთრებით დიდხანს მომინია მაღაზიაში ყურყუტი. სკამზე დავეჯექი და საყიდლების სია ამოვიღე, გადავწერე, დავიანგარიშე, ანუ ისევ იგივე... დაველოდე, სანამ მაღაზიაში შემოვიდოდა. — დაგეხმაროთ ფუთების წამოღებაში? — მინდოდა მეთქვა, — არა, საქმე სულ არა მაქვს, დრო კი — ბევრი. — ზევით კიბეებზეც? — რა თქმა უნდა, ზევით კიბეებზეც. — გნებავთ, ცოტა ხნით შინ შემოდით! — როგორ არა, ცოტა ხნით სიამოვნებით. — „შეხედე ვინ მოვიყვანე!“ — ამ სიტყვებით გააღებდა ფრაუ X მეუღლის ოთახში შემავალ კარს. იქნებ სადილადაც მივეპატიჟე. ბატონი X-კი შუადღემდე საკუთარ სურათებს მიჩვენებდა. ეს აქ თუ იქ არის გადაღებული, იტყოდა, მე კი ვერაფერს დავინახავდი, რადგან მთლიანად მისი ხმის ტყვეობაში ვიქნებოდი, რომელიც ზოგჯერ ისე მიჩუმდებოდა, რომ ჩურჩულივით ჩამესმოდა. ამასობაში ფრაუ X მაგიდას გაშლიდა სელის გახამებული, თეთრი და სუფთა სუფრით და ხელსახოცებით. სადილის შემდეგ ქალი იტყოდა: ახლა ჩემმა მეუღლემ უნდა მოისვენოს, ბატონი X კი გაიცინებდა და მიუგებდა: „ეს არც ისე მნიშვნელოვანია“, — მე მის ცოლს ჭურჭლის რეცხვაში მივეხმარებოდი, როცა მოვრჩებოდი, ისე მოხდებოდა, რომ ბატონი X-იც სწორედ მაშინ უნდა გასულიყო და ორივეს ერთი გზა გვექნებოდა, მთელი გრძელი მონაკვეთი.

კაცი იფიქრებს, ეს ყველაფერი ოცნების კომპიუტერია, ანუ ფუჭი ფიქრები და გახვრეტილი გროშის ფასი აქვს. ფრაუ X როდი ფიქრობდა სწორედ იმ დროს წასულიყო საყიდლებზე; არც მისი ქმრის მანქანის ხილვა იყო ქუჩაში ყველგან და ყოველთვის შესაძლებელი. ნავედი ჩემი სამუშაოს ჩასაბარებლად და ის ბატონი, ვისთვისაც ეს სამუშაო შევასრულე, ძლიერ კმაყოფილი დარჩა, მაგრამ სამუშაო, იმ ნუთას ფული ხელთ არ ჰქონდა. შინ დავბრუნდი და ძალიან გამიხარდა, რომ ჩემმა მდგმურებმა იმ დღეს სახლში სადილზე უარი თქვეს. მზადება აღარ მომიწევდა. თავად კი რამოდენიმე ნაჭერი პური მივირთვი ფინჯან ყავასთან ერთად, ამასობაში ოთხი საათიც შესრულდა. მე, რა თქმა უნდა, მუშაობა ისევ უნდა გამეგრძელებინა, მაგრამ სანაცვლოდ, დავეჯექი და ქსოვა დავინყე.

ჩვეულებრივ, ამ საქმეს კვირაობით ვაკეთებ ხოლმე, ან გვიან ღამით. ეს საკმაოდ რთული სამუშაოა, რადგან ყვავილებია ამო-

საქსოვი, რომლებსაც წინასწარ არ ვხატავ და თითოეული მათგანი ასობით პატარა თვლისაგან შედგება. წესით, ეს ის ყვავილებია, ჩვენს სახლში რომ ყვავის, მაგრამ როცა დაასრულებ, სულ სხვანაირი გამოდის — როგორც უცხო ჯიშის დიდი ფრინველები. დღეს ახალი ყვავილი დავინყე, წითელი შროშანის მსგავსი. ცეცხლოვანი აბრეშუმი თალხ, სადა ნაქსოვს შევურე და თან ბატონ X-ზე ვფიქრობდი, მის მყუდრო ბინაზე და მის მიმზიდველ, წყნარ მეულეზე. ვფიქრობდი, რომ მხოლოდ ტელეფონის ყურმილის ალება და ნომრის აკრეფა იყო საკმარისი, შემდეგ კი ყველაფერი ისე იქნებოდა, წყალში ქვას რომ ჩააგდებ და განსაკუთრებული არც არაფერი ხდება, გაჩნდება მხოლოდ რამდენიმე წრე, ნაპირისკენ რომ მოდის, ციმციმებს და ნელ-ნელა ქრება.

მთელი ნაშუადღევი ფანჯარასთან ვიჯექი, ვქსოვდი და ვფიქრობდი, როგორ მომეხერხებინა, რომ ბატონი X დღესვე მენახა. შესანიშნავი იდეების მთელი წყება მომდიოდა თავში, ორჯერ მივედი ტელეფონთან, ყურმილი ავიღე და ისევ დავდე, რათა შემდეგ ჩემს ოთახში გამომწყვდეული მხეცივით მენრიალა. საღამოსთვის ერთი ნაცნობი მოვიდა იმ თანამეინახეთაგან, რომელიც ჩემს საურთიერთო წრეს წარმოადგენს, რადგან მათაც იგივე გასაჭირი, საზრუნავი და მსგავსი მოგონებები აქვთ, როგორც მე. რა თქმა უნდა, ეს ნაცნობი სიამოვნებით დარჩებოდა და რაიმესაც მშვენივრად მიირთმევდა. მეც ვაპირებდი მის მიპატიჟებას, მაგრამ ვილაცამ ჩემში — ძალზე მოუთმენელმა — იგი უკან გაისტუმრა.

დიახ, ახლა კი მართლაც ფრაუ X-ს ველაპარაკე. მას დანაპირები შევახსენე, ჩემთვის ერთი წიგნი რომ უნდა ეთხოვებინა და ვუთხარი, რომ ის წიგნი სწორედ დღეს მჭირდებოდა, დიახ, აუცილებლად დღეს. ჩვენ ხანმოკლე ხალისიანი საუბარი გვქონდა, პარალელურად კიდევ სხვა, რომელიც იყო უსიტყვო და ხალისიანი არ ეთქმოდა.

— კი მაგრამ, რა გინდათ ჩემგან? — იკითხა უტყვემა ფრაუ X-მა.

— ქმრის წართმევა მინდა.

— რა უფლებით?

— ომის, წინააღმდეგობის, მუშტის უფლებით.

— კი მაგრამ, ვინ ხართ საერთოდ?

— ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც სიცოცხლე და სიყვარული სურს, ზუსტად ისევე, როგორც თქვენ!

— თქვენ მეკობრე ხართ.

— ჩვენ მეკობრეები ვართ...

— ჩვენ ისედაც გამოვდივართ და, თუ გნებავთ, წიგნს ნახევარ საათში მოგიტანთ. — თქვა ფრაუ X-მა თავაზიანად.

რა არის ოცდაათი წუთი მაშინ, როცა ამდენი საქმე გაქვს ჩემსავით. ოთახი ხომ ლამაზად უნდა გამოიყურებოდეს, ჩემი საძაგელი, მოწყვნილი ოთახი. დიახ, მე აქესადილობ ახლა, მინდოდა მეთქვა, მათთვის უხერხული არ უნდა იყოს, რომ აქ სხვაგვარადაა, ვიდრე მათთან და რომ მეც ასე სხვანაირი ვარ — ერთი გაბურძენული ჩიტი მოქანავე ტოტზე. მოკლედ, ვაკეთებდი, რაც კი შემეძლო: ფარდები ჩამოვუშვი და ჩაიდანი დავდეგი.

— ფინჯან ჩაის ხომ მიირთმევთ? ეს აქ — დიახ, ეს ჩემი სამუშაოა — თარგმანები, სხვათა შორის საკმაოდ საინტერესო. საქსოვი, აჰ, ეს თამაშია, სხვა არაფერი. რა ლამაზი ბავშვია... არა, ფოტოებს უჯრამი ჩავყრი. თანაგრძნობა არ მინდა, სიცოცხლე მწყურია, ქალებს ქმრებს ვართმევ, მეკობრე ვარ — სხვა არაფერი.

ყველაფერი მოვამზადე, შუქი ისევ ჩავაქრე და ფანჯარასთან დავდექი, ფარდა გადავნიე და გარეთ გავიხედე. უკვე კარგა ხნის დაბნელებული იყო და ქუჩის ფანრები ანათებდა. წყვილთა ჩრდილები, მომდევნო ფანარს რომ უახლოვდებოდნენ, მალეები და გამხდრები ჩანდნენ, შემდეგ მოკლე და შეკუმშული ხდებოდნენ. მერე მოსეირნეთა ფეხთ ქვეშ გასხლტებოდნენ, კვლავ ჩნდებოდნენ და იზრდებოდნენ, აჩენდნენ ერთმანეთისკენ გადახრილ თვალებს, სხეულებს, რომლებიც ზოგჯერ ერთ სხეულად იყო შენებებული. ამ სურათის შემხედვარეს თვალზე ცრემლი მომადგა, ჩრდილები გასრიალდნენ და ფანარმა მთვარის პატარა დისკოს ფორმა მიიღო. კარგა ხანს აღარაფრის აღქმა შემეძლო, შემდეგ ზარი გაისმა; ბინის კარი რომ გავაღე, ბატონი X მარტო იდგა.

— მარტო ხართ? — ვკითხე.

— ჩემს მეუღლეს სტუმარი ეწვია, — თქვა ბატონმა X-მა.

მან თხელ საჩუქრის ქალაღში გახვეული წიგნი გამომიწოდა და სრულებითაც არ უცდია ჩემთან მოახლოება.

— შემობრძანდით, — ვუთხარი მე, — ერთი წუთით მაინც, გაიხადეთ.

— უნდა ნავიდე, — თქვა ბატონმა X-მა. მან ქუდი სკამზე დადო დერეფანში. პალტო არ გაუხდია. მე კი ვიფიქრე, რომ ვუყვარვარ და ამის ეშინია, ხოლო მე — არა.

— დაბრძანდით, — ვუთხარი, როცა უკვე ორივენი ოთახში ვიდექით. ფუთა ჩვენს შორის მდგარ მაგიდაზე დავდე და ბატონმა X-მა იმ წიგნზე დაიწყო საუბარი, რომელიც მისმა ცოლმა მათხოვა. იგი თავდაპირველად ოდნავ დაბნეული ჩანდა, როგორც კაცი, უცოლოდ სიარულს რომ არაა მიჩვეული. მეც დაბნეული ვიყავი სინამდვილეში, მაინც ხომ ყველაფერი

სხვაგვარადაა ხოლმე, ვიდრე წარმოიდგენ. მე, ცხადია, შემეძლო ათასგვარად მეჩვენებინა, რომ იგი ჩემთვის სულერთი არ იყო. შემეძლო მისთვის ჩაი დამესხა, მერე კი მისი ერთი ღერი სიგარეტი პირში გამერჭო. ჩემს მშვენიერ ყვავილებზე შემეძლო მისი ყურადღების გამახვილება, რაიმე მეკითხა ან მომეთხრო მისთვის, რაიმე პირადული, რის შედეგადაც გაირკვეოდა, რომ ჩვენ ადამიანები ვიყავით, ადამიანები ჩვენსავე უცნაურ ცხოვრების გზაზე, დაბადებასა და სიკვდილს შორის.

მაგრამ ამ ყოველივედან არც ერთი ხერხისთვის არ მიმიმართავს. მაგიდას ვუსხედით: მე აქეთ, ის იქით, ერთმანეთს ვესაუბრებოდით, მაგრამ მხოლოდ ისე, ზოგადად, სრულიად უმნიშვნელო ამბებზე. ხელები კალთაში მენყო, ის კი მიყურებდა, როგორც მაშინ, იგივე ღრმა და სურვილით აღსავსე მზერით. პალტო არ გაუხდია და არც აქეთ-იქით მიმოუხედავს, უცებ მივხვდი, რომ ჩემი გაცნობა ან ჩემს შესახებ რაიმეს გაგება სულაც არ სურდა. იმასაც მივხვდი, რომ მხოლოდ მომენტს ელოდა, თავისკენ მივუხიდე და თვალები მის მხრებში ჩამემალა. მივხვდი, რომ სხვაგვარად ჩემთან მოახლოებისა რცხვენოდა, გარდა ცხოველის ბრმა უცოდველი გრძნობის ტყვეობისა...

როცა ვამბობ, ყველაფერი განვჭვრიტე და გავიაზრე-მეთქი, რა თქმა უნდა, არ არის მთლად მართალი. რალაცას ჩემში ესმოდა ეს და იგივე რალაც თან — ენინალმდეგებოდა. შედეგი ის იყო, რომ თავი ამტკიცდა.

თავის ტკივილი გამუდმებით თანმსდევს, ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდი პერიოდიდან, ყველაზე საშიში, უიმედო პერიოდიდან. ეს არის რალაც ბრაგუნი, რომელიც აქ კეფაში იწყება. ნამება, რომელიც დროდადრო მეორდება რალაც მიზეზით, არავითარი რეალური მიზეზით, მხოლოდ იმისთვის, რომ ძველი ადამიანები მომგვაროს, მიჩვენოს, რომ არ არსებობს არავითარი სიახლე და არავითარი ხსნა.

ასე გაცხოველებული ვფიქრობდი სწორედ დღეს და სწორედ ახლა. თან ვცდილობდი, ამისთვის ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ ტკივილი მხოლოდ ძლიერდებოდა, მე კი ხელს ვერ ვუშლიდი იმაში, რომ შემაშფოთებლად მაფხიზლებდა და თან ყინულივით მაციებდა, როგორც სიკვდილი.

დიახ, როგორც მკვდარი, ისე ვესაუბრებოდი ახლა ამ ბატონ X-ს, რომელიც მიყვარდა და მენატრებოდა მთელი გრძელი დღის განმავლობაში. ვლაპარაკობდი უხმოდ, მონოტონურად და ცივად, ხან რაზე და ხანაც რაზე. ბოლოს კი მის ცოლს შევხებთ.

ეს, რასაკვირველია, ყველაზე უარესია,

რაც შეიძლება მოიმოქმედო კაცის მიმართ, ვისაც ცოლის მიტოვებისა ეშინია. კაცის მიმართ, რომელსაც გათავისუფლების უმშვენიერესი წამის განცდა სურს: დალილობისგან, ასაკისგან, სიკვდილისგან გათავისუფლებისა.

— სამწუხაროდ, ახლა უნდა წავიდე, — თქვა ბატონმა X-მა.

— დიახ, — მიუვგე მე და წამოვდექი.

ორი უცხო ადამიანივით ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს, რაც კაცმა რომ თქვას, მართლაც ვიყავით, მაშინაც კი, როცა ბევრი არ დაგვკვლავია წილად გვხვდომოდა ერთნი გავმხდარიყავით ჭირსა თუ ლხინში სამუდამოდ. შემდეგ ავდექი და ბატონი X კარებამდე მივაცილე. ახლა მარტო ვარ. ტკივილები აღარ მანუხებებს და ეჭვიც კი მეპარება, თუ მანუხებდა ოდესმე. ეს ბრაგუნი იქნებ სხვა არაფერი იყო, ვიდრე: არა — არა — არა, ქალ მეკობრეთა პატარა რკინის ამბოხი, რომლებიც დაინწყებას კი არ ეძიებენ, არამედ — გამოლვიძებას, არა თავგადასავალს, არამედ — ბედისწერას, რასაც ბოლო არ უჩანს სიკვდილამდე.

მე შემეძლო, არ გამეშვია იგი, აბა შეხედეთ, ახლა სიმშვიდეა და ღამეც უკვე ძალაში შევიდა, ალბათ უკვე არც მე მსურდა ეს. იქნებ იმიტომ გავუშვი, რომ ხვალ დილით, როცა გავიღვიძებ და როცა მანქანა ბრაზუნსა და შიშინს ისევ დაინყებს თავისი „რისთვის — რისთვის — რისთვის“ ძახილით, — ისევ გადამიაროს ამ წმინდა, მსუბუქმა სიხარულის ტალღამ, რათა კვლავ შემეძლოს წამოხტომა ამ ფიქრით შთაგონებულს: მე მიყვარს ბატონი X!

ამ სიტყვებით მოსაუბრე ზენამოიჭრა და ერთდროულად ტკივილიანი და ნათელი ღიმილით მიმოიხედა. მისი გამოსვლა დასრულდა და ამასობაში, როცა ჯერ მოკრძალებით, ხოლო შემდეგ კი ძლიერად გაისმა ტაშის ხმა, ქალი ფარდის უკან გაუჩინარდა პატარა სცენას რომ ფარავდა.

ახლა შეგვიძლია წავიდე, — თქვა ერთმა ქალბატონმა, რომელიც ქმართან ერთად იჯდა წინა რიგში მდგომ ერთ-ერთ მაგიდასთან. იგი წამოდგა და მაგიდების გვერდის ავლით, გასასვლელისა და გარდერობისაკენ გაემართა. ქმარი ნელა მიჰყვებოდა უკან. როდესაც ორატორი ტაშით ისევ გამოიხმეს, კაცი შემობრუნდა. ერთ წამს ხელებჩამოშვებული დაბნეულივით იდგა და სცენას მიშტერებოდა. მაყურებელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ამ სტუმარში შეყვარებული ბატონი X-ის ამოცნობა სურდათ და ირწმუნებოდნენ, რომ საღამოს გამირი მათ თითქოს თავის დახრითა და ხანგრძლივი მომღიმარი მზერით დაემშვიდობა.

თარგმნა რუსუდან ბეჟაშვილი



ჭაბუა ამირეჯიბი

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქცია გულითადად ულოცავს ქართული სიტყვის დიდოსტატს, ქართული მწერლობის მახვშს, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს 85 წლის იუბილეს, უსურვებს დღეგრძელობას, მზეგრძელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.



ჭაბუა ამირეჯიბს

საქციელით მეფე ხარ და
გარეგნობით
ავთანდილი!
ნითლად გაავებულ ხართან
ცხრა ომი გაქვს გადახდილი.

გადგას სხივი მსხმოიარე.
სხივი,
აღმასების თლილი...
ჯოჯოხეთი მოიარე
ისე დაუბრუნდი თბილისს.

მახსოვს
ქაშუეთში გნახე: —
— ჭვრეტდი სანთლებს მობიბინეს...
ჯერ პირჯვარი გადვისახე
შენთან ისე მოვირბინე...

შენებრ მე ვერ ვიმარხულე,
ღვინომ თრობით მიმარინდა,

თვალს უცრემლოდ მიფახულებს
დრო
მოღრეცილ ნილაბიდან...
ან დაიდგამს სევდის კარავს
აკმე
სიმწრით გასაძლისი...
— ჩემთვის ალბათ ისიც კმარა,
რომ ვარ შენი ძმობის ღირსი!..

ბედთან მეც ვერ მოვრიგდები —
— მარტო ვარ და
ღამეს ვათევ...
და გწერ დიდი მორიდებით
სტრიქონს,
ასე ნაუცბათევს.

ერის სიამაყედ დგახარ,
— ვერ გაგტყუებს,
ვერ მოგლუნეს!
აღმოდებულ ტაძარს გავხარ,
ქარში ზარით მოგუგუნეს!

ხარ მისანი
ცის და მიწის,
ხანაც ბავშვი მიამიტი,
— მხარზე ანგელოზი გიზის,
ხელის გულზე — უფლის ჩიტი!

რეზო ამაშუკელი
2001 წ. 9 ნოემბერი

გური
ოქომბათა

**„დათა თუთაშხია“ -
ქართული ხომანის
მწვენი**

(ამონარიდი ვრცელი წერილიდან)

ნებისმიერ მწერალს ჰყავს გმირის პრო-
ტოტიპი, პროტაგონისტი, ზოგჯერ მთლად
მზამზარეული მასალის სახითაც, ვთქვათ,

როგორც ჰომეროსის შემთხვევაა მითების სიუხვით ტროას ომზე. მაგრამ რაყამს შემოქმედი არსებულ ნედლეულს საკუთარი ცნობიერების ქურაში გადახარშავს და არქიტექტორული ორგანიზაციით ინდივიდუალურ პროფილს მიანიჭებს, აქ ყოველგვარი ფამა უადგილო და ყურით მოთრეულია.

არსენა ოძელაშვილზე უამრავი თხზულება შექმნილა, მესტირულიც, დრამატულიც, მაგრამ ყველას ჯავახიშვილმა აჯობა.

ასევეა ფაუსტის ყისმათი, რადგანაც მხოლოდ გოეთესთან მიაღწევს სრულყოფილებას მშვენიერი წამის შეჩერების მისტიკა.

ორიათასი წლის მინურულის ქართული პროზა ყველა ნიმით დოკუმენტურობისკენ გადახრილა, რაც ვერ აიხსნება ლიტერატურათმცოდნეობის ნორმების იგნორირებით, არამედ ერთადერთი პასუხი ეძებნება: შიშველი სიმართლის მოთხოვნილება! განსაკუთრებით, როცა გილიოტინისა და სახრჩობელის საშიშროება მოხსნილია სადამსჯელო არსენალიდან, თორემ ოცდაათიანი წლების უდაბნოეთში ჩვენი ბელეტრისტებისათვის ფუფუნების საგანია მსგავსი ოაზისური სიტუაცია: რობაქიძე, ჯავახიშვილი, გამსახურდია სიმბოლიკებს სჯერდებიან მეტადრე, თანაც წარსულში გადასროლილი გმირებით ისინი ბოროტების განზოგადოებულ ტიპებს აშიშვლებენ და ასე, რიკოშეტის, ანასხლეტის თეორიით, ებრძვიან მანკიერს, ზადს, მაგრამ ჩვენული კონკრეტული სინამდვილის დოკუმენტურობის ტენდენცია, დაქრონიკების მიდრეკილება, სხვა რამითაც აიხსნება:

მართალია, ტიპის განზოგადოება აღიარებული ლიტერატურული ნორმებითაა ნაკარნახევი, თორემ ჭეშმარიტებისათვის არანაირი მნიშვნელობისაა აქილევსს „აქილევსი“ ერქმევა თუ „იმისევსი“, რეალური იქნება თუ გამონაგონი.

ფაუსტი თუ მკრებელობით ხასიათს გამოამჟღავნებს, გასაგებია, მაგრამ ჩვენს მაგალითს შეიძლება შურისძიების მოტივაცია ვუნოდოთ, დიახ, შურისძიების მოტივაცია, როცა სიმბოლოთი, განზოგადოებული მიდგომებით ბოროტების დათრგუნვას არ კმარობს ხელოვანის, წესით, მიუმხრობელი სული; იგი სიტუაციის, ვითარების ჭირისუფლის თვალთახედვით ანალიზებს გარემოს, და ყველა დაბრკოლების მამას — მაცილს საკუთარ სახელს მოარგებს, საპასპორტოს, ეროვნების რეკვიზიტწაშლილს, თუ სულაც წითელყდიან საბჭოურ, თუმცა ფაქტის კონკრეტიზაციით, პერსონაჟის ზედმინენითი ნატურალიზმით, სინამდვი-

ლის მოურიდალი, ხშირად ფოტოგრაფიული ნილაბახდილობით, გასრესილია თანამედროვე მანკიერებანი და აქ პირველობას ვერავის დავაბრალებთ. ძნელია გავარკვიოთ ვინ ავამაღლოთ კვარცხლბეკზე... ამას თავის დროზე თვითონ ჟამი მოიმოქმედებს უმტიკივნეულოდ — სიკვდილთან შემრიგებელი ბორჯალი, ვინაიდან თითოეულის თხზულება ქრონოლოგიურად თუ სივრცეურად ერთ არეალში იქმნება და გამოირიცხება დასესხების თუ პლაგიატობის საშუალება მეთოდის თვალსაზრისით — წმინდა გიორგის ბოძალივით კაკალ გულში უმარჯვებს ბოროტების საკაცობრიო ურჩხულს და დღემდე ვერ გამოსულა იმ სისხლის ოხშივრებიდან, რასაც მტერზე, დუშმანზე, მნიკვლსა და მანკიერზე გამარჯვების თავბრული ჰქვია.

დიახ, გმირია დღეს ქართული ბელეტრისტიკა ჟამთააღმწერლის უტყუარი ნიშნით და მხატვრულობის შინაურული სამოსლით.

შორეულ სამურზაყანოში, ზღვისპირა ფიჩორში, ბორსუს უბანში, გაჩაღებულ კერიასთან მასლაათში, დიდება მარი ჯალაღონზე ბაბუა თომა გელენავას ეტყოდა ხოლმე:

— მუთარე, რავა თუთაშხიასავით იქექები ნაცარშიო, — ამ გამონათქვამს ჩემთვის, ადრეულ წლებში, რაიმე მისტიკური მნიშვნელობა არ შეუძენია.

თუთაშხია ერთ ვინმე ჩხირკედელა კაცად მიმიჩნევია, ვინაც უსაქმობისაგან სირაკუზელი მხცოვანის თუ ნაზარეთელი მოყმის მსგავსად ჩხირით ტუტაში იქექება. მეგრულში ნაცარს ტუტა ჰქვია, იგივე თუთა (მთვარე) — ამქვეყნიური ზარზეიმის სამომავლო შედეგი — და იქიდან, იმ ფუტურუმ-მერმისიდან იწვევს წარსახოცი ცათამბჯენების თუ კატაკლიზმების აღდგენა-რესტავრაციას. მაგრამ თავად „დათა თუთაშხიას“ ყურნალ „ცისკარში“ გამოჩენა სამოცდაათიან წლებში, მერე ცალკე წიგნად დასტამბვა თუ ფილმად გაცოცხლება ეკრანზე, ვერაფრით დამაკავშირებინებს ერთმანეთისათვის ამ ორ ფენომენს.

ცნობიერებაში მკვიდრად დაილექება დიდება მარი ჯალაღონხეს ფრაზა თუთაშხიას ნაცარქექიაობის თაობაზე, მოკლედ, ისე გაირბენს სამათეული წელიწადი, რომ ამ ორ ცნებას ვერანაირად შევაუღლებ, ვერანაირად დავანყვილებ ერთი აზრის საზეიმოდ. მე ხომ იმხანად წამითაც არ მიკითხავს ბებიასათვის, თუ ვინ არის თუთაშხია, რას მოსაქმეობს, ვინაიდან სხვა რამით

ვარ გართული — დენტის თეორიით, ანუ ნალვერდალში ქვამარილის შეკეთებით გაღვივებულ კერიასთან გალაღებული თომა ბაბუას ყირმიზი სახის დასაფინთიხებლად. ამისთვისაც დამრჩება გაურკვეველი თუთაშხიას ვინაობა, თორემ მაცი ხვიტიების, არსენა შონიებისა და ძმათა მათთა აბრაგობის სცენები სასთუმალქვეშ მილაგია დილა-სალამო.

თუთაშხიას ისტორიულობაზე სხვა წყაროებიც მიუთითებენ, მაგალითისათვის, ბატონ ჯემალ გამახარიასა და ბადრი გოგიას წიგნში: „Абхазия - историческая область Грузии“ შავით თეთრზე დაფიქსირებული „თუთაშხია“ გვარის არსებობა სამურზაყანოს სინამდვილეში: „Список жителей-крестьян по отдельным селам территории современной Абхазии XVI в.“ დიახაც, ეს უკანასკნელი მომენტი გამიბრწყინებს გონებას უცებ, და მარი დიდუდას ნაამბობი მეყსეულად გადაენება ჭაბუა ამირეჯიბის საღმრთო რაინდის ბედ-იღბალს.

ბატონ დამიანე გოგობიასგან მსმენია:

— ცეკა-ში აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, გარკვეული როლი ვითამაშე „თუთაშხიას“ გამოქვეყნების საკითხის დადებითად გადაწყვეტაში. საჭირო იყო ოფიცოზისგან თვალის ერთგვარი დახუჭვა, ნათვლემა, ყურადღების მოდუნებაო, — და ოფიცოზიც გაირინდება, რათა სამშობიარო ჭინთვებით მოველინოს სამყაროს რომანი-საგა, რომელიც აგუმბათებს მეორე ათასწლეულის ქართული ბელეტრისტიკის შენობას. რამეთუ ეს ნაგებობა მართლაც ტაძრის მისადარებელია, სალოცავი ადგილისა, მონინებით თავს რომ გახრევიებს ზღურბლიდანვე.

ქართული ბელეტრისტიკა ბოლოს და ბოლოს ჩინებულად განახორციელებს ეროვნული იდეალის გამოძერწვის, გამოქანდაკების მისიას: მიუხედავად მრავალი ბორძიკისა სასროლეთის მეათე უწვრილესი რგოლი დაზიანებულია, ალებულია შინაგანი კულტურისა და მოთხოვნის უკანასკნელი ბასტიონი.

კალისტიკა იმით არის საინტერესო, რომ ფორმულის დონეზე განიხილავს შემოქმედებით კვანძებს და უკვე დაკრისტალებულის აღნაგობით გვანჯდის ცოდნას ნებისმიერი ნაწარმოების ძირითად წარმმართველ განზომილებაზე; ამისთანა მოტორი, ქვაკუთხედი თითოეული თხზულებისათვის, ლიტერატურული გმირია, რომელიც ყველა კლასიკურ ნაწარმოებში ბინარული ნიშან-

თვისებითაა წარმოდგენილი, ბიპოლარული შინაარსით.

უმეტეს გმირს ზოგადკაცობრიული ფასეულობების გვერდით ეძებნება დამანგრეველი სამყაროსეული ალტერნატივა, რომელთან შერკინებისას იძერწება თავადაც, როგორც ფოლადი — ცეცხლისა და უროგრდემლის მეხთატეხაში. ეს სარკისებური ანარეკლია დადებითი ემოციებისა, რისკენაც განუხრელად ილტვის თეოსოფიური თუ მატერიალისტური მსოფლიო, იგივე ალტერ ეგო, იგივე დადებით-უარყოფითის დაუსრულებელი ჭიდილი, იგივე ზევსისა და პრომეთეს, აქილევისა და ჰექტორის, ფაუსტისა და მეფისტოფელის დაუსაბამო დაჯახებანი.

ეს პროცესი იგივეობრივია ჩვენთანაც, ცხადია, ნიშანდობლივი შემოქმედებითი მუხტის გათვალისწინებით:

შუშანიკი — ვარსკენ პიტიახში;

ავთანდილ-ტარიელ-ფრიდონი — ქაჯეთის ციხე;

მინდია — ნუთისოფელი;

არსენა — კუჭატელი;

თარაშ ემუხვარი — არზაყანი;

თუთაშხია — ზარანდია...

აი, ის არსებითი ანი და ჰოე, რომლის დიაპაზონში ხორციელდება გმირის აღზევება-დაცემის მისტერია.

ბატონ რევაზ თვარაძეს სამართლიანად შეუშინავს „დათა თუთაშხიას“ ორგანზომილებიანობა: თუთაშხია და მუშნი ზარანდია ერთი მედალიონის ორი მხარეა, ალჩუ და თოხანის კრებითობაა, ავერს-რევერსის ჯამი, სადაც დათა სანუთროს მომნამვლელ ოკეანეში ტალღებისგან მიმოტყორცნისას განიწმინდება მნიკვლისაგან, წდევდება ტობავარჩხილის ნაკადივით, კათარზისდება მისი სული და მალდება ქრისტეს უძირითადეს მიზნამდე: **გიყვარდეს მტერი შენი**, რომელსაც ველარაფრით ეთანანყობა ბიბლიის ცნებათა ათდოგმეული — სადაც თვალი თვალის წილ ამოიშრიტება, კბილი კბილის წილ ამოიგლიჯება, სული სულის წილ ამოიქოლება.

ებრაელი ერი ამისთვისაც გასწირავს მათივე წიალიდან ამოხეთქილ ზოგადკაცობრიულ ნათელს, ვინაიდან იესოს მიერ შემოთავაზებული მიმტვევებლობისათვის ჯერაც არ არის მზად ალთქმული ქვეყნის ძიებაში ორმოცწლიანი ხეტიალით ილაჯგანყვეტილი იუდეველი. თუმცა ოდეს საღმრთო რაინდი შავ მერანს მიუგზავნის საკუთარი გოლგოთის ასაკოკოლავებლად სახელმწიფოს ძალმომრეობითი აპარატის განსახიე-

რებას — გორგალკაც მუშნის, იგივე ოცდაათი ვერცხლის სიმბოლიკას, ყოველივე გასრულებულია — განმზადებულია თუთაშხიასათვის ბილიკები უფლის ხელმარჯვნივ დასაჯდომად, როგორც ეს ქორი-ბედისმწერალის მისნობით მოუნიშნავს ავტორს მეოთხე კარის ზღურბლთანვე: „დაუტევა და იქმნა იგი ხორციელ ღმერთად“.

აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ფერის სიმბოლიკა: თუთაშხია მთვარის ხატებაა, მთვარის დღე, ნათელის იდენტური კატეგორია, როცა მუშნი ზარანდიას მთვარის მხედრის ხელითვე შავი ტაიჭი გაეგზავნება მხილებისა და განმსაჯულების სიმბოლოდ, იგივე ტროას ცხენი, რომელმაც უნდა დაღწოს ბოროტების ციტადელი — ილიონის კარიბჭე.

წმიდა გიორგის ნათელ-მირონი, ჯეგე მისარონის გამუდმებული შემართულობა მაცხოვრის საქმეთათვის, „მთვარის მოტაცებიდანვე“ ღვივდება ქართულ ბელეტრისტიკაში.

ავთანდილის ხატთანაც კიანთებს ეს შუქდიადობა, გნებავთ მინდიასთანაც, მაგრამ თუთაშხიამდე ბოროტების დასათრგუნად ძალადობას ძალადობითვე უპირისპირდება ნებისმიერი პერსონაჟი და ვინაიდან სიავის წარკვეთა გაათმაგებით აღმოაცენებს სიმსივნეთა ლეგიონებს, აღარაფერი დარჩება საღმრთო რაინდს გარდა აღმსარებლობისა, გარდა მხილებისა, გარდა საკუთარი სულის მსხვერპლად მიტანისა სალამანდრას დარად ცეცხლის ჩასაქრობად, რომელიც გეჰგენიასავით შემოგზნებია ათასთა მინიერ გულ-გვამს და ჯოჯოხეთისკენ მიაქანებს ბანარაღებით.

გმირის პრობლემა ქართულ ბელეტრისტიკაში, დიახაც, აქ მოკონცხდება, დიახაც, აქ დამწვერვალდება ზოგადკაცობრიული კრიტიკრიუმებით და ან ძნელია, ან სულაც მიუღწეველი მითოლოგიურ-სიმბოლისტურ ქრილში სხვა ინდივიდის განხილვა ნორმად და ნიმუშად.

ჰომეროსს არ აინტერესებს ზნეობრიობის კვლევა ოდისევსის გვემისას. ის ემპირიულ ბოროტებასაა მიჩერებული, რომლის დათრგუნვისათვის ითაკელ ძეს ცბიერება, გველის გონება და გამჭრიახობა მიბოძებია სიმამაცესთან ერთად.

დანტესთანაც ბოროტების სხეულში, როგორც ცვილში დანა, ისე მიცურავს ბეატრიჩესაკენ, ანუ მარადიული სისპეტაკისაკენ შემართული ალიგიერის სული, რომელიც ზეგარდმო უფლისეული განზომილების უახლოესი სამყოფელია.

ფაუსტიც მეფისტოფელის დახვანჯულ საქმეთა გამოსწორების ერთგვარი ლაკმუ-

სია, სადაც რაციო განაგებს იმპულსურ საწყისებს და კეთილმოსაქმეობის საზღვრებით ვინროვდება თითქოს დაბრკოლებათა მამის ამაზრზენი სამკალი, მაგრამ მაინც გარეგანი ძალის მიუხზობლად, ზეციერის ხელის გამოუნვედნლად, (რომელიც ამავედროულად ფაუსტური ფენომენის ერთგვარი შეფასებაცაა ქრისტიანული მორალის გათვალისწინებით), ვერაფრით განიშორებს ჯოჯოხეთის ბჭეებს.

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობიდან, მხოლოდ თუთაშხია, მხოლოდ საღმრთო რაინდი, აღწევს უკვდავებასთან თვითნაბად ზიარებას, მარადიულობასთან, იგივე პირველსაწყისთან, აღმსარებლობისა და მსხვერპლად მიტანის მეოხებით, სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის შემწეობით, ანუ გარეგანი სიკვდილის საკუთარი განზვარაკებით, თვითმომსხვერპლეობით და აქ საომარ იარაღად უცილობლად შტაინერის უმაღლეს კატეგორიამდე აყვანილი გოლგოთას მისტერიაა, არიმანულსა და ლუციფერულს შორის ნაზარეთიანელის მონამეობა, მიუხედავად იმისა, რომ აღარსად ფიგურირებს თავად მეცნიერ-თეოლოგის სახელი, ქაჩალ გორა თუ „ბარაბას“ ძახილით ძარღვებამილი ბრბო.

მეორე ათასწლეული, იესოს სხეულებრივ-სულიერი არსებობის ოცსაუკუნოვანი ისტორია იხურება თუთაშხიას განუხრელი მსვლელობით წარმართულობიდან ზექრისტიანულობისაკენ, გაუცნობიერებელი ნყვდიადსულიდან გამზიანებულ ზესულიერებისკენ და სხვანაირი ინტერპრეტაცია, მართალია, ოდენ მინიერ განზომილებებში დურთავს საღმრთო რაინდს, მაგრამ რაჟამს აწყვეტილია შურისძიების მოტივაციებითა და ბოროტების აღხოცვა ძალმომრეობის მეთოდებით, გახსნილია გზა უფრო მაღალი, უფრო ჭეშმარიტი ფასეულობებისაკენ; ანუ მნიკვლისა და ზადის საბოლოო გამოსწორებისაკენ, ვინაიდან თავად ბოროტება არ არის ცნობიერი საკუთარ ქმედება-საქციელში. მის ორგანიზაციაში ისეთნაირი უკუღმართობითაა განფენილი დადებით-უარყოფითი ენერგიები, რომ ყოველი ქირურგია, მჯიღები და მუჯღუგუნები მარტოოდენ გამძაფრების რეაქციას იწვევს და არავითარ შემთხვევაში — საკუთარ ბუნებაში ჩაღრმავებას, საკუთარი ავმოსაქმეობის ანალიზს. ამისთვისაც გამოივლის თუთაშხია შორზე უშორეს გზას, რომლის მსგავსი თითზე ჩამოსათვლელია კაცობრიული მნიშვნელობის ბელეტრისტიკაში. გზას თვითბომონობით, თვითმონამე-



ობით ბოროტების თვალის ასახელად. დი-
ახაც, უძვირფასესის მსხვერპლად მიტანის
გამორიცხვით ველარაფრით გადაილახება
ურჩხულის თვალსანიერიდან არსებულ სი-
ნამდვილესა და მის ცხოველურ სულს შო-
რის აღმართული უმეცრების კედელი, ფარ-
და; მხოლოდ სულიერი ენერჯის გაღებით,
მხოლოდ არსობის პურის შეუნანებლობით
განთავისუფლდება ცხოველი, მხეცი უკულ-
მართი იმპულსებისგან; და თუკი აქამდე
ურჩხულის ძალით დათრგუნვის მცდელო-
ბა მოკვეთილი ყოველი თავის წილ შვიდს
ამოყრის და ამდენჯერვე განამრავლებს
ბოროტებას ერს შინა, ან სხვანაირად მო-
იმოქმედებს თუთაშხია, ან განკერძობულ
იარაღ-საშუალებას მოიმარჯვებს ათასგზის
დანაჭიდარი დრაკონის დასაძლევად:

„ — ესერა, კაცნო! მოველ ხსნისათ-
ვის თქვენდა მძლავრებისაგან ურჩხული-
სა. ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა
მსხვერპლად მოყვასისა თავისათვის,
ერისა მარადობისათვის, სრულქმნისათ-
ვის სულისა კაცობრიულისა!

მოიკვეთა თუთაშხამ თავისითავე დაშ-
ნითა მკლავი მარცხენა, მიუგდო ურ-
ჩხულსა და დანთქა მან; მოიკვეთეს და
მიუგდეს მათ ცოტა კაცთაც და დანთქა
მან. მოიკვეთა თუთაშხამ ფეხნი ორთავ,
მიუგდო ურჩხულსა და დანთქა მან. მო-
იკვეთეს და მიუგდეს მათაცა და დანთქა
კვალად. შედეგად ამისა იცვალა ფერი
თვისი საზიზღარი ურჩხულმან და ნაკ-
ლულ იქმნა ძალი ცეცხლისა გამომდინა-
რესი ხახით. იხილა ერმან ესე ყოველი
და რომელთამე აგრეთვე აჭმიეს ასონი
თვისნი მას ურჩხულს.

აღედგინა ურჩხული ორთა ფეხთა ზე-
და, ვითა კაცი, კნინ ექმნა ბრჭყალნი და
დინგი მისი გარდაიქცა სახედ კაცისა.

მაშინ განიპო მკერდი თუთაშხამ, აღმო-
იგლიჯა გული თვისი, უბოძა ურჩხულსა,
ხოლო არა დანთქა მან, არამედ ჰრქვა
მეტყველებითა კაცებრითა:

— არღარა ვარ მწყურვალი სისხლთა,
არღარა მიძს სურვილი ჭამად კაცთა. და
მიეცა მყის ყველაკასა ახალი, რომელთა
მოიკვეთეს ასონი თვისნი,“ „დ, თ,“ ტომი
3, გვ. 406.

დიახ, კოლექტიური მსხვერპლად მიტა-
ნის გამორიცხვით, მარტოოდენ თვით თუ-
თაშხიასაც გაუჭირდება ურჩხულის გადაა-
მიანურება — იმდენად უძლომელია მადა
მოლოქისა, მაგრამ გუნდური მემსხვერპლე-
ობა მხოლოდ მისაბაძი პიროვნების მეოხე-
ბით მიიღწევა, დიახაც, გამირის მეშვეობით,

ვინაც შეუმღვრევლად გაივლის წუთისოფ-
ლის ოღროჩოღრო თემშარას და აღარსად
წაიბორძიკებს.

ბოროტებაზე გამარჯვების სხვა გზას
აღარც ქრისტიანობა ცნობს და მით უფ-
რო — საერისკაცო ბელეტრისტიკა, თუთაშ-
ხიას საგას ბოლო აკორდები, მისი წუთისო-
ფელში ოდისევსური ხეტიალის ორათეულ-
წლიანი უდასასრულობა, იშვიათი კონტრა-
პუნქტით გვირგვინდება.

როდესაც მიხვედრილია თუთაშხია, სა-
ყოველთაო სიკეთის მისაღწევად აუცილე-
ბელი პირობა ბოროტების დათრგუნვაა,
მაგრამ ამ გამარჯვების გზაზე ძალადო-
ბის მეთოდები გამოუსადეგარია, თანაც
მარტომსვლელობით ამ ღონისძიებას ველა-
რაფრით განახორციელებ, საჭიროა თავად
ერის ნაწილისგან მაინც სრული თანადგო-
მა მხეცის საკუთარი ხორციით დაპურებაში;
და რაჟამს ჯერ გარემომცველი, თითქოსდა
თანმდევი ხალხია საამისოდ მოსამართი,
სამსხვერპლოდ განსამწესებელი, თუმცა
მხეცის მორჯულების შემდეგ ფორმულა
— ბედისმწერლობის შესატყვისად თითო-
ეულს აღუდგინდება გაღებული სხეული,
რედუქციონდება დაკარგული ასო-სახესა-
რი; და ვინაიდან გვარად ჯმუხაძის, იგივე
ბიკენტი იალქანიძის დუქანში დატრიალე-
ბული უბედურების შეჩერებას თუთაშხია
ველარაფრით მოახერხებს, ვერ იაზრებს
ენამოცლილი ასთიონა-სტუკაჩისაგან ესო-
დენი ავკაცობის ჩადენას — შხამ-სამსალა-
სათვის თუ გაიმეტებდა ადამიანს, — უკვე
სავსებით მიესწრაფვის საკუთარ ფინალს,
(ერთადერთსა და განუმეორებელს სიკვდი-
ლივით, რომელიც ჩვენი მოღვაწეობის ლო-
გიკური შედეგია). და შარუხიას ნაქონარ
ნისქვილში, ქილერი ბონიას საუფლოში შე-
აღწევს დათა საკუთარი გოლგოთის აღსას-
რულებლად; თუმცა ოთხი, დარდისა და
შიმშილისაგან ძუკნა ძაღლს დამსგავსებუ-
ლი ასულის პატრონს, ოთხი თვის ლოდი-
ნის შემდეგ, სახელდახელო ჩუბინობით ვე-
ლარ მოუხერხდება თუთაშხიას მოკვდინება,
ვინაიდან ბონია თუთაშხიას სულიერი გარ-
დატეხილობის ლაკმუსია. დოლაბის ხიხინში
შედეგდება მთავარი პოსტულატი:

„მოსაკლავი რომ იყო, არ მოგკლავდი
მაინც... მტერი ხარ ჩემი და ისე გამო-
ვა, ვითომ ყველა მტერი მოსაკლავია, ჩე-
მი ხელით შენი სიკვდილი უარეს საქმეს
იზამს, ვიდრე შენ იზამ შენი ბოროტი სი-
ცოცხლით, მაგრამ გულუბრყვილო ხარ
და გულუბრყვილო კაცი ხელჩასაქნევი

არაა... იფიქრე, განგებამ ფიქრისთვის გააჩინა ადამიანი“.

ასე დაფინანსდება დილეტანტი ქილერი ბონიას ზრახვები იოლი გამდიდრების გზაზე და თუთაშხიას მეცადინეობა ბოროტის მოკეთილშობილების წიაღ. ამჯერად გასამრჯელო დათას მხრივ ხორცი როდია, ადრე ურჩხულისათვის სასუსნავად მიბოძებული, კიდურები თუ თავად გული — უმაღლესი კატეგორია. ფულს მიაერთმევს ჯოჯოხეთის გამნათებელს, და ქილერი-ბონიაც ზარანდიას სამსახურს წყალში ჩაუყრის სამოცი მანეთის გასამრჯელოს, ნაყიდ წისქვილს, და ანი აშკარა სიმპათიით, შეუვალი გულშემატკივრობით გაანდობს ბოროტების მთავარ სათავეს, თუ ვისგანაც მომდინარეობს ყოველივე — მუშნისგან, იგივე ტყუპისცალი ძმისაგან, იგივე ალტერ ეგოსაგან: საღმრთო რაინდი და ბელზებელთა შეფი ტყუპისცალი და-ძმის შთამომავალია.

მუშნი ზარანდია თუთაშხიაა დედით, დათას მამიდაშვილი. მართალია, ბიოლოგია არ ცნობს სხვადასხვა კვერცხუჯრედიდან განვითარებული ტყუპის შთამომავლობის იდენტურობა, მაგრამ გარეგნული მსგავსობა მწერლისათვის, დიახაც, აუცილებელი პირობაა შინაგანი ასიმეტრიულობის დასაზუსტებლად, რომ თურმე თითქოსდა ერთსახოვანში, თითქოსდა ფორმით ერთარსში, შესაძლებელია ბუდობდეს განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხველი, ჩვენს შემთხვევაში — სატანა და უფალი.

ეს მომენტი ბატონ რევაზ თვარაძესაც ჩინებულად შეუნიშნავს ორგზის.

გრაფი სეგედის დაკვირვებით — „მუშნი ზარანდიას გადავხედე, წამით მომეჩვენა, რომ ეს ტანხმელი კაცი სკამზე გორგალივით იდო, კისერი ჰქონდა მოღერებული“.

გაივლის ხანი და უკვე პოლიციის სათადარიგო გენერალი ზარანდიას ადრინდელ შეფასებას ამჯერად გარკვევით აზუსტებს: „როგორც ერთხელ, ოთხი-ხუთი წლის წინ, ისევ მომეჩვენა, რომ მუშნი ზარანდია სავარძელში გორგალივით იდო და კისერი ჰქონდა მოღერებული“.

გორგალივით რომელი ქვეწარმავალი ილღაკნება და კისერსაც რომელი იღერებს ფაკირების სალამურის ხმაზე, ალბათ, ძნელი ამოსაცნობი არ არის. ქვეშეცნეული, ნაწარმოებისეული სიმპათიები წუთი-წუთ, წამი-წამ გადანაპირდება გრაფი სეგედი-საგან თუთაშხიას სასარგებლოდ: თავად ბოროტების უმთავრესი სათავე, მისი უავგუსტოესობის კვერთხისა და ტახტის მეცი-

ხოვნე განსდგომია უკვე მუშნი ზარანდიას, სეგედისგანვე აღზევებულს და გასწრებულს ბოროტების ბილიკების აბურდვაში; განსდგომია და სიკეთისაკენ გაუპირდაპირებია, სიკეთისაკენ მიდრეკილა. ალბათ, ესეც არის მთავარი მიზეზი ნაწარმოების ფინალში სახელმწიფო მოხელე გრაფი სეგედი ზედმინვენით რომ ემთხვევა, სინქრონულდება მწერალში. შეირწყმება ორი სტილი — საყოფაცხოვრებო-კანცელარული და ბელეტრისტულ-ხატოვანი. იდენტიფიცირდება სეგედი-ამირეჯიბი, და ყოველგვარი საფუძველი გამოეცლება შესავლიდანვე გაცხადებულ ვერსიას: თითქოს მწერალი გრაფის ნაწერების ნაწილს თუთაშხიას თანამედროვეთა კარდაკარ სიარულით შეავესებს, შეამთლიანებს.

მწერლისა და მთავარი მთხრობელის ენობრივი ქსოვილი სინთეზდება, თორემ აქამდე ჩინოვნიკურად მოსაუბრე სეგედისგან სრული მოულოდნელობაა ცხოველყოფელი მიწიერებით გაჯერებული სცენების წარმოდგენა. ზემორე ვახსენეთ: ბოროტება-სიკეთის ჭიდილის მართონულ გზაზე ნაწარმოების ფინალის მიხედვით გადმოზირებულია, ნებსით თუ უნებლიეთ თუთაშხიას საქმეში გახიზული პერსონაჟები:

გრაფი სეგედი უკვე აშკარად უპირისპირდება მუშნი ზარანდიას — თუთაშხიასთან კაცს აფრენენ მოსაფრთხილებლად;

გადმოზირებულია წისქვილის თხუნელა-ქილერი ბონია — საზღაურად გაცემული ოთხი, ძუკნა ძალღს დამსგავსებული ასულის სამზიოთვო თანხით;

გადმოზირებულია თავად უკანონო მამის სიკვდილის აღმასრულებელი გუდუნა პერტია, იგივე გუდუ თუთაშხია, ნაბიჭვრობის, ბუშობის შხამ-სამსალით გონმონამლული ყმანვილი, უკვე ჩვიდმეტი წლისა ტელემაქესავით, მაგრამ ოდისევსის პირმშოსგან განსხვავებით მამის საქმეთა მოქომაგე კი არა, მომშობი მთლად. და როცა კეფადამეხილი თუთაშხია უკანასკნელი გმირობისათვის შეიმართება, ალიბს ამზადებს ზარანდიას ხაფანგებისგან ცდომილი მემკვიდრისათვის. მალაქია ნინუას სამჭედლოს მიესვენება მთელი ენერჯის დაძაბვით, ბოღაზთან მომლოდინე თეთრ ფელუკას ახსენებს, სამსუნში გადასვლას იმონმებს, გულიების ქორწილში მუშნისათვის შავი მერნის საჩუქრად მირთმევას ავალებს მოსე ჯგალიას, და შემოქმედის ფანტაზიით კულიტივირებული ფლატედან შურდულივით ჩაიხაფრება ზღვის აქაფქაფებულ მღელვარებაში.

შვილი ვერ წარინწყმედს სახელს მამის-მკვლევლობით. ვერც შეპირებულ ხუთი ათასი მანეთი დაანვება მის სინდისს წარუხოცვლ ბრალდებად. დედასთან ერთად გადაიკარგება სამშობლოდან, აბრაგი თუთაშხია ფელუკით სამსუნს გაემგაზვრაო, ამისი მტკიცებით. მერმე მის ნავალზე სრული სითეთრეთია, დამაბრმავებელი არარაისი...

დიდი მწერალი თითო-ოროლა თხზულებაში ამონურავს ხოლმე სათქმელს, მეტიც რომ დააკაბადონოს, მაინც თითო-ოროლაში განსხეულდება არსებითად და დროთა ვითარებაში დანარჩენს, დავინწყების სამუხეუმო მტვერი დაეფინება.

ჰომეროსი „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ზედმინევენით ამოსრუტავს სათქმელს, თუმცა ბრმა აედს ბერძნული მითოლოგია ხონჩასავითზარანდიას სამსახურს უდგას წინ — არგონავტების ფათერაკიანი მოგზაურობები ოიდიპოს-ანტიგონეიანად, და მაინც უმთავრესს ჩაეჭიდება მამფალი მეჰანგე: ფეხმარდი აქილევსის პიროვნულ ტრაგედიას და ცბიერი ოდისევსის მრავალი ჭირთათმენით მოპოვებულ ტკბილ სიბერეს;

დანტი „ღვთაებრივ კომედიაში“ ჩამოაქანდაკებს უკომპრომისო სულის ფლატეებს.

სერვანტესი „დონ კიხოტით“ ქარის წისქვილების ფრთების დგაფუნით შეაბარბაცებს კუზიან ენგიდუნეიას;

გოეთე „ფაუსტთან“ დაატყვევებს მშვენიერ წამს — კაცობრიობის ნეტარ გარინდებას;

რუსთველიც აქ არის ქაჯავეთის ციტადელის დამნაცრავი სამსახოვანი გმირით — ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილით;

ამ საოლიმპო აღმართს იობის მოთმინებით შესდგომია ჭაბუა ამირეჯიბიც...

ბოროტის კეთილად გარდაქმნის მისტიკა უმთავრესი ეზოტერიაა ქრისტიანულ მორალში და თუთაშხიას საგაც ზედმინევენით აკმაყოფილებს მართლმადიდებლობის ამ უმაღლესი თეოლოგიური კატეგორიის მსოფლგანცდას: ჭონიაც კი, ეს ნაცარქეჩიას ბადალი ვირთხა, თორიას კასრიდან, სიკეთის მთესველ პიროვნებად გადაქცეულა საღმრთო რაინდის სულიერებასთან ზიარებით. გრაფი სეგედის კათარზისზე ხომ ჯეროვნად გვისაუბრია, მაგრამ პერსონაჟის ყველაზე ქვეტექსტური გადმოხილება ქალბატონ სალომე ბაზიერაშვილ-ოდიშარიასთანაა.

ჯერ ერთი, იგი მონასტრის ცვილისფერ ცხოვრებას ზურგს შეაქცევს და მონაზვნის აღკაზმულობას ჩითის ჭრელაჭრულა სამოსელზე გაცვლის. მერედა, ეფემია წინამძღვრის თუთაშხიასთან დიალოგში, რო-

გორც მადასტურებელი ძალა **ოთხგზის** გამოესარჩლება **ოთხთავის** პოსტულატებით საღვთო რაინდის პერსონას, მიუხედავად მოსალოდნელი უმკაცრესი სასჯელისა, ოდეს თუთაშხია მხოლოდ ქადაგების სახსარ-ლონეს, მოქმედების უვარგის ტაქტიკად შერაცხავს და ძალის აუცილებლობას ახსენებს მიზნის მიღწევის მართებულ საშუალებად.

ჯერაც ვერ აძალღებულა მისი სული სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის ფორმულამდე, „**რამეთუ უმჯობეს არს ჩვენდა, რათა ერთი კაცი მოკუდეს ერისათვის, და არა ყოველი ნათესავი წარწყმედესო**“, და წინამძღვრის განაჩენი — „**ემმაკეული არს და ცბის**“, უკვე ოცი წლის მონაზონ გოგონასაც ეკუთვნის თუთაშხიას მხარდამხარ, როგორც თანამზრახველს, როგორც საღმრთო რაინდის მოსარჩლეს სულით და ხორციით. სხვათა შორის აღსანიშნავია აქვე, რომ თუთაშხიას დიაპოზონი საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს, ნებისმიერ კატეგორიას შეეხება ანიდან ჰომედე, გარდა მღვდელთმსახურების და საგიჟეთისა.

აქაც დაფიქრების საგანია ავტორისეული პოზიცია, ვინაიდან ამისთანა კოლორიტულ სფეროებს არაფრით გაუშვებდა ხელიდან გონსასეირო ამბებს დადარაჯებული ბელეტრისტი. აქ ქვეტექსტის პასუხად ერთი სახიერი ვარაუდი ამოიზრდება ოდენ: უფლის სახლად მიჩნეული ტაძარი ამაზრზენობაა თუთაშხიასთვის, როგორც ქრისტეს საქმეთა გამრუდების უმთავრესი სათავე, ვინაიდან, დიახაც, სააკვაცო ქმედებისათვის უფრო მიდიან ისინი მონასტერში, ვიდრე მაღალზნეობის სამსახურად. ამიტომაც, ბუნებრივია, თუთაშხია აღარაფრით აღიკვეცება ბერად, აღარაფრით შედგება იგი რუსეთის მონასტერში მღვდელმსახურად, მით უფრო — სხვა გვარით. ეს უკვე დასაწყისშივე დამარცხებული საქმეა, რამეთუ საზოგადო ბედნიერებისათვის ერისკაცობა სჯობია, საიდანაც გამარგვლის მეტი საშუალებაა, თუნდაც ეს სამოროდო განწყობილება სატანისაგან მომდინარეობდეს.

ჯერხანობით ხომ მთვარის ფავორიტს ბოროტებასთან საბრძოლველ იარაღად თვითზვარაკეულობა არ აურჩევია ერთადერთ უცთომელ სახსარ-საშუალებად; და ეფემია წინამძღვრისაგან ლამის დამდაბლებულა, ლამის ფეხით გათელილა ბრბოსთან გათანაბრებული მისი ფენომენი: „**ამის უფლება მხოლოდ მესიებს აქვთ**“, „**მხოლოდ მესიებს**“, თანაც, „**ისიც მაშინ, თუ საამისოდ ვითარება არის მომნიფებუ-**

ლი“! როგორი განაჩენია ყოველივე ბოროტებასთან დაუსრულებელ ჭიდილში გათანაგული აბრაგისათვის?

თითქოს წყალია გადასხმული თუთაშხიას ყოველი მუშაკობისათვის. ამიტომაც აღარასდროს შედგება იგი ბერად. ეფემია წინამძღვარიც ხომ ვალს მოიხდის უფლის, დათას წინაშე, როგორც ხელდასხმული, როგორც სისხლით ნათესავი თუ სულაც მალვით მიჯნური, იმისდა მიუხედავად, ეფემია დედით თუთაშხიასა?

აქ ერთ დეტალზე ყურადღების გამახვილება უთუოდ ღირს:

დათა თუთაშხია, რომელიც ეკრანული ცნობიერებით შემოსულა საზოგადოებაში, რამდენადმე განსხვავდება წიგნიერისაგან. აქ, ჯერ ერთი, ყველა მთხრობელი ამოყრილია მოქმედებიდან და მათ ადგილას თავად რეჟისორის ობიექტივი გვევლინება, მაგრამ ზოგჯერ კომპოზიციური მთლიანობისათვის თუ ნაწარმოების სიმკვიდრისათვის მოგონილი ხერხი განაბნევს თხზულებისმიერ რიფებს, მეჩჩეებს, ჩვენი გულისხმიერების წილ საგანგებოდ დახაფანგებულთ. მსგავსი ქმედებანი ავტორს სრულებით არ სჭირია. მისთვის უმთავრესი თუთაშხიას პიროვნების სრულყოფილი აღდგენაა და დანარჩენს მნიშვნელობა დაუკარგავს.

რომანის ქსოვილის სტილური თავისებურება ეპისტოლარულია, თუმცა ყველგან შენარჩუნებულია ქრონოლოგიურობა მოქმედების განვითარების თვალსაზრისით.

გრაფი სეგედის მახერხებლელ მეგზურობას მიზანმიმართულად ავსებენ აბრაგთან ნაკონტაქტები პიროვნებანი:

ტერორისტი ნიკიფორე ბუბუტიევილი;
კაციჭამია ვირთხების გამომყვანი ქუჯი თორია;

იურიდიული კანტორის მესვეური ირაკლი ხურციძე;

პოლიცმაისტერი ნიკანდრო ქილია;
აბრაგი ბექარ ჯეირანაშვილი;

ზარანდიებთან შეილივით გაზრდილი შავლეგ გოგინაშვილი — იგივე შალვა ზარანდია;

ჰელმინთოლოგი რობერტ პავლეს ძე ხაპლინი, იგივე ყაფლანიანცი — თაფლიანიძეებთან, სამადაშვილებთან, ფარლალაშვილებთან ნაზიარები სისხლით, შემდგომში კაპლანად მოვლინებული ქვეყანას და რევოლუციის წლებში ხაპლანად გადანათლული ლენინის ქილერი ქალის შიშით, გვარნაცვალი, მოყურადე, მეხუთე კოლონის ტიპური სალდაფონი სტუკაჩი;

ალექსი სნეგირი — პროფესიონალი რევოლუციონერი;

შალვა თუხარელი;

ყალბი ფულის მჭრელი ვასო გოდერძიშვილი, სხვანი და სხვანი... აქ ყოველი სიტუაციის თუ სიუჟეტის სულისჩამდგმელი გრაფი სეგედი ან მწერალი ყოფილიყო, თითქოს არაფერი შეიცვლებოდა, მოქმედების განვითარების სქემა იგივე დარჩებოდა, შენობა კომპოზიციურად იგივე აღნაგობას შეინარჩუნებდა, სამაგიეროდ დაირღვეოდა თავად ნაწარმოების სტილისტიკა, ენობრივი ფენომენი, რომელიც „დათა თუთაშხიაში“ ერთ-ერთი უდიდესი შენაძენია, ვინაიდან როგორც ადრე აღგვინიშნავს, თხზულებაში ხელმისაწვდომი, მკვეთრად გამიჯნული მწერლის უმნიერესი ჩარევები პერსონაჟთა მონათხრობისაგან და მით უფრო მთავარი მესვეურის — გრაფი სეგედის მონაყოლისაგან.

ავტორს, ცხადია, ბუნებით ებოძება ღვთიური გამოცდილება, ცოდნა პერსონაჟის სპეციფიკურობის თაობაზე. რომ მეურმე, მჭედელი და აფთიაქარი გამორჩეული ენობრივი ქსოვილით ახასიათებენ ერთსა და იმავე სინამდვილეს: თვითეულს პროფესიული, და აქედან გამომდინარე — ტემპერამენტული თვისებიდან, განსხვავებულ ტემბრს, ხასიათს დაანათლის განგება. ამიტომაც მათი მონათხრობით აღდგენილი მოვლენა ვერაფრით დაემთხვევა ერთმანეთს დროსა და სივრცეში, აკუტაგავას ნოველის „უსიერ ტყეში“ მსგავსად.

იმიტომაც ელვარებს ათასფრად თუთაშხიას გარშემონერილობა მთელის სისავსით, ვიდრე ფინალში სეგედისა და მწერლის ფენომენი შეწყვილდებოდეს, შესინთეზდებოდეს მთხრობელ-ავტორი, რაც უდიდეს ამაგს დასდებს „თუთაშხიას“ ზედმინევიტ გახალხურებას.

დღევანდელ თუ ისტორიულ საქართველოში იშვიათია ლიტერატურული გმირი, რომელიც პოპულარობით „საღმრთო რანდს“ გატოლებოდეს.

მან დიდი ხანია უკან ჩამოიტოვა ღვთაებრივი ავთანდილები, ბაში-აჩუკები, მამულუკები, ოძელაშვილები, ემუხვარები და არსაკიძეები. თუთაშხია დაიპყრობს ყველა სიმაღლეს.

დღეს რიგითნი, თუთაშხიას სიტყვებს აზომებენ არსენას არშინითა და არსაკიძის მკლავით; „თუთაშხიას“ კოორდინატებიდან განვჭვრეტთ სამყაროს და მის ყბაში მოქცეული ადამიანის ბედ-იღბალს; ვადგენთ სიკეთე-ბოროტებას შორის არსებულ დისბალანსს, და რადგან „თუთაშხიას“ ეკრანული ვერსია ერთგვარი გამარტივებით შეძლებს

ზედმინვნით მიიტანოს საზოგადოების ფართო ფენებთან ნაწარმოების ძირითადი მიზანსწრაფულობანი, ან დაუნჯებული მკითხველი მეტის გაფაციცებით მისჩერება ფაბულის ამკინძავ მალეებს, მათ შორის დამყარებულ ნერვიულ შეერთებებს.

ვამწვერვალეებთ ზემოთ განვითარებულ სენტენციას, რომ თუთაშხია ბერად ვერ აღიკვეცება, ვინაიდან მისი ცხოვრების უმთავრესი კრედო — სამკალია: სხვანაირად არ ძალუძს, და ასევე ვერც ყვითელი სახლის მოწყენილობისათვის გაიმეტებს სულს კვეინ კიზის ინდიელების ტომის ბელადივით, რომანიდან: „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“.

საზოგადოების აი, ეს ორი სფერო გამოხშირულა „თუთაშხიას“ სივრციდან, როგორც ზედმეტი ბარგი, როგორც ზედმეტი სამკაული, ვინაიდან თეოლოგიურ ნავსაყუდეღს თუ სულაპრობილთა სავანეს ზედმინვნით შეესაბამება თავად ქუჯი თორიას კასრი — ქვეყანა, საწუთრო, წუთისოფელი, და რა აუცილებლობაა ამერიკის ხელმეორედ აღმოჩენა, ღია კარების მტვრევა, ისიც დათა თუთაშხიასნაირი ჭემმარიტების მაძიებელი კაცისაგან?!

„თუთაშხიას“ ესოდენ პოპულარობას, დიახაც, ეს უიშვიათესი წონასწორობა განსაზღვრავს, მთავარისა და მეორეხარისხოვანის ოქროს კვეთას პრინციპებით განლაგება — 618:382, თუმცა გიგა ლორთქიფანიძისეულ კინოსცენარში უფრო გამარტივებულა ნაწარმოების ზოგადკაცობრული აღმართები ბიბლიის ენით მოხმობილი ოთხივე კარის გასააზრებლად.

დიახ, „თუთაშხიამ“ დაიპყრო ფეხდაუკარებელი ყველა მწვერვალი და მისი გამორჩეული მარტოსულობაც სულხან-საბას ცნობილი „სიტყვის კონისეული“ განმარტე-

ბიდან მოდის: „მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“.

არ ჩამომერთმევა გადამეტებულ შეფასებად თუკი განვაცხადებ: „დათა თუთაშხია“ ის ნაწარმოებია, რომელიც ტოლძალოვნად იტევადებს ქართული ბელეტრისტიკის სიფხიანეს ფაბულა-სიუჟეტის მოულოდნელი აფექტების თვალსაზრისით და „ვეფხისტყაოსნისა“ და ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“, „ალუდა ქეთელაურის“, „გველისმჭამელის“ ერთსხეულად გააზრების შემდგომ, მესამე ნაწარმოებად გვევლინება სამამულო მწერლობაში. იმდენად ეროვნულია იგი, იმდენად მოხარშულა ქართლოსიანთა სულიერების ცოდვა-მადლის ქვაბში, რომ სამისდღემშიოდ იმკვიდრებს თავს მკითხველის ცნობიერებაში ჩინგიზ ათმათოვის „მანქურთის“ ეპიზოდის წარუშლელიობით რომანიდან „И больше века длилось день“.

ათიანში არტყამს მესიტყვეთა მამფალი ჰომეროსი „ილიადა“-„ოდისეათი“;

დანტეც ათიანში ახვედრებს „ღვთაებრივი კომედიით“;

ათიანები გაუმსჭვალავს მიგელ დე საავადრას „დონ კიხოტით“;

ბღღვირს ადენს ათიანებს გოეთე „ფაუსტიტით“;

ჭაბუა ამირეჯიბიც მათი ჯილაგის ჩუბინია თავისი საღმრთო რაინდით, იგივე მამაკაცური საწყისის ეტალონი გმირით. ეს ბედისწერაცაა ერთდროულად და უფლისეული ჯილდოც, იმ ქვიშის მარცვლის დარად, რომელიც ოკეანეთა აბორგებისას, მილიონიდან ერთადერთი მოემწყვეტვა ხოლმე გახსნილ ნიჟარაში იშვიათი პერანგიანობის წყალობით და მერმე ბნელეთის შემანგრეველ მარგალიტად გადაიქცევა მიუკერძოებელი დრო-ჟამის უდასასრულო ტრიალში.

31.12.1999 წ.





კურამ
ოდიშარია

მოჯახიება ოჯახში

ერებს შორის ნებისმიერი ურთიერთობა კულტურით უნდა დაიწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერებს შორის ურთიერთობის საშუალებად ომი მოგვევლინება.

დაურ ზანთარია

აფხაზი მწერალი დაურ ზანთარია ჩემი მეგობარი იყო. ერთად დავამთავრეთ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, ასევე ერთად გამოვეცით ჩვენი პირველი წიგნები სოხუმში, გამომცემლობა „ალაშარაში“. დაური რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. ის მშობლიურ სოფელში — ტამიშში დაასაფლავ-

ვეს, სოფელში, რომელიც ყველაზე მეტად არ დაინდო ომმა. დაური შესანიშნავი მწერალი და ადამიანი, დიდი კულტურის მატარებელი კაცი იყო. მას სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე მეუღლე დაედუპა.

დაურს გულმა უმტყუნა, ქვეყნიერებამ, ცხოვრებამ, დრომ ის, მისი სოფელი, მისი სოხუმში, მისი აფხაზეთი ომმა განირა. არავინ დაგვინდო ომმა.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ როდესმე ამ წერილის დაწერა მომიწევდა და, რომ მას დაურის სიტყვებს წავუმძღვარებდი, რომ ჩვენს შორის ომი ჩადგებოდა, რომ...

ომი და კულტურა მარად ებრძოდნენ ერთმანეთს. როდესაც ომი იმარჯვებდა, ის უმალ ტბორავდა მშვიდობის სივრცეს და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საბოლოოდ ღუპავდა კულტურას. გახსოვთ, ფელინის ერთ-ერთ ფილმში ბიჭუნა ეკითხება უფროსს — „სად მიდის მუსიკა, როდესაც მუსიკოსები დაკვრას ამთავრებენ?“

მართლაც, სად მიდის კულტურა, როდესაც მოდის ომი?!

სად მიდის ჩვენი კულტურა, რომელიც ყოველთვის, ნებისმიერ საუკუნეში, უსწრებდა ჩვენს ეკონომიკას, რომელიც ასევე ყოველთვის ჩვენს პოლიტიკაზე მაღლა იდგა?! კულტურა, რომელიც ჩვენ, ადამიანებმა, ვერა და ვერ გავხადეთ მეომარი — სათავე სისხლისღვრისა?!

მაგრამ სად, სად მიდის კულტურის მხსნელი სიბრძნე, როდესაც ომი მოდის?!

ომი ჩვენი ბედისწერა გახდა, ჩვენი ოდიოზური გამომცემელი.

ომმა გადაგვხვეწა გარდასულ საუკუნეებში, მოგვაძებნინა ნავთქურა, „ლამფა“, იზოლაციაში მოგვაქცია ჩვენცა და ჩვენი კულტურაც.

ჩვენ, კავკასიური, და არა მარტო კავკასიური საზოგადოებები, ყველანი, კონფლიქტშემქმნელები და კონფლიქტვერმომგვარებელი საზოგადოებები გავხდით.

საერთოდ, ადამიანები, მართალია, დიდი ხანია ხიდან ჩამოვედით, მაგრამ, ეტყობა, მაინც მის სიახლოვეს ვდგავართ.

ომმა ახალ ბაბილონში დაგვასახლა — თითქოს ვესაუბრებით კიდეც ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის არა გვესმის რა.

აფეთქებების ტალღებმა შორს გადაგვტყორცნა, მიმოგვფანტა და ახლა შორიდან ხელებით ვესაუბრებით ერთიმეორეს, როგორც მეზღვაურები ზღვაზე — დროშებით.

რაც დრო გადის, ჩვენი ომები მეტად არაადამიანურები ხდებიან, მათ ბევრად მეტი მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება —

მსხვერპლი შეიარაღებულ ძალებში პოტენციურად მცირდება მშვიდობიან მოსახლეობაში დაღუპულთა ზრდის ხარჯზე.

ჩვენს ომებს ამძაფრებს სიყალბეზე აგებული ღირებულებები.

კაცობრიობა ვერ ერევა დაგროვილ, ჭარბ ინფორმაციას, ვერ ანესრიგებს, სასიკეთოდ ვერ იყენებს. ეს ყოველივე აღრმავებს საზოგადოებების ფრაგმენტაციას, აცლის მათ მდგრადობას, საყრდენს. ასეთ დროს კულტურა უძლეური ხდება, მონანესრიგოს ყოველივე, აღადგინოს ჰარმონია, კულტურა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, ომის დროს პარალიზებულია („როცა ქვემეხები ქუხან, მუხები დუმან“). ომი ცდილობს მის ზომბირებასაც. ცდილობს, დაღუპოს მისი ფენიქსიზაციის უნარიც.

ომი ქმნის ანტიკულტურას, ანუ სიტუაციას, როდესაც საზოგადოებებს, ხალხებს სიკვლე უფრო აახლოებთ, ვიდრე სიკეთე.

დიახ, ომი და კულტურა მარადი მტრები არიან და თუ დოსტოევსკის ცნობილი სიტყვების პერიფრაზირებას მოვახდენთ — „ომი და კულტურა ებრძვიან ერთმანეთს, ხოლო ბრძოლის ველი ადამიანის გულია.“

ჩვენი კონფლიქტები ცხლად გაყინული კონფლიქტებია, ცხელიც და ამავე დროს გაყინულიც. ასეთი კონფლიქტების მშვიდობა ომზე ნაკლებად საშინელი როდია. ეს მშვიდობა დაქანცული, იმედ და ორიენტირდაკარგული, ანმყოფი ვერგარკვეული ხალხითაა დასახლებული. ხშირად ისინი მდუმარე და თავაზიანად მოძულე საზოგადოებებს ქმნიან.

მათ სულიერ გადაგვარებაში დამნაშავე ისიცაა, ვინც ჩუმად იყო, ვინც არაფერს მოიმოქმედებდა ომის, როგორც მოვლენის, ქმედების გასანეიტრალებლად.

ჩვენი დღევანდელი იმდენი მოულოდნელობითაა დამუხტული, რომ მას ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ.

იქ, სადაც დიალოგი მთავრდება, იწყება ომი. იქმნება უზარმაზარი დანალმული ველი, ველი, რომელზედაც ვერ გაისეირნებ, ვერ გადაირბენ, ის კი არა, მასზე ვერც გაივლი.

დიახ, დანალმულ ველზე არ დადიან, იქ დრო ქვავედება.

იქ აკრძალული დრო არსებობს, ანმყო და მომავალი წარსულს ენივთებიან.

მართალია, ომმა წაგვართვა მშვიდობა, მაგრამ ვერ დაგვაკარგინა მშვიდობის კულტურა.

ომმა შეგვიქმნა ვითარება, რომელიც, როგორც რენტგენში, წარმოაჩენს ჩვენი უკულტურობის და უსინდისობის სიღრმეს და ამავედროულად, ჩვენი კულტურის და სინდისის

სიმაღლეს.

გვაქვს, რა თქმა უნდა, გვაქვს, ის სიღრმე, მაგრამ, საბედნიეროდ, გვაქვს ის სიმაღლეც.

და იმ სიმაღლიდან შეუძლებელია, არ სცემდე პატივს ნებისმიერ რელიგიას და არ გიყვარდეს ნებისმიერი ხალხის კულტურა.

კულტურა ოაზისია ჩვენი კონფლიქტების, ჩვენი ერთმანეთისაგან გაუცხოების უდაბნოში.

კულტურა სულის მოსათქმელი ზონაა.

კულტურათა ურთიერთობა — ეს ოაზისში მოპატიჟება, ერთმანეთის გადარჩენაა.

კულტურათა ურთიერთობა უმოკლესი გზაა ადამიანთა გულებისაკენ მიმავალი. ის უმოკლესი გზაა ქსენოფობიიდან ტოლერანტობამდე.

თუ გვინდა, ხვალ დიდ სიხარულად ვიქცეთ, დღეს დიდ ტკივილად უნდა გავერთიანდეთ. კულტურა ერთმანეთის სატკივრის პირველი თარჯიმანია.

მარადიული არც მტრობა არსებობს და არც მეგობრობა.

რა თქმა უნდა, დაპირისპირებულმა მხარეებმა არ უნდა დაიწყონ დიალოგი, როგორც მტრებმა; არც მეგობრებივით ისაუბრონ (არ გვინდა ყალბი პათეტიკა, ნუ მოვიტყუებთ თავს), მაგრამ მათ, როგორც პოტენციურმა მეგობრებმა, აუცილებლად უნდა წარმართონ დიალოგი.

უპირველესი, რაც დაგვეხმარება ომით შეზღუდულ სივრცეში სამოქმედოდ, ეს კულტურაა. მართალია, ეს ხანდახან ნახევრად დაჭიმულ თოკზე სიარულს წააგავს, მაგრამ მაინც მოძრაობაა.

ჭეშმარიტი კულტურა ადამიანთა საერთო სამშობლოს ქმნის, რომლისთვისაც პოლიტიკური ფასეულობები არ არსებობს.

მხოლოდღა ცივი გონება ცუდი თანამგზავრია რთული პრობლემების გადასაწყვეტად, ვთქვათ, კონფლიქტის დასარეგულირებლად. ერთ-ერთი უპირველესი კომპონენტი, რომელიც რთული პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება, დიალოგის, ადამიანთა ურთიერთობის პოეზიაა — სახალხო დიპლომატიას აქვს რომანტიკული პერიოდები.

ჩვენს საზოგადოებებს ჰყავთ პოლიტიკურ-პარტიული ლიდერები, მაგრამ აკლიათ სინდისისა და უმაღლესი კულტურის მატარებელი წინამძღოლები, რომლებსაც ჭეშმარიტად უყვართ თავიანთი საზოგადოება და არანაკლებ პატივს სცემენ სხვებს: უყვართ ღმერთი და უყვართ ადამიანი და თავად წარმოადგენენ დიად მაგალითსა და იმედს.

ვერც ბუდამ, ვერც ქრისტემ, ვერც მუჰამედამ... ვერ შეცვალეს თავიანთი ქვეყნების

პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ მათ შეცვალეს მთელი სამყარო, უფრო ადამიანური გახადეს იგი.

ნებისმიერი მუსულმანი შეიძლება გამხდარიყო ქრისტიანი, ბუდისტი... ასევე — პირიქითაც. ნებისმიერი ჩვენგანი, შესაძლებელია, ნებისმიერ ქვეყანაში დაბადებულიყო. ჩვენ, საკუთარი გონისთვის ჩაუნვდომელი, ღვთიური შესაძლებლობების შვილები ვართ. ჩვენ, ასევე ჩვენთვის შეუცნობელი ბუნების კანონების შვილები და სამყაროს მოქალაქეები ვართ.

და ამავდროულად ჩვენი საზოგადოებებიც და კულტურების წარმომადგენლებიც.

მთავარი არ არის, სად და როგორ ლოცულობ. მთავარია, როგორ გიყვარს.

კაცობრიობა უკეთესი მაშინ ხდება, როდესაც თითოეული ჩვენგანი ხდება უკეთესი, სულით მაღალი, კულტურის რელიგიის მიმდევარი.

ჩვენ, ყველას, გვჭირდება ერთობლივი გამარჯვების მომტანი კომპრომისები.

ის, ერთობლივი გამარჯვებაც, აუცილებლად მოგვევლინება — როდესაც სუფთავდება სული, ის ერთ დროს აუცილებლად უნდა აყვავდეს.

ჭეშმარიტია ის განვითარებადი ფასეულობა, რომელიც მარტო შენთვის და შენი საზოგადოებისათვის კი არა, ყველასათვის ხდება ღირებულები.

უმაღლესი კულტურა და უმაღლესი ზნეობა სინონიმებია.

ჩვენი საზოგადოებისათვის ყველაზე ტრაგიკულ დროში მფარველი და მარად გვერდით მდგომი — კულტურაა. ამიტომაც არასოდეს უნდა დაგვაკინცდეს, რომელი კულტურიდან მოვდივართ, რომელი კულტურისანი ვართ.

ჩვენი კულტურები არ შეუქმნიათ არამიწიერ ძალებს, ის ჩვენ შევქმენით, ამიტომაც ჩვენს მიერვე აღსადგენია ერთმანეთთან ურთიერთობის მისეული კოდი და ის სივრცე, რომელიც განუყოფელია კულტურის მსოფლიო სივრცისაგან.

ყველაფერი ვითარდება, კულტურაც, მაგრამ წარმოუდგენლად მიმაჩნია კულტურათა გაერთიანება. მაშინ თითოეული კულტურა დაკარგავს თავისებურებას, განუმეორებლობას, მსოფლიო კულტურა კი — მრავალფე-

როვნებას; დაკარგავს მრავალ საყრდენს და მხოლოდ ერთს დაეყრდნობა, გამარტივდება; დაკარგავს ხიბლს, გაუფერულდება.

ჩვენ სინათლის ახალი შენობა უნდა ავაგოთ ურთიერთგამამდინრებელ, სულიერებას ნაზიარევ კულტურათა დაშორებულ ხიმინჯებზე. ის იქნება მსოფლიო შენობა, დიადი, იქნება ის საერთო შენობა, რომელშიც ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ კულტურის მაგიით წარიმართება. მხოლოდ გაერთიანებულ, ერთ ხიმინჯზე დაყრდნობილი სახლი კი არც დიდი იქნება, არც ნათელი და არც მშვიდობიანი. იქ ყველა ვერ იპოვის თავშესაფარს.

ჩვენი ხსნა ერთმანეთშია.

ნებისმიერი საზოგადოების ხსნა სხვა საზოგადოებებშიცაა.

ჩვენ, ყველანი, დღევანდელი კრიზისიდან გამოსვლის ფორმულას ვეძებთ. ამ ფორმულის ელემენტები ყველა საზოგადოებაშია მიმოფანტული, ყველა ადამიანშია ჩასახული.

ამიტომაც ამ სამყაროში მიმოხვეული ელემენტების პოვნა და ერთ ფორმულად მათი შეკავშირება, თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული, თითოეული ჩვენგანის საქმეა.

ამიტომაც ჩვენ ცალ-ცალკე ვერასოდეს შევძლებთ გავხედეთ ბედნიერები. ყველამ ერთად უნდა მოვახერხოთ ეს.

ერთმანეთზე უნდა ვილოცოთ.

ხასიდეების ერთი საოცარი ლოცვა მახსენდება — „ღმერთო, მიშველე მე, ჩემს ოჯახს, ჩემს ქვეყანას უშველე და თუ არ გვიშველი ჩვენ, ღმერთო, მაშინ სხვა მაინც იხსენი, სხვისი ოჯახი, მისი ქვეყანა“.

ეს ლოცვა, ფაქტობრივად, ოაზისში მოსაპატიჟებელი ღია ბარათია.

„ერებს შორის ნებისმიერი ურთიერთობა კულტურით უნდა დაიწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერებს შორის ურთიერთობის საშუალებად ომი მოგვევლინება“.

ეს უკვე დაურზანთარიას სიტყვებია, მის მიერ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაწერილი.

მეც მისი სიტყვებით დავიწყე და ვასრულე კიდეც ჩემს წერილს და მისივე სიტყვებით მასთან ერთად მეც ოაზისში გეპატიჟებით!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!





მანანა მახაბერი

**მაიკლ ვიხახისი
„ინსაიხჰაბასია“ სოფოჩანს
„ანსიბონას“ შიხახებ**

(რეცენზია)

მაიკლ ვიკერსი ოქსფორდის იესოს კოლეჯის პროფესორია. სხვადასხვა წლებში კითხულობდა ლექციებს ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში.

ბ-მა მერაბ გეგამ მაიკლ ვიკერსის სტატია „ანტიგონე ანტიკურ საბერძნეთსა და თანამედროვე საქართველოში“ გასაცნობად რომ შემომთავაზა, მხოლოდ მასალის გაცნობა იგულისხმებოდა და არა თარგმნა. ბუნებრივია, სათაურმა დამაინტერესა, რადგან ინგლისელი მეცნიერი მეტად მნიშვნელოვან პარალელს ავლებს თანამედროვე საქართველოსა და ანტიკურ საბერძნეთს შორის! შემდეგ მივხვდი, რომ სტატიის მხო-

ლოდ გადაკითხვა ვერ გამცემდა პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც ჩემს ცნობიერებაში ამოტივტივდა. ამიტომაც გადავწყვიტე სტატიის თარგმნა, მაგრამ მასში წამოყენებული პრობლემების სრული სურათის წარმოსაჩენად დამჭირდა სოფიკლეს თებეს ციკლის ტრაგედიების ხელახლა გადაკითხვა, თანაც განსხვავებული მოსაზრებით. ასევე მომიხდა პერიკლეს პერსონით და მისი თანამედროვე საბერძნეთის ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული პლასტების ხელმეორედ ამოკითხვა, რადგანაც უამრავ სამეცნიერო, ისტორიულ თუ ფილოსოფიურ ნაშრომებზე დაყრდნობით, ციტირებით, ტრაგედიის გმირთა საქციელისა თუ მეტყველების თავისებურებათა, სტრუქტურის, ფილოლოგიურ განხილვათა თუ ფსიქოლოგიურ წვდომათა საფუძველზე, ავტორი გარკვეული ალუზიების დაშვების უფლებას აძლევს საკუთარ თავს. ამიტომაც საჭირო იყო ნიუანსებში გარკვევა და არა მექანიკური თარგმნა.

სტატიის გაცნობის კვალდაკვალ არაერთგზის გამიჩნდა კითხვა, რა შუაშია აქ საქართველო? სტატიაში ხომ ფაქტიურად არაფერია ნათქვამი საქართველოს შესახებ!.. თუმცა თანდათან გამოიკვეთა ალუზიები. ჯერ ბუნდოვანი, შემდგომ კი უფრო აშკარა, ჩვენი მეხსიერების კუნჭულში ჩანწებილი ოდესღაც თუ ახლახან, თუ კიდევ რომელიღაც დროში მიღებული შთაბეჭდილებანი, ჩვენი, ჩვენი მშობლების თუ იმათი... იმათი მშობლების... და სტატიაში ასახული მოქმედება — საქართველოს სინამდვილედ გარდაიქმნა. და არა მარტო საქართველოსი. საქართველოსა და ანტიკურ საბერძნეთში შესაძლოა იგულისხმო პოლონეთი, ინგლისი, რუსეთი და ნებისმიერი ქვეყანა, ერი, ხალხი რადგან ყველა გრძედზე და ყველა განედზე ერთპიროვნული, დესპოტური, არაადამიანური მმართველობა ერთსახოვანია, ერთი მიზანსწრაფვით, ერთნაირი ამბიციებით, ერთნაირი ფარული სურვილებით, ერთნაირი მეთოდებით, ერთი მოტივაციით, ნიღბით და განაცხადით: მსხვერპლშენიერვა, ურვება, გვემა-ხალხის ბედნიერებისათვის! და ამ ყალბად-ფერადოვანი სიცრუით მოვარაყებულნი ფოჩიანი მატყუარას სიღრმეში დესპოტის „მე“ მეფობს.

სტატიაში ჩემს ცნობიერებაში ხედვის ახალი ვექტორი გაავლო. ახლებურად წამაკითხა „ანტიგონე“. მაიკლ ვიკერსი ღრმად იცნობს საკვლევ საგანს. ამას მონიშნავს თუნდაც გრძელი ნუსხა იმ ლიტერატურისა, რომელიც თან ერთვის სტატიას და,

რომელიც ეხმარება მკვლევარს საკუთარი მსჯელობა თუ ალუზიები ფაქტობრივი, დოკუმენტური მასალით გაამყაროს.


საინტერესოა სტატიის სტრუქტურა. მკვლევარი ცალკე გამოჰყოფს ტრაგედიის თითოეულ მოქმედ პირს და სხვა მრავალი მეცნიერის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ამ მხატვრულ სახეებთან პერიკლეს მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრების ანალოგიებსა და ალუზიებს გვანდის.

სტატიის ავტორი იცნობს საქართველოში განხორციელებული „ანტიგონეს“ სამ დადგმას. იგი იშველიებს ინგლისური გაზეთის, „გარდიანის“ მიმომხილველის მოსაზრებას ედინბურგის ფესტივალზე წარმოდგენილი მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის შესახებ. სპექტაკლი აღიარებული იყო, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური თეატრის ნიმუში. სპექტაკლი, მიმომხილველის აზრით, აგრძელებს იმ დებატებს, რომელიც კორუმპირებული მთავრობის წინააღმდეგ დემოკრატიისათვის ბრძოლაში ჩართული საქართველოს მომავალს ეხება. წერილის ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს მიხეილ თუმანიშვილისა და ნანა ჯანელიძის მიერ განხორციელებულ „ანტიგონეს“ დადგმას.

მკვლევარი ავითარებს მოსაზრებას, რომ ის პოლიტიკური სიტუაციები, რომლებიც საქართველოში, პოლონეთსა თუ ირლანდიაში განვითარდა, ანტიკური ათენის პოლიტიკური სიტუაციისაგან არ განსხვავდება.

ამ კუთხით სოფოკლეს შემოქმედების შეფასება დიდი ხნის მანძილზე ტაბუდადებული იყო, — შენიშნავს სტატიის ავტორი, მანამ, სანამ 1899 წ. ვილიამოვიჩმა არ განაცხადა, რომ სოფოკლეს ტრაგედიას მის თანამედროვე ისტორიულ მოვლენებთან უშუალო კავშირი გააჩნია. ლიტერატურული ქმნილებებისადმი ასეთი მიდგომა დღეს კრიტიკული აზროვნების განუყოფელ ნაწილად ითვლება, რაც იმაში გამოიხატება, რომ გამოკვეთილ იქნა მხატვრულ ნაწარმოებში რა ისტორიული ფაქტებია ასახული და რა, — ავტორის ფანტაზიის ნაყოფი.

„ანტიგონეს“ უამრავი კლასიკური ინტერპრეტაცია არსებობს. და ეს არ ნიშნავს, რომ მომავალში ამ ინტერპრეტაციათა რიგს ახალი არ მიემატება, — აღნიშნავს სტატიის ავტორი. მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გოეთეს შენიშვნაზე, რომლისთვისაც სასიკვდილოდ მიმავალი ანტიგონეს მიერ საკუთარი საქციელის ამხსნელი მოტივი იმდენად უკადრისად უღერს, მისი თვალთახედვით, ეს პა-



მაიკლ ვიკერსი

საუი კომიკურსაც კი ესაზღვრება. ამიტომ, გოეთეს მიაჩნია, რომ ეს პასაჟი ტრაგედიისათვის უცხოა და შემდეგაა ჩამატებული.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს, რომ გოეთე ამ შეფასებაში განცალკევებით არ დგას. მაგრამ ანტიგონეს გააჩნია მოქმედების შედარებით პატარა ხაზი და მას ეს ხაზიც რომ წაართვა, ნიშნავს, სწორხაზოვნად, განონასწორებულად ესაუბრო მაშინ, როდესაც სოფოკლემ მოგვცა მოზარდის შესანიშნავი, მართალი სახე და სწორედ მოზარდის ასაკობრივ თავისებურებებში დევს ანტიგონეს ფსიქიკურ თვისებათა, მისი ქცევის მოტივაციათა საფუძველი.

პირველი პრობლემა, რომელსაც მკვლევარი იხილავს, „ანტიგონეს“ შექმნის თარიღის დაზუსტებას ეხება. ტრაგედიის სიუჟეტური ხაზის გათვალისწინებით, დაუსაფლაველ გვამთან მიმართებაში, 439 წელი იკვეთება, როგორც აჯანყებულ და დამარცხებულ სამოსელთა სასტიკი, არაადამიანური დასჯის გამოძახილი. ის სისასტიკე, რომელიც პერიკლემ დატყვევებულ სამოსელთა მიმართ გამოიჩინა, მათი წამება, ხეზე გაკვრა და დაუსაფლაველად დატოვება, შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. (პლუტარქე. პერიკლე) ეს ამბავი იმდენად შემადრწუნებელი იყო, რომ თუკიდიდე ამ მოვლენას დუმილით უვლის. პლუტარქეს თანახმად, სამოსელებზე გამარჯვების შემდეგ პერიკლე პატოვმოყვარეობამ მოიცვა. იგი სამოსელებზე გამარჯვებას ბევრად

წარმატებულად თვლიდა, ვიდრე იმ გამარჯვებას, რომელიც ბერძნებმა ტროასთან ომის დროს მოიპოვეს. სტატიის ავტორი გვთავაზობს მოსაზრებას, რომ ამ ტრაგედიით სოფოკლეს სურდა, ჯერ ერთი: პერიკლეს რეპუტაციის შელახვა და ამავე დროს მასთან დისტანცირება. მართალია, არსებობს ცნობები, რომ ამ ორ პიროვნებას — პერიკლესა და სოფოკლეს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა, მაგრამ ისტორიული მასალა ნათელს ჰყვენს იმ ფაქტს, რომ ეს მეგობრობა სუსტი იყო. ამის დამამტკიცებლად მკვლევარს მოჰყავს სოფოკლეს მისამართით პერიკლეს ნათქვამი: „მთავარია გვექონდეს არა მარტო სუფთა ხელები, არამედ სუფთა თვალებიც“. სავარაუდოა, რომ სოფოკლე პერიკლეს მიმართ პოლიტიკური სახის ანტიპათიას განიცდიდა.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, დღეს ჩვენ ბევრად მეტის ამოკითხვა შეგვიძლია ლაიოსის სასახლეში დატრიალებულ ამბებზე, ვიდრე იმ ხანებში სპექტაკლის სანახავად მისულ მაყურებელს შეეძლო. პიესაში მოთხრობილი ამბავი მითთანაა გადახლართული და მაყურებლის თვალწინ გათამაშებული მოქმედებისა და პერსონაჟთა მონოლოგების საფუძველზე თანამედროვეობის პრობლემათა ამოკითხვაცაა შესაძლებელი. სოფოკლეს სხვადასხვა სიმბოლური ნიშნებით გამდიდრებული პოეტური ენა და თავად პიესის შინაარსი, უდაოდ ეხმიანება სიტუაციებს, რომელთაც იმ დროს ყველა კარგად იცნობდა. ჩვენამდე მოაღწია უამრავმა გადმოცემამ, რომელიც პერიკლეს და მის საკმაოდ დიდ ოჯახს ეხება. 438 წელი გარე თუ შინააშლილობების წელი იყო და არსებობს ყველა სარწმუნო საბუთი იმისა, რომ პერიკლემ არ იცოდა, თუ რა გამოხმაურება მოჰყვებოდა ომს სამოსასთან, რომელიც როგორც ცნობილია, მისი საყვარლის, ასპაზიას დაჟინებული მოთხოვნით დაიწყო. ასპაზია გახლავთ ის ქალი, რომლის გულისათვის პერიკლე საკუთარი ვაჟების—სანტაპუსისა და პარალუსის დედას გაშორდა.

მკვლევარი აყენებს კითხვას: რამდენად შეესატყვისებოდა სოფოკლეს გმირები ისტორიულ პერსონაჟებს? არსებობს თუ არა მათ შორის ზუსტი მსგავსება? მოდით, ვვალდაკვალ მივყვით მკვლევარს.

კრეონტის ტრაგედია

სხვადასხვა გამოკვლევებში ხაზგასმულია, რომ კრეონტი ყოველთვის ისწრაფვის

სახელმწიფო ინტერესები ოჯახურ ინტერესებზე მაღლა დააყენოს, რაც პერიკლეს შეხედულებათა იდენტურია. პირველივე გამოსვლაში კრეონტი აკვიატებულად საუბრობს საკუთარ თავსა და საკუთარ შეხედულებებზე, რაც ცხრაჯერ მაინც მეორდება (გრიფიცი. 1999.). არსებობს თუკიდიდეს მიერ პერიკლეს საჯაროდ გამოსვლის ერთერთო ეპიზოდის აღწერა, სადაც კრეონტის ატიტუდი-სახელმწიფო ინტერესი ოჯახურ ინტერესთან შედარებით უპირველესია, და, რაც პერიკლეს გამოსვლაში თორმეტჯერ მაინც მეორდება. ისიც ცნობილია, რომ პერიკლეს ორატორობის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურება ექსპრესიით აღსავსე სიტყვების გამოყენება იყო (თუკიდდე). ასეთი სიტყვებია: „უმნიშვნელო მიზეზი“, „ფუჭი საქმე“. ამ სახის სიტყვები მსმენელს უბიძგებდნენ, პირადი შიშისა და საკუთარი თავის ურწმუნოების დაძლევისაკენ. ეს შენიშვნები ავტორის თვალთახედვით შესაძლოა გამოყენებულ იქნას პერიკლეს ხასიათის პოლიმორფულობის წარმოსაჩენად.

მეტად საინტერესოა მკვლევარის მიერ ასეთი პარალელის გავლება: სამოსელთა არაადამიანური დასჯის შედეგ, ათენის მოქალაქეებს პერიკლეს პიროვნებისადმი შიში გაუჩნდათ. ტრაგედიაში კი, ორ დიალოგში — მცველთან და ჰემონთან კვლავ შიში იკვეთება. თებელთა შიში კრეონტის მიმართ.

არსებული წყაროები მიუთითებენ პერიკლეს ფულის ხელმომჭირნედ ხარჯვის გამოკვეთილ თვისებაზე. მისთვის კრედიტი და დებეტი ერთმანეთთან ბალანსში უნდა ყოფილიყო. პერიკლეს ხასიათის ეს თვისება ხშირად მისი ოჯახის წევრების უკმაყოფილებას იწვევდა. ცნობილია ისიც, რომ იგი კორუფციას გაურბოდა. სწორედ პერიკლეს ამ თვისებების ამოკითხვა კრეონტის მხატვრულ სახეშია შესაძლებელი.

ქორო

მკვლევარის თვალთახედვით, ქორო შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც პერიკლეს პიროვნების დამახასიათებელ გაშლილ სიმბოლოთა დემონსტრირება. ასეთ განხილვას საფუძველად არისტოტელეს დებულება უდევს, კერძოდ, „ქორო მთელის ნაწილი უნდა იყოს, ამავე დროს მოქმედების აუცილებელი ნაწილი, ისევე, როგორც ეს სოფოკლეს ტრაგედიებშია“. ამ შემთხვევაში, ამ ტრაგედიაში ქოროს ენიჭება რაციონალური და ჰუმანური დატვირთვა. (ბრაუნი.

1987. წ.) პერიკლე თავისუფალი იყო თავისი დროის ცრურწმენისაგან და ეძიებდა მის ირგვლივ არსებულ გარე სამყაროში მიმდინარე პროცესების რაციონალურ ახსნას (კავანი. 2990). ამიტომაც, ბუნებრივია, პერიკლე იზიარებდა მასწავლებლისა და მეგობრის, პროტაგორას იდეებს, რომელიც 454-44 წლებში ათენში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. (მორისონი 1941). პერიკლეს პიროვნებასთან მსგავსების გამოძახილია მესამე სტასიმონში ქოროს ჰიმნი, მიძღვნილი ეროსისა და აფროდიტესდმი, რომელიც პერიკლეს აფროდიტისადმი მიძღვნილებს ალუზიას ქმნის. მეოთხე სტასიმონში ქორო დანაიას, ლიკურგისა და სხვათა უბედურებათა აღწერით აძლიერებს ტრაგედიაში სისასტიკის ფონს, რომელიც სათავეს იღებს სამოსელთა სასტიკი დასჯის ისტორიიდან, როდესაც დატყვევებული სამოსელი ტრიერარქები და მეზღვაურნი მილეტის მთაზე აჰყავდათ და წამების შემდეგ, სხვათა ჭკუის სასწავლებლად, ფიცრებზე გაკრულთ, ათი დღით დაუსაფლაველად ტოვებდნენ.

ჰემონი

სტატიის ავტორი აღნიშნავს: თუ კრეონტის სახე ალუზიაშია პერიკლეს პიროვნებასთან, შეგვიძლია ვივარაოდოთ, რომ ტრაგედიის დანარჩენ გმირებსაც შესაძლოა მსგავსება პერიკლეს ოჯახის წევრებთან გააჩნდეთ. თავდაპირველად მკვლევარის ყურადღება ჰემონზე ჩერდება და მისი მხარტეული სახე განიხილება პერიკლეს უფროსი ვაჟიშვილის, სანტიპუსის პიროვნებასთან მიმართებაში. კრეონტის ურთიერთობას ჰემონთან ბედნიერ, ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობად ვერ ჩავთვლით. ჰემონის დიალოგი კრეონტთან წყნარად იწყება, რამდენადაც, ჰემონის მიზანი მამამისში კეთილი განწყობის გამოწვევაა, მაგრამ კრეონტი თავიდანვე უარს აცხადებს ჰემონისა და ანტიგონეს ქორწინების განხილვაზე, ანტიგონეს მიერ ჩადენილი საქციელის მიუღებლობის მოტივით, ხოლო ჰემონი მის თვალში „ზნედაცემული ქალისაგან დამონებულ“ ადამიანად გამოიყურება. მათი განხეთქილება კულმინაციას აღწევს ჰემონის განაცხადში: „თვით მეც ვერასდროს ვერ მიხილავ ემაგ თვალებით!“ ჰემონისა და კრეონტის ეს დიალოგი მოგვაგონებს სხვათა თანდასწრებით პერიკლესა და მისი უფროსი ვაჟიშვილის კამათს, რომელიც 438 წელს სულ ცოტა თვრამეტი წლის მანძი იქნებოდა. (სტადერი 1989.) პერიკლესა

და სანტიპუსს შორის უთანხმოების საფუძველი ფული იყო. მაგრამ სანტიპუსს მამასთან სხვა სადაო მიზეზიც გააჩნდა, კერძოდ ის, რომ პერიკლეს თავის რძალთან, სანტიპუსის მეუღლესთან სასიყვარულო ინტრიგა აკავშირებდა. პლუტარქეს მიხედვით, სანტიპუსს არ მოსწონდა არც მამის ცხოვრების წესი, არც ურთიერთობა მის ცოლთან და არც იმ დისკუსიის ხასიათი, რომელსაც პერიკლე პროტაგორასთან აწარმოებდა.

პირდაპირი ინფორმაცია სანტიპუსის მეტყველების თავისებურებათა შესახებ ჩვენ არ გავაჩნია, მაგრამ შესაძლოა ვივარაუდოთ იმ ალუზიებზე, რომლებიც აძლიერებენ პიესის გმირის მეტყველების კავშირს პერიკლეს მეტყველების თავისებურებებთან. 715-718-ე პნკარედებში გამოყენებული მეტაფორები „ხოლო იმ ხეებს, ურჩად რომ დგანან, ფესვებითვე ამოთხრის წყალი“, გახლავთ აზროვნების ის თავსებურება, რომელიც ახასიათებდა ათენში პერიკლეს საჯარო გამოსვლებს. საუბრისას ჰემონისათვის დამახასიათებელი მრავალსიტყვაობა, ზედმეტი სიტყვების მოშველიება, სხვა არა არის რა, თუ არა, პერიკლეს გამოთქმათა გადამუშავება სოფოკლეს მიერ.

ასპაზია

არსებობს კიდევ ერთი იდუმალი ქალი, რომელსაც სოფოკლე გამოკვეთს კრეონტისა და ჰემონის დიალოგში. კრეონტი აფრთხილებს ვაჟიშვილს, რომ სიამტკბილობა ბოროტ ქალთან და მასთან სარეცელის გაზიარება ტახტს დააკარგვინებს. (648-51 პნკარედები.) პლუტარქეს მიხედვით, პერიკლემ სამოსასთან ომი ასპაზიას სასიამოვნებლად დაიწყო. ევრიდიკეს სახე, შესაძლოა ასპაზიას პიროვნების ანარეკლი იყოს. სოფოკლე ევრიდიკეს საზარელი სიკვდილით კლავს, მაგრამ მხოლოდ ამ მდგომარეობაში მყოფ ევრიდიკეს შეეძლო კრეონტის დაწყევლა. ამ ხერხით სოფოკლემ თითქოს მიზანში ეროლა მას, ვისთვისაც ყველაზე ღირებული ასპაზიასთან კავშირი იყო. ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეეძლო დრამატურგს სცენის გამოყენება საჯაროდ, ღიად იმის სათქმელად, რისი გაცხადებაც რეალურ სიტუაციაში თითქმის შეუძლებელი იყო.

ალკიბიადე

მკვლევარის ყურადღება ამჯერად პერიკლეს ოჯახის ერთ მნიშვნელოვან წარ-

მომადგენელზე, ალკიბიადეზე ჩერდება, რომელსაც იგი 447 წლიდან, ფაქტობრივი მასალით, მეურვეობას უწევდა. ალკიბიადე და კლეონისოსი, ომის გმირის, დაღუპული კლეონისოსის ვაჟები (დავიდსონის 1984 წ. გამოუქვეყნებელი ნაშრომი) ცხოვრებისაგან დატანჯული იყვნენ. ზოგიერთი ცნობით, პერიკლეს ეშინოდა, რომ ალკიბიადე კლეონისოსზე ცუდ გავლენას მოახდენდა, და ამ მიზეზით, პერიკლემ კლეონისოსი აღსაზრდელად საკუთარ ახალგაზრდა მცველს — არიფრონს მიანდო. მაგრამ არიფრონმა მალე ბიჭი უკან დააბრუნა. ისტორია ალკიბიადეს შესახებ ბევრს მოგვითხრობს. განსაკუთრებით მისი ხასიათის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა სიჯიუტე და სიკერპე. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ის, თუ მუქარით როგორ ითხოვდა იგი გლეხობისაგან შეშვებოდნენ ყველაფერს და მასთან კოჭობანა ეთამაშათ, თანაც თამაშში მას უნდა გაემარჯვა! ამასთან, ალკიბიადე, როგორც ამბობენ, არავის რჩევას ყურს არ უგდებდა (პლუტარქე.) ალკიბიადე ყმანვილობითგანვე ხშირად გარბოდა თავისი სატროფოს სახლში. ადრეულ ასაკშივე მას ჰყავდა საყვარელი და თანაც არა ერთი. სტატიის ავტორის თვალსაზრისით, სოფოკლეს ალკიბიადესადმი დამოკიდებულებამ ანტიგონეს მხატვრულ სახეში ტრანსფორმაცია განიცადა. ანტიგონეს ხასიათში უთუოდ ალკიბიადეს ინდივიდუალობის გამომხატველი შტრიხები შეიმჩნევა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ალკიბიადეს მთელი ათენი იცნობდა, როგორც განსაკუთრებული ინდივიდუალობით დალდასმულ ადამიანს. ფართო მასები მას თავყვანს სცემდნენ. მისი გემოვნება, ჩაცმულობის სტილი მისაბაძი იყო და ხშირად მოდის კონონმდებლადაც გამოდიოდა. ალკიბიადეს ფსიქოლოგიური ნიღბის ამოცნობა მეცნიერთა ახალი მიღწევაა, ანტიგონეს თანამდევი ირაციონალურობა უკვე განხილულია (კოლინგის 1962 წელს შესრულებული კვლევის სახით).

სტატიის ავტორი იხსენებს ბავშვთა ფსიქოლოგის, დაფნე ბრიგის რეაქციას იმ მოხსენებაში განხილულ საკითხზე, რომელიც წაიკითხა ბ-მა ვიკერსმა ოქსფორდის ისტორიის კათედრაზე გამართულ მოზარდთა საკითხების სემინარზე. როდესაც პროფესორი დ. ბრიგსი გაეცნო ალკიბიადეს ბავშვობისდროინდელ ამბებს, მან აღნიშნა: „არსებობს საკმაოდ სახიფათო პიროვნებები. მათი ცხოვრების პირველასვე წლებში თავს იჩენს მთელი რიგი პრობლემები და მათ მოქმედებაში მოჰყავთ თავდაცვის მე-

ქანიზმები, რაც თავის გამოხატულებას ველურობასა და არანორმალურ სასიყვარულო ისტორიებში ჰპოვებს“. ალკიბიადე ცდილობდა ამგვარ დაუძლეველ პრობლემებთან შეჭიდებას ადრეული ასაკიდან და მისი ხასიათი სწორედ ამ პრობლემებთან ჭიდილმა გამოკვეთა. როდესაც ჩვენ ეს ვიცით, გვიადვილდება ქოროს მიერ გამოტანილი ვერდიქტის წვდომა: „თვითნება გაქვს ზნე და სწორედ იგი გლუპავს“. (875 პნკარედი) სცენა, რომელიც წინ უძღვის ქოროს ამ ვერდიქტს, საოცრად ცოცხლად აგვიწერს ვნებააშლილი მოზარდი გოგონას სულიერ და გონებრივ მდგომარეობას.

პლუტარქე ალკიბიადეს პორტრეტის მშვენიერ შტრიხს გვანვდის. მეგობრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე, თუ რას ფიქრობს მასზე ხალხი, ალკიბიადე პასუხობს: „იცი რა... თუ ამაზე ათენელები ილაპარაკებენ, მიზანს მივალწევ. სწორედ ეს მსურს. განსაკუთრებით ის მსიამოვნებს, როდესაც ჩემზე ცუდს ლაპარაკობენ“.

არსებობს პლუტარქეს მიერ ალკიბიადეს ცხოვრებისეულ ქმედებათა ამსახველი ნუსხა, სადაც მის წინააღმდეგ სამართლიანი ბრალდებებია წაყენებული.

ანტიგონეს მხატვრულ სახეში ჩანს სოფოკლეს მიერ ალკიბიადეს მეტყველების თავისებურებათა გადმოცემის მცდელობა.

ჩვენ არა გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ სოფოკლე ანტიგონეს, როგორც გაშმაგულ მოზარდს ისე ალაპარაკებდეს, როგორდაც მის საუბარს ქორო ახასიათებს: „ლაპარაკითაც შეშლილი და გულითაც“. ანტიგონეს არეულ საუბარს ავტორი იყენებს ფსიქიკადარღვეული ადამიანის დამახასიათებელი ნიშნის საჩვენებლად. (ქოლინგი. 1962) მაგრამ ამავე დროს, ანტიგონეს საუბარი შესაძლოა მივიჩნიოთ ნორმალურ, შეუპოვარ, სალი გონების გამოვლინებად.

ანტიგონეს აზროვნების და მეტყველების მიმართ ეს განსხვავებული მიდგომა შესაძლოა პლუტარქეს მიერ ალკიბიადეს პიროვნების დახასიათებიდან მომდინარეობდეს, რომელიც სავსეა უამრავი წინააღმდეგობებითა და შეუსაბამობებით.

მიხეილ თუმინიშვილი აღიარებდა ანტიგონეს ხასიათის ამ ასპექტს, როდესაც 1968 წლის დადგმაში მან ორი მსოფლმხედველობის დაპირისპირება, ორი, ურთიერთგამომრიცხავი რწმენის შეჯახება ასახა. ავტორს მოჰყავს ციტატა რუსთაველის თეატრის არქივიდან — (ავტორი ნ. თვალჭრელიძე): „ესაა გზატკეცილზე მქროლი ორი აპარატი, ერთ-ერთი მათგანი ცოცხლად აღიაქ-

ვამს თუ საით მიჰქრის, მეორე კი არღვევს ყველაფერს და თავისი ზიგზაგებით ავარიის საშიშროებას ქმნის“.

თუ ეს ინტერპრეტაცია სწორია, ფიქრობს მკვლევარი, მაშინ ერთი შესაძლო დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: ანტიგონეს ცხოვრებისეული არასწორი დამოკიდებულება, ალბათ, ვერ გამოიწვევდა ათენის მეყურებლის თანაგრძობას. განადგურებული კრეონტის მხატვრული სახე კი აღიქმებოდა, დამოუკიდებლად იმისა, თუ ტრაგედიის მოქმედება რომელ ისტორიულ დროში იშლება — როგორც პატივმოყვარე დესპოტის კანონის მიმართ ცალსახა დამოკიდებულების შედეგი.

პერიკლეს მიერ ჩადენილი ანტიჰუმანური მოქმედება სამოსას ტყვეების მიმართ ხალხის სამსჯავროზე იქნა გამოტანილი და გაკიცხული.

როგორც ჩანს, პერიკლესადმი ნაყენებულმა ბრალდებებმა შედეგი გამოიღო. შემდეგში პერიკლეს ქმედებები ნაკლებ სასტიკი და მკაცრი შეიქნა.

ის არე, რომელშიც ჩვენ ტრადეგია ამოვიკითხეთ, დაასკვნის ბ-ნი ვიკერსი, გვწამს, რომ გვაახლოებს სოფოკლეს ჩანაფიქრთან, პერიკლესდროინდელ ათენის პერსონიზებულ პოლიტიკასთან. ეს ამბები დატრიალდა იმაზე მცირე ხნით ადრე, ვიდრე მილესიასი, თუსიდიდეს ვაჟიშვილი პერიკლეს წინ აღუდგებოდა. თუსიდიდე ათენიდან

განდევნილ იქნა და ოპოზიციაც დაიშალა. ეს ამბავი ისტორიისათვის უნდა გადარჩენილიყო, თუნდაც სოფოკლეს კრიტიკულ პიესაში. მაგრამ ყველაზე მთავარი თვით სოფოკლეს მეთოდი გახლავთ, რომელიც მოდერნისტული დრამატურგიის წარმომადგენლებმა როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში გამოიყენეს. გამოიყენეს კრეონტისა და ანტიგონეს ისტორია, როგორც პატივმოყვარეობისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება.

ბ-ნი მაიკლ ვიკერსის სტატია სოფოკლეს ტრაგედიის ნაკითვის ახალ გზას გვთავაზობს, რომელიც მკითხველს წარსულში ნაკითხულს თამანდროვე მეცნიერების მონაპოვართა შუქზე ახალ გაცნობიერებასა და ინტერპრირებაში რთავს. მკვლევარი თითქოს თავიდან ძერწავს სოფოკლეს ტრაგედიას. დრამატურგისა და ისტორიის კვალდაკვად ადამიანთა ბედის, თუ კერძო ისტორიულ მოვლენათა ფონზე, კონკრეტულ ეთიკურ თუ ესთეტიკურ ღირებულებათა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აღმოჩენათა ახალ გზებს გვიხსნის.

და რაც მთავარია, სტატია მკითხველის მეხსიერებაში აცოცხლებს ჩვენი უახლოესი ისტორიის თითოეულ ბედუკულმართ დღეს, რომლის მხილველნი თავად ვიყავით, რაც გენეტიკურ დონეზე ჩაებეჭდა ქართველობას და კოლექტიური არაცნობიერის კუთვნილებად იქცა.





გიორგი ტოვსტონოგოვი

ნათელა
ურუშაძე

ხსოვნის სახეში

გიორგი ტოვსტონოგოვი

იშვიათია სცენის ხელოვანი, რომლის შემოქმედებაც მის თანამედროვე მაყურებელთა, კოლეგათა და მკვლევართა ასეთ ყურადღებას იმსახურებდეს. მისი სპექტაკლების მაყურებლები: მოსკოვის, პეტერბურგის, კიევის, რიგის, ალმა-ატის, ტალინის, ტაშკენტის, თბილისის, პერმის, ტიუმენის, ომსკის... ეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში. მის ფარგლებს გარეთ: ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ავსტრიის, ინგლისის, არგენტინის, საბერძნეთის, ფინეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის, იაპონიის...

ასეთი იყო ასპარეზი ლენინგრადის მ. გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის შემოქმედებისა, რომელსაც ხელმძღვანე-

ლობდა გიორგი ტოვსტონოგოვი 1956 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე 1989 წლის 23 მაისი.

მის მხატვრულ ქმნილებათა შესახებ წერდნენ სახელგანთქმული კრიტიკოსები: პ. მარკოვი, კ. რუდნიციკი, ბ. ზინგერმანი, ნ. ბერკოვსკი, ი. შნეიდერმანი, გ. ბოიაჯიევი, რ. ბენიაში, ს. ციმბალი, მ. ტუროვსკაია, ა. სვობოლინი...

თეატრმცოდნე ი. მალოჩევსკაიამ დისერტაცია დაიცვა თემაზე „გ. ტოვსტონოგოვის სარეჟისორო სკოლა“.

მისი გარდაცვალებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, ცნობილმა პეტერბურგელმა თეატრმცოდნე ნატალია სტაროსელსკაიამ გამოსცა წიგნი „ტოვსტონოგოვი“ სერიიდან „რჩეულ ადამიანთა ცხოვრება“ (გამომც: „Молодая Гвардия“. 2004).

ყურადღებას ითხოვს სერიის სათაურიც და წიგნის სათაურიც — „რჩეულ ადამიანთა ცხოვრება“ ანუ უწყვეტი ცვლილებებისა და ჩამოყალიბების პროცესი! ძალიან რთული ამოცანაა მკვლევარისათვის საერთოდ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ეს ადამიანი შემოქმედის ნიჭითაა გამორჩეული, კიდევ მით უფრო, თუ ისედაც მუდამ ეროვნულ ხელოვნებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თან ერთვის დამატებითი სირთულე — ის განსხვავებული ეროვნების მშობელთა შვილია.

მკვლევარისათვის ეს სირთულე ცნობილია. ამას მისი წიგნის გარეკანი უკვე გვაუწყებს. დავაკვირდეთ: მაგარ ყდაში ჩასმულ ამ წიგნის გარეკანზე, ყველაზე მაღლა მხოლოდ ერთი სიტყვაა — ტოვსტონოგოვი. რუსეთში, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ ურთიერთობებშიც კი, ერთმანეთს სახელითა და მამის სახელით მიმართავენ და ასეც მოიხსენიებენ. ასეა ეს ამ წიგნშიც — ყველა, ვინც ავტორის ყურადღების ღირსი აღმოჩნდა, თვით მთავარი მოქმედი პირიც, ტექსტში ყველგან სახელითა და მამის სახელითაა მოხსენიებული. ამიტომ ვფიქრობთ — გარეკანზე დიდი ასოებით გამოტანილი გვარი მკითხველს მისი პატრონის ერთადერთობას მიუთითებს.

იმავე გარეკანზე, ამ ერთი გვარის ქვემოთ ორი სურათია: ხელმარცხნივ პეტერბურგის, ადრე მ. გორკის, ახლა უკვე გ. ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის ფასადი. მის გვერდით გ. ტოვსტონოგოვის პორტრეტი.

ბოლო ნაწილში მხოლოდ ერთი სურათია, რომელზედაც აღბეჭდილია ის მომენტი სპექტაკლიდან „ხანუმა“, როდესაც ა. ცაგარელის ამ პიესის რუსულ სცენაზე დამდგმელი გ. ტოვსტონოგოვი და ქართული ეროვნული

ტანსაცმლით მოსილი მსახიობები, ერთად ემშვიდობებიან მაყურებელს სპექტაკლის დასასრულს. არც ერთი სურათი იმ სპექტაკლებიდან, რომლებმაც გ. ტოვსტონოგოსა და მისი თავკაცობით არსებულ თეატრს მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს — ა. გრიბოედოვის „ვაი, ჭკუისაგან“, ვს. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, ვ. შუკშინის „ენერგიული ადამიანები“, თ. დოსტოევსკის „იდიოტი“, ა.ჩეხოვის სამი და“, ლ. ტოლსტოის „ცხენის ამბავი“ და სხვა — გარეკანზე არ მოიქმნება... მკითხველი უთუოდ გაიკვირვებს.

კიდევ უფრო გაიკვირვებს, როდესაც ამ ნიგნის პირველი თავის სათაურს წაიკითხავს — „Только я глаза закрою...“ ესაა ნ. ზაბოლოცკის მიერ თარგმნილი გრ. ორბელიანის უკვდავი მუხამბაზის პირველი სტრიქონი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ...“

მას ასე, ნიგნი დიდ რუს რეჟისორზე იწყება ქართველი პოეტის სიტყვებით სიყვარულზე... ვის? რის სიყვარულზე? ამას გარკვევა უნდა, რადგან ამგვარი რამ არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ნუ დავიზარებთ და დავითვალთ რუსი რეჟისორის შემოქმედების რუსი მკვლევარი თავის ნიგნში რამდენჯერ მოიხსენიებს ამ რეჟისორის კავშირს მის სამშობლო საქართველოსთან და ქართულ თეატრთან. დავითვალე — სამოცდათვრამეტჯერ!

ახლა ვნახოთ, როგორ მოიხსენიებს. რამდენიმე ამონარიდი:

„Знакомство с улицами, домами, стремительной рекой, производят на ребёнка неизгладимое впечатление, потому что краски, звуки, сама атмосфера окружающего, буквально впитываются в его душу. И остаются в ней навсегда.“

Уголок этого замечательного города, старого и одновременно юного Тифлиса, много десятилетий спустя любовно и иронично будет воссоздан им в спектакле „Ханума“ Авксентия Цагарели. Это музыкальное зрелище начнется строками Григола Орбелиани, прочитанными вдохновенно и светло „закадровым“ голосом самого Товстоногова:

Только я глаза закрою — предо мною ты встаёшь,

Только я глаза открою — над ресницами плывешь...

А на сцене в это время гибко и плавно двигались мужчины в грузинских костюмах — эта нега, этот еле ощутимый аромат прошлого затягивали в свою размеренность, завораживали плавным ритмом“ (с. 18-19).

გრ. ორბელიანის სიტყვებით უმღერდა მშობლიურ ქალაქს 57 წლის რეჟისორი საკუთარ დადგმაში.

მნიშვნელოვანი სტრიქონები გ. ტოვსტონოგოს რეჟისორად ჩამოყალიბების შესახებ:

„... Совершенно очевидно, что сформирован он был именно грузинским театром (с другим он просто ещё не был знаком) ... и разумеется, — Котэ Марджанишвили“ (с.25).

გაჩნდა ს. ახმეტელის გვარიც. მალე ისიც შემოვა უკვე მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტ გ. ტოვსტონოგოს ცხოვრებაში:

„Театральная Москва тех лет дарила разнообразные впечатления, Георгию Товстоногову наверняка было интересно сравнивать две школы — грузинскую и русскую. Там, в Тифлисе, он наслаждался ярким, праздничным темпераментом спектаклей Ахметели, тонким пластическим рисунком и глубиной психологических находок К. Марджанишвили. Здесь, в Москве, его притягивал МХАТ с театральностью скрытой, приглушенной, с глубокой проработкой характеров, с тонкой вязью человеческих взаимоотношений... По немногословным отзывам становится очевидно, что Товстоногов в первых же своих спектаклях настойчиво пытался соединить традиции

русского и грузинского театра“ (с. 36, 45).

წიგნის ამავე თავში ავტორი განიხილავს გ. ტოვსტონოგოვის პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომელიც აგრეთვე იწყება საქართველოში — 1939 წელს დაარსებულ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. სწავლება, ცხადია, ქართულად მიმდინარეობდა. დედით ქართველმა და თბილისის მკვიდრმა გ. ტოვსტონოგოვმა კარგად იცოდა ქართული. იმ დროის სტუდენტებმა კი რუსული.

ჩემ ცხოვრებაში ის შემოვიდა როგორც მასწავლებელი, რომელიც რვა წლით იყო ჩვენზე უფროსი. გვასწავლიდა იმას, რაც ყველზე მეტად მაინტერესებდა — სათეატრო ხელოვნებას. ამ საოცარ სამყაროში შემიყვანა და იქ დამტოვა სამუდამოდ.

ეს დაიწყო 1944 წელს, როდესაც დ. ალექსიძის ჯგუფს გამოგვიცხადეს, რომ მესამე კურსიდან, პედაგოგთა დატვირთვის გათვალისწინებით, სამსახიობო ხელოვნებას გიორგი ტოვსტონოგოვი შეგვასწავლის.



თეატრალური ინსტიტუტი. სცენა სპექტაკლიდან „მდაბიონი“

ორგვარი გრძნობა დაგვეუფლა ყველას — ერთი მხრივ, გულისტკივილი იმის გამო, რომ აღარ გვეყოლება ძალიან საყვარელი ბატონი დოდო, მეორე მხრივ, — სიხარული იმის გამო, რომ ვიქნებით იმ მასწავლებელთან, რომლის სტუდენტური სპექტაკლებით უსაზღვროდ ვიყავით მოხიბლული.

ასეთი გრძნობით აღსავსენი ველოდებოდით მის შემოსვლას ცხრილით ჩვენთვის განკუთვნილ 2 აუდიტორიაში.

...ის არ შემოსულა — ის შემოიჭრა აუდიტორიაში, მაჯიდან საათი რატომღაც სწრაფად მოიხსნა, მისთვის განკუთვნილ მაგიდაზე ლამის დააგდო, ყურადღებით გადაგვაწვლო თვალი ყველას და კატეგორიული ტონით მოგვმართა: იცით, აქ რისთვის სწავლობთ? იცით, რა არის თეატრი?

შეკითხვა მოულოდნელი იყო, სახის გამომეტყველება მკაცრი. დავიბენით. პასუხის გაცემას ვერავინ ბედავდა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ, სთვალისწინა ახალგაზრდა მასწავლებელმა თვითონ გასცა პასუხი საკუთარ კითხვას. ის ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ თეატრი ყვავილები და აპლოდისმენტები კი არა, შრომაა, დიდი, დაძაბული, დაუსრულებელი შრომა, საკუთარი ცხოვრებისეული რწმენის მსახურებაა...

დაირეკა გამოსვლის ზარი... შემდეგ — შესვლის... მერე ისევ გამოსვლის... ამჯერად ზარმა ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება, რადგან ის არ გაუგონია არც ჩვენ ახალ მასწავლებელს და არც ჩვენ, რადგან უკვე მის ტყვეობაში ვიყავით...

ის არ გვიხსნიდა რა არის თეატრი — ის გვიამბობდა მის შესახებ როგორც თავის მიჯნურზე, რა მშვენიერია იგი და რაოდენ მოცუვლი იდუმალებით... ამ გზით აღვივებდა ჩვენში ისედაც არსებულ ინტერესს მისდამი, რათა უფრო მეტად მოგვენდომებინა ჩვენგან მოდით ამ სასწაულის საიდუმლოს.

დიდი ხნის შემდეგ მივხვდი, რომ ახალ ჯგუფთან ყველა პირველი შეხვედრა მას ასე ჰქონდა მოფიქრებული. მიაჩნდა, რომ მასწავლებლის უპირველესი მოვალეობაა მოსწავლეთა ყურადღება მიაპყროს უმთავრესს — მის მიერ არჩეული პროფესიის რაობას, შესწავლის საგანს. ამავე დროს შესწავლის მიზანს. ამ შემთხვევაში კონკრეტულად — რის თქმას აპირებ სათეატრო ხელოვნების საშუალებით? რას ამტკიცებ? რას ამკვიდრებ? რის გულისათვის?

სწორედ რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში მოღვაწეობით აღმოცენდა გ. ტოვსტონოგოვის ქართულ თეატრთან თავისებური კავშირი. ის სიღრმივი აღმოჩნდება და თავის ნამდვილ შედეგს გამოიღებს მოგვიანებით — როდესაც თვითონ გ. ტოვსტონოგოვი საქართველოში აღარ იქნება, რუსთაველის თეატრისთვის კი შემოქმედებითი სახეცვლილების ხანა დადგება. 1943 წლიდან მოყოლებული (ამ წელს გამოუშვა თეატრალურმა ინსტიტუტმა თავისი პირველი მიღების ჯგუფი, რომელიც სასცენო ხელოვნებას გ. ტოვსტონოგოვმა აზიარა), რამდენიმე წლის განმავლობაში რუსთაველის თეატრში აღმოჩნდნენ: მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი, გოგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, ბადრი კობახიძე და სხვანი. რეჟისორები: მიხეილ თუმანიშვილი და აკაკი დვალისვილი. სწორედ ისინი, ვინც უშუალოდ იყო დაკავშირებული გ. ტოვ-

სტონოგოვთან და ვინც ამ თეატრში მოიტანა გმირულ-რომანტიკული ხელოვნების საპირისპირო ნაკადი ფსიქოლოგიური რეალიზმისა და თანდათან სრულიად შეცვალა რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი სახე.

ჩვენი ჯგუფი მუშაობდა მ. გორკის პიესაზე „მდაბიონი“. სანყისი, ე.წ. სამაგიდო პერიოდი ხანგრძლივი იყო, მაგრამ ძალიან საინტერესო. მიმდინარეობდა ყოველი მოქმედი პირის ცხოვრების ხაზის დადგენა, მისთვის დამახასიათებელი დინამიკისა, რომელიც პერსონაჟის სურვილების, მის წინაშე აღმოცენებული წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების მონაცვლეობაში ვლინდება. ყველა ერთად პიესის სიტყვიერი ზედაპირიდან მისი სიღრმეებისაკენ მივემართებოდით. როლზე და პიესაზე მუშაობას ვსწავლობდით.

ამ დროს ყველაზე გატაცებული ჩვენი მასწავლებელი იყო. მას მოქმედ პირთა ცხოვრების საიდუმლო საცავში შეღწევა იტაცებდა, ერთნაირად აინტერესებდა მამაკაცთა და ქალთა ფსიქოლოგია, მათში ჩაბუდებული დადებითი და უარყოფითი. ყოველნაირი ადამიანის აზროვნების თავისებურება და ქცევათა შინაგანი მამოძრავებლები. ჩვენ კი ყველაზე მეტად ის როლი მოგვწონდა, რომელზედაც ის ახლა საუბრობდა.

ახალგაზრდა გ. ტოვსტონოგოვის დიდი ნიჭი პროფესიულ თეატრში იმხანად სრული ძალით ჯერ არ იყო გამოვლენილი. ნიჭი კი, როგორც ცნობილია, გამოვლენას ითხოვს, ამიტომ მუშაობა სწყუროდა და საღამოობით ჩვენი მეცადინეობა, ჩვეულებრივ, შუალამემ-



გიორგი ტოვსტონოგოვი და ნათელა ურუშაძე, ვერიკო ანჯაფარიძის საიუბილეო საღამოზე მოსკოვში.

დე გრძელდებოდა. რეჟისორული ნიჭიერება სარეპეტიციო დარბაზში უხმობდა მსახიობებთან ერთობლივი შემოქმედებისაკენ, ასეთივე ძალის პედაგოგიური ნიჭიერება კი ინსტიტუტის აუდიტორიისაკენ, სადაც მას მომავალი მსახიობები და რეჟისორები ელოდებოდნენ. ორივეგან მიიჩქაროდა და ამიტომ მშვიდად არც სარეპეტიციო დარბაზში შედიოდა, არც აუდიტორიაში — რეპეტიციის დაწყებაც ეჩქარებოდა და გაკვეთილისაც, დამთავრება კი არც ერთისა. ჩვენ უსაზღვროდ ბედნიერნი ვიყავით არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასთან ყოფნას არაფერი გვერჩინა, არამედ იმიტომაც, რომ ვგრძნობდით — ჩვენ სათაყვანებელ ადამიანსაც უნდოდა ჩვენთან ყოფნა.

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, მთელი ჯგუფი აუცილებლად სახლამდე მივაცილებდით ხოლმე. მანძილი რუსთაველის გამზირიდან 25 თებერვლის სახელობის ქუჩამდე (დღეს ეს ქუჩა გ. ტოვსტონოგოვის სახელობისაა) არანაირ ამინდში გრძლად არ მოგვჩვენებია... ვინ იცის, ამ ახალგაზრდა კაცს ამით როგორ ვურთულებდით ცხოვრებას... თუმცა, ალბათ, მასაც სჭირდებოდა მონაფეთა ასეთი სიყვარული და აბსოლუტური რწმენა.

ჩვენ ისე გვწამდა მისი, რომ უდიდესი სიხარულით ვასრულებდით ყველაფერს, რასაც ის ჩვენგან მოითხოვდა, ის კი მოითხოვდა არა მარტო საქმისათვის თავდადებას, არამედ უმკაცრეს შემოქმედებით დისციპლინასაც: არავითარი ჭირვეულობა, არავითარი „არ შემიძლია...“ — „Через не могу!“ გაისმოდა ხოლმე ასეთ შემთხვევაში გ. ტოვსტონოგოვის ყველა მონაფისათვის კარგად ნაცნობი ეს სიტყვები... და ყველაფერი სრულდებოდა მთელი ძალის მოხმობით, უკანასკნელიც რომ ყოფილიყო ეს ძალა.

ძალიან უყვარდა მსახიობი, თვით ამ სახის ნიჭიერება, ყოველთვის სწადა რომელიმე ტიპაჟის განსახიერება. მე ასე მეგონა, რომ საერთოდ ყველა როლის თამაში უნდოდა იმ პიესაში, რომელსაც დგამდა. რეპეტიციის დროს მუდამ სკამის ნაპირზე იყო ჩამომჯდარი და ეპიზოდზე მუშაობისას, მსახიობთან ერთად ცხოვრობდა ისიც, თან ისეთი შინაგანი სისავსით, რომელიც ამოქმედებას, საქციელის ჩადენას ითხოვს. ქვეცნობიერად, ალბათ, სკამის ნაპირზეც ამიტომ იყო წამოსკუპებული — ყოველ წამს მზად იყო გამოვარდნილიყო სარეპეტიციო დარბაზში ან აუდიტორიაში და ეთამაშა ის ადგილი, რომელსაც მსახიობი ან სტუდენტი ვერ ერეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი თითქოს გააზრებული და გარკვეული იყო, მაგრამ სახეობრივ მეტყ-

ველ ქცევაში არ გამოიხატებოდა. ამ დროს ის მოწყდებოდა ხოლმე სკამს და თვალის დახამხამებაზე ჩაერთვებოდა იმ პერსონაჟის ცხოვრების მიმდინარეობაში, რომლის განმასახიერებელსაც ახლა უჭირდა.

ყოველი ეს ე.წ. „ჩვენება“, მართლაც, მხოლოდ ჩვენება იყო, ჩვენება იმისა, თუ რა მოეთხოვება მსახიობს მისი გმირის სცენური ცხოვრების ამ მომენტში. რეჟისორის ნიჭიერებაში შემავალი აქტიორული ნიჭიერებაც ამ თავისებურებისაა — მცირეში დიდი უნდა დაანახოს მსახიობს, მისი არსებითი ნიშანი.

ამ დროს ჩვენ წინაშე იყო ის უიშვიათესი შემთხვევა, როცა ვინც გიხსნის, თვითონ ფლობს იმის ჩვენების უნარსაც, ოღონდ არა ზუსტი გამეორებისათვის, არამედ იმისთვის, რომ რეჟისორის ნაჩვენები მან მისებურად განახორციელოს. ამიტომაც იყვნენ მის მიერ აღზრდილი მსახიობები აგრერიგად განსხვავებულნი. ამიტომ ყველგან, სადაც შემდგომ უმოღვანია, მის გვერდით მუდამ ბევრი საინტერესო აქტიორული ინდივიდუალობა აღმოჩნდებოდა ხოლმე.

მისი სტუდენტური წარმოდგენების წარმატების საიდუმლოც ამაში იყო, აქაც დაძლეული იყო ანსამბლური ხელოვნების ყველაზე დიდი სირთულე: ყველაფერი მიზეზშედეგობრივად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთი მეორისათვის არსებობდა. მოქმედ პირთა ცხოვრებაში არ მოიძებნებოდა არც ერთი გაუმართლებელი, უმოქმედო ნუთი, არც ერთი სიტყვა, რომლის წარმოთქმა შინაგანად არ ყოფილიყო აუცილებელი იმისთვის, ვინც მას წარმოთქვამდა.

ეს იყო წარმატება არა მარტო მომავალ მსახიობთა და მათი მასწავლებლისა, არამედ გარკვეული მიმართულებისა სასცენო ხელოვნებაში, იმ თეატრალური მრწამსისა, რომლისთვისაც გ.ტოვსტონოგოვს შემდგომშიც არასოდეს უღალატია. ამიტომ მიმაჩნია, რომ ის უმთავრესი, რამაც განაპირობა გ.ტოვსტონოგოვის, როგორც ხელოვანის, შემოქმედებითი ინდივიდუალობა — ერთმონუმენე გუნდით ანსამბლური სპექტაკლის შექმნა — საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო სპექტაკლებში დაიბადა. სწორედ დაიბადა, ხოლო მთელი ძალითა და სისრულით ეს ინდივიდუალობა გამოვლინდა შემდგომ წლებში და სხვაგან.

ავტორის თეატრის მიმდევარი რეჟისორი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზნად ისახავდა სინამდვილის მწერლისეული აღქმისა და ასახვისათვის თეატრალურისახეობრიობის აღმოჩენას და სპექტაკლის ამნაირ გაცოცხლებას

სცენაზე. მიაჩნდა, რომ პიესის ლიტერატურული თავისებურების შეგრძნობა რეჟისორული ნიჭიერების აუცილებელი თვისებაა.

რაც შეეხება საკუთრივ რეჟისორულ ინდივიდუალობას, ზეპირადაც უთქვამს და დაუნერია კიდევ — თუ რეჟისორს აქვს ინდივიდუალობა, ის უთუოდ გამოვლინდება. მეტიც, თვით ამ ნიჭიერების არსსაც ასე განსაზღვრავდა: „Раскрыть автора через себя — суть моей профессии.“

ლიტერატურულ ნაწარმოებში აღმოჩენილისათვის სათეატრო მხატვრული საშუალებების შერჩევაში თავს არანაირად არ იზღუდავდა. მიაჩნდა, რომ ხელოვნებაში არ არსებობს ძველი და ახალი მხატვრული საშუალებები — ყველა გამოდგება, თუ ასეთი აუცილებელია სიღრმევი მიგნებულის გამოსახატავად, რადგან ახალი ფუნქცია მიენიჭება და ამით შინაგანად იქნება გამართლებული.

მხატვრული პირობითობის არც ერთ სახეობაზე უარი არ უთქვამს, არც ერთ ჟანრზე, თუ მისი სათქმელი სცენაზე გაცოცხლებულ



გიორგი ტოვსტონოგოვი და სერგო ზაქარიაძე

აღამიანთა საშუალებით ითქმოდა, ასე გადაეცემოდა მაყურებელს და თან გაჰყვებოდა ცხოვრებაში.

ქმნიდა ვაჟკაცურ თეატრს არა იმიტომ, რომ სცენაზე ბევრი ვაჟკაცი იყო, არამედ იმიტომ, რომ წარმოდგენაში მთავარი იყო ადამიანის სულის ძლიერება და პიროვნული ღირსება. ყველა მის დადგმას საფუძვლად ედო რომელიმე ზნეობრივი პრობლემა. რეჟისორი თავისი ქმნილებით მისი გადანყვეტის საკუთარ ვერსიას გვთავაზობდა.

ყველაზე დიდ მიღწევად მაყურებელში სინდისის გრძნობის გაღვიძება მიაჩნდა.

დუბლიორთა სისტემა მიუღებელი იყო მისთვის, რადგან ეს სისტემა მხატვრულად უკვე ჩამოსხმული მთლიანობის რომელიღაც ნაწილის პერიოდულ შეცვლას ნიშნავს —

რომელიღაც როლს ხან ერთი მსახიობი თამაშობს, ხან მეორე! ამას სპექტაკლის მხატვრული მთლიანობის, მისი ჰარმონიის ხელყოფად მიიჩნევდა.

მომავალი ქართველი მსახიობები და რეჟისორებიც ასეთი თეატრის რწმენით აღზარდა. ამ აღზრდის შედეგი იყო უკვე მასწავლებლის აქ არ ყოფნაში შექმნილი ქართული თეატრის ისეთი სპექტაკლები, როგორც ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“, მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“, პ. კოჭოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“, გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, ჟ. ანუის „ანტიგონე“ და მრავალი სხვა. მათ გარეშე XX საუკუნის ქართული თეატრის ცხოვრება წარმოუდგენელია.

დიდი რეჟისორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის მკვლევარი ნ. სტაროსელსკაია გ. ტოვსტონოგოვის შემოქმედებითი ინდივიდუალობის საფუძვლებს მის შინაგან სამყაროში ეძებს იმის გათვლისწინებით, თუ სად დაიბადა, აღიზარდა და ჩამოყალიბდა იგი როგორც პიროვნება, ვითარება კი ასეთია: მისი მშობლები განსხვავებული ეროვნებისანი არიან — დედა ქართველი, მამა რუსი. ამავე დროს, არა ერთი ქვეყნის, არამედ სხვადასხვა ქვეყნის შვილები. ორივე თავის ქვეყანაში დაბადებული, აღზრდილი და პიროვნებად ჩამოყალიბებული. ასეთები შეხვდნენ ისინი ერთმანეთს და შეუღლდნენ. ცხოვრება საქართველოში მოუწიათ. ამიტომ მათი შვილი დედის სამშობლოში დაიბადა, აღიზარდა და პროფესიაც აქ აირჩია. შემოქმედებითი ნიჭი კი სრული ძალით გამოვლინდა მამის სამშობლო რუსეთში და მსოფლიო სახელიც იქ მოიხვეჭა. საქართველო და ქართული? — ის მუდმივ მონატრებად იქცა...

მის შესახებ დაწერილი წიგნის ავტორი პასუხს ეძებს მანვალებელ რთულ პრობლემაზე — ერთ ადამიანში გაერთიანებული ორი ეროვნული სული როგორ თავსდება? ვფიქრობ, პასუხი ისაა, რამაც მის მშობელთა უღელში დაწყვილება განაპირობა — სიყვარულმა, ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდმა სასიკეთო ძალამ. განა ამას არ მიგვანიშნებს წიგნის გარეკანზე გამოტანილი პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის შენობის ზარ-ზეიმული ფასადი და ფოტოსურათზე აღბეჭდილი ეპიზოდი ქართველი ავტორის პიესიდან „ხანუმა“? ან ამ დიდებული რუსული თეატრის სცენაზე კიდევ ორი ქართველი მწერლის ნაწარმოებთა — დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლისა“ და ნ. დუმბაძის „მე, ბეზია, ილიკო და ილარიონის“ არსებობა? ან ის საოცარი ფაქტი, რომ მისი დაბადებიდან 60 წლის აღსანიშნავი საღამოს გამართვა მსოფლიოში სახელმწიფოებრივად გ. ტოვსტონოგოვმა მხოლოდ თბილისში ისურვა? დაბოლოს ისიც, რომ გ. ტოვსტონოგოვის სურვილის გათვალისწინებით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, კ. ლავროვის გადაწყვეტილებით, დღესაც ამ შესანიშნავი რუსული თეატრის მთავარი რეჟისორი თემურ ჩხეიძეა?

ჩვენი დიდი თანამემამულის, გიორგი ტოვსტონოგოვის არსებაში თანაბრად იყო შერწყმული განსხვავებულ ეროვნებათა სულიერი ძალები. არა ერთმანეთზე გამარჯვების, არამედ ერთმანეთის სიყვარულით და ერთად ყოფნის სურვილით.

ასეთი სიყვარულით, ამქვეყნად ყველაზე დიდი სულიერი ძალით იყო აღსავსე გიორგი ტოვსტონოგოვის ცხოვრებაც და შემოქმედებაც.





მერი დავითაშვილი

ნანა ქავთარაძე

ლიხილნი სანი

მერი დავითაშვილი

„ყველა დიდი ხომ ოდესღაც ბავშვი იყო, მაგრამ ცოტას თუ ახსოვს ეს...“

ანტუან დე სენტ-ეკვიპერი

თბილისის პიანისტთა მესამე საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც 2005 წელს ჩატარდა, პროგრამის სავალდებულო პიესად შერჩეულ ქართულ ნაწარმოებს-მერი დავითაშვილის „ხორუმს“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილი ახალგაზრდა მუსიკოსი ასრულებდა. ერთ-ერთ მამათვანმა ასე დაახასიათა ეს ნაწარმოები: „მერი დავითაშვილის „ხორუმში“ მე დავინახე ქართველი ხალხის ვაჟკაცური სული, სიმტკიცე და შინაგანი სიძლიერე.“ ალბათ, იმაზე დიდი მიღწევა კომპოზიტორისთვის არაფერია, როდესაც უცხო ყური მასში ეროვნულ

ნიშან-თვისებებს ამოიკითხავს.

დიახ, მერი დავითაშვილის მდიდარი და ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედება ღრმად ეროვნულია, რასაც განაპირობებს მისი მუსიკალური ენის მტკიცე კავშირი ქართულ მუსიკალურ ფოლკლორთან და ამ საგანძურთან ამოზიდული მელოსის პლასტიკურობა, რიტმის მრავალფეროვნება, რბილი საორკესტრო საღებავები, ნათელი ლირიკული და ჟანრული სახეები. ამ ნიშნითაა აღბეჭდილი მისი საფორტეპიანო თუ საორკესტრო ნაწარმოებები, საბავშვო სიმღერები და ოპერები „ქაჯანა“ და „ნაცარქექია“, ვოკალური ციკლები ანა კალანდაძის ლექსებზე, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის „მანანა“, მულტფილმებისთვის: „ჩხიკვა ქორწილი“, „ნუნა და წრუნუნა“, „მტრობა“ და სხვა...

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რუსთაველის და გოგებაშვილის პრემიების ლაურეატი მერი დავითაშვილი ბედნიერი ხელოვანია, რადგან მისი შემოქმედება გაიშალა უაღესად კეთილშობილ, კეთილმოსურნე ატმოსფეროში, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განსხვავებულ თაობებთან მეგობრულ და შემოქმედებით კავშირში.

მერი დავითაშვილი თავს ბედნიერად თვლის, რადგან პროფესიული საგზური ქართული საკომპოზიტორო სკოლის თავკაცის, მე-20 საუკუნის ქართული მუსიკის ჭეშმარიტი კლასიკოსის ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით მიიღო. „მან ქვეყანას მდიდარი შემოქმედება დაუტოვა, — წერს მერი დავითაშვილი, და კომპოზიტორთა მთელი პლეადა აღუზარდა. ქადაგებდა პატრიოტიზმს, საუკეთესო ზნეობას, პატიოსნებას, მაღალ პროფესიონალიზმს. უბადლო დიდოსტატის კომპეტენტურ აზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მრავალი ქართველი კომპოზიტორისთვის. ბევრი მიმართავდა მას თავისი ახალი ნაწარმოების შეფასებისთვის.“

ანდრია ბალანჩივაძესთან, ომის წლებში ჩემთან ერთად სწავლობდნენ: არჩილ ჩიმაკაძე, რევაზ ლალიძე, შოთა მილორაძე, ოთარ თევდორაძე, ნათელა სვანიძე, ბიძინა კვერნაძე, ნოდარ მამისაშვილი, სხვა კლასებიდან ჩვენთან სშირად დადიოდნენ ოთარ თაქთაქიშვილი, სულხან ნასიძე და სხვანი.“

60-იან წლებში, როდესაც საზღვარგარეთიდან ნიაღვარევით მოვარდა საკომპოზიციო ტექნოლოგიის ნოვაციები და ქართულ

კომპოზიტორულ აზროვნებაში მუსიკალური ენისა და ფორმების განახლების ძლიერი ტალღა აგორდა, მერი დავითაშვილი არ აუფორიაქებია ამ ნოვაციებს, შემოქმედების დასაწყისშივე ჩამოყალიბებული მხატვრული პრინციპები მან მტკიცედ დაიცვა, მუსიკალური ენა თანმიმდევრულად განავითარა და საკუთარი ხელნერის ერთგული დღემდე რჩება.

მერი დავითაშვილი ლირიკოსი კომპოზიტორია. მის ლირიკას მრავალი წყარო ავსებს და ამდიდრებს. ასეთია მშობლიური ქვეყნის ბუნება და მასთან მუსიკოსის სიახლოვე. ასაკოვან ქალბატონს დღესაც არ ასვენებს ბუნების სიყვარული და ხშირად ნახავთ მის წიაღში გაჭრილს, ფეხით მოარულს მთისა თუ ბარის საოცარი სილამაზის კუთხე-კუნჭულში. ბუნება მისი სასიცოცხლო ენერჯისა და შთაგონების წყაროა. ამიტომაც, რომ ბუნების ფონზე კომპოზიტორის არაერთი მხატვრული ჩანაფიქრი იბადება და სხვადასხვა მუსიკალურ ფორმებში პოულობს გამოხატვას. ბუნების პირველქმნილი მშვენიერების პოეტური შთაგონება, მისი რბილი საღებავები, მასში განცდილი სიმშვიდე და სინამდვილე მერი დავითაშვილის მუსიკაში შემოდის ასეთივე ლირიკული სახეებით: რბილი, მშვიდი, აუმღვრეველი. კომპოზიტორის არაერთ ნაწარმოებში ბუნების სურათები კოლორიტულ ფონს ჰქმნის.

კომპოზიტორის შთაგონებას არანაკლები მადლი შემატა ქართული ფერწერის დიდმა სიყვარულმა და ჩინებულმა ცოდნამ: დავით კაკაბაძის იმერეთის მოტივებმა, ელენე ახვლედიანისეულმა თბილისის კოლორიტმა, ქართველ მხატვარ ქალებთან მეგობრობამ, რამაც მას გაუმახვილა ეროვნული კოლორიტის, სურათოვნების გრძნობა, ქართულ ხასიათში წვდომის უნარი. რაც მთავარია, მის მუსიკაში შემოიტანა მელოდიური ხაზების სირბილე და ტანკენარობა.

ქალბატონი მერი წიგნიერი მუსიკოსია, ქართული პოეზიისა და ლიტერატურის დიდი თაყვანისმცემელი. შემოქმედებაში ის ერთობ მოკრძალებით უყურებს პოეტური შედეგების მუსიკალურ გარდასახვას, რადგან ერიდება არ ხელყოს ის მუსიკალობა ამ შედეგებს რომ თან დაჰყვათ. მაგრამ პოეზიის სიყვარულით გულანთებული კომპოზიტორი მაინც გაბედავს თითო ვოკალური მინიატურის შექმნას ვაჟა-ფშაველას („მერცხლის სიმღერა“), ი. გრიშაშვილის („თბილისის საღამო“), გალაკტიონის („ჩვენი მხარე“), გ. ტაბიძის („რომანსი“) ლექ-

სებზე. ტ. ტაბიძის ლექსზე („რია-რია“) შექმნილი ეს რომანსი მერიმ ქ-ნ ნინო ტაბიძეს უძღვნა პოეტის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და მას ჩვეული გულითადობით ასრულებდა ზურაბ ანჯაფარიძე. მერი დავითაშვილს ასევე აქვს რომანსები ა. საჯაიას, მ. ლებანიძის, ჯ. ჩარკვიანის ლექსებზე.

მ. დავითაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ანა კალანდაძის პოეზია. „ჩემზე, როგორც პოეზიის მოყვარულზე, — ამბობს ქალბატონი მერი, — ანას მეტყველება, მისი ხატოვანება მინდვრის ყვავილებით ნაქარგი ხალიჩის შთაბეჭდილებას ტოვებს. რაგინდ მინიატურული არ უნდა იყოს ლექსი, მისი ყოველი ფრაზა შინაგან და დამოუკიდებელ ფერთა სიუხვითაა აღვსილი. მუსიკალური საწყისი ანას პოეტური მეტყველების თანდაყოლილი თვისებაა, მისი განუყოფელი ნაწილია, ჩაქსოვილია მასში და ლექსის სტრუქტურას არა მარტო კეთილხმოვან აკუსტიკურ სივრცეს უქმნის, არამედ ქალური განცდის იღუმალებასაც სძენს. ანას პოეტური ფრაზები მათთვის დამახასიათებელი სინატიფითა და სილალით მე მაგონებს მელოდიური ფრაზების სინარნარესა და იმპროვიზაციულ თავისუფლებას.

შეიძლება ითქვას, რომ ანა კალანდაძის პოეზიამ განსაკუთრებული სინრფელე და ლირიკული თრთოლვა შემატა მერი დავითაშვილის მუსიკას. ცხადია, პოეტსაც და კომპოზიტორსაც თავისი ხელწერა, მეტყველება და გამოხატვის ფორმები აქვთ. ანასეულ მერის ციკლებში აშკარად ჩანს მუსიკოსის პოეტური სიტყვისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, სიყვარული, საკომპოზიციო ხერხების ფრთხილი შერჩევა.

საზოგადოდ მერი დავითაშვილს ახასიათებს საკუთარი შემოქმედებითი სტილისა და ინდივიდუალობისთვის მახლობელი ობიექტის, თემის, ჟანრის ზუსტი შერჩევა. ასეთ შემთხვევებში მას ინტუიცია არ ღალატობს.

ანა კალანდაძის ლექსებმა ის უპირველესად ქალური განცდის პირველქმნილებით, კდემით, გულწრფელი შინაგანი წვით მიიზიდეს და მისი შთაგონების თანამგზავრები გახდნენ. პოეტის მიერ ნაჩუქარი ლექსები კომპოზიტორს დროდადრო გაიტაცებენ ხოლმე, მის სულში „ამღერდებიან“ და მერიც ბუნებრივად დაბადებულ ინტონაციას ლექსს მიუწერს. ასე შეიქმნა სამი ვოკალური ციკლი: „ლირიკული მინიატურები“, „ვარდფურცლობის დარია“, „ყაყაჩოსა სინითლითა“.



ანა კალანდაძის პოეზიის ლირიკული სახეები დავითაშვილის ვოკალურ ციკლებში კომპოზიტორისთვის დამახასიათებელი მხატვრული საშუალებებით არის გახსნილი. ეს საშუალებები ერთობ ტრადიციული და უპრეტენზიოა, მაგრამ მერისთვის ნიშანდობლივი სისადავითა და მხატვრული ტაქტიკითაა აღბეჭდილი.

ქართული პოეზიისადმი სიყვარული მ. დავითაშვილის საგუნდო ნაწარმოებებშიც გაცხადდა, აქ მან გამოიყენა ა. აბაშელის, გ. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, ა. კალანდაძის, ჯ. ჩარკვიანის, მ. ფოცხიშვილის ლექსები.

ქართველ პოეტთა განსაკუთრებულმა სიყვარულმა ამა თუ იმ მინდვრის ყვავილესადმი სტიმული მისცა მერი დავითაშვილის საინტერესო ჩანაფიქრის განხორციელებას. 90-იან წლებში ის ჰქმნის საფორტეპიანო პიესების ციკლს „ალპიურ მდელოზე“, სადაც ყოველ პროგრამულ პიესას წამძღვარებული აქვს ლექსი. მაგალითად, „დეკას“-ვაჟა-ფშაველასი, „კესანეს“-გ. ლეონიძის, „ყაყაჩოსა სინთლითა“-ა. კალანდაძის, „ყოჩივარდს“-ც. ქიტიაშვილის, „გვირილას“-გ. ჭიჭინაძის და ა. შ. არ გამოვრიცხავ ქართველ კომპოზიტორზე მსოფლიო შედეგების — ვივალდისა და ჩაიკოვსკის ციკლების — „ნელინადის დრონის“ ზეგავლენას...

მერი დავითაშვილმა თავისი შემოქმედებითი გზა როგორც ინსტრუმენტული მუსიკის ავტორმა დაიწყო და ინტერესი ამ სფეროსადმი მას არ განელებია დღემდე. განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება ფორტეპიანოსადმი, რომელსაც ყოველდღიურად უზიარებს ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებს. „პიანისტური წარსული“ მას მოსვენებას არ აძლევს და შემოქმედებითი გზის მანძილზე დროგამოშვებით სხვადასხვა ჟანრებში ჰპოვებს გამოხატულებას. ასე შეიქმნა მისი საფორტეპიანო კონცერტი, ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, საფორტეპიანო კონცერტინო, „ხორუმი“, სკერცო, საფორტეპიანო ციკლები: „ალპიურ მდელოზე“ (16 პიესა), „მთაში“ (20 პიესა, 6 სონატინა) და სხვა. აღნიშნულ ნაწარმოებებში ეროვნული ინტონაციები დამუშავებულია რომანტიკული პიანიზმის გამომსახველი ხერხებით. იგივე შეიძლება ითქვას მერი დავითაშვილის პოემაზე ვიოლინოსა და ორკესტრისათვის და საორკესტრო სიუიტაზე „მზის ქორწილი“, თავდაპირველად საბავშვო ბალეტად რომ იყო ჩაფუქრებული.

ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებს არ აკლიათ ლირიკული გულმხურვალება,

განსაკუთრებით კულმინაციურ ზონებში, მაგრამ მაინც საკომპოზიციო ტექნიკა და დრამატული სიმძაფრე აქ გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული, რასაც ვერ ვიტყვით მულტფილმებისთვის დანერილ მუსიკაზე. იგი მეტი დინამიზმით, სიმძაფრით, საორკესტრო სალებავების სიუბხით ხასიათდება, შესამჩნევია ინტონაციის, კილო-ჰარმონიული და საორკესტრო სალებავების სიმკვეთრე. მაგალითად: ქეთევანის ქორწილიდან გატაცების „ჩხიკვთა ქორწილი“, ბრძოლის „მტრობა“ და ფინალური „წუნა და წრუნუნა“ სცენები.

„მუსიკის წერა მულტფილმებისთვის, -ამბობს მერი, — ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მხატვრული ფილმებისთვის. მე ბედმა გამიღიმა, როდესაც ამ ახალ სამყაროში მოვხვდი ისეთ საინტერესო რეჟისორთან, როგორც აკაკი ხინთიბიძე იყო. ჩემ წინ რთული, მაგრამ საინტერესო სამყარო გადაიშალა. ვცდილობდი რეჟისორის ყველა მოთხოვნა შემესრულებინა, თანაც ჩემთვის საინტერესო ამოცანებიც ჩემებურად გადამენყვიტა.

ბევრი საინტერესო ამბავი მახსოვს მუსიკის ჩანერის დროს. დიდი სიამოვნება იყო, როდესაც ბატონი ვასო გოძიაშვილი ძველი თბილისის მედუდუკეებთან ერთად წერდა ეპიზოდს „წუნა და წრუნუნადან“, ან ზურაბ ანჯაფარიძე და ნათელა ტულუში წერდნენ დუეტს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც დირიჟორობდა ბატონი ოდისეი დიმიტრიადი. მერი ნაკაშიძისა და თენგიზ ზაალიშვილის დუეტი და შოთა შავგულიძის მიერ გახმოვანებული ეპიზოდები „ჩხიკვთა ქორწილიდან“.

შემდეგ მულტიპლიკაციაში მობრძანდა გამოჩენილი, უდიდესი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი. შეიძლება აქ მოსვლას მისთვის ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორც ჩვენთვის. გამჭრიახი თვალი, მაღალი გემოვნება, დიდი ერუდიცია, დიდი მსახიობი, მხატვარი, მუსიკოსი — ყველაფერი იყო მასში შერწყმული. ოთახში, სადაც ჩვენი დამდგმელი ჯგუფი მუშაობდა, მაშინვე ფორტეპიანო შემოატანინა, მიბრძანა, მისვლისთანავე დამეკავებინა ჩემი ადგილი ინსტრუმენტთან და მეკრა და მეკრა, რასაც სიამოვნებით ვასრულებდი. შესანიშნავად იცოდა მუსიკა, როგორც კლასიკური, ისე ფოლკლორული. იშვიათი ქართული, თბილისური სიმღერები ახსოვდა, რომლებსაც ჩვენ ვიყენებდით. მაგალითად, სიმღერა „ადანდალი დანდალი“ პირველად მან გვიმღერა და მეც ჩემს ფილმში „წუნა და წრუნუნა“ შე-

ვიტანე, მახსოვს ერთი შესანიშნავი ქართული მელოდია მიმღერა, რომელიც შემდეგ ოპერაში ნაცარქექიას არიაში გამოვიყენე. ბატონი მიხეილი ჩვენთვის მართლაც შთაგონების დაუმრეტელი წყარო გახლდათ.

დიდი ბედნიერება იყო ახალგაზრდა კომპოზიტორისთვის სიმფონიურ ორკესტრთან, გუნდთან, შესანიშნავ სოლისტებთან, მსახიობებთან ურთიერთობა. აქ მიღებული გამოცდილება, საკომპოზიციო ტექნიკა შემდეგში დამეხმარა ყველაზე რთული სინთეზური მუსიკალური ჟანრის-ოპერის დასაწერად.

აღსანიშნავია, რომ მერი დავითაშვილის პირველი ოპერის „ქაჯანას“ შექმნის იდეა, მისი სიუჟეტი, დრამატურგიული მონახაზები სწორედ ამ სამყაროში-რეჟისორ აკაკი ხინთიბიძის რჩევით დაიბადა, მანვე კომპოზიტორს ჩაუწერა რწმენა ამ რთული ამოცანის დაძლევაში.

ნ. ლომოურის მოთხრობის სიყვარული კომპოზიტორს ბავშვობიდან მოსდევდა და ნორჩ მკითხველებში მისი პოპულარობა ოპერის წარმატების ერთ-ერთ პირობად ესახებოდა. დავითაშვილმა მოთხრობას იმთავითვე საოპერო დრამატურგის თვალთ შეხედა და საბავშვო ოპერისთვის ბევრი მიმზიდველი ნიშან-თვისება მონიშნა: ეროვნული ხასიათი, თხრობის რბილი ტონი, გლეხური ყოფის ფერადოვანი ჟანრული კოლორიტი, უდარდელი და მხიარული ბავშვური განწყობილებების უეცარი დრამატული გარდასახვა და ნაწარმოების ბედნიერი დასასრული. კომპოზიტორს განსაკუთრებით იზიდავდა მოთხრობის მთავარი გმირი-ქაჯანა, რომელიც ხალხური შემოქმედების წიაღში დაბადებული ნორჩი ხელოვანის მიმზიდველი სახეა. ოპერაში მასთან არის დაკავშირებული ნათელი ლირიკული სანყისი.

ლიბრეტისტმა რევაზ თაბუკაშვილმა ხელუხლებლად დატოვა მოთხრობის მთავარი მასალა, მაგრამ საოპერო დრამატურგიისთვის საჭირო დრამატული კონფლიქტის გამძაფრების მიზნით ლიბრეტოში შემოიყვანა ახალი სახე — მკითხავი ბარბალე, რითაც ოპერის ლიბრეტო კიდევ უფრო მიუახლოვა ხალხურ წყაროებს. რაც მთავარია, ბარბალეს სახემ უფრო მკვეთრი ფერები შემატა სოფლის ყოფა-ცხოვრებას და შექმნა კონფლიქტური დაპირისპირების საფუძველი უნუგემო გლეხურ ყოფასა და ბავშვთა ნათელ სამყაროს შორის. ამ გზით უფრო გამოიკვეთა ოპერის მთავარი იდეა — ბოროტსა სძლია კეთილმა.

„ქაჯანა“ ლირიკულ-ჟანრული ოპერაა.

ჟანრულ სანყისზეა დამყარებული ოპერის დრამატურგიის ორი კულმინაცია. რომლითაც იწყება და მთავრდება ოპერა. პატარა გმირის დრამა განფენილია ეროვნული კოლორიტის სივრცეში. მუსიკალური ქსოვილი გაჯერებულია სიმღერის, ცეკვის, მარშის ელემენტებით. განსაკუთრებულ როლს ასრულებს მუსიკალურ დრამატურგიაში სიმღერის ჟანრი, ის საფუძვლად დაედო არა მარტო სოლო ნომრებს, არამედ გუნდებს, ანსამბლებს. სიმღერა „ქაჯანას“ დრამატურგიის დედაბოძია.

ოპერის წარმატება განაპირობა სხარტმა, მოქნილმა ჟანრულმა სცენებმა, გამჭოლი განვითარების სცენებში ოსტატურად ჩართულმა დასრულებულმა ნომრებმა, მკაფიო მუსიკალურმა პორტრეტებმა, ლაიტთემების სიმფონიურმა განვითარებამ.

ოპერის პრემიერა შედგა 1966 წელს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე (დირიჟორი რ. ხურცილავა, რეჟისორი გ. მელივა, მხატვარი ი. ასკურავა). ოპერა დიდი წარმატებით სარგებლობდა როგორც ნორჩ მსმენელებში, ისე დიდებში.

მ. დავითაშვილის მეორე ოპერა „ნაცარქექია“ შეიქმნა ხალხური ზღაპრის საფუძველზე, ლიბრეტო ჭივილისა იყო. ოპერის პრემიერა შედგა 1979 წელს (დირიჟორი ი. ჭიაურელი, რეჟისორი თ. აბაშიძე, მხატვარი მ. მალაზონია).

„ნაცარქექიას“ ბევრი რამ აქვს საერთო მერი დავითაშვილის პირველ ოპერასთან: ეროვნული ხასიათი, ხალხურ შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირი, ჟანრული სცენების სიუხვე, მკაფიო სახეები. ამავე დროს აქ ახალ ნიშნებს ვხვდებით. ესაა ხალხური იუმორი და გროტესკი.

კომპოზიტორი ხოტბას ასხამს ხალხის წიაღში დაბადებულ ნიჭს, გამჭრიახობას, უშრეტ ფანტაზიას, ადამიანის შემოქმედებით ენერგიას. ხალხური ზღაპრის კეთილშობილება, ერთგვარი სათავგადასავლო ხასიათი, კონტრასტული დინამიკური ეპიზოდების მონაცვლეობა ოპერის მიმზიდველი მახასიათებლებია. „ქაჯანაში“ აშკარად ჩანს მერი დავითაშვილის მულტიფილმებზე მუშაობის შედეგი. ოპერის დრამატურგია მულტიპლიკაციური კადრების მონტაჟის ასოციაციას ბადებს. ოპერის მიკრო სცენები კინემატოგრაფიული სისწრაფით და ფერადოვნებით მონაცვლეობენ. ოპერას დასრულებულ მხატვრულ ფორმას აძლევს სახეების თანმიმდევრული გარდაქმნა, ლაიტთემების განვითარება, რეპრიზულობა, სცენებს შორის ინტონაციური კავშირები.

ოპერის ლექსიკა სხარტი და ლაკონურია, ნანარმოები „პორტატულობითაც“ იპყრობს ყურადღებას, მასში მოქმედებს ექვსი პერსონაჟი. გუნდის ფუნქციას ასრულებს ანსამბლი, რომელიც ხალხური „შვიდკაცას“ ასოციაციას ინვევს (6 დევი და ბაყბაყდევი). განსაკუთრებით შთამბეჭდავია პირველი სურათის ტრიო და ფინალი, რომელსაც საფუძვლად დაედო მეგრული იუმორისტული საფერხულო სიმღერა „ჯან-სულო“ და დევების სასახლეში სექსტეტი, მეორე მოქმედებიდან ცხელი კეცის სცენა და სხვა.

ოპერის ლირიკული ხაზი დაკავშირებულია ნაცარქექიასა და მზეთუნახავის სცენებთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი დუეტი 11 მოქმედება, რომლის თემის ამალღებული საზეიმო ხმოვანება აღიქმება როგორც ნათელი სანყისის გამარჯვების სიმბოლო.

ასე გამოეხმაურა მერის მასწავლებელი ანდრია ბალანჩივაძე ოპერა „ნაცარქექიას: „მე მომწონს ოპერის ზღაპრული, გროტესკული ტონი, შესანიშნავი ანსამბლები, მახვილგონივრულად გაორკესტრებული პარტიტურა.“

ცნობილი ქართველი მუსიკისმცოდნე გივი ორჯონიკიძე კი აღნიშნავს: „ნაცარქექია“ — ქართული საოპერო ხელოვნების ერთი კარგი ნანარმოებია. მერი დავითაშვილმა შექმნა ბუნებრივი, ლამაზი ნაციონალური მუსიკა“.

ბავშვებისთვის დაწერილი ოპერების დიდი მნიშვნელობის გაცნობიერებამ და პროფესიულმა პასუხისმგებლობამ მათი ესთეტიკური აღზრდისადმი, მერი დავითაშვილს შემდეგი სიტყვები დააწერინა: „დიდია საბავშვო მუსიკალური სპექტაკლის, პირველ რიგში, საბავშვო ოპერის როლი და დანიშნულება, რადგან ის ზრდის მუსიკალური თეატრის მომავალ აუდიტორიას. გვახსოვდეს, ხშირად გადამწყვეტია პირველი საოპერო სპექტაკლით მიღებული შთაბეჭდილება. იგი განსაზღვრავს მოზარდი თაობის დამოკიდებულებას ამ რთული ჟანრისადმი. ქართველ კომპოზიტორებს ევალებათ თავიდანვე დაამეგობრონ პატარები საოპერო სცენასთან, გაუღვივონ ინტერესი და სიყვარული საოპერო მუსიკისადმი. მხოლოდ ამ გზით აღზრდით აუდიტორიის კულტურას, რომელიც შემდეგ ღირსეულად შეაფასებს ფალიაშვილის, მოცარტის, ვერდის, ჩაიკოვსკის და სხვათა ოპერებს.“

როდესაც 70-იანი წლების დასაწყისში მერი დავითაშვილი ამ სიტყვებს წერდა, მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული დი-

დი ილიას შეგონება: „ბავშვი სათავეა, დასაწყისი დიდი ადამიანისა“. ეს სიტყვები ერთგვარი მონოდება იყო იმათთვის, ვინც საოპერო თეატრიდან განდევნა ბავშვებისთვის შექმნილი ქართველ კომპოზიტორთა საუკეთესო ოპერები: ა. ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრები“. ი. გოკიელის „ნითელქუდა“, ნ. მამისაშვილის „ბაქია-ბაჭია“, მ. დავითაშვილის „ქაჯანა“ და „ნაცარქექია“. ამ ოპერისთვის კომპოზიტორს მიენიჭა რუსთაველის პრემია.

დღევანდელ ბავშვს რომ ჰკითხოთ, ვინ არის მერი დავითაშვილი, შეიძლება ვერ გიპასუხოთ. მაგრამ საკმარისია წამოიწყოთ მისი რომელიმე სიმღერა, რომ ბავშვი უმალ აცყვებათ. საქართველოში მართლაც იშვიათია ბავშვი ან მოზარდი, მ. დავითაშვილის სიმღერებს რომ არ ღიღინებდეს. მისი „დილა მშვიდობისა“, „პატარა მატარებელი“, „ეს სანყალი კურდღელი“, „ცხრათვალა მზე“, „სათამაშოების სიმღერები“, „ჭუპა-ჭუპა“ ის სიმღერებია, რომლებითაც ბავშვები პირველად ეზიარებიან მუსიკას. დავითაშვილმა დიდი სიყვარულით და მოკრძალებით შედგა ფეხი ბავშვთა სამყაროში და პასუხად ასეთივე გულისხმიერება და სიყვარული მიიღო.

„ნურვის ჰგონია, — ამბობს ვაჟა-ფშაველა, — ადვილი იყოს საბავშვო ლექსისა და მოთხრობის დანერა. ყველაზე ძნელი სწორედ ესაა, და თუ არა ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს, არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი“. ეს სიტყვები საბავშვო მუსიკის ავტორებსაც ეხება და ცხადია, ვაჟა-ფშაველას მიერ აღნიშნული პიროვნული თვისებები რომ არა, მერი დავითაშვილის მუსიკას ნორჩი შემსრულებლებისა და მსმენელების ესოდენ ფართო წრე არ ეყოლებოდა.

საბავშვო თემატიკამ იმთავითვე განსაზღვრა მისი მუსიკის მშვიდი ტონი, ნათელი, სხარტი და მოქნილი მელოდიური სახეებით აზროვნება, სიმღერაში მოქმედების ელემენტის შეტანის, მისი გასცენიურების შესაძლებლობა. ბუნებრივია, მუსიკალური მეტყველება მოკლებულია დრამატულ სიმძაფრეს, ხოლო როდესაც ამგვარი მომენტები იბადება, მათ ზღაპრული „იყო და არა იყოს“ პირობითობა არბილებს. დავითაშვილი ბავშვებს ამღერებს ქართული ინტონაციებით, საყმანვილო ფოლკლორიდან ამოზრდილი მოტივებით, სახეებით, სიუჟეტებით.

მერი დავითაშვილი სხვადასხვა პოეტების ლექსებზე შექმნილი 200-მდე სიმღერის

ავტორია, მათ შორის, მაყვალა მრეველიშვილის, გივი ჭიჭინაძის, ცირა ქიტიაშვილის. ბავშვების დიდი მონონებით სარგებლობს მისი სიმღერების ციკლები და კრებულები: „დილა მშვიდობისა“, „სათამაშოების სიმღერები“, „ცხრათვალა მზე“, „თოჯინების სიმღერები“, „საქართველოს მზე“, „ბიჭო ვისი ხარ მალხაზი“ და სხვ. მრავალი მათგანი ზეპირად გადაეცემა თაობებს.

ბავშვთან ურთიერთობა, მისი ბუნების თავისებურებებში ნვდომა ყველას არ შეუძლია. ზოგჯერ დიდ ფსიქოლოგსაც კი შეშურდება დედის უტყუარი ინტუიციის. მერი დავითაშვილი მაშინ ჩანვდა ბავშვის იდუმალ ბუნებას, როდესაც თავად გახდა დედა, როდესაც თავის შვილთან დამეგობრებულს მასავით შეუყვარდა თამაში, ხატვა, სიმღერა, დაკვრა. მერის ბავშვებთან ურთიერთობის თავისებურებას პოეტი მაყვალა მრეველიშვილი ასე ახასიათებს: „მერი ყოველთვის ხდება ბავშვთა შეხვედრების სული და გული. მასთან პატარები არასდროს გრძნობენ თავს უცხოდ და თავდაჭერილად. მერი სწრაფად უშინაურდება მათ, თანატოლივით აყვება ხოლმე და თვითონაც აიყოლიებს სიმღერაში, ცეკვა-თამაშში. იმნამსვე იბადება გულახდილობისა და ძალდაუტანებელი მხიარულების ატმოსფერო. ბავშვები ხომ სინათლის, სიცილის, სიხარულის მოტრფიალენი არიან და ყოველთვის ხარობენ, როდესაც საყვარელი კომპოზიტორი მათ ამ სიტბოსა და სიხარულს აზიარებს. სულ სხვაა, როცა ბავშვი ლექსს ტიტინებს და სხვაა, როცა მუსიკის საშუა-

ლებით სახვანს ხდის ამ ტიტინს. თუ არა მერის სიმღერები, ჩემს ლექსებს, რა თქმა უნდა, ამდენი მეგობარი არ ეყოლებოდა. „

მერი დავითაშვილის მოღვაწეობა საბავშვო მუსიკის სფეროში მარტოოდენ ნაწარმოებების შექმნით არ ამოიწურება. იგი საყმაწვილო მუსიკის დიდი მოამაგეც არის. მისი ინიციატივით ჩვენ ქვეყანაში ხშირად ტარდება საინტერესო შემოქმედებითი შეხვედრები სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან: საბავშვო მუსიკის კვირეულები უკვე 35 წელია ყოველწლიურად ტარდება, თეორიული კონფერენციები, მუსიკის დღესასწაულები. მნიშვნელოვანია ქართველი კომპოზიტორის მონაწილეობა მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე მოსკოვში, შვეიცარიაში, ჩეხეთში, უნგრეთში, ბულგარეთში. დავითაშვილი დიდ ენერგიასა და სიყვარულს აქსოვს არა მარტო ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას, არამედ მოზარდი თაობების პროფესიულ განათლებას თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში და ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ გიმნაზიაში.

ინდური ფილოსოფია ცხოვრების ყველაზე დიდ საოცრებად ბავშვთან შეხვედრას მიიჩნევს, რადგან თვლის, რომ ბავშვი სულია, უფალმა რომ მოგვაბარა მასში შემოქმედებითი ცეცხლის გასაღვივებლად.

მერი დავითაშვილი, როგორც კომპოზიტორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე დღესაც ამ ცნების ერთგული მსახური გახლავთ.





ფრანცისკა ჰუნი

ნოსტრადან კუთხოვნი

ვეხსენიხარ ჩემი

ფრანცისკა ჰუნი

თითებზე ჩამოსათვლელია მუსიკოსები, თავის პროფესიულ კარიერას არფას რომ უკავშირებენ. კიდევ უფრო იშვიათობაა მუსიკოსი, ვინც ამ საკრავს იმგვარი ხარისხით დაეუფლება, სოლისტობა, საკონცერტო მოღვაწეობა რომ იტვირთოს. არფა ხომ, უპირატესად, სიმფონიურ ორკესტრში შემავალი ინსტრუმენტია, საორკესტრო პალიტრას ფერადოვნებას რომ სძენს თავისი უჩვეულო ტემბრით.

არფისტის გასტროლიც დიდი იშვიათობაა. არც კი ვუნცი, წვევია თუ არა რომელიმე უცხოელი არფისტი თბილისს მას აქეთ, რაც ჩვენს დარბაზებში გააუღერეს თავიანთი საკრავები საბჭოთად მონათლული საარფო სკოლის კორიფეებმა: ვერა დულოვამ და ოლგა ერდენკომ. შემდეგ იყო ქ. კლივლენდის ორკესტრის არფისტების

კონცერტები. ამ დაუვინყარ საღამოთა შობეჭდღილება დღემდე გაუხუნრად შემორჩა სსოვნას.

თავიდან იმასაც ვიტყვი, ჩვენში არფის ყადრი კარგად ვუნციოთ, ვინაიდან ჩინებული საარფო სკოლის პატრონები გახლავართ. ქართული საარფო სკოლის დაბადება ხომ თბილისში კონსერვატორიის დაარსების ხანას უკავშირდება. ამრიგად, ტრადიცია ჩვენში ხანგრძლივიც არის (მაღლე ასწლოვანი იქნება) და ნაყოფიერიც. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ არფას თბილისელები მანამდეც იცნობდნენ, ვინაიდან საუკუნე-ნახევრის, უფრო ზუსტად 155 წლის წინ მთელს ამიერკავკასიაში პირველად თბილისში გაიხსნა საოპერო თეატრი და მის ორკესტრში, ცხადია, არფაც შედიოდა. თუკი XX ს. დამდეგს საქართველოში 2-3 არფა ძლივს მოიძიებოდა, ისიც მხოლოდ ამერიკული ან ფრანგული, დღეს ამ საკრავის რაოდენობა 100-ს აჭარბებს. ესეც თავმოსანონი ფაქტია, რამეთუ არფა ფრიად ძვირად ღირებული ინსტრუმენტია და არის ქვეყნები მის შეძენაზე ხელი რომ არ მიუწვდება (არც მოთხოვნაა მასზე).

ეს შესავალი დამჭირდა განსამარტავად, თუ რატომ იყო გავსებული დარბაზი, სადაც სოლო კონცერტი გამართა გერმანელმა, დღესდღეობით აშშ-ში მოღვაწე მუსიკოსმა — ფრანცისკა ჰუნიმ.

გოეთეს ინსტიტუტმა თბილისში თავის თანამემამულეს ღირსეულად უმასპინძლა. ინსტიტუტის სააქტო დარბაზმა ფართოდ გახსნა კარი გასტროლიორისა და მსმენელი აუდიტორიისათვის.

ინტერესი კონცერტისადმი დიდი იყო. დარბაზი გაივსო. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მსმენელთა გარკვეულ ნაწილს გერმანელ-ამერიკელი სტუმრის ქართველი კოლეგები, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის საარფო კლასის აღზრდილები, დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ორკესტრში მოღვაწე მუსიკოსები, არფისტები შეადგენდნენ. ამ გარემოებამ, უეჭველია, გააორმაგა გასტროლიორის შემოქმედებითი მღელვარება. სპეციალისტების, საქმეში ღრმად ჩახედული, გათვითცნობიერებული და ამიტომ ფრიად მომთხოვნი მსმენელის წინაშე საკონცერტო პროგრამის შესრულება მეტად პასუხსაგები ამოცანაა.

გარეგნულად ნამდვილი ევროპელი ქალიშვილი, სიფრიფანა აგებულების ფრანცისკა ჰუნიმ საკვირველი ენერგია, ფიზიკური ღონე გამოავლინა. ეს ხაზგასამელია,

რადგან არფას უძველეს დროში მამაკაცები უკრავდნენ, ქალები მერე და მერე დაეუფლნენ ამ საკრავს და დაამტკიცეს, რომ შესწევთ უნარი და ძალა ეს იშვიათი ტემბრის საკრავი გაახშიანონ, მისი ტექნიკური შესაძლებლობები აითვისონ.

ფრანცისკა ჰუნი განაფული ტექნიკითა აღჭურვილი. მის საკრავს მშვენიერი, ვერცხლისებრი ტემბრი ახასიათებს. სიმზე თითის გამოკვრის მანერაც თავისებური აქვს. ეს ყველაფერი შემსრულებლის ინდივიდუალობის მანიშნებელია. მუსიკოსს არც შემოქმედებითი ტემპერამენტი აკლია და პროგრამის შერჩევაშიც გემოვნებიანი, ორიგინალური ხედვა გამოავლინა.

გასტროლიორის ღირსებები, ცხადია, შემთხვევითი როდია. არფას 9 წლის ასაკიდან დაუფლება, ჯერ ბერლინში, ცნობილ პედაგოგთან, ჯუდი კადართან. შემდგომი სრულყოფა ოსტატობისა აშშ-ში, ბოსტონისა და ნიუ ინგლანდის კონსერვატორიებში მოხდა. ახლა უკვე საშემსრულებლო ხელოვნებაში უმაღლესი ნოდების — არტისტის დიპლო-

თავრებული კომპოზიტორების შემოქმედება. განსხვავებული ეპოქისა და სტილის, გაბრიელ ფორესა და კარლოს სალზედოს, ფელიქს გოდეფრუასა და მარსელ ტურნის სოლო საარფო თხზულებები თბილისში პირველად გახშიანდა. სიახლესთან ერთად რეპერტუარი ყურადღებას იპყრობდა მხატვრულ-ემოციური შინაარსის მრავალფეროვნებითა და ტექნიკური სირთულით.

აღსანიშნავია, რომ უცხოელმა სტუმარმა სოლო კონცერტის გარდა მასტერკლასიც გამართა. აქ ოსტატობის გაკვეთილებზე ფრანცისკა ჰუნიმ ყურადღება გაამახვილა ისეთ საშემსრულებლო პრობლემებზე, როგორცაა ხელის მოხსნის თავისებურებები და ხელის თავისუფლება, ბგერის ხანგრძლივობა და მისი დახვეწა, რიტმის სიზუსტის განსაზღვრა და სხვა, რაც საბოლოოდ ნაწარმოებთა მხატვრულ-ემოციური შინაარსის გახსნას ემსახურება. სასიხარულო იყო, რომ ამ მასტერკლასებზე ღირსეულად წარმოსდგა ქართული საარფო სკოლა, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის და ნიჭიერ ბავშვთა სამუსიკო გიმნაზიის აღსაზრდელების — რუსუდან კობახიძის და სოფო ქემერტელიძის სახით. ახალგაზრდა ქართველი არფისტები ოსტატის ნებისმიერ მოთხოვნას და მითითებას მეყსეულად ახორციელებდნენ, რაც ქართული საარფო საშემსრულებლო სკოლის საუკეთესო დონის მაჩვენებელია.

კონცერტზე დამსწრე საზოგადოებამ გულმხურვალე კმაყოფილება გამოხატა. ამრიგად, კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა. განსაკუთრებით საინტერესოა არფის ცნობილი სპეციალისტის, დღესდღეობით ქართული საარფო საშემსრულებლო სკოლის მეთაურის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის, ქ-ნ ნუნუ ჩიგოგიძის შეფასება: “აღფრთოვანებული ვარ ჩვენი სტუმრის შესრულებით. მან შესანიშნავი შესაძლებლობები გამოავლინა. დაკვრის სიწმინდე, სუფთა ბგერა, ფაქიზი, ჩუმი პედალიზაცია. შესაშური პიანოები აქვს და მასთან შეფარებული ძლიერი ფორტე”. ძალიან საინტერესოდ იყო შედგენილი პროგრამა. „ერთი სიტყვით, მშვენიერ მუსიკოსს გავეცანიო. ეს კონცერტი დიდხანს მემახსოვრება”.

ეს წერილი სწორედ მაჟორულ ნოტზე მსურს დავასრულო. ფრანცისკა ჰუნის, ამერიკელ-გერმანელი მუსიკოსის კონცერტი დიდხანს გაჰყვება იქ დამსწრეთა ხსოვნას. კარგი იქნება, თუკი საპასუხო ვიზიტით გერმანია — აშშ-ს ეწვევიან ქართველი არფისტები. დაველოდოთ!



მასტერკლასი

მის მფლობელია. ფრ. ჰუნი პროფესიულ უნარს სრულყოფს საკონკურსო მარათონებსა და საკონცერტო ტურნეებში, რომლებიც მოიცავს გერმანიისა და ამერიკის, პოლონეთისა და ნორვეგიის, რუსეთისა და სირიის, პაკისტანისა და იაპონიის ქალაქებს. ამ ჩამონათვალს საქართველოც შეემატა. აღსანიშნავია დირიჟორებიც, ვისთან ერთადაც დაუკრავს ფრ. ჰუნის, სეიჯი ოძავა, ჯეიმს ლევიანი, დევიდ ჰუუზი და სხვები, დღეს ფრიად სახელმწიფოები არიან!

ამ დირიჟორებთან ერთობლივი კონცერტების გამართვა თავისთავად გულისხმობს სოლისტ-მუსიკოსის მაღალ პროფესიონალიზმს.

თბილისში ჩატარებული კონცერტისათვის ფრანცისკა ჰუნიმ მეტად საინტერესო პროგრამა წარმოადგინა. ეს იყო XVIII საუკუნით დაწყებული და ჩვენი დროით დამ-



ფელიქს ვარლამიშვილი

ქუთაისი
 მუზეუმი

ვახტანგ:
ფელიქს ვახტანგაშვილი

ფელიქს ვარლამიშვილმა 1927 წელს დატოვა საქართველო – სულ 24 წლისამ. ეს მისი შეგნებული ნაბიჯი იყო. საბჭოთა კომუნისტური აზროვნება იმ დროს უკვე ინერგებოდა საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში და მხატვარმა დროულად დააღწია თავი მოახლოებულ მოვლენებს. მან მეგობართან – ლუკა ხითარიშვილთან ერთად, ბილიკ-ბილიკ, მალულად გადალახა საზღვარი, ახალციხიდან კონსტანტინოპოლში ჩააღწია, პარიზში კი 1929 წელს ჩავიდა. მრავალი სხვა ქვეყნის ლტოლვილთა მსგავსად, პარიზში შეიფარა ახალგაზრდა მხატვარი. მთელი შემდგომი ბოლშევიკური ცხოვრება მან ამ ქალაქს დაუკავშირა, თუმცა, პერიოდულად სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობდა და ცხოვრობდა

და კიდევ. საქართველოში აღარასოდეს ჩამოსულა. უცხოეთში ვარლამ ნოდებულის, ფელიქს ვარლამიშვილი 83 წლის ასაკში გარდაიცვალა და მისი ნეშტი ლევილის ქართველთა სასაფლაოს მიაბარეს.

მხატვარი ქუთაისში დაიბადა. მისი მამა – გრიგოლი ბანკის მოხელე იყო. ფელიქსი მას პირველ ცოლთან – როზა ფალიაშვილთან შეეძინა, რომელიც ადრე გარდაიცვალა. ბავშვი დეიდასთან იზრდებოდა, ახალციხეში. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ის თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ 1922 წელს, როდესაც სამხატვრო აკადემია გაიხსნა, იქ გადავიდა სასწავლებლად. მისი სტუდენტობის დროინდელი ბევრი ნამუშევარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია შემორჩენილი და მოწმობს ავტორის ნიჭსა და ადრეულ ასაკში შეძენილ ოსტატობას. აღიარებაც მაშინვე მოიპოვა, მაგრამ მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები მთელი ძალით საზღვარგარეთ გამოვლინდა.

უცხოეთში ჩასული, ფელიქსი თავდაპირველად ისევ ხატავდა საქართველოს – სურათებს, რომლებიც მოგონების სახით ჩარჩა მეხსიერებაში და რომელთაც ქართველი ემიგრანტების თხოვნით თუ დაკვეთით აცოცხლებდა თავის ნამუშევრებში: ძველი თბილისი (ძველი ჩვენთვის, თორემ მათთვის, ვინც 1920-იან წლებში დატოვა სამშობლო, ეს იყო მათი თანამედროვე და მათთვის ერთადერთი თბილისი), მოქეიფე ყარაჩოხელები, მემანწენები სახედარზე გადაფენილი ხურჯინებით, სალამურზე დამკვრელნი, ქართული ეკლესიები, საეკლესიო დღესასწაულები, აივნისანი სახლები - საქართველოს ლტოლვილები სიამოვნებით იძენდნენ ამ სურათებს. ვარლამიშვილისთვის მაშინ ეს დიდ დახმარებას წარმოადგენდა, რადგან მატერიალურად საკმაოდ უჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ მეხსიერებით ხატავდა, მხატვარი ზედმიწევნით აღწერდა ბავშვობაში ნანახსა და გონებაში ჩაბეჭდილს: ადგილის კოლორიტს, ადამიანების პლასტიკას, საგნების ფაქტურას, ეთნოგრაფიულ დეტალებს. ზოგიერთი თემა ხშირად მეორდება და მხატვრის მხრიდან განსაკუთრებით ინტიმურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს: დედა ჩვილით ხელში, ფიჩხის შემგროვებელი ქალები და ბავშვები და სხვ.

1948 წელს, მეუღლესთან – დანიური წარმოშობის მხატვართან - ზირე ბინდერთან ერთად, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად უმეგობრა მხატვარს,

ვარლა არგენტინაში გაემგზავრა. იქ ძირითადად ავეჯის დეკორატორად მუშაობდა და პოპულარობითაც სარგებლობდა. შემდეგ კვლავ მონპარნასს დაუბრუნდა და ზირესთან ერთად იქ გაატარა ცხოვრება. ხშირად მოგზაურობდა იტალიაში, რომელიც ორივეს განსაკუთრებით უყვარდა.

უცხოეთში ცხოვრებამ და მოგზაურობებმა საქართველოს თემები თითქმის მთლიანად ნაშალა ვარლას შემოქმედებიდან. მაგრამ ის, რაც მისი ჩამოყალიბებული მხატვრული სტილის თავისებურებებს შეადგენს, შესაძლებელია, შავალის მსგავსად, სწორედ სამშობლოსთან დაკავშირებული, ცნობიერების სიღრმეში მიმალული ასოციაციებიდან არის აღმოცენებული. კიდევ აღნიშნა მხატვარმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მიცემულ ინტერვიუში, მთელი ცხოვრება საქართველოს სიყვარულით ვხატავდიო.

ვარლას ნამუშევრების უმრავლესობა მომცრო ზომის არის. როდესაც მათ თანმიმდევრობითათვალიერებ, თითქოს ერთი გაბმული, ნაღველნარევი მელოდია ჩაგესმის. იცვლება სიუჟეტი: ნადირობა, მოსავლის აღება, გასეირნება, თევზაობა, მაგრამ განწყობა ერთი რჩება. ყოველ კომპოზიციაში ადამიანთა ჯგუფი ფიგურირებს: თივის ზვინს კრავენ, ხეებს ჭრიან, ნახირს ერეკებიან, უკრავენ, გოდრებს ეზიდებიან; ცხენები მიქრიან, ისვენებენ, ძოვენ, ერთმანეთს ეთამაშებიან. მოძრაობა ხშირად რთულია – ფიგურა წინა პლანიდან სურათის სიღრმეშია შეჭრილი, ან პირიქით, მკვეთრად არის მობრუნებული ჩვენკენ. ცხენები მოულოდნელ რაკურსებში არიან წარმოდგენილნი. არქიტექტურული ნაგებობები ასევე რთული პერსპექტივითაა ნაჩვენები. „კადრი“ შემთხვევით ხასიათს ატარებს ხოლმე: ჩარჩოთი გადაჭრილია ხის ვარჯი, ჩამოკვეთილია მაგიდის კიდე, წინა პლანიდან კომპოზიციაში მოულოდნელად არის შეჭრილი კიბის საფეხურები. ამგვარი ხერხებით იქმნება დინამიზმის შეგრძნება, მაგრამ არა მოუსვენრობის. სურათებში სიმშვიდე და ჰარმონია სუფევს. ეს განპირობებულია კომპოზიციების შინაგანი რიტმით, მელოდურობით.

ადამიანები ურთიერთქმედებენ: ერთი მებადური ნადავლს აწვდის მეორეს, დედა მამას ეხმარება ბავშვის ცხენზე შესმაში, გონდოლაზე ჩაჩოქილი ერთი მუსიკოსი მეორეს შესცქერის და მასთან ერთად ამღერებს მანდოლინას. და მაინც, ერთმანეთისკენ მიმართული ფიგურები აქტიურ ურთიერთკავშირში არ შედიან. ერთი თუ

მეორეს უმზერს, ის მეორე უმეტესად სხვაგან იცქირება, სივრცეში. ყოველი მათგანი საკუთარ თავთან რჩება. ეს განცალკევება ქმნის გარინდებას. ხოლო ერთი ფიგურიდან მეორეზე გარდამავალი მოძრაობა (ჟესტით, თავის მიბრუნებით) წარმოშობს ერთიანობას, შენელებულ ტემპს. ფიგურების მონაცვლეობას ეხმიანება იმავე ტემპში თუ რიტმით განლაგებული საგნები – ხის მორები, დაცილილი ბოთლები, ფიჩხის კონები, გოდრიდან გადმოცვნილი ვაშლები და მსხლები, და სხვ. ვარლას სურათებში ადამიანებიც და საგნებიც ერთ დიდ გასულიერებულ ნატიურმორტს ქმნიან.

ტიპაჟი მეორდება. გამომეტყველებით ქალი და კაცი, – ყველა ერთმანეთს ჰგავს, ერთი განწყობა აქვს. სახეები კონკრეტულ მდგომარეობას არ გამოხატავენ, მაგრამ ყველა ფიქრიანია. ყოველი მათგანი მარტოა, ხოლო ერთმანეთში გარდამავალი მოძრაობებით ერთიანი რიტმი იქმნება. ტანისამოსიც ერთდაგვარი მოსავთ: კაცებს უმეტესად მუხლებზე დაკაპინებული სამუშაო შარვლები და ასევე უბრალო მაისურები, ქალებს მსგავსი მაისურები და გრძელი ქვედა კაბები. სამოსის ნაკეციები პლასტიკურ მეტყველებას, გამომსახველობას მატებს ფიგურებს. გამოსახვის მანერა რეალისტურია: კაცი კაცს ჰგავს და ცხენი ცხენს, ნათლად იკითხება მცენარე თუ რაიმე ნივთი. მაგრამ მთლიანობაში ეს გამოგონილი სამყაროა. ამას თვით მხატვრისგან მოსმენილი ფრაზებიც მოწმობენ. მას უყვარდა ნადირობის ასახვა, მაგრამ თავად ნადირობა არასოდეს იტაცებდა, მთაზე ნახი ციხე-სიმაგრე სურათზე ზღვის პირას აქვს ჩატანილი, მისი ცხენების უმრავლესობა ნატურიდან არ არიან დახატულნი. ამგვარად, ვარლა რეალისტურად კი არ აღწერს ხილულ სამყაროს, არამედ საკუთარ გონებაში გარდასახულ და აღმოცენებულ სცენებს გვიჩვენებს.

ნამუშევრებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული რიტმი, ცხადია, ავტორის შინაგანი განწყობიდან აღმოცენდა. შესაძლებელია, ის ახალგაზრდობაში თბილისელ მოქალაქეთა – კინტოების და ყარაჩოხელების პლასტიკამ შთააგონა. ასეა თუ ისე, ეს რიტმი მიგნებულია უკვე სტუდენტურ ნამუშევრებში. მაგრამ ადრეულ სურათებში ფიგურები ჯერ კიდევ მტკიცედ ეყრდნობიან ნიადაგს, ტიპაჟით და სამოსით კონკრეტულ რეალობას უახლოვდებიან. მოგვიანებით ვარლას ნამუშევრებში ადამიანები თითქოს მიწას სწყდებიან. ოდნავ ნელში

მოხრილნი, ვერტიკალურად განზიდულნი, ისინი განსაკუთრებით დახვეწილ ხასიათს იძენენ. (მეგობრების მოგონებით ფელიქსი ახალგაზრდობაში თავად ჰგავდა საკუთარი სურათების პერსონაჟებს).

ფერები ინტენსიურია და მკვეთრი ფერადობის. ზამთრის თოვლიანი პეიზაჟიც კი თითქოს მზის სხივებით არის განათებული, რის გამოც სურათებიდან განსაკუთრებული სითბო გამოსჭვივის. ზოგჯერ ერთსა და იმავე სურათში ნიადაგიც ოქროსფერია, ცაც და წყალიც კი, მხოლოდ სხვადასხვა ტონალობისა. პირობითია ერთ სურათზე აღისფრად შეღებილი ზღვის ნაპირიც და ერთ-ერთი პერსონაჟის ლურჯი თმაც. ფერადოვანი აქცენტები ჰარმონიულად არის განაწილებული. სივრცე პირობითად არის ორგანიზებული. მხატვარი ხშირად პლანების მკვეთრი დაპირისპირებით იჭრება სიღრმეში. ზოგ სურათში იატაკის ზოლი, მაგიდა და სკამი „აყირავებულია.“ ასეთი მაგიდიდან თევზები თითქოს არაბუნებრივად ცვივა, მაგრამ ამასთან, ისე ბუნებრივად ფართხალებს და სხლტის, გგონია მათ ხელით ეხები. ერთ-ერთი მეთევზის ფეხის დაყენებაც არაბუნებრივია: მუხლი ფეხის მოძრაობის სანინააღმდეგოდ არის მიმართული, რითაც გარეგანი ექსპრესია იქმნება.

ადრეულ პერიოდში, პარიზშიც კი, როდესაც ქართულ თემაზე ხატავდა, შემოქმედებაში ვარლა ბოლომდე ქართველად რჩებოდა. 1920-40-იანი წლების ნამუშევართა დათვალერებისას გვახსენდება შუასაუკუნეების ქართული ფრესკები, ფიროსმანის, გუდიაშვილის ნამუშევრები. ზოგ ავტორთან მსგავსება შეიძლება უფრო თემატიკით და დროით იყოს განპირობებული, ვიდრე სტილისტური თავისებურებებით. მაგრამ უცხოეთში, როდესაც ის თანდათანობით შორდება ქართულ თემას, ან ქართული თემა მხოლოდ შორეული ასოციაციის სახით თუ ამოტივტივდება ხოლმე მის შემოქმედებაში, ჩნდება პარალელები „მცირე“ ჰოლანდიელებთან, გოთურ ვიტრაჟებთან, იტალიური კვატროჩენტოს ნიმუშებთან, ფრანგულ გობელენთან. ამგვარად, მის შემოქმედებაში, რომელიც ძირითადად ხედვით შთაბეჭდილებებზე და ინტიმურ ასოციაციებზეა დაფუძნებული, მრავალი საწყისის სინთეზი შედგა.

ვარლას მხატვრობა უფრო ტრადიციული ხასიათისაა, ვიდრე მე-20 საუკუნის მე-

ორე ნახევრის ავანგარდული ხელოვნების ნიშნების მატარებელი. ის სულიერ სიმშვიდეს და ნონასნორობას შემოქმედების საშუალებითა და ხელოვნებით ინარჩუნებს. იგრძნობა, რომ მას ამოძრავებს რაღაც ძალზე პირადული, ბავშვობიდან შეთვისებული. შესაძლოა, სწორედ ნოსტალგიის გრძნობამ მოსწყვიტა მხატვარი სინამდვილეს, ან შეიძლება, თვითონ ბუნებით მშვიდმა, გვერდი აუქცია დიდ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა მის თანამედროვე გარემოში. პარიზმა და შემოქმედებამ მას საშუალება მისცეს სულიერი სიმშვიდე შეენარჩუნებინა და მაყურებლისათვის ჰარმონიის და სილამაზის ჰუმანური განცდა გაეზიარებინა.

თუკი მართებულია მხატვართა გაყოფა პროზაიკოსებად და პოეტებად, ვარლა ნამდვილი პოეტია. ფერწერაში და გრაფიკაში მისთვის მთავარია არა კონკრეტული ობიექტი (მიუხედავად იმისა, რომ ობიექტი მუდამ აღქმადია) არამედ მის გონებაში აღმოცენებული მოტივების, ზმანების მხატვრული ასახვა.

და მაინც, ამგვარი მშვიდი, მორიდებული, ტოლერანტული ბუნების ადამიანმა, სულ ახალგაზრდამ შეძლო რადიკალური გადაწყვეტილების მიღება და საკუთარი შემოქმედების და პიროვნული თავისუფლების დასაცავად ბედის განმსაზღვრელი ნაბიჯის გადადგმა.

გარდაცვალების წინ, ვარლამ თავისი ათი მნიშვნელოვანი ნამუშევარი საქართველოს უანდერძა. ზირე ბინდერმა მეუღლის ნების ასრულებაზე იზრუნა და დღეს ეს ნამუშევრები საქართველოს ხელოვნების მუზეუმში შეგიძლიათ იხილოთ.

P.S. ფელიქს ვარლამიშვილის სახელი ჩემთვის ბავშვობის ასაკიდან არის ცნობილი. გრაფიკული ნამუშევრები, რომლებსაც ის საახალწლო მოსალოცი ბარათების სახით აგზავნიდა ხოლმე ჩვენს ოჯახში, ჩემი პირველი „სახელოვნებათმცოდნეო“ ინტერესის საგნები იყო. 1984 წელს, პარიზში ყოფნის დროს, მის მეგობართან – ნიკოლა მამულაშვილთან ერთად, სახელოსნოში ვენვიე მხატვარს და შემდგომ მას რამდენიმე სტატია და მოხსენება მივუძღვენი. ახლა, ორმა ათეულმა წელიწადმა რომ განვლო, ვარლას მხატვრობასთან მიბრუნებამ მძაფრად მაგრძნობინა ნოსტალგიის ძალა და მნიშვნელობა შემოქმედებაში.



მერი დავითაშვილი, რეზო თაბუკაშვილი, მედეა ჯაფარიძე



გარეკანის პირველ გვერდზე „გოგონა სარკით“, ბოლო გვერდზე „გოგონა ბატკნით“

ფელიქს ვარლამიშვილის რეპროდუქციები პარიზის კოლექციიდანაა და მისი გადაბეჭდვა ან გამრავლება ნებართვის გარეშე იკრძალება.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ზაზა ჩუგოშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@posta.ge. Web: www.litandart.com.ge





ფელიქს ვარლამიშვილი

ნევილები



ფელიქს ვარლამიშვილი

კარტის მოთამაშეები

2006-1123



0 2487/2

